



ქორები თოვდება მისი

მთიულათის, გუდამაყრის,  
ხანდოსა და ჭარტლის  
კონიგრაციული გასაღები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტი  
გელათის მეცნიერებათა აკადემია

## როლანდ თოფჩიშვილი

მთიულეთის, გუდამაყრის,  
ხანდოსა და ჭართლის  
ეთნოგრაფიული მასალები

1981-1983 წლები



გამომცემლობა „მწიგნობარი“  
თბილისი, 2020

წინამდებარე წიგნში წარმოადგენილია მთიულეთის არაგვის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) ეთნოგრაფიული მასალები. მასალები ჩაწერილია 1981, 1982 და 1983 წლებში. მთხოვობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე იყო დაბადებული. ამდენად, ის ასახავს XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მთიელთა ყოფას, რასაც მკვლევართათვის პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს.

## რედაქტორი ნათია ჭალაბაძე

© როლანდ თოფჩიშვილი

ISBN 978-9941-490-17-0

## რედაქტორისაგან

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ როლანდ თოფ-ჩიშვილის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წიგნი მიიღო – ეს არის 1981-1983 წლებში ავტორის მიერ მთიულეთში, გუდამაყარში, ხანძოსა და ჭართალში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალები, რომელიც ეთნოლოგთათვის, და არამარტო, ძალზე ფასეულ ინფორმაციას შეიცავს. მეცნიერის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის, ამ ხასიათის, ერთგვარად განსხვავებული სტილის წიგნი პირველად გამოდის და არანაკლებ ლირებულია. იგი მნიშვნელოვანია თავისი თემატიკით და მასში წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ყოფის რეალიებით, რისი ველზე მოძიებაც დღეს უდავოდ რთული იქნებოდა.

როლანდ თოფჩიშვილი, როგორც იმ პერიოდში გვარსახელების შესწავლით დაინტერესებული მკვლევარი, პირველ რიგში, გვართა სადაურობა-წარმომავლობის, მოსახლეობის მიგრაციის და მასთან დაკავშირებული საკითხების ფიქსაციას ახდენდა; და მართლაც, წიგნში ზედმიწევნით არის წარმოდგენილი მასალები ზემოხსნებულ რეგიონებში მოსახლე გვარების ისტორიის (დაარსება, შეერა, გადაშენება...), მიგრაციული პროცესებისა თუ ხატ-სალოცავებისადმი გვარების დამოკიდებულების შესახებ. მკითხველისთვის ნათელი ხდება ამა თუ იმ გვარსახელის გავრცელების დიაპაზონი, რაც, ამავდროულად, კარგად წარმოაჩნის აღმოსავლეთ საქართველოში მიგრაციული ტალღების მიმართულებას: მთიდან მთისწინეთსა და ბარში, და პირიქით.

აღნიშნული თემატიკის გარდა, როლანდ თოფჩიშვილის მიერ შეკრებილ საგელე მასალებში მრავალი ისეთი მონაცემია წარმოდგენილი, რომელსაც შეუძლია პასუხი გასცეს ქართულ და არაქართულ სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში სადაც თუ საჭირობოროტო საკითხებს; მაგალითად, ოსური/რუსული მხარის პრეტენზიებს ქართულ ისტორიულ მიწებზე (ამ შემთხვევაში, ღუდის ხეობაზე). ამისთვის, თუნდაც ავტორის მიერ სხვადასხვა მთხოვბელთაგან ჩაწერილი ისტორია იქმარებს ოსების დასახლების შესახებ არაგვისა და ღუდის ხეობაში, სადაც „წინეთ თხები სულ არ

ყოფილან“. მსგავსი შინაარსის გადმოცემა, სადაც ხაზგასმულია ოსების ამ მხარეში მოსულობის ფაქტი, წიგნში რამდენჯერმე გვხვდება; გადმოცემა მოგვითხრობს ღუდაში თავდაპირველად ამანათად მოსულ რუბაევის გვარის კაცზე, რომელიც ყარაულად დაუყენებიათ, რათა დანარჩენ ოსებს მათვის ზიანი არ მიეყენებინათ. მერე ამ ოსს თავისი ნათესავები – სამაუვი, გადიევი, ყორიევი და სხვები მოუყვანია. ოსები თანდათან მომრავლებულან, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ არაგის (ღუდა) ხეობაში წინ წამოუწვევიათ და სოფლები ქვემო განისი, ზემო განისი და მიქეთი დაუარსებიათ. ეს სოფლები ბუთხუზებისა და გაგაძეების კუთვნილ სათიბ, სახნავ და საძოვარზე დასახლებულა, ხოლო ოსები რომ მომრავლებულან და მომაგრებულან, ეს ადგილები დაუჩემებიათ და ბუთხუზებისა და გაგაძეთათვის დამორჩილებაზე უარი უთქვამთ. გაგაძეთ და ბუთხუზებს რომ საშვილი-შვილოდ არ დაეკარგათ თავისი მამა-პაპის მამული, ის ხომ შობლისთვის შეუწირავთ და კულუხი და ბეგარა დაუდვიათ. მასალებიდანვე ვიგებთ, თუ როგორ ხდებიან მერე ოსები ღუდაში დეკანოზები და ბუთხუზებს ანაცვლებენ.

დღეს ოსების ისტორიულ ტერიტორიად ღუდის გამოცხადების იდეის სიყალებს წიგნში მოცემული ის მასალებიც ადასტურებს, რაც მთიულეთის ხატ-სალოცავებისა და გვარების ურთიერთმიმართებაზე მოგვითხრობს. მთხოვბლები ცალსახად აფიქსირებენ მთიულეთში ბავშვის ჯერ ღუდის ღვთისმშობლის ხატში და შემდეგ ლომისაში გაყვანის ტრადიციას – გზას, რომელიც მთიულეთში ყველა გვარს უნდა გაევლო, ვისაც შვილი ჰყავდა: „მთელ მთიულეთს ღუდაში მიუდის, იმ ხატში ბავშვები გასარევად“. მთელი მთიულეთი კი უცხო ტომელთა სალოცავში შვილს არ გარევდა.

არ შეიძლება არ ითქვას მასალებში მთხოვბლეთა მიერ დვალების და ოსების ერთმანეთის იდენტურად მოხსენიების ტენდენციის შესახებ. დვალებზე მოყოლილ ისტორიებში „დვალებს“ უნდებლიერ „ოსი“ ენაცვლება; საინტერესოა, რატომ ხდება მთხოვბლელთა გონებაში ამგვარი აღრევები? ეს ძალიან საყურადღებო ეთნო-ფსიქოლოგიური მოვლენა ისტორიულად დვალური ეთნიკური ერთეულის ოსურით ჩანაცვლების გამოძახილი უნდა იყოს.

ქალზე საყურადღებოა გუდამაყარში ჩაწერილი გადმოცემები დევების შესახებ, რასაც ავტორი წიგნის შესავალში განსაკუთრებით უსვამს საზს. ჩანს, რომ დევებზე ისტორიებს ძირითადად გუდამაყარში ხევსურეთიდან გადმოსახლებულ გვართა წარმომადგენლები მოგვითხრობენ და გუდამაყრულ ვარიანტებშიც დევები კერპებად, ხატ-სალოცავებთან მებრძოლ ბოროტ არსებებად გვევლინებიან; აქაურ სიუჟეტებშიც, მსგავსად ხევსურეთში შემონახული გადმოცემებისა, ორი ერთმანეთის საპირისპირო რწმენის ურთიერთჭრიდილის იღვა იკვეთება. ძალაუნებურად გიჩნდება კითხვა, ეს გადმოცემები ლოკალურია, თუ ხევსურეთიდან მიგრირებული მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩენილი და ახალ სამკვიდრო ტარიელიაზე მორგებული?

მკითხველი სწორედ ამ ხასიათის და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო ინფორმაციას მოიძიებს. როლანდ თოფზიშვილის წინამდებარე ნაშრომში. ავტორის მიერ ველზე შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებს პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს და მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, ახალი კვლევების და ძეგლი კონცეფციების ახლებურად გააზრების სტიმულს მისცემს სპეციალისტებს. ასევე, შესაძლებელი იქნება, ეს მასალები იგივე თემატიკასთან დაკავშირებულ უფრო ადრე ფიქსირებულ მასალებს შევაღიროთ და თვალი გავადგვოთ კულტურის ამა თუ იმ ელემენტთა დინამიკას.

როლანდ თოფზიშვილის წიგნი – „მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ჭართლის ეთნოგრაფიული მასალები 1981-1983 წლები“ მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც სპეციალისტთათვის, ასევე საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის.

## ნათია ჯალაბაძე

## შესავალი

წინამდებარე წიგნში წარმოადგენილია მთიულეოთის არაგვის ხეობის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მხარეებში (მთიულეოთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები. მასალები ჩაწერილია 1981 წელს ინდივიდუალური მივლინებისას და 1982 და 1983 წლებში ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში.

მთიულეოთი და გუდამაყარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მხარეებია, ხანდო და ჭართალი, რომელიც თეთრი და შავი არაგვის ხეობების შესაყარის სამხრეთით მდებარეობს, შიდა ქართლის მთისწინეთია. ერთ წიგნში ამ ოთხი მხარის ეთნოგრაფიული მასალების თავმოყრა განაპირობა არა მხოლოდ გეოგრაფიულმა ფაქტორმა, არამედ იმ გარემოებამაც, რომ საუკუნეების განმავლობაში ისინი მჰიდროდ იყენებ ერთმანეთთან დაკავშირებული. ხანდოსა და ჭართალში ძირძველი მოსახლეობა ფაქტობრივად აღარ შემოგვრჩა და ეს მხარეებიც დროთა განმავლობაში მთიულეოთა ინტენსიური მიგრაციის არეალს წარმოადგენდა. განსაკუთრებით გააქტიურდა მთიულეოთ და გუდამაყრელთა აქ გადასახლებანი XIX საუკუნეში, რის შედეგადაც მოხდა დარჩენილი ნასოფლარების აღორძინებაც.

ავტორმა არაგვის ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები საფუძვლად დაუდო რამდენიმე ნაშრომს („მთიულურ-გუდამაყრელი გვარები“, „ხანდოელ-ჭართლელთა გვარები“, „საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის“). ის მხოლოდ მთაში ეთნოგრაფიული მასალების შეკრებით არ შემოფარგლულა. მომდევნო წლებში შეიკრიბა მასალები არაგვის ხეობის დაბლობში (მთისწინეთსა და ბარში), რომლის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა მხოლოდ ახლახან მოხერხდა – „არაგვის ხეობის დაბლობი და მისი მკვიდრნი. ეთნოსტორიული საკითხები, თბ., 2020“. ასე რომ, ეს ხეობა ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის საინტერესოა ყოველმხრივ.

ბუნებრივია, ველზე მასალები პირველ რიგში იკრიბებოდა იმ პრობლემებზე, რომელიც მაშინ ჩვენი ინტერესების

სფეროში შედიოდა; ეს იყო: მოსახლეობის მიგრაცია, გვართა სადაურობა-წარმომავლობა, რწმენა-წარმოდგენები და ხატ-სალოცავები და ამ სალოცავებისადმი ამა თუ იმ გვარის დამოკიდებულება. შეძლებისდაგვარად ხდებოდა ეთნოგრაფიული მასალების შეკრება სხვადასხვა პრობლემაზე, მაგალითად, სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. წარმოდგენილია ფოლკლორის რამდენიმე ნიმუშიც. ასე რომ, დაინტერესებული მკითხველი წიგნში იპოვის ისეთ ეთნოგრაფიულ მასალებს, რომელიც აქამდე დაფიქსირებული არ იყო და უცნობი იყო ეთნოლოგთათვის. საამისოდ შეიძლება გავიხსენოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჩაწერილი გადმოცემები დავვის შესახებ, რომლის მეცნიერული შესწავლა თინათინ ოჩიაურს ეკუთვნის. წიგნში წარმოდგენილია გუდამაყარში ჩაწერილი გადმოცემები დავვის შესახებ, რომელიც ქალბატონ თინა ოჩიაურს პრობლემის შესასწავლად დამატებით არგუმენტაციას მისცემდა.

მკვლევართათვის საინტერესო უნდა იყოს ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც გვამცნობს, რომ დევებს ჰყავდათ ხელქვეითები – იასაულები; ასეთი იასაულები, წიგნში წარმოდგენილი მასალებით, ხატებსაც ჰყოლია: „იმ დევის იასაულებისათვის ციქნებსა ვხოცავთ. დევი იასაულებს უსევს, ვინც მისი წინააღმდეგია. ლოცვა კი არ იციან. ამბობებს ხოლოდ: „დაუტკბე შენი თვალი, შენი გული, აგრე – სამჯერ იტყვიან. იასაულები ხალხს ემტერებიან. ვისაც ციკანი არ მოყავს – იასაულის მიზეზი აქვთ. ცხრა კვერს გამოაცხობენ და ცხრა სანთელს და დამწყალობნებს დეკანოზი. ეგ დღეობა მარიანობას მოდის. ციკანს თავს დასტური მოსჭრის. შარშან აქ მარიანობას 140 საკლავი დაიკლა. ხატსაც ყავს იასაული. მაგათზე დობილს იტყოდნენ: „წმ. გიორგის იასაულო, წმინდა გიორგის დობილოო“.

საინტერესო იქნება ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც გვიდასტურებს, რომ მეზობელ მხარეებს საერთო, გამაერთიანებელი სალოცავები ჰქონდათ. საამისოდ შეიძლება ფშარაოს/შარაოს წმიდა გიორგი მოვიყვანოთ, რომელიც ფშავების გომეწრის ხეობისა და გუდამაყრის ხოფელ ლუთხუბის საერთო სალოცავი იყო. იგივე შეიძლება ითქვას

ხმალას ხატის შესახებაც, რომელსაც ხორხის ხეობისა და ჭართლის სოფელ დოლასქედის მოსახლეობა ლოცულობდა.

დღევანდელ დღეს განასაკუთრებული ღირებულება ენიჭება ოქთრი არაგვის ხეობის სათავეში – ღუდას თემში შეკრებილ მასალებს, რადგან ყალბისმქნელ კალმოსნებს ამ ტერიტორიულ ერთეულზე პრეტენზიები გააჩნიათ და რომ მას აღმოსავლეთ ოსეთის ძირძველ ტერიტორიად აცხადებენ. ეთნოგრაფიული მონაცემები კი საპირისპიროს მიუთითებენ: დგინდება აქ მცხოვრები გვარები და, რაც მთავარია, ღუდას ლვთიშობელი, ლომისას შემდეგ, იუო ყველა მთიულის სალოცავი, სადაც ახალშობილი ვაჟის გაყვანას/გარევას ვერავინ ვერ ასცდებოდა. აქ, ამ სალოცავის დეკანოზობა კი ბუთხუზების გვარს მოუდიოდა.

ურიად დიდი მნიშვნელობა აქვს ლომისას დეკანოზის დალოცვას – „ღმერთო, უშველე ქვეწიერაბასაო, ქვეწიერებაში საქართველოსაო, საქართველოში მთიულეთსაო, მთიულეთში – მლეთესაო“, რომლის ანალოგიურად საქართველოს მთის ყელა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ილოცებოდნენ სვანეთიდან მოკიდებული, ვიდრე თუშეთადე. მოყვანილი დალოცვა პირდაპირ მთიულებს ქართველი მთიულების ერთიან ქართულ ეთნიკურ ორგანიზმში დრმა ინტეგრაციაზე. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის მასალა, რომ მთიულეთისა და გუდამაყრის სალოცავებს ბარში ვენახები ჰქონდათ, საიდანაც შესაწირავი კულტები ყოველწლიურად მოსდიოდათ.

გუდამაყარი ერთადერთი მხარეა საქართველოს მთიანეთში, სადაც ყველაზე ძლიერ და მთავარ სალოცავს – „პირიმზე ფუძის ანგელოზს“ – გარდა საკუთარი ემებისა „უყმო ყმებიც“ რომ პყავდა.

ჩვენ მთხოვობელებს არც საბჭოთა პერიოდის დასაწყისის ფაქტები (მაგალითად, გაკულაკება) დარჩენიათ უყურადღებოდ, რამაც მათი ტრადიციული ცხოვრება ძირფესვიანად მოშალა.

საყურადღებოა ქართველ მთიულთა ეპიდემიასთან ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი, ამ მხრივაც ისინი სალოცავში შენახულ ჯვარს იყენებდნენ. გუდამაყრის ძველი სათემო

ჯვარი ინახებოდა ჩოხის წმიდა გიორგში. ერთხელაც „ხორველა გაჩენილა გუდამაყარში და ეს ჯვარი ააბძანეს, გუდამაყარს გააცილეს და შემდეგ მოატრიალეს უკან. ჯვარი რომ გაიტანეს გარეთ, ხორველა გუდამაყარს გასცდაო“. რა თქმა უნდა, ჯვარის აბრძანება და გუდამაყრიდან გატანა სათანადო რიტუალისა და ლოცვის თანხლებით ხდებოდა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ეთნოგრაფიული მასალები, რომელიც ცეცხლიჯვარს ეხება, რომლის ეპითეტებად მისი მღლოცველი გამოიყენებდა ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „მებოლოვე და ფათერაკიანი ხატი“, „მფრინავი ხატი“. როგორც ცეცხლიჯვარს, ისე მთიულეთისა და გუდამაყრის სხვა ბევრ ხატ-სალოცავს ადგილზე საკმარისი რაოდენობით გააჩნდა მამულები (სახნავი მიწა), სიდანაც აღებულ მოსავალს იყენებდნენ რელიგიურ დღესასწაულების დროს ძირითადად ლურისა და არყის დასამზადებლად. ამ შემთხვევაში შეიძლება გავიხსენოთ, შუა საუკუნეების ქართული ფეოდალიზმის ერთი თავისებურება – ინდივიდუალურ ფეოდალურ საგვარეულოებთან ერთად საქართველოში არსებობდა კოლექტიური ფეოდალიც – ქართული ეკლესია, რომელიც მიწის დიდი ნაკვეთებს ფლობდა და რომელსაც, ჩვეულებრივ, ისევე ჰყავდა ყმა-გლეხი, როგორც ამა თუ იმ თავადა ზნაურულ გვარს. როგორც ჩანს, სოციალურ დიფურენციაციამდე მიწა ბარში არსებულ ხატ-სალოცავებსაც ჰქონდა. ფეოდალიზმის წარმოქმნის შემდეგ ხატ-სალოცავების მიწები ეკლესიის მიწებად გარდაიქმნა.

წიგნში წარმოდგენილი ფოლკლორული მასალები გვიდასტურებს საისტორიო ძეგლებში არსებულ მონაცემებს, რომ ხევ-ხადასთან ერთად, თრუსოს მფლობელები არაგვის ერისთავები იყვნენ.

გუდამაყარი აღმოსავლეთ საქართველოს მთის ეთნოგრაფიული მხარეებიდან გარკვეული ორიგინალობით გამოირჩეოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ გუდამაყრის ყველაზე ძლიერ სალოცავს „პირიმზე უუძის ანგელოზს“, ყმების გარდა, „უუძო ყმანიც“ ჰყავდა. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ამანათობის ინსტიტუტი არსებობდა, რომელიც კარგადაა შესწავლილი ქართულ

ეთნოლოგიურ მეცნიერებაში (მარინა კანდელაკი). მთი-ულური და გუდამაყრული მასალები ამანათის ახლებურ გაგებასაც გვთავაზობს. მაგალითად, გერად წაყვანილი ვაჟიც კი აქ მამინაცვლისათვის ამანათად ითვლებოდა.

თეორი და შავი არაგვის ხეობებში სალოცავებთან და-მოკიდებულების არაერთმა ნიუანსში შეიძლება შიიქციოს ყურადღება; მაგალითად, ხატ-სალოცავში აქ არ შეიძლებოდა იმ ქალის მისვლა, რომელიც ახალი მკვდრის პატ-რონი იყო, რადგან ის შავ სამოსს ატარებდა; არ მიჰყავდათ სალოცავში აგრეთვე ფეხმიმე პატარძალი და ა.შ.

\*\*\*

ცალკეულ გამონაკლისებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ეთნოგრაფიული მასალების დაბეჭდვის ტრადიცია საქართველოში არ არსებობდა. სამწუხაროდ, ყველა მეცნიერი შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალას სახლში ინახავდა. ითვლებოდა, რომ ის მისი საკუთრება იყო და მისი გამოყენების უფლებაც მხოლოდ შემკრებს ჰქონდა. ამ „მავნე ტრადიციამ“ ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი მასალა დაუკარგა, რადგან ბევრი მათგანი ეთნოლოგის ამ ქვემიდან გადასვლის შემდეგაც კი ვერ მოხვდა არქივში. ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ ქალბატონი ჯულიეტა რუხაძე იყო, რომლის მიერ შეკრებილი და გადათეორებული მასალები საგულდაგულოდ ინახებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებაში. ქალბატონ ჯულიეტა რუხაძის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო მისი მასალების ავტოგრაფიული სახით გამოცემა. ამ მასალების დაბეჭდვამ მოგვცა გარკვეული სტიმული, რომ გამოგვეკვეუნებინა ჩვენი ეთნოგრაფიული მასალების ერთი ნაწილი, რომელიც 1981-1982-1983 წლებში მთიულეთსა და გუდამაყარში, ხანდოსა და ჭართალში იკრიბებოდა. წინამდებარე ეთნოგრაფიული მასალები კი იმის იმედით ქვეყნდება, რომ მომავალ თაობას ის ყურადღების მიღმა არ დარჩება.

**მთიულეთი**

**გიგო შიოს ძე ქავთარაძე, 73 წლის, ფასანაური, 17. 07. 1981**

ფასანაურში ქავთარაძეები სოფელ ქავთარათიდან გად-  
მოვედით. ქავთარაძეები ცხოვრობენ კიდევ ვაშლობში, წი-  
ფორში...

ქავთარაძეების სალოცავი არის წიფორის წმიდა გიორ-  
გი. კიდევ არის ჩვენი სალოცავი გზოვანის წმიდა გიორგი.  
ორივე ჩვენი გვარის მთავარი სალოცავია. ბავშვებს და პა-  
ტარაძალს (დედაკაცს) წიფორში გავრევთ პირველად. გზო-  
ვანობა ერთი კვირის წინ წავიდა და წიფორობა ნოქმბრის  
10-ში მოდის.

ჩვენი გვარიდან გამოსულები ვეძათხევზე ცხოვრობენ,  
ერთი სოფელია ველთაურები. ჟიუიაშვილები არიან კიდევ  
ჩვენი გვარიდან გამოსული – ხორხში არიან ბევრი და ში-  
რაქში. ჩვენ სალოცავში მოდიან ახალგორიდან, გორიდან,  
შირაქიდან, კახეთიდან, მცხეთიდან. ვინც აქვთ მოდიან  
ჩვენ სალოცავში, ყველანი ქავთარაძეები არიან. ერთმა კუ-  
რატი მოყვანა შარშან, ლარგვისიდან იყო.

**გასო ივანეს ძე ამირიძე, 65 წლის. სოფელი ამირი,  
17. 07. 1981**

ჩვენი გვარისები მთიულეთში მხოლოდ ამირნში ვცხო-  
ვრობთ. ჩვენ ძირითადად დასავლეთ საქართველოდან ვართ  
მოსული [არ იცის კონკრეტულად საიდან].

ჩვენი სალოცავია მთავარანგელოზი სოფელ ამირნში.  
კიდევ არის კვირაცხოველი, წმიდა გიორგი, წვერის ანგა-  
ლოზი. ყველა ჩვენი გვარის ძირითადი სალოცავია. საერთო  
სალოცავია კიდევ ლომისა და კიდევ – ღუდის ყველაწმინ-  
და. ბავშვი უნდა გაირიოს ჯერ ჩვენს მთავარანგელოზში,  
შემდეგ – ღუდას ყველაწმინდაში.

ჩვენი გვარისები გადასახლებული არიან არხილოსკა-  
ლოში.

**განო სოსიკას ძე ნადიბაძე, 65 წლის, ფასანაური,  
17. 07. 1981**

გამოსული ვარ სოფელ ნადიბანთიდან. აქვთ 12 კომია.  
ჩვენი გვარი მთიულეთში მხოლოდ ნადიბანთშია. ჩვენი  
გვარი ფშავში ვცხოვრობდით, არ ვიცი, რომელ სოფელში.

დიდი ხნის გადმოსახლებული ვართ. ისე ჩვენი გვარი იყო გაბიდაური. მკვლელობა მოახდინეს თურმე. ერთს ერქვივნა ნადიბა, მეორეს – უშარა, მესამეს – ბედუა. ნადიბას შვილები ნადიბაიძედ ვიწერებით, უშარას შთამომავლები – უშარიძედ (ესენი ლაპათხევის ხეობაში, სოფელ უშარნში ცხოვრობენ), ბედოს შთამომავლები – ბედოიძედ. ბედოიძები ბედოთას (ქვეშეთს გაღმაა) ცხოვრობენ. ერთი მეორეში არ შეიძლება ქალი გავათხოვოთ ამ სამმა გვარმა. ჩვენი გვარის სალოცავია ლაშარის ჯვარი. სოფელ ნადიბანთში გვაქვს ეს ლაშარის ჯვრის ნიში. ფშავშიც დავდივართ, იშვიათად. როცა გამოიქცნენ, ხატი მოიპარეს და წამოიდეს: „მოკეცეს ლაშარის ჯვარი, // ქველ-გუდაში ჩადვესო“. უშარიძეები და ბედოიძეებიც ლაშარის ჯვარს ლოცულობენ. თავთავიანთ სოფელში მაგათ არა აქვთ სალოცავი ლაშარი; ნადიბანთში გადმოდიან.

ჩვენს სოფელში არის კიდევ ცეცხლიჯვარი. ამ ხატთან (ეკლესიასთან) იყო სოფელი ზამთრეული. აქ უცხოვრიათ ზამთრეულებს. სად წავიდნენ, არ ვიცი. ცეცხლიჯვარს მოელი თემი დღესასწაულობდა – ქვეშეთის საბჭოში რა სოფლებიც შედის. ცეცხლიჯვრიდან ჩანს ხადა. ცეცხლს რომ დაანთებდნენ, ჩანდა ერთიდან მეორეზე. ჩვენი გვარის ხალხი ცხოვრობს გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში, დიდი ხნის წასულებია, ხატში მოდიან სალოცავად, მცხეთის რაიონის სოფელ ახალუბანშიც დიდი ხნის წასულებია. ესენიც მოდიან ჩვენს ხატში სალოცავად.

\*\*\*

ანანურში 3 კომი შაქაროვი (შაქარაშვილი) ველისციხიდან არიან მკვლელობაზე წამოსული. ადრე ზაუბაშვილები ყოფილან.

ჯანიაშვილების ნაწილი ჩიკრიკიშვილები იყვნენ. ვეშაგურები ქისტებიც არიან. ქისტები ვეშაგურები აქ სალოცავად გადმოდიან. ამათ სალოცავი მთავარანგელოზია.

ნარიმანიძეების სოფელია სონჩო და უოუონი.

ნაზღაიძეები და ამირიძეები ერთმანეთში ქალს არ ათხოვებენ.

\*\*\*

თავს ხადა, ბოლოს ცხავატი,  
შეგროვდა დიდი ერია.  
ძმათ ერთმანეთსა შასჩივლებს,  
არ მომივიდა ქერია.  
ავდგეთ და იქვე წავიდეთ,  
სადაც მოგვივა ქერია;  
ცოლი და შვილი წავასხათ,  
ჩვენაც თან წავყვეთ ტყვენია.  
შენებოს ჭამით სადილი,  
წორბლის მინდორი გრძელია.  
საკანაფიოს ხევზედა  
მზე დაგორდგება ცხელია.  
იქ დაგვხვდნენ ფშაველ-ხევსურნი,  
ეგ უსამართლოს მქნელია.  
—ცოლი და შვილი მოგვეციო,  
თქვენ შინავ წადით მთელნია.  
—არც მოგცემთ ცოლსა და შვილსა,  
არცა შინ წავალთ მთელნიო.  
დასძახა ნარაიძემა,  
მოკვდეს მაგისი მქნელიო!  
უმოწმა როკაიძემა,  
ხმალს გაიკარით ხელიო,  
გრეჭილათამდე მოქსდიოთ,  
გლეწოთ ფარი და ხმალიო  
იმდენი სისხლი გაუშოთ,  
ალაზანს უფრო სქელიო,  
თავი კპაფოთ და მივყაროთ,  
მოლს ვერ არღვევდეს ცხენიო,  
სისხლი გაუშოთ დგარადა  
რიყედ მივყაროთ კვდარიო  
ერეგის მამასახლისმა  
ჩქარე გაგვიღო კარიო.  
ჩქარე დაგვიკლა საკლავი,  
ჩქარე გვიდუდა ფლავიო.  
დაჯდა და კითხვა დაგვიწყო,  
რა სტუმრობისა ხანია?  
რა მოგახსენოთ, ბატონო?  
ამბავი მოდის ძნელია.

პაპების გადმოცემით, კახეთში სადღაც ომი ყოფილა, მთიულეთიდან კი მისაშველებლად წასულან. ომში კახელების 300 კაცი ერთ დღეს მომკვდარა. მთიულებს ხატის პერანგი სპილენძის კოლოფში ჩაუბრძანებიათ და შეუმჩნევლად ისევ უკან სათემო სახლში წამოუდიათ. სათემო სახლი ცეცხლისჯორშია. იმდენი მლოცვავი მოდენილა დამის გასათვად ცეცხლისჯორში, რომ სათემო სახლში ვერ ეტეოდნენ და სოფელ ზამთრუელში სახლის კალოებში (მეორე სართულზე) დგებოდნენ მოსაწირავენი თავისი ჯალაბობით. ცეცხლისჯორი მებოლოვე და ფათერაკიანი ხატია, კიდევ ენა-ქბის მიმული. აზარალებდა საქონელს ნადირის საშუალებით. მებოლოვე იმას ნიშნავს, რომ კაცს აცლის დანაშაულს და ბოლოს გადაუხდის.

ცეცხლისჯორში მართავდნენ გიორგობას, კვირაცხოვლობას. ნათლიდებას ყველაფერი ნადიბანთ რჩებოდა, რაც შემოსავალი იყო ცეცხლისჯორში. გიორგობას ხალხის ნაწილი რამე სათემო სახლში რჩებოდა. ადრე კი დამე უმეტესობა სახლებში არ მიდიოდა, რადგან ეს კარგი არ ყოფილა და ყველას აქ უთენებია დამე. შეორე დღეს კი თურმე ბურთაობდნენ. ქადაგის პირით ცეცხლისჯორი ხშირად ბრძანებდა თურმე, რომ ძელის ველნი ჩემი საბურთაო მინდორიაო. ცეცხლისჯორი ეკლესიაა. ამის გვერდზეა ხოთშობელი – ეს ბავშვების სალოცავი ხატია. ცეცხლისჯორი ბევრს უნახავს, მეც მინახავს ცეცხლის სახით. დამე ხოფელს რომ მიუახლოვდი, ლაშარის გალავანში დავინახე ეკლესიის გალავნიდან ამოსული და მალე კი გაქრა. ერთხელ კი სანთელივით ანთებული იყო და ცეცხლისჯვრის ეკლესიასთან გაქრა.

**ივანე მოსეს ძე ნაზდაიძე, 74 წლის, სოფელი ზემო მლეთა,  
23. 07. 1981**

ჩვენი გვარის ხალხი ცხოვრობს ზემო მლეთაში, სონხოში და ამირიძეებში. ჩვენი ბუდე-სოფელია სონხი (ჟოვნის ხეობა). ჩვენი ძირითადი გვარი იყო ნარიმანიძე. სონხოში ცხოვრობდნენ ნარიმანიძეები და ეხლაც ცხოვრობენ. ჩვენი წინაპარი რომელიც იყო, პყოლია სამი ვაჟი. ამ სამი ვაჟის

სახელები არ ვიცი. სულ უფროსი ძმა დარჩა სონჩო სოფელში. ორი ძმა უფროსები წამოვიდნენ და დასახლდნენ მლეთაში და ამირიძებში. რომელიც მლეთაში დასახლდა, აქ სხვა ხალხს უმოსახლია და ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩვენს პაპას მოსვლია ჩეუბი. ამ ჩეუბში ჩემს წინაპარს შემოკდომია მოწინააღმდეგე. ეს რომ შემოაკვდა, მიცვალებულის პატრონებმა აზღვევინეს საქონლით და შეიცვალა გვარი ნაზღაიძე.

ამირიძებში რომელიც დასახლდა, ეს ყოფილა გაჟაცი და ლამაზი. ეს თურმე ამირბარობდა (შემრიგებელი იყო???) და აქედან დაერქვა და შეიცვალა გვარი ამირიძე. ჩვენ სამ გვარში – ამირიძე, ნაზღაიძე, ნარიძანიძე – დღესაც გვაქვს შემონაცული, ერთმანეთში ქალი არ გაგვითხოვებიძ. ივ-დეკო ერთმანეთს ნამდვილ ბიძაშვილურად, როგორც ერთი დედისა და მამის შთამომავლები.

სალოცავი ნაზღაიძეებსა და ამირიძეებს გვაქვს მლეთაში – ღვთიშობელი და კვირაცხოველი. დიდ ლომისას ხომ მთელი საქართველო ლოცულობს. ჩვენ მლეთიდან სონჩოშიც მივდივართ სალოცავად. ჩვენი წინაპრების ნასახლარები სონჩოში კიდევ დგას.

მობარებული საქონელი ან სხვა რაიმე არის ამანათი. ის საკუთარზე კარგად უნდა შეინახო. ჩვენ მთიულეთში როგორც დაგაწერინეთ, ამანათი ასეა. ნათქვამია: „ამანათი მგელმა იცისო“.

ჩვენი მოგვარები გადასახლებული არიან სოფელ ჭილურგში (დუშეთის რაიონი). ეგენი არიან ჩვენი ალალი ბიძაშვილები, ნაზღაიძეები არიან. მაგათ საკუთარი ნიშიც კი აქვთ დიდ ლომისასი. როცა ვერ ახერხებენ მოსვლას, იქ ლოცულობენ.. მე არ მახსოვს, არც მამაჩემს არ ახსოვდა მაგათი გადასახლება. ბავშვი ვიყავ რომ მოდოდნენ, აქ სალოცავადო. კიდევ არიან აღაიანში. ესენიც მაგდროინდელი წასულები არიან. მოდიან სალოცავად აუცილებლად. კიდევ არიან სოფელ ბულაჩაურში. ჭირში და ლხინში მივდივართ-მოვდივართ, ვურთიერთობთ. არიან ნაზღაიძეები რუისპირში (თელავის რაიონი) – ეგენი მოზდოკის მხარეს იყვნენ, პრახლადნაიაში და სამამულო ომის შემდეგ გადმოსახლდნენ და

დაასახლდა მთავრობამ რუსპირში. შირაქში იყო ერთი ნაზ-ლაიძე, ჩვენი ბიძაშვილი და აღარ არის. მეტი ნაზლაიძე მანდ არადაგინაა.

ჩვენთან ცოლ-ქმრის გაყრა არ შეიძლებოდა. თუ მოხ-დებოდა ასეთი რამე, მას სუფრაზე არ მიიღებდნენ. ეს კაცი გვირგვინის გამტებიათ. ასეთ კაცზე იტყოდნენ, ჩასაქოლია, გვირგვინი გატეხაო.

**განო თევდორეს ხე ბიბილაშვილი, 80 წლის, ფასანაური,  
23. 07. 1981**

სოფელია ბიბილაანი ქვემოთ, ერთ კილომეტრზე, მანდ არიან ბიბილაშვილები. კიტოხიდან ეოფილან ბიბილაშვი-ლები გამოსული პაპის პაპა – იქ რაღაც დააშავა და შეი-ცვალა გვარი. ბექაური იყო და ბიბილაშვილად დაეწერა. კიტოხში ბექაური იყო და, რო გადმოვიდა აქა, გვარი შეი-ცვალა, ბიბილაშვილად დაეწერა. ახოები გაუტეხიათ. 9 კუ-მი ვართ აქ სულ. ბულაჩაურშიც არიან ბიბილაშვილები, აქედან წასულები. ორჯონიკიძეშიც ბევრი არიან.

ჩვენი სალოცავი ბიბილაშვილების არის წიფორის წმი-და გიორგი. ბავშვი რომ იბადება, წიფორის წმიდა გიორ-გიში უნდა გავერიოთ. წიფორის წმინდა გიორგის ნიშია ბი-ბილანში გადმოტანილი. წიფორიდან ხატს წავაპრბანებდით კიტოხში ... ეგ ხატი ჯერ კიტოხიდან არის წიფორში გა-დმოტანილი და წიფორიდან – ბიბილანში. ერთი ჯვარი წა-მოუდიათ და მერე საყდარივით აუგიათ.

ბიბილაშვილები მთიულები ვართ, გუდამაყარში აღარ ვითვლებით. დგნალს აქეთ არის მთიულეთი. დეკანოზიც იტყოდა და ისე ლაპარაკშიც იტყოდნენ, „მთიულეთის თე-მიო“. სადაური ხარ? – მთიულიო, ჭართლელიო, გუდამაყ-რელიო, ხანდოელიო. ჭართლელი, ხანდოელი, გუდამაყრე-ლი არ იტყვის, რომ მთიული ვარო. ხანდოს ზევით სულ მთიულად ითვლება.

**გ. მ. არგანაშვილი, 77 წლის, სოფელი ნადვარევი,  
24. 07. 1981**

არგანაშვილები კცხოვრობთ ნადვარევში. ჩვენი გვარის 16 კომი ვართ. სალოცავია ჩვენი წმიდა გიორგი და ლომისა.

ჩვენ სოფელში ცხოვრობენ აგრეთვე ბექიშვილები. ნათლიობა გვაქს ერთმანეთში და იმიტომ ქალს არ ვათხოვებთ ერთმანეთში ბექიშვილები და არგანაშვილები. ჩვენი გვარი მეფის მსახურები ყოფილან, მღვდლები და დიაკვნები. დარძულები ცხოვრობენ ჩვენს ახლოს, ნადიბანთას. ჩხოვრობდნენ კიდევ ანგურიძეები. ანგურიძეები დარძულებმა გაწყვიტეს. მთაში საქონელს სჭედნენ და ჩხუბი მოუვიდათ. ერთი კაცი დარჩა, იმან შური იძია. ამ ერთი კაცის შთამომავლები ბექიშვილები არიან და ის ანგურიძეები კახეთში გადასახლდნენ.

**ყარამან სიმონის ძე გაგაძე, 60 წლის, სოფელი მლეთა,  
24. 07. 1981**

გაგაძეები ვართ ზემო მლეთაში 6 კომი. ბავშვებს გავრეპატო ღუდა ყველაწმინდაშიო. ერთ დროს დვალები დადიოდნენ თურმე და მათი უფროსისათვის ქალ-რძალი უნდა დაეწვინათ. მაგრამ ერთხელ ბურდულებმა ლასტებით დახოცეს. მერე მთელი თემი, მერე შეეშინდათ, რომ ოსები აგვიკლებენ. ერთი გაგაძე ყოფილა. სუფთა ოსური სცოდნია. გაუგზავნიათ, რომ თქვენები დახოცეს ქართველებმარ. წამოვიდა და მერე გაგაძემ ოსების ჯარი მოაქუჩა, მოუწყო მათ, დაუძღვა. და მარგილებზე ეგებიან. გაგაძე ჩამოუძღვა გუგაურთან, კლდეებია, ჩაღათკარი, თითო-თითოს ხმალს წამოუსვამს და ყველა დახოცა.

ჩვენი გვარისები გადასახლებული არიან ყანჩავეთში, დიდი ხნის გადასახლებულები არიან. ჩვენს სოფელში გვაქს კვირაცხოველი, ღუთიშობელი, წმიდა გიორგი. ცხავატი ეგ არის ფასანაურს ზემოთ მლეთამდე. გუდამაყარი კიდევ სხვა თემია. ხადაც მთიულეთში შედიოდა. შირაქში არიან გაგაძეები, 6 კომი, ლომისაში მოღიან სალოცავად. ზემო მლეთაში სამი გვარია: გაგაძე, ბუთხუზი, ნაზდაიძე.

მიყორაშვილები სეფეში მოსახლეობენ. სალოცავია კვირაცხოველი. ბავშვის გარევა იციან კვირაცხოველში, ლოცულობენ ლომისაში. სეფეში იყვნენ და არიან ნარიმანიძეები, ებრიალიძეები, ტატიშვილები, კვირტიძეები, არგანაშვილები.

ღუდაში ხთიშობელს ათი დდის მამულები ჰქონდა. ეს მამულები ბუთხუზებისა და გაგაძეთ შეწირულია. ოსები სულ არ ყოფილან არაგვისა და ღუდის ხეობაში წინეთ. ის ადგილი სულ ბუთხუზებისა და გაგაძეთი ყოფილა. ვიღაცას რუბაევების წინაპარს ოსის მაღრან-დოლეთში ოსი მოუტლავ, გამოქცეულა და სოფელი ღუდა რომ არის, იმ დროს იქ გაუვალ ტექში დასახლებულა. სოფელ გაგაძეთელს ნადირობისას მყოფს უნახავს ის ოსი; წამოსულა და ხალხისთვის შეუტყობინებია, რომ მათ ადგილში ვიღაც დასახლებულა. სოფელ გაგაძეთას, სოფელ ბუთხუზთას და სოფელ ქვემო მლეთეს მცხოვრები ერთ ხმად წასულან მის განსაღევნად. მისულებს იმ ოსისათვის კველაფერი გამოუკითხავთ. იმასაც უთქვამს მაღრან-დოლეთში კაცი შემომაკვდაო, ამანათად მიმიღეთო. ჩვენებს უმსჯელიათ, და უთქვამთ, დარჩეს, იცხოვროს, ერთი მეკომური რას დაგოკლებს, ყარულიც იქნება, რო სხვა ოსებმა არაფერი ზიანი მოგვაყენონ. ამ ოსს, რუბაევსაც პირობა მიუცია, ერთგული მცველი, ყარაული ვიქნებიო. ბოლოს კი იმ ოსს რუბაევს თავის ნათესავები — სამავი, გადიევი, ყორიევი და სხვები მოუყვანია. ოსები თანდათან მომრავლდნენ, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ არაგვის (ღუდას) ხეობაში წინ წამოუწვიათ და სოფლები ქვემო განისი, ზემო განისი და მიქეთი დაარსებულან. ეს სოფლები იმ საობი, სახნავ და საძოვარზე დასახლებულან, რომელიც ბუთხუზებს და გაგაძეთ ეკუთხნოდა. ოსები რომ მომრავლდნენ და მომაგრდნენ და ეს ადგილები დაიჩინეს, რომელზედაც დასახლდნენ, ბუთხუზებისა და გაგაძეთათვის უარი უთქვამთ დამორჩილებაზე. გაგაძეთ და ბუთხუზებს რომ საშვილიშვილოდ არ დაეკარგათ თავისი მამა-პაპის მამული, ის ხთიშობელს შეწირეს და პულუხი და ბეგარა დაადეს.

**მათე ალექსის ძე ბუთხუზური, 59 წლის, სოფელი გვიდაქე,  
24. 07. 1981**

ბუთხუზურების სოფელი მთიულეთში არის გვიდაქე. ქიმბარაინთას არიან კიდევ გასული ბუთხუზურები (ერთი 40 კომლი). ბუთხუზურები ხევსურეთის სოფელ ბუთხუზურთსოფ-

ლიდან – ჩირდილიდან გადმოსახლებულან. 9 მმანი ყოფილან იქ. ჩვენი წინაპარი ბუჩქურები ძალიან ჯიუტები ყოფილან. შემოსევები რომ ყოფილა, ამ ცხრა მმას ციხესიმაგრისათვის შეუფარებია თავი. ეწინააღმდეგებოდნენ ხევისბერს (? – რ. თ). დასცემია ბუჩქურებს თავისი ლაშქრით, ვისაც ეწინააღმდეგებოდნენ ბუჩქურები. შეუსყიდია იმ ხევისბერს იმათი ბებია, რომ ციხეს კარები გააღებინოს. იმ ბებერმა მოხუცებულმა ლაშქრის ცხენებს ნალები უპულმა დააკვრევინა. მივიდა და ამ ბებერმა დაუძახა, წავიდა ლაშქარი, აღარ არიანო. ნახეს, გამოვიდნენ, რომ ცხენის ნაფეხურის მიხედვით მართლა წასულები ჩანან. დევიდა ეს ლაშქარი და დახოცეს 6 მმა და დარჩა 3 მმა. აიძულა ხევისბერმა და გაასახლა. ერთი მთიულეთში წამოვიდა – გვიდაქეში, მეორე – ხევში, სოფელ გორისციხეში. მესამე დარჩა ადგილზე. ერთ-ერთ მმაზე მოვდივართ მთიული ბიჩუკურები, ერთ მმაზე ხევის ბუჩქურები, მესამეზე კიდევ ხევსური ბუჩქურები. ამ ხევისბერს უთქვია, რომ ნუ გავათავებთ, ნუ გავწყვეტო, მაგარი ხალხიაო და ეს სამი მმა მაგაზე დატოვა. გავიდა დრო და დროთა განმავლობაში თქვა, წავიდე, ვნახო, სად დასახლდნენო. მოვიდა და ნახა. ჩვენი გვიდაქეს მთა და ხევის გორისციხის მთა, ახლოსაა, გადასასვლელია, თითები მიატყუბა და გვაჩვენა, აი, ასე არიან ჩვენი და იმათი მთაო. ამ ხევისბერმა თქვა, ამ მამაძალლებსაო, ზურგი ზურგისთვის მიუჟუდებიათ ისევაო.

გვიდაქეში ისევ არის ის სახლი, სადაც იმ ბუჩქურმა გააკეთა სახლი – „გლახაის სახლს“ ეძახიან. ბუჩქურები იყოფიან შემდეგ კომებად: ბერანი, ოქვრიანი, ნადირიანი, ობოლანი და დათვიანი.

ჩვენი გვარისას, ერთს – დიდი ხნის ამბავია – კაცი შემოკვდომია და ქაისხევში გადასახლდნენ და დაეწერნენ დარიბაშვილად. ორნი მმანი წავიდნენ; ერთი დაეწერა დარიბაშვილად, მეორე ჯაბანაშვილად. ეს დარიბაშვილები და ჯაბანაშვილები სალოცავად მოდიან ჩვენს ხატში – ქაშუეთის წმიდა გიორგი. დიდი ეკლესია გვიდაქეში. კურატებით მოდიან, საკლავით, ვის როგორ დამიზეზავს, ისე მოდიან. გვიდაქეში კიდევ გვაქვს ადგილის დედა, მთავარანგელოზი და კვირაცხოველი. ბავშვს გავრევთ ბუჩქურები

ქაშუეთში. ბუნებურები არიან ადრე წასულები ჩინთში, ქრისტოკარში (ლაფანაანთკარის საბჭო). მე კარგად მახსოვს, ქრისტოკარიდან ივანე მოღილდა ბუნებური და დეკანზი იყო მაგ ხატის. კიდევ არიან ბუნებურები დუშეთის მაღლა, რაღაც სოფელია. ერთი ორი კომი გორშიც არის, არხილოზეც არიან აქედან, გვიდაქედან წასულები, ბუნებურები. სენი მოღიან ჩვენ ხატში. ჩვენი ხატობა მოღის გაზაფხულზე, ადგგომის შემდეგ მეორე შაბათი ქაშუეთის დღეობაა.

ნარიძანიძე, ამირიძე და ბუნებური ძმად იყვნენ გაფიცელი. ქალი არ გვერგებოდა ერთმანეთში და ამათ ააშენეს ეს ეკლესია ქაშუეთისა უფასოდ და დღესაც ამწყალობებენ. ფასი არ აიღეს გაფიცელებმა და ულოცვენ იმათ ოჯახებს და მათ ჩამომავლობას. ნარიძანიძები სონჩოში არიან, ჩვენი სოფლიდან 6 კილომეტრი იქნება. ამირიძეების სოფელი 8 კილომეტრია ჩვენგან.

ქვემოთ მხარეს ცხავატს ეძახიან, ზემოთი მხარე ხადა. ქვემოთი მხარე ცხავატი არის ხევშიდან ჩირიკის ეკლესიაა, იქამდე. ხადა არის გუდაურის აქეთ. ქვეშეთიდან არის ხადა, ხადის ხეობა.

მთიულეთში სახატო მიწებს ხატის მამულებს და ხატის ყანას უწოდებდნენ

მაგალითად დააშავა რამე კაცმა, ან მკვლელობა მოუხდა, ან მამული მიითვისა, იმ შემთხვევაში ჩასვამენ ხატში სამანს. უნდა მოეკიდათ ხელი და ჩასვამდნენ ხატის მოედანზე. მემრე თუ გამოისყიდიდა ის დანაშაულს, ისევ თემს უნდა ამოედო. დანაშაულის გამოსყიდვა ნიშნავს, მაგალითად იმას, რომ მამული, თუ მითვისებული ჰქონდა, იმ მამულის კულუსს დაიდებდა, ე. ი. ამ მამულს ხატს შესწირავდა. ეს მამული უნდა დაემუშავებინა და მერე იქიდან, კულუსს ეძახდნენ, ყოველწლიურად ამდენი არაყი, ღვინო უნდა მოეტანა ხატში.

მამული გვეჭირა ჩვენ ხატის და ყოველწლიურად მიგვჟონდა სასმელი. მიწა არა გვქონდა და იმიტომ დაიჭირეს ჩვენებმა ხატის მამული. მამული რომ უპატრონოდ დარჩენილი იყო, გადაეცემოდა ხატს და დაადებდა კულუსს. მერე გლეხის მოწადინება იყო, რომელსაც მამული არ ჰქონდა, აიღებდა ამ მამულს და მიიტანდა ხატში კულუსს. კულუსი

ბარიდან უნდა მოეგზანათ, სადაც დვინის ადგილები იყო. არავს ადგილზე ხდიდნენ. არავს იქ დათესილი ხორბლიდან ხდიდნენ.

ამანათი არის, რომ ცხვარი ჩააბარე მეორე კაცს, ტორგითა, მეორე კაცს. რამდენსაც ცხვარს ჩააბარებ, იმდენი ცხვარი უნდა ჩაგაბაროს, ოღონდ ნაშენი, ნამატი იმისია. ოცი წელი რომ გავიდეს და ოცდათი ცხვარი გყავდეს ჩაბარებული, ისევ ოცდათი უნდა ჩაგაბაროს. ამას ვეძახით ტორგს, ამანათიც ქვიან ამას. ერთი და იგივეა ესენი.

ნაზღაიძე იყო მამასახლისი ჩემს მოსწრებაში ჩირიკის ზემოთ მლეთამდე. იმის წინ იყო მამასახლისად მოსე ბუჩუკური.

ჩვენ ხატში არის სამანი ჩაგდებული.

ბავშვი ჩვენს ხატშიც უნდა გაირიოს, ღუდას ყველაწმინდაში და ლომისაში. ღუდაში ასე ლოცულობენ: გაუმარჯოს ღუდას ყველაწმინდას, ქვის წულად მქცეველს. ერთი უშვილო ქალი ყოფილა. ქვა პალთაში გაუხვევია და ხატში – ღუდაში მისულა და ეს ქვა ბავშვად ქცეულა.. იმიტომ ამბობენ, ქვაწულად მქცეველიო. იმის გულისათვის რევენ მაგ ხატში ბავშვებსა. მლეთის იქით არის ფეხით სასიარულო ღუდაში, სამი კილომეტრია.

ხოს რო მაიგებდა პირველად, იმ ხოს გაზრდა არ შეიძლებოდა, უნდა დაეკლა ღმერთისათვის. კურატად დააყენებდი და ხატში დაკლავდი. მე ჩემ ხატში უნდა დამეკლა, ბურდულს – ლომისაში უნდა დაეკლა. სახარე თუ არ იქნებოდა, ყველაწმინდას დაუძახებდი ძროხას და როცა დაბერდებოდა, დაკლავდი და დაურიგებდი ნაჭერ-ნაჭრებად მეზობლებს. ხატი როგორც გამობრძანდებოდა, დეკანოზი რო გამოაბრძანებდა, მერე დაიწყებდნენ ხარის დაკვლას. დეკანოზი ჩვენს ხატში ბუჩუკური უნდა ყოფილიყო, სხვა გვარის არ შეიძლებოდა.

### **დიმიტრი გიგოს მე ბურდული. 85 წლის. სოფ. ქემო მლეთა, 15. 08. 81**

ბურდულები ძირად ქვემო მლეთიდან ვართ. მეც დეკანოზი ვარ, მამაჩემიც დეკანოზი იყო. ბურდულების სალოცავია ლომისაზე ბევრი ხალხი მოდის გორიდან,

თიანეთიდან, პატარძეულიდან, თბილისიდან. სხვა ბევრი სოფლებიდანაც მოდიან. საკლავი ხო ბევრი მოუდის. საკლავი ლომისაში ბურდულმა უნდა დაკლას, სხვა გვარმა რომ დაკლას, არ შეიძლება. გინდ ბალდი იყოს ბურდული, თუ შესძლებს, უნდა დაკლას.

ლომისამ სათაორეთიდან 7.000 ტყვე დაიხსნა. სათაორეთიდან წამაასხა ხალხი და სადაც დაისვენებდნენ, იქ ლომისას ნიშს აკეთებდნენ. 365 ნიშია ლომისასი, სადაც დაისვენეს. ბურდულებს ჩაუხოციათ ურჯულო ხალხი და იმიტომ მიუციათ ლომისა ჩვენებისათვის. იქიდან რომ წამოსულან, უვლია ხალხსა და ხატსა და აქ დაწვა, არ დგება და აქ უნდა აშენდეს ხალოცავი. აქ იმიტომ უშენებია ლომისა, რომ ქსან-არაგვის დამყურე უნდა იყოსო. ქსნის ხეობიდან ლომისაზე სალოცავად, ისევე დადის ხალხი, როგორც აქედან. ის ეკლესია ქსნელების ხელში უნდა ყოფილიყო და, ჩვენებმა რო ამდენი ხალხი ჩახოცეს, ჩვენებს დააქუთვნეს. ფასანაურს ზემოთ არის გზის პირს ლომისას ნიში. ბურდულები ბევრგან არიან: პატარძეულში, თიანეთში, ხევსურეთშიც. დაბლა ეკლესიად ლომისასი სოფელში აშენებული. ასნახევარი წლის აშენებული იქნება. ეძახიან ლომისას წმინდა გიორგის.

აღდგომა თუ ადრე მოვიდა, ლომისობაც ადრე მოვა, თუ გვიან მოვიდა, ლომისობაც გვიან მოვა. ბურდული კი იყოს და შეიძლება იყოს კაცი დეკანოზი. მამა დეკანოზი იყო, პაპაც. პაპას იოსები ერქვა. ლომისას მთელი მთიულეთი ლოცულობს. ყველა გვარს თავთავიანთი სალოცავი აქვს. ასეთი ლოცვა არსად არ არის, როგორც ლომისაში.

საკლავს რომ დაგვალაგ, მე დეკანოზს მეგუთვნის მარჯვენა მხარი და ტყავი. დეკანოზს არ შეუძლია ცხვარში წავიდეს, სახლში უნდა იყოს – ხალხს სჭირდება. დეკანოზი სახლში ხვნას ეწევა, როგორც ხვნას ეწევა, როგორც სხვა, ისე ისიც მუშაობს. ხატი განა დაუშლის მუშაობასო.

იცოდნენ ხატისათვის მამულების შეწირვა. ხატისათვის მამულის შეწირვა იცოდნენ უშვილოებმა თავისი სულის მოსაგონად, რაიმე გაჭირვების თავიდან აცილების მიზნით. ხატის მამულს ამჟავებდა სოფელი რიგით ან გვარი,

ამა თუ იმ მამიშვილობის ხალხი რიგით. ზოგან შემწირველი ოჯახები თვითონვე ამუშავებდნენ შეწირულ მამულს და ხდიულობდნენ კულუხს ან ბეგარას. ზემო მლეთელებს ცალ-ცალკე ჰქონდათ კვირაცხოვლის, ხომობლის და ლომისას მამულები.

**მიხა ნიკოს ძე წამალაიძე, 61 წლის, სოფ. ქოროდო  
(ხადას ხეობა), 16. 08. 81**

წამალაიძები ქოროდოდან ვართ. წინათ 12 კომი იყო. ზოგი გოროდში წავიდა, ზოგი გამარჯვებაში, ყაზბეგის რაიონის სიონშიც არიან. წამალაიძები ხადას ხეობის სოფელ მუღურეში არიან. გაღმა-გამოღმა ვცხოვრობთ. აქ ხუთი კომია, რაღაც. წამალაიძების სალოცავია დედადღვთიშობელი. ეკლესია კარგი. წამალაშვილები რომ არიან იგივე ჩვენებია. მანგლისშიც არიან ეგენი. თიბათვის ცხრაში მოდის ეს ხატობა. ლომისაშიც ჩამოვდივართ. ძირითადი სალოცავი დედადღვთიშობელია. კურატი ლომისაში ჩვენ არ გვყოლია. ჩვენ ხატში კი დაგვიკვლია. ლომისაში ჭედილით, ბატქით ან ყოჩით მოვდივართ დამისთევით. მუღურეში თავისთვის აქვთ ეკლესია დედადღვთიშობელი. ეს ეკლესია არაა. პატარა ნიშია რაღაც. ისინი ჩვენთან არ გამოდიან, ჩვენ იმათთან, თავთავად გააქვს. ქორწილში, კვდარზე-ცოცხალზე არ ვაკლდებით ერთმანეთს.

შარმიანებია ჩვენთან ახლოს – შარმაიძეები ცხოვრობენ. შარმაიძეები არ გამოდიან ჩვენ ხატში სალოცავად. საკლავი, რამე არ მოუდის ჩვენთან. შარმაიძეების სალოცავია ცეცხლიჯორი. მარტო შარმაიძეები ლოცულობენ. ახლა იყო წასულ კვირას ცეცხლიჯორი. აქედან ასე წავალო ქორდოში, სეთურებიდან (გზის პირზე) ჩანს ცეცხლიჯორი. ცეცხლიჯორი ციხეა. ცეცხლიჯორიდან ჩვენი ხატი ჩანს.

გამარჯვებაში, რომ არიან წამალაიძეები მანდ ასპინძიდან გადმოვიდნენ. რა ვიცი საიდან მოხვდნენ, ხალხი ქანობს, ხან იქით, ხან აქოთ, ცდილობს რომ...

ასპინძაში 1945 წელს ძალით გადასახლეს წამალაიძეები. მეც გადამასახლეს და 1948 წელს ისევ უკან მოვედით. აციგებდა ხალხს. ავად გახდა ხალხი სულ გაუბედურდა ასპინძაში. წამოვედით და გათავისუფლდა ხალხი.

კველა მამულს თავთავის სახელი ჰქვია. ჩემს მამულს სამარწევე ყანას ვეძახდით. სხვაგან ნაქერალათ. ხარებით ლეწავდნენ. ოთხ ხარს შევაბამდით და ისე. კალოს შუაში ბოძი პქონდა და ოთხ ხარს მივაბამდით და გარშემო ვატრიალებდით. გალეწვის შემდეგ რჩებოდა ჩალა და ბზე. ბზეს კალოში შავყრიდით. საქონელს პირველ რიგში იმას ვაჭმევდით. ბალახის ნათიბს ღორეულებს ვეძახით. ერთი ნათიბი, ერთი ღორეულაა.

ჩვენ ღორს არ ვყოლობდით და არც ეხლა გვჟავს.

მთიულეთში არის კიდევ დუდას კველაწმინდა. ჩვენი ხალხი ლოცულობს. ბალდებს პატარას იქ მიიყვანენ, იქ უნდა იღოცონ, გინდა გოგო იყოს, გინდ ბიჭი. სუსველას იქ მოუდის ბალდები. ხელი მოუმართე, გაზარდეო. ღამისთვე-ვითაც მიდიან.

მთიულეთში არიან კიდევ ხადის თორმეწამე.

დუდაში ოსები არიან დეკანოზები, ქართულიც კარგად იციან. დუდაში სულ ადრე დეკანოზები ბუთხუზები იყვნენ.

ხადაში ბენიაძეები არიან დეკანოზები. აქ ზაქაიძეც იყო დეკანოზი. ხნიან კაცს აყენებენ.

შარმიანებში ციხიშვილებიც არიან. ცეცხლიჯვარში დეკანოზად ან შარმაიძე ან ციხიშვილი იქნება.

გომურთაში არის ქუცურთ საღვთო. აქ გვემურები ცხოვრობენ. ამ გვარის ხალხი ბევრი არ არიან.

ქვეშეთ ქვემოთ არის ხაღორევ წმინდა გიორგი.

გუდამაყრელები წელიწადში ერთი-ორი კომი თუ მოვა. თუ დამიზეზებული იქნებიან, ან ბალდი იქნება ავად, ან მგელი შეუვარდება, ცხვარს დაღუპავს. მკითხავთან მივლენ და ეტყვის დამიზეზებული ხართ საკლავით, ქადით უნდა მიხვიდეთო. აქედანაც, მთიულეთიდან გაუგზავნია მკითხავს ხალხი საღოცავად გუდამაყრებული. მე ავად ვიყავ. მკითხავმა მითხრა პირიმზე-ფუძის ანგელოზში უნდა წახვიდეთ ბატბითო და წავედით. თავ მტკიცნებოდა და მას უკან გადამივარდა თავის ტკივილი.

თორდას ეძახიან, ფასანაურში ცხოვრობს. აქებენ როგორც მკითხავს.

**მთხრობელის მეუღლები.** ჩვენს სოფელ ქოროდოში საკულუხე და საბეგრე მამულები იყო. ხთიშობლის, კვირაც-ხოვლის და წმიდა გიორგისა ერთად, რადაგანაც თვითონ ხატებიც ერთად იყვნენ დაბრძანებული ქოროდოს ეკლესიაში. გარდა ამათი, აქვე, ჩვენს სოფელში პქონდა მამულები ბეგოთ სამხოოს და ხალორევის წმიდა გიორგის და ყველა ხატის მამულს ხატის ყანებს ვეძახდით. ხთიშობლისათვის ჩემი მამამთლისაგან შეწირული ის მამული, რომელიც ჩვენ გვაქვს, ერთი შაბათისაა. ჩემი მამამთლი რო ბარში, კენჭა-თკლდესთან წასულიყო საცხოვრებლად, მაშინ ის შაეწირნა ხელის მოსამართავად, რადგანაც ჩვენ შიოლიანთ კომობას ხთიშობელი არ გვიხდებს საცხოვრებლად სხოგან წახვლას.

**ვასილ სოსიგას ძე ბურდული, 69 წლის, სოფ. არახვეთი,  
17. 08. 81**

ბურდულები ვართ მდევთაში და არახვეთში. მთიულე-  
თში სხვაგან არ არიან. მანგლისში არიან აქედან წასულები.  
ხევსურეთშიც არიან. აქედან წასულები არიან. თიანეთშიც  
არიან, ორჯონიკიძეშიც. წასვლას რაიმე აიძულებდა.. ჩვენი  
სახლიდან განაყრები 8 კომია მარტო ორჯონიკიძეში. იქ  
იოლი საცხოვრისი იყო. პაპა წავიდა ჩვენი.

ბურდულების სალოცავია ლომისა. არახვეთში გვაქვს  
წმინდა სანება (ეკლესია). ტყისბირში არის კვირიაცხოველი.  
ძირითადი სალოცავი მაინც ლომისაა. ამ სალოცავებზე ჩვე-  
ნი ხალხი, აქედან წასულები, ან ქალიშვილები მოდიოდნენ.  
მიზეზს მისცემსო და წამოვიდოდნენ სალოცავად. წმინდა  
სანებაში და კვარიაცხოველში, ვისაც კურატი შეთქმული  
პქონდა, იმას მოყავდა, ისე კი ცხვარი (ჭედილა, ბატქანი).  
არახვეთის ამ სალოცავებში სხვა ხალხი არ მოდიოდა სა-  
ლოცავად.

ოსეთს იყრება ლაშქარიო,  
ხალხი მიუძღვის წინაო.

გადვიდეთო მთიულეთშიაო  
ხალორევს დავდვათ ბინაო.  
ვარჩიოთ ქალი და რძალი,  
სალბის მივართოთ წინაო.

ეგ ბურდულებმა გაიგეს

წელზე შეიძეს რკინაო,  
შვიდი გაგზავნეთ სახლშიო  
(ჩვენებმა უთხრეს, ბურდულებმა).

ამათა, ბურდულებს, როცა სალბისა და 9 მისი კაცები-სათვის უნდა დაეწვინათ ქალი და რბალი არჩეული. ბურდულებს ერთო ეს საბოლოოდ. დაწნეს ლასტი, სადაც 9 კაცი უნდა დააწვინონ და დახვრიტეს ქვით, სადაც ისინი უნდა დააწვინონ. ეხლა ისინი ჩვენი ბურდულები შამსხდ-რები არიან მაღლა. ლასტები წნელებითაა ჩამოკიდებული და დატვირთულია ქვითა. ისინი რომ დააწვინეს და ელიან, რო ქალებს მიუვანებ და დაუწვენენ, ჩააჭრეს წნელები და დასცეს ქვით დატვირთული ლასტები და ჩახოცეს ეს დვალები (9 კაცი). წამოვიდა მთელი ოქმი და ბურდულებს დაეცნენ, რატომ დახოცეთ, ეს რა საქმე გვიყავითო და ეხლა წამოვა მთელი ოსეთი და აგვაწიოკებენო.

გაიგეს დვალებმა, რომ ცხრა კაცი არ მოუვიდათ და 7000 კაცი წამოვიდა საომრად. წამოვიდა ეს ხალხი და მა-დლა დიდველს ვეძახით და თავიანთ ოსს უთხრეს, საიდან მოდიანო – ამან გაეიდა თავისი ოსები და უთხრა აქედან მოდიანო. ესენი, ვინც გაყიდა, სულ ერთზე მოდიან არა მრავლდებიან – გურგენიანთას ეძახიან (სოფ. ქუმლისციხე-ში) – ეს თხრილი რომ დასჭრეს, საიდანაც ისინი მოდიო-დნენ, მუხის მარგილი დაამწვიტეს, თხრილში დაუცეს ეს მარგილი (შაღობებს). წამოვიდნენ ეს 7000 დვალი დამით. ეგება და ეგება მუხის მარგილზე. მარჯშიანმა დაიძახაო, რომ ხმალსაც წაყავით ხელი, რომ უკვე ვეღარ იმაგრებდა იმ ხალხს. მარჯშიანი ყოფილა ჩვენების უფროსი. იქ ყო-ფილა კიდევ მძლავრი კაცი გაგაძე და მიდელაური. ესენი ბურდულებს დაეხმარენ. ეს ხალხი მოიშორეს და 7 კაცი გააგზავნეს სახლში ამბის მისატანად, რაც მოუხდათ. ლო-მისა რო ააშენეს, მერე ამ ბურდულებს მისცეს უფლება, რომ ლომისა თქვენი იყოსო და თქვენ უხელმძღვანელეთო. ხოდა, დამტკიცდა, რომ ბურდულის მეტი სხვა არავინ უნდა იყოს დეკანოზი.

ეხლა ხატს ისევ ზევით წააბრახნებენ – პეტრე-პავლო-ბას, ხვალ. ხვალ საღამოს რომ წააბრახნებენ, მეორე დღეს საღამოს ან ნაშუადღევს, ისევ უკდან ჩამოაბრახნებენ.

ლომისა სათათრეთში ყოფილა. 7000 კაცი ტყვედ ყავ-დათ თათრებს ლომისას თამაღობითა. დაწვეს მათ ლომისა – შატრუსულ პქონდა ცალი მხარი. სათათრეთში რომ იყვნენ 7 წელიწადს იყვნენ ტყვედ. ამ შვიდ წელიწადში არც დედაკაცმა შობა, არც მოსავალი მოუვიდათ თათრებს. ოლამ თავის ხალხს უთხრა, ვიდრე მაგ ხალხს და ლომისას არ გაათავისუფლებთ, იქამდე არაფერი იქნებაო. ამ მოლამ რო უთხრა იმის შემდეგ მაილაპარაკეს. ეხლა ამ ხარის თავზეა ლომისა დაბრძანებული. ხარი ტრიალებდა და არ მოდიოდა, რადგან 7000 ეკლდა ერთი კაცი და გზა არ იღებოდა. ვიდაცას მოჯამაგირედ ყოლიყო ერთი ქალი. ეს ქალი რომ მოყვანეს, გზა გაიხსნა. გზაში, სადაც ისვენებდა ეს ხარი, ყველგან ნიშებს აკეთებდნენ. ბოლოს მლეთის თავს დაწვა და იქ დაარსდა ეს ხატი და ააშენეს ლომისა. არახეთში, სოფლის უკან არის ლომისას ნიში. ლენინგრის მისადგომებია, იქაც არის ამის ეს ნიში. ხორხშიც არის ლომისას ნიში. ეს შვიდი ათასი კაციც აქ მოვიდა. ტყვედ იყვნენ ისინი აქედან წაყვანილი სხვადასხვა გვარისანი. ლეკიც ჩვენ გვესეოდა, თათარიც. ამიტომ მიდოდნენ.

ლომისას ჯაჭვი პკიდია,  
არვინ არ იცის ვისია.  
ადგა და ქალმა შესტირა:  
ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია,  
შავედით გამოტანილი  
შვგვრემანის ყმისია  
დეეხსენ, ჯანგმა შაჭამოს  
ეს ჯაჭვი მაგის დირსია.

სამი ფუთაა და ქალს კისრით შემოუტარებია იმ გა-ლესიისათვის. ეს ჯაჭვი ისევ იქ არის. ლომისაზე მოდიან ასპინძიდან, გურჯაანიდან, კახეთიდან.

ზაქათში არის წმინდა სანება. შარმიანთ სალოცავია – თევდორე პატიოსანი ხატის თორმეწამე.

ბეგოთის – ბეგოთ სადოო  
სონჩოში ნარიმანიძეების სალოცავია ვილიათ წმინდა გიორგი.

ლაპათხევში – ლაპათხევ საღოო წყარუაშვილების სალოცავი.

სეფეში აშენებული თამარ ნეფისაგან „მაცხოვარ პატიოსანი“ – ებრალიძეები და ნარიმანიძეები.

ნაღორევ წმინდა გიორგი – ლომისის წმინდა გიორგი. ბურდულები აქაც ლოცულობდნენ და სხვა ხალხი – ბექოშვილები ცხოვრობენ მანდ და ლოცულობდნენ ამ ეკლესიაში.

ქაშუეთის წმინდა გიორგი – ბუჩქურების სალოცავი.

სეფეში არის კიდევ მარინე წმინდა გიორგისა.

ნაღიბაიძეების სალოცავი არის ლაშარის წმინდა გიორგი. გზის პირზე ნაღორევს რომ დასცდები. ეკლესიებია ესენი სულ.

ამირიძეების სალოცავია მთავარანგელოზი.

ყველას თავთავის დეკანოზი ყავა.

ამ სოფლებში ბურდულებმარომ გავიაროთ, მოგვიყვანენ და დაგვაპლევინებენ საკლავს.

ძლიერი ხატია ქავთარაძეების სალოცავი – წიფორ წმინდა გიორგი. დეკანოზი არის თავიანთი გვარიდან.

ღუდას ყველაწმინდა ქვის წულად მქცეველი. ბავშვები იქ მიგყავს გასარევად. ძველად ბუთხუზების ყოფილა ეს სალოცავი. და მერე დაშორებით რომაა, ერთი კომისათვის უთქამს, თქვენ იქნებითო.

ჭიკათ სალოცავია კვირაცხოველი (სოფ. ჭიკაანი).

კობაიძეების სალოცავია მთაწმინდა წმინდა გიორგი (სოფ. კობაიძეები).

გუდამაყარში არის პირიმზე, ჩოხის წმინდა გიორგი, დუმაცხოს სახთო, ფუძის ანგელოზი ხევსურეთში დაბრძნებული. მაღაწალ პატიოსანი ცხვედუთს დაბრძანებული – პეტრე-ავლობას რომ ვეძახით, ეხლა აქაცა.

ბუჩქურები ძველად ხევსურეთიდან მოსულან ქიმბარიანში და გვიდაქეში. წყალგაღმა-გამოღმაა ეს სოფლები. გვიდაქეში არის სალოცავი ქაშუეთ წმინდა გიორგი. ეს არის ბუჩქურების სალოცავი.

გუდამაყარში პირიმზეში 7 დეკანოზი უნდა ყოფილიყო. გუდამაყარში დღეობა რომ მოდის ახორბას ეძახიან.

**ბურგური-ჯალმაიძე სოფიო, 65 წლის, სოფ. ქვეშეთი,  
17. 05. 82**

ქალი და კაცი დაძმად ერთმანეთს ეფიცებოდნენ. არ ყიან ან ღვინიან ყანწში ვერცხლს ჩაფხიკავდნენ, ჩასთლი-დნენ და დალევდნენ. პირველად ბიჭი დალევდა. ნეკა თითო-დან ერთიც და მეორეც სისხლს გამოუშვებდა და გაიფი-ცებოდნენ დაძმად. სისხლს სასმელიან ყანწში ან ჭიქაში ჩაურევდნენ და ისე სვამდნენ.

სოფელ სეთურთას, ჯალმათ მიჯნაზე არის საქოლაგი. ერთმანეთი ბიძაშვილებს შეუცოდავთ. ისინი ცოცხლად ჩა-უქოლიათ, დაუმარხიათ. დღესაც რომ ვინმემ გაიაროს მი-აფურთხებენ და სამ ქვას მიაგდებენ.

როცა ხალხმა პირველად პირ-ჯვარის დაწერა არ იცო-და, დადიოდნენ ერთად იქსო ქრისტე და სოლომონ ბრძენი და არწმუნებდნენ ხალხს. ქრისტე ადამიანად მოგენენება და სადაც უნდა გაქრება. სოლომონ ბრძენი იყო ადამიანი და, ამასთან, კარგი ადამიანი. არწმუნებდნენ ხალხს, პირჯ-ვარს იწერდნენ. ჩამოიარეს და ისეთ ალაგას მივიდნენ, რომ ეშმაკებით სავსეა. იქსო ქრისტემ უთხრა: მე ჩემით გავალ და შენ შენით გადი აქედანო; ეშმაკებიდან შენა შენი ხერ-ხით გადიო. გაქრა იქსო ქრისტე ადგილზე. ეშმაკებმა სო-ლომონ ბრძენს დაუჭირეს ულვაში და გასწიეს და გამოს-წიეს. ზოგმა კიდევ ზოხა დაუჭირა — გასწივგამოსწივა. ერთ-მა ქუდი მოხადა და გარეთ გადაუგდო. აფურთხებდნენ სო-ლომონ ბრძენს ეშმაკები. ამან ვერა მოახერხა რა. მათრახი ხომ აქვთ იქსო ქრისტეს და სოლომონ ბრძენსაც. და სო-ლომონ ბრძენმა ზმნა დაიწყო მათრახით, ე. ი. გაზომვა, რომ უნდა გავიდეს გარეთ. ერთი ეშმაკი ეუბნება, რას აკეთებთ, და იმას ვაკეთებ, რომ აქ ეკლესია არის და წირვა-ლოცვა უნდა გავაკეთოთ და აქ სამრეკლოო. ამოკრეს წიხლი და გამოაგდეს. გავიდა გარეთ და ჩამოხედა კარებს. იქსო ქრი-სტე რომ წავიდა, ამ კარებს 1000 დააწერა. სოლომონ ბრძე-ნმა მეორე ათასი მიუწერა. თუკი იმან დაწერა მენც უნდა დავწეროთ. პოდა, ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ისევ შეხ-ვდნენ ერთურთს. იქსომ კითხა, როგორ იყორ? როგორ და კინადამ მამკლესო. დავიწყე ზმნა და გადმომიგდეს ქუდი, რომე გარეთ რომ ქუდი გადმომიგდეს შავხედე და კარებზე

დავინახე შენი მიწერილი 1000-იო. მეორე ათასიც მე მივუწერეო. შენ რომ მიუწერე, ძალიან ცუდად წავა, ის წლებიო, – უთხრა იქნა ქრისტემ. ჩემი დაწერილი კარგი იქნება, წამებაო; შენი დაწერილი კი ქურდობა, კაცის მკვლელობა, ტყუილი და უწამებლობაო. 2000 წელი რომ შესრულდება, მერე ან ცეცხლით უნდა იზარალოს ხალხმა, ან წყლით. მართლა ისე არაა. სულ ტყუილი, კაცის მკვლელობა და მაგისთანებია. იქნა ქრისტემ რაც დაწერა კაი წლები წავიდა. ნახავ კიდევ თქვენა 2000 წელი რომ შესრულდება....

– შეშა შემოვიტანო, თორო ცერად არის საქმე. ოჯახში ვაჟის დაბადება უფრო უხაროდათ, შენს მტერს გაუწყდეს ქე. ქე საძირკველია.

მამაჩემს ვაჟი არ ყავდა. სამი ქალი კუავდით. ბიძაშვილმა დაისაკუთრა მამაჩემის ბევრი მამული. მინამ დედა მყავდა კემარობდით მიწას და ეხლა ჩვენ მამულში სამი სახლი ჩადგეს. მამულები გაყოფილი გვქონდა. ეგ (ბიძაშვილი) მაშინ გაჩენილი არ იყო. შენ ქალი ხარ და მამული ჩემია, – მეუბნება. იმ მიწით არც სარგებლობს, ხალხი ჭამს, კოლექტივის საქონელი. არ მიშობს შავლობო, არც თითო ღობავს.

ლომისაზე ყველა მთიულები დადიან სალოცავად. ძვირფასი დღეობაა. მოხევეებიც საკლავით გადმოდიან, ქსნის ხეობიდანაც. ისე ამოდიან ესენი, ლომისა მაღლაა. ლომისას ეხვეწებიან, რომ ხელი მომიმართეო, სადაც წაგალ, მავალ, კარგად მამგზავრეო; ცუდ საქმეს ნუ დამმართავო. ავადმყოფობის მორჩენას შესთხოვენ კიდევ. საქონლის გამრავლებას კი ხახმატს შესთხოვენ. ეგ სალოცავი სიჯანაოს არის, ხევსურებისაკენ სადღაც არის.

უშვილო რომაა ქალი, მაშინ შესთხოვენ დუდას ყველაწმინდას. ძალიან ძლიერი ხატია. აქ მთიულეთის ყველა სოფლიდან დადიან. დადიან კიდევ ბარელები. ეხლა რომ ცუდი გზაა, ცოტანი დადიან. და უფრო ლომისაში დადიოდნენ. ერთი ქალი ყოფილა სულ უშვილო და ღუდაში სხვებს გაყვა და უწინ ისე იცოდნენ: საღამოს ვახშის დროს მნათე-კაცი წილს (ხორცი, ქაღა) დაურიგებდა. ამ ქალმა შაახვივა ქვა – შალი მაახვია. მე ბავშვი მყავს და წილი მიეციოთ – იხუმრა ქალმა. წილიც მისცეს და ის ქვა ბავშვად იქცა. ღუდას ყველაწმინდა, ისეთი ძლიერია, რომ

ქვის წულად მქეცეველია. თმას აჭრიდნენ ღუდაში და იქ უნდა შეენახათ ხატში. მარტო ვაჟები უნდა გაერიათ. კოლა მყავ გარეული იქა. ქალებსაც რეკვდნენ, მაგრამ უფრო ვაჟებს. ახლა ლომისაში რევენ, იქ აღარა რევენ ღუდაში. იმიტომ, რომ შორია – ხალხიც არავინ არის.

ნაღორევ წმინდა გიორგი ძლიერი ხარტია.

ბავშვი ჯერ ღუდაში უნდა გაგვერია და შემდეგ ლომისაში. ორშაბათს მოდის ღუდას ყველაწმინდის დღეობა და სამშაბათს ლომისაში გადმოდიან. ამის შემდეგ ბავშვი შეგვეძლო ჩვენს გვარის ხატში გაგვერია.

უშვილო ქალები ღუდას შესთხოვენ და თეთრი მიტკლიანი ტანისამოსი აცვიათ. თავზეც თეთრი მიტკალი ახურიათ. ამ თეთრებს სულ გაიხდიდა და ხატს შესწირავდა, ღუდას ყველაწმინდას. ღუდა ყველაწმინდა ინგებდა და შეუძენდა შვილს.

ღუდაში გუდამაყრელები ისე მოდიოდნენ, ვისაც დაამიზეზებდა. ისევე ლომისაშიც. თუ მკითხავი ეტყოდა, მაგალითად, ლომისას მიზეზი გაქვსო, იმ შემთხვევაში მოვიდოდა გუდამაყრელი აქ სალოცავად. თუ მიზეზი ჰქონდათ, მთიულებიც ამ შემთხვევაში დადიოდნენ გუდამაყარში სალოცავად.

მე ხევსურეთშიც დავდიოდი სალოცავად მთავარანგულოზში, ხევსურეთის სოფელ ბუჩუკურებში. ბუჩუკურები დავდიოდით, საერთოდ, მთავარანგელოზობას ხევსურეთში. იმიტომ მივდიოდით, რომ ის ხატი ჩვენი, ბუჩუკურების სალოცავია. ბევრჯელ ვეოფილვარ და სამი წლის კურატიც გადამიყვანია. შეთქმული მქონდა. მე სულ თმას მაგლეჯავდა ის ხატი. ტანისამოსს ვიხევდი. მკითხავმა მითხრა, რომ ეს ხატი მამიზეზებდა და მერე ჩავრქოთამე ხატი. მთელ ხევსურეთს დაუძახე, მოდით, მამიდა გენაცვალოთ, ჭამეთ, მიირთვით, დაილოცონ. ეხლაც შამაშინებს ხოლმე ის ხატი ბევრჯელ. ბებერი კაცის სახით დამესიზმრა; სუფთა კაცი იქო. მითხრა: მე გინახავ, ვერა გმეტულობ ავი საქმისთვისო და ვერც შვილს გიკლავთ და ვერც თავსაო. გაიმეტე და გასწყვიტე უსურმაგი, ღორიო – ნუ გყავსო. გავსწყვიტე მერე. შვილები ჭამენ და მე არა. შევფიცე ხატსა და იმას არ გადაუვალ.

ხევსურეთში ადრე სალოცავად მამაჩემი დადიოდა. ქალიშვილობის დროს მე იქ არ კუთხილვარ. მერე კი სამჯერ ვიყავი.

ბუჩქურების ხატი მთიულეთში არის ქაშვეთ წმინდა გიორგი, გვიდაქეში. გვიდაქეში კვირაცხოველიც არის. ყველა სოფლებში კვირაცხოველი და წმინდა გიორგია. კვირია სხვა არის, კვირაცხოველი კიდევ სხვა. როგორც გამოსცდები ნაღვარევის ხევს, გზის ძირში პატარა ნიშია, ფეხის სიმაღლე. კაცმა ააგო მკითხავის პირით – ცოლი ყავდა ავად. ავად გახსლდა. ვიცოდით, რომ კვირიაის ადგილი იყო, დაფლობილი, მიწაშეურილი იყო, პატარა ქვები ეყარა. მკითხავმა უთხრა, ამა და ამ მიზეზით ხარო და ის იყო ჩვენი ბუჩქური.

ზამთრეულთას რომ არის ის არის ლაშარის ჯორი.

ხადაში, შარმიანთას არის ცეცხლისჯორი. ხადაში არის ხადისა თორმეწამე, მთელი სოფლის მოწამე. ხადის-ჯვრობას ეძახიან ჩქარ მოვა. ხადაში აქედან ჯვრობას დადიან ხალხი, ვისაც დამიზეზავს.

სხვაგან და სხვაგან შეიძლება ქალის ხატში მისვლა, ბეგოთ საღვთოში კი არა. მთვრალი რომ იყოს კაცი, უცუდმა ისე ჩამოვა იქიდან, რომ არ გადმოვარდება. ძლიერი ხატია ძალიან. ამბობენ, რო იქ, ბეგოთ საღვთოში არის ორი ყოჩი. თავის დღეობას გამოდიან გარეთ და ძოვენ ბალახს. ხალხი რომ ადის დღეობის დროს, თუ წაქცეული იყო რომელიმე ყოჩი, იმ სოფელში კარგი ახალგაზრდა მოკვდება. ბეგოთ საღვთოში საერთოდ ქალები არ მიღიან სალოცავად, მხოლოდ მამაკაცები. არ შეიძლება ამ ხატმა ქალი თავის კარზე დაინახოს. ბეგოთ საღვთოდან, ზევიდან ქობი გადმოვარდნილიყო წვენით და ხორცით სავსე დაბლა ისე ჩამოვორებულიყო, არც წვენი დაღვრილიყო და არც ხორცი გადმოვარდნილიყო.

ხადის საერთო სალოცავია ხადისათორმეწამე – ის სათემო სალოცავია. მას ხადის სხვადასხვა სოფელში ჰქონია ბევრი მამული, სათიბი მთები და ტყე. სოფელ წკერეს კვირაცხოველს 15 დღის სახნავი და ოცი ძირი თივის მთა ჰქონია. სოფელ იუხოში წმიდა ნინოს დღენახევრის მამული ირიაულებისაგან ჰქონია შეწირული. ირიაულების ერთ-ერთ

ოჯახს ეს მიწა იმიტომ შეუწირავს, რომ შვილი შერჩენოდა  
და არ მოჰკდომიყო.

**ფილიპე მათეს ძე ქარჩაიძე, 71 წლის, სოფ. ქვეშეთი,  
17. 05. 82**

ქარჩაიძეები სართიჭალასაც არიან, ძეგნაკორასაც არ-  
იან. ლაფანანები ხო გაგიგია, ძეგნაკორა გვერდშია. მგონია  
დაბლა, ბულაჩაურში ჩამოსახლდა ეს ხალხი. კიდამ მქადი-  
ჯგარში არის 4/5 კომლი ქარჩაიძე. ასპინძაში კი ჩემობას,  
გვიან გადასახლდნენ ქარჩაიძეები. შირაქშიც არიან.

ლაკათხევში ჩემი მმა არის, კაცილდა ჰქვია. სულ თავ-  
დაპირველად ლაკათხევში ქარჩაიძეები ყოფილან და მერე  
საქიძეები დამატებიან. ჩენი გვარის ხალხს ამბობენ დასაგ-  
ლეთ საქართველოში – ქარჩავებს.

ქარჩაიძეებს ლაკათხევში გვევავ სახოო, წმინდა გიორ-  
გი, ადგილის დედა და ყველაწმინდა. ყველაწმინდა ეკლესი-  
აა და დანარჩენი ნიშებია. ძალიან მაღლა წყარუაშვილებს  
უცხოვრიათ ადრე ლაკათხევში. მაგათ ადრე სხვა გვარი  
ჰქონიათ და ჯაუნარიძეები ყოფილან. გადაწერილან წყარუ-  
აშვილზე. მაგათ უშენებიათ, ერთ ალაგას ყელა, ციხე. უ-  
როთოს ყელი ჰქვია და იქ ციხე უშენებიათ. დაბლა ხომ  
ჰქონიათ ციხე და ზევითაც უშენებიათ. მერე ერთი მმა სა-  
დღაც ყოფილა და უკითხავს, ვერ ააშენეთო? და უპასუხიათ:  
ერთი შემოულადა გვაკლიაო და საღვთოს დაუსწორდე-  
ბითო. საღვთო წვერზეა, ძალიან მაღლა. მემრე იმ დამეს  
დაუკრავ მეხი და ეს ხალხი სულ შიგ ჩაუდუპავს, რადგან  
თქვეს, საღვთოს გაუსწორდებითო. მერე ერთი რძალი, ამ  
გვარის ხალხისა, ყოფილა მამის სახლში კობათას. მომდი-  
ნარა და, იქ ფიჭვია ერთ ადგილას, იმ წყაროზე გასჩენია  
ვაჟი და მას უკან დაერქო წყარუაშვილი. გადაკეთდა გვარი  
იმგვარად. ის ბავშვი გაზრდილა მერე კობათას. იქ წასულა  
ის დედაკაცი და იქ გაუზრდია შვილი და მერე, როცა გაი-  
ზარდა, მოვიდა ლაკათხევში და დაიწყო ცხოვრება. ადაკე-  
თდა წყარუაშვილად. ისივ არის ის ციხე – მარტო თავი  
აქვს მოშლილი. კარგი ციხეა. ისინი ისეთი ხალხი ყოფი-  
ლან, მთაში ცხორი უწეველიათ და მილებით რძე იმ ციხეში  
მიმდინარა.

ლაპათხევში ცხოვრობდნენ კიდევ სუნტიძეები. ისინი ნელად მოსულები არიან კაიშაურებიდან. ამრიგად, ლაპათხევში შემდეგი გვარები ცხოვრობდნენ: ქარჩაიძე, წყარუაშვილი, საქიძე და სუნტიძე. საქიძეები ბევრნი იყვნენ და წავიდნენ, ეხლა ერთი კომლიდაა. ამ ოთხ გვარს ერთი ხატი გვყავდა. ბავშვს საღვთოში ვრევდით. ჯერ ღუდაში უნდა გაგვერია. დეკანოზი ჩვენი გვარისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ როცა წავიდ-წამოვიდა ხალხი, მერე სხვაც იყო დეკანოზი.

თუ ბურდული ქალს ითხოვდა, უარს ვერ ეტყოდნენ. გუდამაყარში ასეთი ჩოხელები არიან. ჩოხელები თუ ქალს შაადგებოდნენ, თუ არ მისცემდნენ, ის ქალი არ გაიხარება.

დათვიანთ ჩვენს გვარში კომობას ეძახიან. ამ დათვიანთ სულ მაღლა (ქვეშეთს მაღლა) უცხოვრიათ, არც ჩანს აქედან.

დეკანოზს ხალხი უფრო პატივს სცემდა, ვიდრე ღვდელს; დეკანოზი, რასაც იტყოდა, ყველასთვის კანონი იყო, სიტყვას ვერავინ შეუტრუნებდა. დეკანოზი ხატს გარეთ გამოაბრძანებდა.

კვირაცხოვლობას ვეძახით, კვირიას ხატია. ასე ილოცებიან: „კვირაცხოვლს გაუმარჯოს, ღვთის იასაულსა, ღვთის კარზე მდგენელსაო“. მთელი ხატების უფროსი ეგ არის. რასაც ეგ უბრძანებს, ვერც ერთი ხატი ვერ იტყვის უარს. ღვთის იასაულია, თავისებურად შეუძლია დასაჯოს ხატები, თუ არ გაუგონეს. ეგენი ანგელოზებია. ლომისა ლეკებში გაიტაცეს, წაიღეს და 5 წელიწადი იმ ქვეყანაში არც ბალახი მოვიდა, არც ადამიანმა და არც საქონელმა შობა. თქვეს, რომ ეს გურჯის ხატისაგანააო. მოდი დავსწოთო. მოზიდეს ბევრი ფიჩი და ჩაღვეს შიგ ეს ხატი. როცა ცეცხლი გახურდა და მივიდა ამ ხატამდე, ერთი მხარე შაატრუსა კიდეც. ამოფრინდა იქიდან და დააჯდა ერთ დიდ ხარს თავზე. წივის ეს ხარი და ანგრევს იქაურობას, ანგრევს მოელს არემარეს. ლეკებს უნდათ მოიშორონ ეს ხატი (ხარი). შამააქეჩა, რაც იქ ტყვედა ყვანდა 7.000 კაცი. მარტო აქაური ხალხი კი არა, იქ იყო ქსანიც. აბა, 7.000 მარტო აქედან კი არ იქნებოდა. ხოდა, რო გითხრა სიმართლე, არ

მოდის ის ხარი. ერთი კოჭლი ქალი ყოლიათ დამაღული და როცა თქვეს ერთი ქალი არის, მოდი გამოვიყვანოთ. როცა ეს ქალიც გამოიყვანეს, მერე გამოიდო იმ ხარმა თავი, წამოვიდა, წამოასხა ეს ხალხი 7.000 კაცი. საცა დაისვენებს, ყველგან ნიშა აკეთებენ. მოიდა და აქ არახვეთის, მლეთის ქვემოთ. მივიდა და ის ხარი გასკდა და გაფრინდა ხატი თავის საბრძანისში. ეს ხარი დაასაფლავეს, გააკეთეს კოხტა ნიში და ზედ დააწერეს „კურატის საფლავი“. ეს 7.000 კაცი გაება ქალიდან და ისე ააგეს და წვერზე გააკეთეს ეკლესია. იბრძოლეს და კარები უკუდმა აქეს, ქსნისკენ. ქსანმა დასძლია – კარები თავისკენ მააქცია. კარგიო, უთხრეს და გასაღებები საბურდულოს ხელში დარჩა. ბურდულები არიან მისი დეკანოზები, ყველაფერი მაგათ ხელშია. ამის შემდეგ ლომისა გახდა საერთოდ მთელი ხალხის სალოცავად. საიდან აღარ მოდიან სალოცავად. ყველა მთიული ეჭმობა ლომისას, ხოლოთ საბურდულოთ უფრო მეტი აქცის: მაგათ ლუდი უნდა გამოხადონ. წესია ეგეოთი. სანამ აქ მოვიდოდა, ლომისა ხატი ყოფილა, მაგრამ გატაცებული ყოფილა და ცალი მსარეც შეტრუსული აქცის. მთიულები ლომისასაც გეჭმობით და ლუდასაც. გაუმარჯოს ლუდას ყველაწმინდას ქვის წულად მქცეველსაო. წინ-წინ ლუდაში უნდა გაერიოთ ბავშვი და იქიდან მერე ლომისობაში გამოვიდონენ.

გუდამაყრელები, თუ დაამიზეზა, მაშინ მოვლენ, ისე არა. იმათაც მაგარი სალოცავები ყავთ. ფუძის ანგელოზი, პირიმზე. მაგათში ეგ არის მაგარი სალოცავი. მანდედან ხევსურეთში გადადიან. მე მკითხავის პირით გავიგე, რომ დაამამიზეზა პირიმზე ფუძის ანგელოზა. ლურჯ ცხენზე იჯდა კაცი, ის იყო ფუძის ანგელოზი და ჭედილაზე დამიღირა ხელი, ეს ჩემი არისო, ავდექ და გაუხიერ ყური. კარგი ნათესავი მყვადა, მისა ჩოხელი, იმან მითხრა, ეგ რომ გინახია, ფუძის ანგელოზიაო. თეთრი უცვა, თეთრ წვერი კაცი იყო. მერე ჩემი სახლობა გავგზავნე. მე კოჭლი ვარ, ვერ წავიდოდი. ჩემი მეუღლე გზაში ვეღარ ხედავდა თავის საკლავს და რომ მივიდა ქალი, ხახა რომ ის ყოჩი ხატის კედელთან იდგა. ჩვენი ხატი კიდევ გუდამაყარში – ზეგარდის

წმინდა გიორგი, ქარჩაიძის აშენებული. დუმაცხოს საღვთოსი და ზეგარდის წმ. გიორგის დღეობა ერთად მოდის. ერთ ხატს აბრძანებენ და ორი სახელი ჰქვია. ნიშები ცალ-ცალკეა. ზაგერდის წმ. გიორგი ეკლესია, ჩვენი ქარჩაიძის აშენებული. ორივე საღოცავს დეკანოზი ერთად იღოცება. ახალი რომ დამდგარა დეკანოზად, ათხოხელი აფციაური, ისე იღოცავდა, სულ აშტერებდა ხალხს. ზეგარდის წმინდა გიორგის ჯვარს რომ ეძახდნენ, არ გამიგია.

### **ნინო გივის ასული ბუჩქური-კობაიძე, 72 წლის, სოფ. ქვეშთი, 18. 05. 82**

კობაიძეების საღოცავია წმინდა გიორგი – მთაწმინდობას ვაძახით. ეს საღოცავია კობათას. თავიდანვე მაგ სოფელში ცხოვრობდნენ კობაიძეები. ლომისასაც ვეჭმობით. ბავშვი პირველად დუდას და მერე ლომისაში უნდა გაგერია. დუდაში ვიღოცებდით, საკლავს დავკლავდით, ომას შევაჭრიდით.

ცხავატი არის ფასანაურის ზემოდან ქვეშთამდე. ქვეშთი ცხავატში შედის: ქვეშთის ზევით მღეთა, სეთურნი – არის ხადა.

ხადელებს აქვის ხადისა თორმეწამე. მაგას აქვის ხადიჯვრობა. ყველა ხადელები ლოცულობენ. სხვა მლოცველიც მოდის – ქალ-ქალიშვილი კიდევ: დამიზეზებული ვინმე თუ იქნებოდა. შეუთქამდნენ საკლავს და მივლენ.

ცეცხლიჯგარი ჩემი დედამთილის საღოცავია. ის ნადიბაანთ ქალია. თუ დაგმიზეზავს, მაშინ წახვალ ცეცხლიჯგარში.

ბუჩქურები სამნი ძმანი ყოფილან წამოსულები ხევსურეთიდან. ერთი გვიდაქეს დასახლებულა, ერთი ხევსურეთში დარჩენილა. ბუჩქურების მთავარი საღოცავია ქაშვეთი სოფ გვიდაქეს. აქ ერთი ქალია მასწავლებელი, გვარად დარიბაშვილი დუშეთიდან. ადრე ბუჩქური ყოფილა.

კობიანები და წყარუაშვილები ერთმანეთში ქალს არ გავათხოვებთ. კაბათ ქალი ყოფილა წყარუანთას გათხოვილი. ცხრა ძმანი ყოფილან. იმათ სახლი აუგიათ და მემრე ხატისთვის უთქომ: საღვთო ვერც ეხლა დაგისწორდითო?

მემრე დამე დაწოლილან, დაუმინიათ და ცეცხლი მოკიდებია ამ ხალხს და სულ დასწევიათ ხიზანი. ჩვენი ქალი, კობათ ქალი, მამის სახლში ყოფილა წასული. ამ ქალმა, როცა გაიგო რომ ქმრეულნი ამოუწყდა, წიმოვიდა იქიდან, ორსულად იყო და წყაროზე ბალლი გაუჩნდა, მემრე წაიყვანეს წყარუანთას. დაუძახეს წყარუანი. თქვეს, მერე ფიცი გააკეთეს, ჩვენ ქალი არ უნდა მივცეთ კობათას და არც მაგიო ქალი მოვიყვანოთო. ბიძაშვილს მეტყვიან მე ლაკათხევევლები.

თადიშვილმა ციხე დადგა,  
გარს მაავლო გალავანიო.  
ეგ მაგას ვერ დადგამდა  
სიძე ყავდა ფალავანიო

თადიშვილები ბუჩუკურების კომი იყო. ეგ სახლი არის ზეით მთაზე – ქვეშეთის მთაზე.

დათვიანთკარი ნასახლარია, ქვეშეთის თავზე. მანდა სალოცავია კვირია. მოდის აღდგომის სწორზე. კვირიძლობას ვეძანით (დავაზუსტებინე და თქვა „კვირიძლობა“).

ქვეშეთელებს ხადელები ცხავატელებს ეძანიან. კვირიაზე ვკლავთ ხარს, ბატკანს. შეგვეწიოსო პირიმზე ფუძის ანგელოზიო, ღუდის ყველაწმინდაო, ლომისა დოდებულიო, კვირაცხოველი გადიდებულ-გამრავლებულიო. გაგვამრავლოს, გაგვაფართოოს ჩვენ ბუჩუკურებიო.

იასაულნი ხატისაა. მაგალითად, შენა ხარ ხელმწიფე, ხო გყავ თანამშრომლები, ეგეთიც იასაულებია. ხატის ხელქვეთებია, უმცროსებია, სადაც დაუსახელებს, ზოგს შეეწევა და ზოგს კიდევ არევ-დარევს. თმას აგლეჯინებს, გააგიშებს. კარგი იასაულებიც არის და ცუდიც.

ჩემ ბალდობას დეკანოზს უფრო დაფასება ჰქონდა, ვიდრე მდვდელს. დეკანოზი ხატს გამოაბრძანებდა, იმის გარდა საკლავს არავინ დაკლავდა მკვდარზედაც და ქორწილშიც. ხალხსაც დეკანოზის სიტყვისა სჯეროდა.

მიყორაშვილების სოფელია სეფე. ამ გვარის წარმოშობის ისტორია: ვიდაც ქალი ყოფილა, თრუსოელი ოსი – აბაევი. ის მოახლეთ მდგარა ბატონთან და მისგან დაფეხმიმებულა და შვილი (ვაჟი) გაუჩენია და ამის შთამომავლე-

ბი არიან მიყორაშვილები. გვარი როგორ მიიღეს მთხოვ-ბელმა არ იცის. ამ ბატონს სეფეში მიუცია ადგილი, და დაუსახლებია.

### სოფიო განოს ასული სეთურიძე-ნაზდაიძე, 65 წლის სოფ. ზემო მლეთა, 19. 05. 82

სეთურიძეების სოფელია სეთურები. სეთურიძეების ხა-ტია წმ. გიორგი. ორჯერ მოდის მაგის ხატობა. კვირაცხო-ვლობაც ვიცოდით. ჩვენ ვიტყოდით კვირაცხოველი გამოა-ბრძანეს, გამოპრძანდაო. შასთხოვდნენ, რომ კარგა მიმყოფე შვილებიო. ნაშვილებს ახვეწებდნენ. კვირაცხოვლის მად-ლო, მაღალი ღმერთის მადლით-ეხვეწებოდნენ.

ხორხი ქვევით არის, ბიძაშვილები გვევანდნენ იქა, სე-  
თურიძეები და იქიდან მოდიოდნენ. ბატარა ეკლესია, აქ  
რომ არის მლეთეში ისეთი.

წმ. გიორგის დროს მარტო სეთურიძეები ლოცულობ-  
დნენ. სამწყალობნოებს//ქადისკვერებს გამოაცხობდნენ. და-  
კანოზი სეთურიძე ამწყალობნებდის.

ბავშვის გარევა დუდაში ვიცოდით. პირველად რომ წა-  
იყვანდნენ ხატში, იმ ხატს პქვია დუდას ყოლაწმინდა. ყო-  
ფილა ხატობა და „ღმერთოო, გვიშველეო, დუდას ყოლაწ-  
მინდაო, ქვაწულად მქცეველოო“. ყოფილა მანდ დღეობა.  
ეხლა ოსებისაა ეს სოფელი. იქ წილების მიცემა იციან. შინ  
რომ ვინმე ყავთ, ან ბავშვის წილს მისცემენ. ერთ ქა-  
ლიშვილს, ქალს ქვა აუღია, გაუხვევია შალში და კალთაში  
ჩაუსვია. მისცეს ამასაც წილი და ეს ქვა მართლა ბავშვად  
ქცეულა; სულიერი გახდა. დუდამ ქვა წულად აქცია. მე  
დუდაში გამრიეს, სამი თვისა წამიყვანეს თურმე. ვაჟებსაც  
რევდნენ და ქალებსაც. მთელ მთიულეთს დუდაში მიუდის,  
იმ ხატში ბავშვები გასარევად. დუდადან გამოვლენ და ახ-  
ლა ლომისას ილოცავდნენ. სანამ დუდაში გარევდნენ, თავი-  
ანთ ხატში გარევდნენ (მიიყვანდნენ), მხოლოდ მოსანათ-  
ლებს არ მიიყვანდნენ.

ქვემო მლეთაში ეკლესიის ახლოს ცხოვრობდა მღვდე-  
ლი. სეთურებში ორი ხატი იყო, მაგრამ ერთი დეკანოზი  
ყავდათ. მღვდელს უფრო დაუჯერებდნენ, ვიდრე დეკანოზს.

მთელი მთიულეთი მოდის ლომისაზე. ბურდულებისაც არის, მაგრამ 8-9 იქნის მთელი მთიულეთი მანდ იქნება.

ლომისა ისე წარმოიქმნა, რომ უწინ რომ ოქები იყო, მაშინ ყოფილა ის ხალხი ოშში. მისულა ერთი ხარი და სულ გამოურეკია, სანამ ერთი კოჭლიც არ გამოიყვანა, არ წამოვიდა და მოვიდა და აქ დაწვა და ააშენეს ეკლესია. ხარმა პირი ქსნისაკენ ქნა და კარები იქითკენ გაუკეთეს. იმ ხარს ლომისა ერქვა. სეთურები ხადიჯვარში ისე მი- ვდიოდით სალოცავად, საქეიფოდ, საკლავით – არა. ცეცხ- ლიჯვარში კი არ დადიოდნენ აქედან საკლავით, მაგრამ ნადორევში კი დადიოდნენ (საკლავით არა). ლომისობის მეორე დღეს მოდის ხუთშაბათს. ნაზღაიძეების სალოცავია კვირაცხოველი. აქ დეკანოზი ნაზღაიძე უნდა იყოს, წმინდა გიორგიში – ბუთხუზი. ქვეშის ქვეით ცხავატს ეძახოდნენ უწინ, ეხლა კი ადარა. ქვეშის ქვეით ფასანაურამდე.

სონჩო არ იციი? მითომ იქ, სონჩოში ნარიმანიძეს მო- უქლავს კაცი, მერე გამოქცეულა. გვარი შაუცვლია, აქ რომ გამოქცეულა. ბიძაშვილობენ ნაზღაიძეები და ნარიმანიძე- ები. ეს ორი გვარი ქალს არ გაათხოვებს ერთმანეთში. ნა- რიმანიძეების სალოცავში ნაზღაიძეებს არ გვივლია. იმით ხატის სახელსაც ვერ გეტყვით. კიდევ ამირიძე არ შეგვიძ- ლია შევირთოთ. ესენიც ბიძაშვილებია.

ლომისაში მოდიან ბარიდან და ქსნიდან, სხვა ბატარ- ბატარა სალოცავებში – არა. წმ. გიორგი ცხენზე ზის, წვ- რიანიაო, ბებერიაო. კვირაცხოველს კვირიას არ ვეძახით – არც გამიგონია ეგრე ვინმეს მოეხსენიებინოს. აღდგომის სწორზე მოდის. ჩვენ ხატებს მამულები ჰქონდა. ლომისაში მამულები არ ვიცი, მაგრამ სეთურებში კი იყო ოთხი დღის სახენავი, ქერი და სვილი მოყავდათ. ვისაც ნაკლებად ჰქონდა მამული, ის ეტყოდა სოფელს. ის იმ დღეობის დროს, ვინც მოხნავდა კულუხს (არაყს) მოამზადებდა. ერთი 3-4 ფუთისა- გან მოამზადებდა. დანარჩენი თვითონ რჩებოდა. სულ მოლიანისაგან რომ დაემზადებინა, რაისთვისდა მოხნავდა. არ გამიგია, რომ ჩვენ ხატებს ბარში ვენახები ჰქონიყო. ამანათივით მაბარიაო, რომ მაიყვანო ბავშვი, ან ძროხა და ჩამაბარო, კარგად მოუგლი ეგ ნიშნავს ამანათს.

სამანი იმას ნიშნავს, რომ რამეს დააშავებდა, მოგიკვეთავს სოფელი, დაარისხებენ, დასწყევლიან და ჩაუსმენ სამანს. სიკვდილს, ამოწყვეტას, განადგურებას უსურვებენ. დეკანოზი წევლის და ხალხი „ამინს“ ამბობს.

სამანის ამოდება აღარ მოხდება. შეიძლება რომ თავიანთი გვარისას სამანი ჩაუსვან. ბურდულების ერთ ოჯახს თვითონ ბურდულებმა სამანი ჩაუსვეს ჩემი ახალგაზრდობის დროს. შენ დროთა ბიჭმა ისივ შენ დროთა ბიჭი მოკლა, მეზობელი. ყველაფერი აუსრულდა, განადგურდა – შვილებითაც და თოონაც მოკვდა. გააძევეს აქედან, ქვეითკენ სადღაც წავიდა.

ნიში სხვა არის. სალოცავის სახელზე რო ააგებენ მას ჰქეიდ ნიში. ნიში მარტო ბატარაა, სასანოლეა. ამ ნიშზე არის ქვის ჯვრის გამოსახულება – ბატარაა, არ არის ძალიან დიდი. სახატე თახჩა არ გამიგია. სადაც სანოლეს აანთებენ, იმას (სასანოლეს) თავთავად სახელი არაფერი ჰქეიდა.

ხატის ენა არ გამიგია. ქადაგს ისევ ქართულ ენაზე ალაპარაკებს, როგორც იცის ლაპარაკი, ისე ლაპარაკობს.

### **გალიკო გაგაძე, 55 წლის ზემო მლეთა, 20. 05. 82**

ზემო მლეთაში გაგაძენი კოლექტივობის დროს გადმოვედით. აბა რა გვექნა, ხარები რომ ჩამოგვაროვეს, რით უნდა გვეხნა და გვეზიდა. სალოცავები: კვირაცხოველი და ღვთიშობელი იქ ზევით სოფელში გვყავ. აქედან წასული ხალხი გაგაძეები ცხოვრობენ შირაქში. იქიდან მოდიან სალოცავად. აქ მოდიოდნენ, აგრეთვე, ქართლის სოფელ ყანჩავეთდან. იქ ერთი უბანი ყოფილა გაგაძეების. მაგათ ერთი ქვა წაუდიათ აქედან და ყანჩავეთში სალოცავი გაუკეთებიათ.

### **მიხა ნიკოს ძე არგანაშვილი, 48 წლის, სოფელი ნაღორევი, 21. 05. 82**

მამაჩემის გადმოცემისა არის ეს ამბავი. სოფელს ეძახიან ლაკათხევს. იქ ვეოფილვართ მაშინ მაცხოვრებელი ხალხი არგანაშვილები. გაგებარა ლაკათხევის ხალხმა სეთურთაში არღნით და ეს გორი მოდის იმაზე, რახან არღნით

გაგვრეკეს – არგანაშვილები ვართ. მობრუნდა ეს ხალხი სეთურებიდან და ჩამოვდნენ ნაღვარევში. ის არ ვიცით, იქამდე რა გვარი ვიყავით. ყველაზე ადრე ნაღვარევში დასახლდნენ არგანაშვილები და ბექიშვილები. ბექიშვილები, ყველათ ეძახიან, იქიდან არიან გამოსულები.

ორჯონიგიძეში არიან ჩვენი გვარისები. ერთი კომი მისაქციელშია, მუხრანში, ზეგნაკორაშიც არის. ლაფანაანთკარს ეძახიან ზეგნაკორაში მცხოვრებლები, მანდ ლაფანაანთკარში ჩამოსახლდნენ. ეს გადასახლებულები ჩვენ ხატში მოდიან სალოცავად.

ჩვენი ხატი არის ნაღორევ წმინდა გიორგი. აქ დეკანოზი ყველა ხატებს ახსენებს: გაუმარჯოსო დიდ ლომისასაო, გაუმარჯოსო ყველაწმინდასა (დუდის), გაუმარჯოსო ბეგოთ საღვთოსო, გაუმარჯოსო ლაკათხევის საღვთოსაო, გაუმარჯოსო ნაღორევ წმინდა გიორგისაო. პირველად ნაღორევს არ ახსენებს, პირველი დიდი ლომისაა. როგორც გიოხსარი, თავიდან ეგრე დაყებიან. მემრე გაუმარჯოსო ქაშვეთსაო, გაუმარჯოსო ცეცხლიჯორსაო (ნადიბანთის თავზეა), გაუმარჯოსო წიფორის წმინდა გიორგისაო, ხმელ გორზე დაბრძანებულსო. მერე ანანურსა და მცხეთას ახსენებს. მთიულგუდამაყრის ყველა, სალოცავებსაო.

მიზეზი თუ აქვთ, გახდება აფად. ხატი მიზეზი გახდება – კურატს დაუკლავენ.

[საუბარში ჩაერია სხვა ქსნის ხეობელი სოფელი იქოთიდან, გვარად გიგაური, რომელმაც თქვა, რომ იკოთში გიგაურები ხევსურეთიდან მოგსულგართო].

ნაღორევში ადრე დეკანოზი იყო კვირტიძე. ეხლა ადარივინ იყო და, სწორე გიოხსა, ეს ჩემი ძმა დაასახელეს. სოფელმა უთხრა, ეკლესია ცარიელიაო, ხალხი მოდისო დაუნდა უპატრონოო.

### გიგოლა მიხას ძე ბექიშვილი, 77 წლის, სოფელი ნაღორევი, 22. 05. 82

აქ ადრე ანგურაანთ (ანგურიძეებს) უცხოვრიათ. მათი სახლი ქაშვეთის ქედზე ყოფილა. წყალი სათავიდან მილით ჰქონიათ მოკანილი. ეკუთვნოდა სოფელ გოგნაურს. საქონელი ყველათ მთაში ჰყოლიათ და იქიდან მილით

მოსდიოდათ რძე. წყალი რო პქნია მიღით მოკვანილი, იმ მიღში გველი შემძვრალა, გველს წყალი მოუწამლავ და ანგურანი დახოცილან. ვინც დამრჩალან, ისინი ბარში წასულან საცხოვრებლად.

ნადიბანის ტერიტორიაზე დარძულთ უცხოვრიათ. ისინი სხვებზე მძლავრობდნენ. ანგურიძეს ჯავრი მოხდენია დარძულიძებზე და გადაუწყვეტია დარძულიძეების ამოწყვეტა. თან თემისაგანაც პირი აუდია. დარძულიძეებს ძალიან დიდ ოჯახად უცხოვრიათ. ანგურიძეს დარძულიძეების მეჩრაქვე მოუსყიდნია და დაუვალებია: გაიგე, როდის იქნებიან ყველანი სახლშიო. მეჩრაქვე მოჯამაგირეს კი უთქომს: აღების დამეს იციან ყველამ სახლში მოსვლა და ქვიფობაო. ის შეპირებია, როცა ძალიან დათვრებიან და ზოგთ კიდევაც დაეძინება, გარეთ გამოვალ და ძალიან დიდად ანთებულ ჩრაქვის კონას გამოვიტან, შენ რო დაინახავ, შენსას ეცადეო. რაკი ხალხი გაჯავრებული იყო, სხვებიც იყვნენ ანგურაიძის მშველელი. მოუკიდეს დარძულიძეების სახლს ცეცხლი. მთელი ოჯახი გადამწვარა. მხოლოდ ერთი ორსული ბატარძალი ერდოში გადამტკრალა და მამის სახლში ქსნის ხეობაზე გადასულა. მი ორსულ ქალს ვაჟი შესძენია. ის ბალდი რო გაზრდილა, ძალიან მღონიარი ყოფილა. სისხლის ასაღებად წამოსულა მთიულეთს. სოფელ ბექიანში (ნაღორევში) მოსულა თავის დედიდასთან. მას უსწავლებია ანგურანთ სახლი. იმ ბიჭს ანგურაიძისათვის ისარი შიგ გულში დაუკრავ და მოუკლავ. გაუტაცნია მისი შვილდი და ისარი და ბერის წმინდა გიორგის ციხეში შესულა. ამოსდგომიან ანგურაიძის ნათესავები. იმ ბიჭს – საბრალუას (სახელია – რ. თ.) ციხიდან დაუწყია ბრძოლა. მაშინ შავვეწნია ნაღორევის წმიდა გიორგიო, რამდენსაც მომაკვლევინებ, იმდენ მამულს შამოგწირაო. შვილი მაუკლავ ანგორაიძეები. ბოლოს გამოიტყუეს საბრალუა: „გამოდი ციხიდან და შაგირიგდებით, არაფერს გიზამთო“. გამოსულა, მაგრამ ანგურიძეებმა ვერაფერი ვერ უყვეს – ბერის წმიდა გიორგის ქვა ერთი თავზე დაიდგა, თითო კი აქეთ-იქით უბეში ჩაილაგა. დაზავდნენ. ამის შემდეგ ანგურიძეები აყრილან და სადღასაც ბარში გადასახლებულან.

სოფლები არგანანი და ბექიანი შეერთებული არიან და ორივეთ ნადორევი ეწოდება.

ბედოთ, ნადიბათ, დარძულთ და ბენიათ არ შეიძლებოდა ერთმანეთში ქალები გაეთხოვებინათ; ისინი ერთნი იყვნენ, როგორც ბიძაშვილები.

**იოსებ ნინიას ძე ნადიბაიძე, 81 წლი, სოფელი ნადიბანი,  
23. 05. 82**

ჩვენს სოფელში აღრეც ნადიბაიძეები იყვნენ და ქელაც. მერე შამაერივნენ სხვადასხვა გვარი. წინათ არ უშვებდნენ სხვადასხვა გვარს. რას გაიგებ, ეხლა ხალხი ზოგი აქეთ გადადის, ზოგი იქით.

მე ასე მაქვს გაგონილი. ფშავი გაგიგონია? იქიდან გადმოსულან ნადიბაიძეების წინაპრები. მიზეზი რა იქნებოდა გადმოსახლებისა, კერ ვარ გამორკეული. სუ ფშავიდან კი არა ვართ აქა. სამი კვამია აქა, ისინი დარძულიძეები არიან, კერ გეტყვი მაგას, იქ რა გვარი იქნებოდნენ.

ცხენი ვისი სჯობს ცხენებშიო?

ნადიბაიძეს, საღარისაო.

ჩვენი სალოცავი არის მაღალის ქედია წმინდა გიორგი. ეს ერთი რათა? ნიშია აქა დაბლა-ლაშარის ნიში, ფშავიდნ რომ გადმოსულან, ეგ ნაწილი გადმოუტანიათ. ლაშარი ფშავშია და აქა კვირაცხოვლობაც იცოდნენ.

ცეცხლიჯვარია აქ, თავზეა, ნასახლარებია. გიორგობას მანდ სუჟექტა მოდიოდა. ნადიბანთ ქალი იყო, მაგალითად, გათხოვილი საღლაც. ამას ჩვენი სალოცავი მიზეზ აძლევდა და მოდიოდნენ. ცეცხლისჯვარს ადგილი ჰქონდა, მთა, მამული. მამულსა და მთას, ვინც ხმარობდა კულუსს ეძახდნენ – არაყი და ღვინო მოჰქონდათ მაგისოვის. მაგალითად, ცეცხლისჯორში დიდი სახლი იყო, მერე – კალოს ეძახდნენ და იმ სახლში ჩააყენიან ისა. ისა ხმარობდა და კულუსსაც ხდიულობდა. ღვინოს ყიდულობდნენ. ჩემი განაყარი იყო, ბიძა იყო ჩემი – ერთი ხარი მისცა მაგან კულუსისათვის. ღვინო აქ დუქნიდან გამოიტანა. ლაშარში დეკანოზები ისივ ნადიბაიძეები იყვნენ. ცეცხლისჯვარში კეკიშვილები იდგნენ; ერთი კეკიშვილი იყო თითონ დააყენა ხატმა. ცეცხლიჯვართ დიდი სახლი ჰქონდა, თემისა იყო. ხალხი

რომ მოდიოდა მლოცავი იქ ათევდა დამეს. ის კაცი, კეგო-შვილი იმიტომ იყო იქ დაყენებული, მამულს უვლიდა და კულუხს ხდიულობდა.

დარძულიძეებს ხატი არ ყოლიათ, მაგრამ რაკი ნადი-ბანში არიან, აქ ამოდიან ჩვენ სალოცავში. პირველად აქ დასახლებულან ნადიბაიძეები და დარძულიძეები ბოლოს მოსულან და ჩამდგარან.

ნადიბანი არიან დუშეთს იქითა, სოფელია, 3-4 კომლი იყო. ძველად წასულები გორშიც არიან. ერთხელ ვიყავ ლო-მისობას. საკლავი მოვიყვანე და ეხლა დეკანოზი მიცნო-ბდის მე, მეჩქარებოდა და მითხრა: მაიცა, აქ ნადიბაიძეაო. გაიგონა და გადმომეხვია. როგორ ვეძებ ნადიბაიძეებსო და გადმამეხვია. შიგ გორიდან იყო. მერე მითხრა: შენი ჭირიმე, თუ ვინმეა ნადიბაიძე, მომიყვანე კიდევ. წამოვედით და მი-ვედით, ვნახეთ. წამოვიდა მერე ის კაცი და ყოველოვის მო-დიან იმის შვილები. ლაშარშიაც იყო.

ბავშვებს გავრეკავდით უფრო წმ. გიორგში. პირველად ჩვენ ხატში უნდა გაგვერია და მერე დუდაში იცოდნენ გა-რება.

ბედოიძეები და ნადიბაიძეები ბიძაშვილები არიან. არ შეიძლება მაგათი ქალი ვითხოვოთ. ეგენი ნადიბანიაო, უბან მოსდევენ ბედონიო – სიმღერაში იტყოდნენ. ბედოიძეების ქალი არ შეგვიძლია ცოლად შევირთოთ. არც უშართ ქალი ყოფილა აქა.

არ გაუგია, რომ აქ ადგილმდებარეობას ცხვატს ემახ-დნენ.

სამანის ჩასმა იცოდნენ ხატში. რო მოუდისკე ჩხუბი, რაღაც სამანი ჩაუსვიანებე ამ ლაშარის ჯვარსა. ლაშარის ნიში ზეით არის მთაზე ტყეში. პარასკევს დეკანოზი მიდი-ოდა, შაბათს – ხალხი, იქიდან ხატს ჩამააბრძანებდნენ. იქ ზევით ხატები ვედარ ნახეს და იმაზე სამანი ჩასვეს. მოკ-ვეთა იცოდნენ, როცა ჩხუბი იცოდნენ; მაილაპარაკებდნენ და იმ კომს მოიკვეთდნენ.

დარძულიძეები რაღაცა მდიდარი ხალხი ყოფილა. ერ-თი ყველანისაკენ ნასახლარებია, იქ თავდულანი ყოფილან, დარძულები თამამობდნენ თურმე. დადიან საცა კარგი ყანის მამულებია, იმას ხნავენ, თურმე ასეა საქმე. იმაზე დიდი

ჩხუბი და ამბავი ჰქონიეროთ თავდულაანთ და დარძული-  
ძეებს. მერე მაგ დარძულთა, იმ თავდულაანთ წყალი ყავთ  
გაყვანილი კარებზე. დარძულებმა კატა დაუკლეს და წყა-  
ლში სისხლი გავიდა. იძევეს, იძევეს იმათ და გაიგეს, ვინც  
დაუკლა კატა წყალში და აღგნენ და ჩაწვეს ეს დარძულები.  
ერთი დედაკაცი დარჩომილიყო მარტო. ქსნელი ყოფილიყო  
და იქ გაქცეულიყო. იქა ყოლიყო ერთი ბიჭი. აღგნენ, იარეს,  
იარეს და ის ერთი ბიჭი და ისევ გადმოვიდნენ აქა და იმ  
ერთ ბიჭზე მოდიან დარძულიძეები.

რამდენი კომლი ვიქნებით, რა ვიციო? ცარიელი სახ-  
ლებიდა არის.

ჩვენ განაყრებს გუგულიანებს გვეძახიან. მერე კიდევ  
ადრე განაყრებს ხავსელიანებს გვეძახიან. ადრე პაპა ყოფი-  
ლა ჩემი – გუგული და იმაზე გვეძახიან გუგულიანებს. გუ-  
გულიანები კაცის სახელზე არიან. გიორგიანთ ეძახიან კი-  
დევ. მახარა ყოფილა კიდევ – მახარიანთ ეძახიან.

ერთი დიდი ოჯახი იყო და როცა გაიყარნენ, 2 კომი  
კავკავში წავიდა. მამაჩემის დროს, ისინი იქ გადასახლდნენ.

მამაჩემი, იმისი ძმა, ბიძაშვილები ერთად ცხოვრობდ-  
ნენ და მერე გაიყარნენ. მამაჩემი ცხვარში დადიოდა. გლახა  
იყო სახლის უფროსი, მოსიას ეძახდნენ კიდევ ერთსა.

კავკავში რომ არიან, აქ სალოცავად მოდიან ხოლმე.  
წინათ უფრო მოდიოდნენ, ვიდრე ეხლა.

ლაშარის ნიში ნადიბანთში: ეს არის ქვითკირისაგან  
ოთხკუთხეთი გათლივლი ქვებით ნაშენი ნიში, რომლის სი-  
მაღლე იქნება 1,70-1,80 მ. აქვს ორი თახება, ზევით და ქვევით.  
ქვევითა თახება შედარებით პატარაა. მისი ზომა იქნება 35X35  
სმ. ზევითი თახება დიდია – მისი ზომა = 50X50 სმ. ორივე  
თახება სანთელის ანთებისაგან გაშავებულია. ლაშარის ნიშს  
თავზე ადევს ფიქალი ბრტყელი ქვა, რომელზედაც ქვის  
ჯვარია, ქრისტეს გამოსახულებით. ჯვარი [ასევე] ქვისაგან  
გამოთლილ კვარცხლბეკზე დგას. ჯვარის წინ აწევია 6  
(ექვსი) პატარა ზარი. ხატს ირგვლივ შემოწყობილ-შემოღ-  
ბილი აქვს ქვის ღობე (მშრალად ნაგები), რომლის სიმაღ-  
ლეც = 70-80 სმ. დგას სამი ცოცხალი ხე, იფნი უნდა იყოს.

მთიულეთის სოფელ ჩოხელნში აქვთ ადგილის დედა და კვირია. გორის ანგელოზს ვეძახით, აგრეთვე, მანდ ამაღლებას ვლოცულობთ. სოფელში მთავარი სალოცავია გორის ანგელოზი. პირველად ბავშვის გარევა ვიცოდით ჩოხის წმინდა გიორგში. ადგილის დედა ნიშია. კვირია სოფლის ზემოთ არის, თავში. ნიშია ეგეც. ჩვენს სოფელში ეკლესია არ არის. გორის ანგელოზიც ნიშია.

**ლუარსაბ სიმონის ბე ყველაიძე, 72 წლის, სანდრო ისაგის  
ბე ყველაიძე, 54 წლის, ლადო ალექსის ბე ყველაიძე,  
50 წლის, სოფ. ყველანი, 24. 05. 82**

ყველაიძეები ვითომ მარტყოფიდან ვართო გადმოსულები. მეორე მთხობელი ამბობს, რომ მარტყოფიდან გადმოსვლა არ გამიგია. ქსანში არიან ჩვენი გვარები. პირველი ამბობს, რომ ტყავზე იყო დაწერილი, რომ ვითომ მარტყოფიდან ვიყავით წამოსული. კაცს რომ კაცს შამააკვდებოდა, გაიქცეოდა. ამ კუთხეში ადრე ნაკლებად ყოფილა ხალხი. მეორე მთხობელი: მენ ისე ვიცი, რომ ქსანზე რომ არიან ჩვენი ქალი იმათ არ ერგებათ ქსნელებს და იმითი ჩვენ.

შაბლიანები ადრე ყველაიძეები არ იყვნენ. გაბიდაურები ყოფილან დიდი ხნის წინ. პეტრიაშვილებიც ყოფილან. ფშავიდან მოსულან. აქ ეხლა თოხი (4) კომლია შაბლიან-ყველაიძეები. აქედან უწინ თელავში წასულან. თელავისაკენ რომ წასულან განა ყველაიძეებია, პეტრიაშვილებია. შაბლიანები, როცა გააკულაკებდნენ, მაშინ შემოეხიზნენ ჩვენ გვარს. ადრე ყველაიძეები არ იყვნენ. ორივე გვარს დეობენ – გაბიდაურსა და პეტრიაშვილს. თითოონ სოფელს თხოვეს, რომ თქვენ გვარზე გადმოვალოო. ეგენი გააკულაკეს და იმ მომენტში გადაიკეთეს გვარი, რომ არ გადაგვასახლონ მაინ-ცო.

ერთი საერთო სალოცავი გვაქვს ჩვენ ყველანში ყველაიძეებს. ჩვენს სალოცავს ვიტყვით წმინდა გიორგი – ეკლესიასავით არის, ნაშენებია. ნაშალია ეხლა, ადგილის დედა აშენებული, პატარა ნიშია, სასანთლეა. კვირიაც გვეაგს, ნიშია, ეკლესია იყო დაინგრა. ქვის ჯვარი წმ. გიორგიშია. თასგანი დამალულია; ჯარში დაიკარგა, ვინც დამალა. მთავარი სალოცავი ჩვენი სოფლისა წმინდა გიორგია. ახალ

წელს მოდის, ძველზე, წმინდა გიორგის დღე-ობა. წასული ხალხი მოდის შირაქიდან სალოცავად. ეს წმინდა გიორგი ბექიშვილებს ეკუთვნიდათ. ბექიანი, სოფელი, აქვე იყო, სადაც ბექიშვილები ცხოვრობდნენ, ეხლა მაგათ მანდ სასაფლაო გაიჩინეს. ბექიშვილები ნაღორევში ცხოვრობენ და მამა-პაპა სადაც უწინ ცხოვრობდა, სასაფლაოც იქ გაიკეთეს.

წმინდა გიორგში ადრე დეკანოზი შაბლიანების უნდა ყოფილიყო, ეხლა რომ ჩვენ გვარზე – ყველაიძეზე ეწერებიან. ამჟამად დეკანოზობს ჩვენი მე-3 მთხრობელი. მამა იყო დეკანოზი. სახლში ავადმყოფობა იყო და მკითხავის თქმით ეს იყო მიზეზი.

ცეცხლიჯვარში დადიოდა ჩვენი გვარი. უწინ და ეხლაც ჩვენ პატრა ბალდს მანდ ვრევთ. ლომისაში ისე ვერ წავიყვანდით ბალდს, თუ უწინ მანდ არ გავრევდით. გოგოს გარეგაც ვიცოდით და ბიჭისაც. ცეცხლიჯვარში დეკანოზობა კეკიშვილებს მოუდიოდათ. ნასახლარებია ეხლა ცეცხლიჯვართან კეკიშვილების. ცეცხლიჯვარში დასტურიც კეკიშვილი უნდა ყოფილიყო.

ჩვენი გვარისა და სოფლის გარდა, ცეცხლიჯვარში ლოცულობდნენ წიკლაურები (სოფ. მანასესული), ბექიშვილები, ნადიბაიძეები, დარძულიძეები. სუარიძე იდგა ცეცხლიჯვარში და კულუსს იხდიდა. სათემო სახლში სუარიძე სამი წელი მდგარიყო. სუარიძეების სოფელი გოგნაურია. ცეცხლიჯვარში ოგბაიძეებიც დადიოდნენ სალოცავად. მაგიოც დგებოდა დეკანოზად (ოგბაიძე). ოგბაიძე, სახელად გოგოლაური ყოფილიყო, მანდ ყოფილიყო დეკანოზად. ნადიბანში რომ ლაშარია, ადრე დეკანოზად ყოფილიყო მიტრა შაბლიანი (ყველაიძე), იმიტომ, რომ მაშინ ეგენი ყველაიძეები კი არ იყვნენ, არამედ გაბიდაურები იყვნენ. ნაღვარევიც მოდიოდა ცეცხლიჯვარში. ჩოხელ-ხარხელები არ დადიოდნენ.

ეხლა ნასოფლარია, ვალაგის ველს ეძახიან – მანდ უცხოვრიათ განგურიძეებს/სანგურიძეებს. მაგათ თიხის მილით იყო მიყვანილი, ეხლაც ამოგვიღია. 2 კმ. მანძილიდან რე მოსდენიყოთ მთიდან. 60 სმ. სიგრძის მილები იყო ერთი

მეორეში ჩაწყობილი. დარძულიძე და (გ)ანგურიძე გადაკიდებულიყვნენ ერთმანეთს. დარძულიძემ იმ მიღებში კატას მოსჭრა თავი და რქეში ჩაურივა და გადაეკიდნენ ერთმანეთს. დარძულიძემ ბევრი დახოცნა ეგენი. დარძულიძეებს ერთი ქალიდა დარჩენოდათ ორსულად. როცა ეს ბიჭი გაიზარდა, რა გვარი ვარ, საიდან ვარო. 20 წლისა რომ გაზრდილიყო, დაეტანა დედისათვის ძალა და დედას უთქვამს, საიდანაც იყო. მერე მოსულიყო ეს ბიჭი, სადაც ბერის წმინდა გიორგია, ბექიანთ სასაფლაოზე. მანდ იყო დაფარგბული და მანდ იმაღებოდა დარძულიძეების ბიჭი. ანგურიძეები ხნავდნენ იმ დროს და დარძულიძემ [ამ ბიჭმა] დახოცა ნელ-ნელა. დარძულიძემ თქვა, ღმერთო, რამდენსაც მამაკვლევინებ იმდენი დღის მამულს შეგწირავო. მაგათ ბევრი მამული ჰქონდათ. ეხოცნა. ბოლოს, როცა ეს ამბავი წავიდა, ვინცდა დარჩნენ თქვეს: ადარ შეიძლება ჩვენი აქცხოვრება და გავსახლდეთო და გასახლდნენ. იტყვიან ხოლმე, რომ აქედან ეს ანგურიძეები კახეთში წასულან. ნელად მოკვდა ერთი კაცი, აქედან სამუშაოზე ყოფილიყო კახეთში წასული და ანგურიძეების სოფელში ყოფილა და იმათ უთქვამთ: იმ ძაღლების არივ კიდევ ვინმეო? და დაუმალია ამ დარძულიძეს გვარი.

ცეცხლიჯვარს მამულები ჰქონდა. რასაც გავცემრით, სულ ხატის მამულებია. ყველას კიდევ სოფელში ჰქონდა ხატის მამული ორი დღის. კულუხს ვხდიულობდით. კულუხში შედიოდა არაყი. ცეცხლიჯვარში ქვერები დგას, შიგ ასხამდნენ. ღვინის ქვევრები ცალკედ დგას, არყისა – ცალკე. ღვინო ქვევიდან მოჰქონდათ, ვისაც მამულების კულუხი ედვა, ვისაც ცეცხლიჯვრის მამულები ჰქონდა. იყნენ ისეთებიც, რომლებიც ბარში ცხოვრობდნენ. საღოცავად რომ მიღიოდნენ, მოჰქონდათ იმათ ღვინო-კულუხი. ცეცხლიჯვარში, სადაც ნასახლარებია, ზამთრეულთას ეძახიან: სოფელი ზამთრეული. თავიდანვე კეკიშვილები ცხოვრობდნენ მანდა. ზამთრეულის გვარის, აქ მოსახლე, არავინ გაუგიათ.

დეკანოზი მთიულეთის მთელ საღოცავებს ლოცავს, საქართველოს მთელ ერს და მერე თავის კუთხეს.

ცეცხლიჯვარში სათემო სახლი იყო. ხატი სადაც არის, მანდ დედაკაცები ვერ მიდიოდნენ. დედაკაცები მარტო სათემო სახლში მიდიოდნენ. კეკიშვილები ისე იყვნენ, რომ ვალდებული იყვნენ, ჩვენ რომ მივსულიყავით სალოცავად, თითონ სახლიდან უნდა გამოსულიყვნენ და ჩვენთვის დაეთმოთ. კეკიშვილების მოელი ხიზანი ხატობის დროს ფეხზე იდგნენ. დეკანოზი ცეცხლიჯვრის შესახებ იტყოდა: „ცეცხლით მოარულოო“.

ნარიძანიდე ვანო იყო, ერთი სეფელი კაცი. ომში წავიდა და იქიდან იყო გამოპარული. ნადიბანთაში და ყავდა გათხოვილი. ვანო იმალებოდა ნადიბანთის მაღლა ცეცხლი-ჯვარში და დაი ნადიბანთიდან უზიდავდა პურს. ერთი დიდი ლოდი იყო, იქ მიჰქონდა პური. მთელი წელი მანდ იმალებოდა ხატში. დამე უცბად ცეცხლივით მოსულა და, რო დაჯდებოდა, კაცი იყო და, როგორც კაცი, ისე მელაპარაკებოდაო. და ყოველ დამე მოდიოდა (მოფრინავდაო) ეს ცეცხლის გუნდა და კაცად იქცეოდა და მელაპარაკებოდაო: წადი აქედანაო. ბოლოს მითხვაო, სადაც გინდა წადი და მე გადაგარჩხო. ეს ამბავი ჩემს დას რომ ვუთხარი ტირილი დაიწყო: ამდენ ხანს იმალებოდი და სადღა უნდა წახვიდეო. რო გაფრინდებოდა, იქვე აენთის და ცეცხლივით მიფრინავდაო. მერე ეს ვანია, ორჯონიკიძისაკენ წასულა, მოჯამაგირედ დასდგომია ვიდაცას, მარტო პურს აჭმევდნენ. ომი რომ დამთავრდა გამოჩნდა და სეფში ცხოვრობდა. ისე ალალი, ჭკვიანი კაცი იყო.

ხადის ხალხი ჩვენ გვეძახიან ცხოვატელებს, ქვეშეთის ქვემოთ ფასანაურამდე.

ცეცხლიჯვრის წმინდა გიორგიო – ეგრე იტყვიან, კი. დეკანოზიც ასე ამბობდა. და ხალხიც რომ დაილოცებოდა – ეგრე იტყოდნენ.

ცეცხლიჯვარს ზევიდან დასცექერის მთა კურკუტო. ამჟამად თოვლიანია. ბილიკებით კურკუტოზე გადასასვლელია ქსნის ხეობაში, სოფელ უკანამხარში ჩავალთ, უკანამხარში პოვლიაშვილები, ბაშარულები, ჩიტიშვილები და შიუბაშვილები არიან.

ცეცხლიჯვარში ჩვენ დროს ქსნელი სალოცავად გადმოსული არ გაგვიგია.

ოგბაიძეები, დარმულიძეები, კეკიშვილები, ნადიბაიძეები, ყველაიძეები, ბექიშვილები, რომ ლოცულობდნენ, ეგ იყო თემი (მე-3 მთხოვბლის პასუხი შეკითხვაზე, რომ ამბობთ ცეცხლიჯვარზე სათემო სალოცავს და იქვე სათემო სახლს ახსენებთ, რა იყო ეგ თემი, რა სახელი ერქვა?).

ცეცხლიჯვარში რომ მღვდელი მოსულიყო, სალოცავში დეკანოზეს უფრო პატივი პქონდა, ვიდრე მღვდელს. დეკანოზი ხატებს ახსენებდა, დაილოცებოდა, საკლავს დაკლავდა. სარწმუნოების მხარე, საერთოდ, მღვდელისი იყო.

ალექსიმ მითხვა კეკიშვილმა, საიდდანაც ვართ მოსულებიო. ეგენიც მოსულები იყვნენ, როგორც ჩვენ, მაგრამ დამავიწყდა, საიდან, არ ვიცი.

ცეცხლიჯვარში როგორ ციხე ისეთი ეკლესიაა, დიდია.

ცეცხლიჯვარში მამულები აქაც და სხვა სოფლებშიც შაწირული იყო და კულუხს იხდიდნენ. მანასეულში არიან წიკლაურები და იტყოდნენ: ცეცხლიჯვრის მამულში ვცხოვრობთო. სხვა მამული ჩვენ არა გვაქსხო. აღარ უხდიდნენ კულუხს და აგვ, ვანიას რა დღე დაადგა – 4 ბიჭი მოუკვდა, მათ შორის, ერთი დასანიშნი. კულუხის მოტანა ადრევე შაუწყვიტა. მერე მკითხავს ეთქვა, რომ ცეცხლიჯვარი ძალიან გემუქრებათ ოქვენაო, თუ არ მიხედვთ და ძველებურად არ ემსახურეთ, სულ გაგანადგურებთო.

დარმულიძეებში ნიშია სალოცავი. ადგილის დედა ჰქვია. ამაღლება იციან მანდ. დარმულიძეების სალოცავი ეგ არის. ნიშს ზევიდან ადგას ქვის ჯვარი.

ყველაიძეების სალოცავში თავიდანვე ასეთი წესი იყო. აქა ვართ ეხლა ცხრა მექომური. წელს ჩემი ახალი წელია. ძველ ახალ წელზე მოდის ეგ დღეობა. ჩემ ახალ წელს საკლავიც მე უნდა დაგადა და ყველაფერი ჩემი უნდა ყოფილიყო. ზოგი შეხვეწებულიც რომ მოდიოდა, იმათაც მოყავდათ; 4-5 ყოჩი იკვლება წელიწადში. ზოგჯერ ერთი ყოჩი იკვლის. საერთოდ, ერთი ყოჩი იკვლის. ყოჩის გარდა, სასმელი – არაყი უნდა ყოფილიყო, იმისი, ვისი ახალი წელიც არის. სუსკელა ოჯახმა ახალწელს ვიცოდით ქადა-პური, სალოცავში მიგვქონდა და ქადა-პურს მსმელზე თითო ლიტ-რა არაყს მიაყოლებენ.

უწინ ქვა ყოფილიყო ყველაიძეების ხატში. ქვა დაკიდებული იყო უღელზე. ქვა ყოჩის წონას უნდა დაეწონა. თუ არა და, უნდა დაემატებინა ხორცი, გონად ქათამი ყოფილიყო. ყოჩთან ერთად ქადისა და ხმიადის გამოტანა იცოდნენ.

ნადგარეობას ქვის გადაგდება იცოდნენ, საფლავნი ქვას ეძახდნენ. ვინც შორს გადააგდებდა ამ ქვას, არაფრით ჯილდოვდებოდა.

ყველაიძეებს ბაგშვი უნდა გაგვამგანა ჯერ ცეცხლიჯვარში, შემდეგ ღუდაში და მერე ლომისაში გამოვიდოდით. ერთი კვირა უნდებოდით. ცეცხლიჯვრობა მოდის გიორგობის თვის 10-ში ძველი სტილით.

თიანეთში არიან დარძულიძეები და აქ მოდიან სალოცავად ამაღლებას, შირაქშიც არიან დარძულები. დარძულიძეები მთიულეთის ძლიერი ხალხი ყოფილიყო, როგორც აი, ბატონი – დარძულიძეებს ცხრა მღვდელი და დიაკვანი ყოლოდათ [საკუთარი].

ფასანაურის მხარეზე, ყველიანიდან ერთი კილომეტრიც იქნება – ნასოფლარია, ბოთიანი ჰქვია. აქვე კიდევ ნასოფლარია გორთამიანი. ამ სოფლის ხალხი წასულა ქვევით, კახეთისაკენ. ცხვარიჭამიაშიც სადმე არიან აქედან წასული გორთამიანი-გორთამიშვილები.

ჯოხზე, რომლის სიმაღლე 2 მეტრი იქნება, კიდია 45 პატარა ზარი და რაღაც ნაჭრის ნაფლეთი, ახლა თეთრ-მოშავო ფერისა.

ბორცვზე ყრია ქვა (ლოდები) – დარძულიძეების ხატი. ლომისაში დეკანოზი ასე ილოცება: ღმერთო უშველე ქვეყნიერებასაო, ქვეყნიერებაში საქართველოსაო, საქართველოში მთიულეთსაო, მთიულეთში – მლეთესაო. მემრე, ვთქვათ, განსაკუთრებით დალოცავდა ჩემს შვილებს. ემსახურებიან, ყმა გაუმრავლეო, კარგად გემსახურებიან, ყმა გაუმრავლეო, უშველე, დაეხმარე, გამარჯვებულოო.

ლომისას ხატს ჭილურტში ვენახები ჰქონია.

**ტასო გიორგის ასული ბედოიძე-დარძულიძე, 82 წლის,  
ნინო ალექსის ასული ოგბაიძე-დარძულიძე, 54 წლის, განო  
გიორგის ძე დარძულიძე 50 წლის, სოფელი  
დარძულიძეები, 24. 05. 82**

მამამთილის მამა – პეტრე დარძულიძე ფშავიდან არის  
გუდით გადმოყვანილი, ლახატოდან (I მთხრობელი).

[II მთხრობელი]: ლახატოში რომ დარძულები//დარზუ-  
ლიძეები არიან, აქედან არიან წასულები. მამულები იყო იქ  
კარგი და იმიტომ წასულან. ლახატოელი დარძულიძეები  
სალოცავად აქ დაიარებიან, ლომისაში. ჩვენ სოფელში ეხ-  
ლა ხეთშაბათს ამაღლება იქნება. მოვლენ, ალბათ, თიანე-  
თიდან, შირაჟიდან.

ჩვენს ხატს ჰქვია ადგილის დედის წმინდა გიორგი.  
ამის სალოცავი მარტო ამაღლებაა. ნადიბანში ლაშარის  
ნიში რომაა, ჩვენია; იმიტომ, რომ ფშავიდან გადმოყვანილია  
ეგ. ეხლა ლაშარში დეკანოზია შოთ დარძულიძე. ცეცხლი-  
ჯვარსაც ვეყმობით. ცეცხლიჯვარში კეკიშვილები დეკანო-  
ზობენ. ბავშვი პირველად დუდასა და ლომისაში უნდა გა-  
გვერია, შემდეგ ცეცხლიჯვარში.

დარძულიძეები ცხრა კომი არისო კიდევ კახეთში, სად-  
ღაც ახმეტისაკენ.

დარძულიძეები ძირად ჭინჭარაულები ვუფლივართ,  
ხევსურები. რატომ გადმოსახლდნენ ხევსურეთიდან მათი  
წინაპრები, არ იციან.

ჩვენი მამა-პაპანი ყოფილან ცხრა (9) მღვდელ-დიაკვა-  
ნი. ისინი აღების დამეს ანგურიძეებს დაუწვიათ. აქ ანგური-  
ძეები ეხლა აღარავინაა, გადასახლდნენ. დარძულიძეები მო-  
ჯამაგირემ გაყიდა, შეატყობინა ანგურიძეს, რომ აღების და-  
მეს ერთად იქნებიან. დარძულიძის ერთი ქალი, ფეხმიმე,  
ერდოდან გადამძღვალიყო, ეს მთა გადაეარა; ქსნელი იყო  
უკანამხრიდან. იქ შობა საბრალუა. იმაზე მოვდივართ. საბ-  
რალუა როცა გაიზარდა, მივიდა და ნახა, რომ ჩვენს მა-  
მულში ანგურიძეები ხნავენ, ის საბრალუა თურმე ანგური-  
ძეებს მოჯამაგირეობით შეეპარა. ანგურიძეების უფროსს  
ეთქვა: მივიღოთ ეს ბიჭი მოჯამაგირედ, ძაღლებს მაინც აჭ-  
მევსო. მემრე ანგურიძეები მშვილდისარს აყენებენ თურმე  
და ვერ აყენებდნენ. საბრალუას უთქვია, მამაწოდეთო და

წამეუყენებინა მშვილდისარი. ანგურიძეები ხნავდნენ დარძულიძეების მამულს. მშვილდი რომ დააკენა საბარალუამ, მიაწოდეს და პირველში ის მოკლა, ვინც უფროსი იყო, გაიქცა და შევარდა ციხეში, ბერის წმინდა გიორგში. შესთხოვა საბრალუამ ბერის წმინდა გიორგის, რომ რამდენსაც მომაკლევინებ, იმდენი დღის მამულს შემოგწირავო. მოკლა შვილი (7) ანგურიძე და შვილი (7) დღის მამული შესწირა დარძულიძე საბრალუამ ბერის წმინდა გიორგის. ვინც იმ მამულს იხმარებს, ხატს უნდა უხადოს კურატი. სეფელი ებრიალიძეები უვლიდნენ ამ შეწირულ მამულს და კულუხი მოჰქონდათ. მიყორათ მირს იყო უგ მამული. ჩვენი გვარის კაცს იქ, იმ მამულში, მერე ფეხი არ უნდა დაედგა.

პოდა, იმ საბრალუაზე დარჩნენ, იმ ერთ ბალდზე, თუ ვინმე სადმე დარძულიძეა.

ცეცხლიჯვარს უქმობოდნენ: კეკიშვილები, ნადიბაიძეები, დარძულიძეები, ყველაიძეები და სალაჯურის ხალხი. ჩეცხლიჯვრის დეკანოზები ყველაზე ადრე ყველაიძეები ყოფილან. მერე კეკიშვილები დამდგარან. ცეცხლიჯვარი სათმო სალოცავია. სათმო სახლია მანდ აშენებული.

ყველანი, ნადიბანი, დარძულნი, სალაჯური, გოგნაური, მანასეული, ნაღორევი, ხარხეთნი – ეს სოფლები ერთი თემი იყო, ცეცხლიჯვრის ყმები. ეს სოფლები ცეცხლიჯვრის ყმები იყვნენ. ცეცხლიჯვარს მამულები ჰქონდა მანასეულებში. ერთი კაცი იყო, წიკლაური ვანო. იმან გადააგდო იმისი კულუხი. ცეცხლიჯვრის მამულში იდგა ის. 5 ბიჭი მოუკადა, სულ ახალგაზრდები, 20-25 წლამდე. წავიდა მერე მოენესთან. მოენემ ულაპარაკა: შენ ცეცხლიჯვრის მამულები გქონია და კულუხი აღარ გიხდიაო. 5 ბიჭისა დარჩა ორი შვილიშვილი. ეს ზარალი იმის ბრალიაო. ამის შემდეგ ამ კაცის, ვანო წიკლაურის შვილიშვილები, ახალგაზრდა ბიჭუბი, ემსახურებიან ცეცხლიჯვარს.

ცეცხლიჯვარი, თუ იმის მწამებელია, მლოცავთა ცეცხლს აძლევს და ცეცხლსაც გააქრობს და გადაარჩენს ცეცხლიძან. ჩემი ტარიელი 3-4-ჯერ გადარჩა ცეცხლისაგან, სვარგაზე მუშაობს. შარშან შემეხვეწა, შეუთქვით რამეო, ცეცხლი მეტანება ძალიანაო.

ცეცხლიჯვარი ვნახე სიზმარში. ეგრე დადის, როგორც  
სიზმარში.

ნადიბანში მთავარი ლაშარი არის ზევით, გორზე, ტექ-  
ში. სოფელში რომაა, ეგ ნიშია. საბრძანისი აქს იქა. ერთ  
საკლავს დაკლავენ, დამეს გაუთევენ, მეორე დღეს გამო-  
აბრძანებენ და ორშაბათ საღამოზე აქ იქნება ბევრი ხალხი.  
შაბათს ზევით მიდიან და კვირეს აქ არის ლაშრობა. ადრე,  
ზევით ლაშარში, ხუთშაბათს საღამოს მივდიოდით. დეკანო-  
ზები არაგვში დაიბანებოდნენ. ხუთშაბათს წავიდოდნენ და  
კვირამდე იქ იყვნენ. ცეცხლიჯვარი ცეცხლით დადის, შენმა  
სიცოცხლემ, დაფრინავს. სიზმარში კიდევ ლურჯ ცხენზე  
ზის, ისე ეწვენება.

**შიო ვანოს ძე ქავთარაძე, 50 წლის, სოფ. წიფორი,  
25. 05. 82**

ქავთარაძეების კომობა: ბერიანი, ქავთარიანი, თანდი-  
ლიანი, თამაზიანი. წიფორში ქავთარაძეების გარდა მოსახ-  
ლეობენ: პატაშურები და ბენიანიძეები. აქაური პატაშურები  
შირაქში გადასახლდნენ, 10 წელი იქნება. პატაშურების სო-  
ფელი საერთოდ არის ხევშა. ბენიაძეების მოსვლა წიფორში  
ხადიდან პაპაჩემსაც არ ახსოვს.

ჩვენი სალოცავია წიფორის წმინდა გიორგი. გზოვანის  
წმინდა გიორგის ევგახით კიდევ, მაღლა მთაზეა. აქ წიფო-  
რის გარდა მიდიოდნენ სალოცავად ქავთარანი და პაპიანი.  
გუდამაყრიდან ამოდის კიდევ ბახანის მოსახლეობა. ბახან-  
ში პატაშურები და ქავთარაძეები არიან. გზოვანის წმინდა  
გიორგი პატარა უბრალო ნიშია. ეკლესია არ არის. ეგ უფ-  
რო ლომისას ნიშია. მანდ აღრე ლომისა ყოფილიყო, – ასე  
ამბობენ. გზოვანის წმინდა გიორგის ქვის ჯვარი არა აქს  
ზევიდან, მარტო სასანთლე აქს. გზოვანში დეკანოზი ქავ-  
თარაძე უნდა ყოფილიყო. წიფორშიც ქავთარაძე იყო დეკა-  
ნოზი. მაგ სალოცავებს ცალ-ცალკე თავისი სალოცავი ყავ-  
და.

ბარიდან რას არ მოდიოდა წიფორში, ჩვენს სალოცა-  
ვში, ხალხი. წიფორის წმინდა გიორგში დიდი ქვევრებია  
ჩაყრილი. 10 ცალი იქნება. ზოგი დაიმტვრა, მიწამ დაფარა.

კახეთიდან კულტები მოჰქონდათ. ჩემს ხსოვნაში აღარ მოუტანიათ. ადრე მოჰქონდათ ოურმე. კახეთში ჩვენს ხატს მაჟლი ჰქონია.

წიფორში ჯვარია, წიფორის წმინდა გიორგის ქვის ჯვარი, ეგ ნიშია, წმინდა გიორგისა, ხევშელების შაწირულია.

რაც სახნაურები იყო, ამის პური ხალხს არ ყოფნიდა. წავიდოდნენ და ოჯახნიკიძიდან მოჰქონდათ. პურს ზოგი ყიდულობდა, ზოგი არა. მამული რომ განაწილდებოდა, მმებზე იყოფოდა, როცა ოჯახი გაიყრებოდა და სხვა დროს ოჯახებზე იყოფოდა. როცა ოჯახი იყრებოდა, მიწა მმებზე თანაბრად ნაწილდებოდა. მშობლებს სამარხოს (ძროხას, ცხვარს-ცორას) აძლევდნენ. რომელ შვილთანაც იქნებოდა, იმასთან ექნებოდა ეს სამარხო.

გზოვანის წმინდა გიორგის წვერის ანგელოზსაც უქანიან. წიფორის ხატში დეკანოზობა კედელაშვილებსაც მოუდიოდათ.

ბენიაძე ხადიდან იმიტომ მოსულა, რომ მოჯამაგირედ ყოფილა ჩვენთან და აქვე ჩასიძებულა იმ ოჯახში.

ამანათი არის, რომ ჩაბარებ რამეს.

წიფორში, ჩვენთან, იცის შემოდგომის გიორგობა და აღდგომა.

მნათე ყველა გვარიდან დგებოდა. ერთი ზეით სოფლიდან, ერთიც ქვეით სოფლიდან. მნათე აღდგომას იცვლებოდა.

ხატს მამულები ჰქონდა. ვეძახდით „ბაურს“ და „ხოდაბუნს“. არა, ხატის სახნავ მიწაზე ხოდაბუნს არ ვიტყოდით. ხატის მიწიდან კულტები მიგვჰონდა. ეხლა, რაკი აღარ ვხნავთ, აღარც კულტები მიგვაქვს. ხატს დიდი მამული არა ჰქონდა, ერთი-ორი დღის სახნავი. აქ ბევრი მამულები არ იყო. ყამირი მიწები ხატს არ ჰქონდა. ყამირად ვინ დააგდებდა. ხალხს არყოფნიდა მამულები.

დეკანოზი სიკვდილამდე უნდა ყოფილიყო დეკანოზად. ზოგმა ოქვის, ხატი მდებს ხელსაო და დგებოდა დეკანოზად. თეთრწვერა კაცი ცხენზე მჯდომარედ ესიზმრებოდა და ხელს დებდა.

ველთაურები დუშეთიდან სალოცავად მოდიან წიფორის წმინდა გიორგში.

**სიმონ ბერისძე ქავთარაძე, 65 წლის, სოფ. წიფორი,  
25. 05. 82**

ქვემო წიფორს უიუიანს ეძახიან, ზეითს – წიფორი. უიუიანში ქავთარაძეები ცხოვრობენ. ზემოთ არიან: ბენიაძე, პატაშური და კედელაშვილი. აქა და ზეით სოფელში 24 კომლი ქავთარაძე ვიყავით (ომის დორს). ჩემ ბალლობას უფრო მეტი ქავთარაძე ვიყავით. 24 კომლიდან 13 კომლი ქავთარაძე იყო, კედელაშვილები იყვნენ – 5 კომლი, პატაშურები – 2 კომლი და ბენიაძე – 4 კომლი.

ქავთარაძეების მოსულობის შესახებ არავითარი გადმოცემა არ არის. ხორხში არიან აქვდან წასულები, უიუიაშვილებად იწერებიან. კედელაშვილები გოგნაურიდან არიან გამოსულები, პატაშურები კი ხევშიდან.

წიფორის წმინდა გიორგში დეპანოზობდა კედელაშვილი გოგნაურთიდან და გადმოვიდა აქ საცხოვრებლად.

წიფორის წმინდა გიორგი თათრებიდან არის მოტანილი. წიფორში სალოცავად მოდიან შირაქიდან, ხორხიდან, წეროვნიდან, საგურამოდან, მუხათგერდიდან. გადასახლებული ხალხი, ვინც ნარეკვავის ზემოთ ცხოვრობს, მნათეობენ ჩვენს სალოცავში.

წიფორში სალოცავად უქმონი არ მოდიან, მხოლოდ ყმები მოდიან. მთიულეთში, სადაც ქავთარაძეები მოსახლეობენ, ის სოფლები მოდიან სალოცავად. გოგნაურიდან აქ მოდიან კედელაშვილები. გოგნაურშიც აქვთ კედელაშვილებს კვირაცხოველი. კედელაშვილებიც ყმანი არიან წიფორის წმინდა გიორგისა. კედელაშვილები მნათეებად არ დგებიან. ომის შემდეგ გადასახლებული ქავთარაძეები მნათეობენ წმინდა გიორგში. ადრე გადასახლებულები არ მნათეობენ. ვინც ომის შემდეგ გადასახლდა, ისინი მნათეობენ.

ბიბლიანებიც წიფორის ყმები არიან.

კულუხი მოპქონდათ – ერთი ხბო, ქადა, ხმიადი. არაუი მოპქონდათ 6 თუნგი (თუნგში 4 ლიტრა ჩადის). ეს ადგგომის მეორე დღეს მოპქონდათ. ხევშიდან არიან გადასახლებული ეგ ბიბილაშვილები, მაგათ იქაური მამულები ეჭირათ. ხევშიდან ვართ ქავთარაძეები გამოსული. იმ ადგილებს ხევშაში წიფორელთა ადგილს ეძახიან. აქვე ახლოს არის,

მკერვლიანს ეძახიან – მკერვალიძეები მოსახლეობენ. აქედან რომ წავიდნენ ბიბილაშვილები, მერეც ხმარობდნენ მაგ ადგილებს და იმიტომ იხდიდნენ კულუსებს. მკერვალიძეების სოფელთან ახლოსაა ბარათაშვილები. ჩვენ მთაში მათ კოდალაურის სათიბი და მთა „გლუა“ ჰქონდათ და ამიტომ ბარათაშვილებსაც მოჰქონდათ კულუხი. მე არ მოგვსწრებივარ. ჩემობას არ მოგვიტანია. ადრე მოჰქონდათ.

### **ალექსი საბას ბე მამულადიძე, 76 წლის. სოფ. ჟოვონი (სონჩოს ხეობა), 26. 05. 82**

ესაა სონჩოს ხეობა. სონჩო (სოფელი) გადაღმა იყო, დაინახავდით. სულ გადასახლდნენ ნარიმანიძეები სონჩოდან ზოგი დუშეთში, ზოგი ფასანაურში. ასპინძაშიც ხომ გადაგვასახლეს ომის შემდეგ. ომიდან არ ვიყავი ჩამოსული, რომ ცოლ-შვილი წაესხათ ასპინძაში. მერე ვერ გაძლეს იქ დავაადმყოფდნენ. უგან გადმოვსახლდით. არ გვიშვებდნენ კია. ასპინძიდან ორჯერ მოგვიხდნენ მილიცია და რაიკომის მდივანი.

ჩვენ ჟოვონი ვართ.

სონჩოში მარტო ნარიმანიძეები იყვნენ. ხატი ჰქონდათ კვირაცხოველი. ჟოვონში მარტო მამულადიძეები ვართ. ქვევით არიან ნარიმანიძეები, მაგრამ გამოსული არიან მამაპაპიო სონჩოდან.

მამულადიძეების სალოცავი ხატია კვირაცხოველი. კვირაცხოველში დეკანოზი თეთრაძე უნდა ყოფილიყო. ჩემ ბალდობას ჟოვონში სამი კომი თეთრაძე იყო. თეთრაძეები აქედან წავიდნენ. ზოგი ასპინძაში, ზოგი – შირაქში. ეგენი ყოფილან ხევსურები. შარი მოხდენიათ იქ, კაცი მოუკლავთ. აქ არ მოუშვიათ და ველისაურში (ადგილის სახელია) დასახლებულან. მერე უზივლიათ მთავრობაში, ბატონობის დროს. და ბატონს ისინი – თეთრაძეები აქ გადმოუსახლებია და ჟოვონში დაუსახლებია. თეთრაძეები სამი კომი იყო, მეტი არა.

კვირაცხოველში ჩვენიც ყოფილიყო დეკანოზი. ერთი ბერიკაცი იყვის, შალის ახალოზი და შარვალი ეცვა თეთრი, მკითხავიდან გადაუტანია დეკანოზობა თეთრაძეზე.

ადრე დეკანოზი მამულაიძე ყოფლა. თავად ბიძაჩემი გოფილა დეკანოზი, მაგრამ რომ მოხუცდა, ორჯონიკიძეში გადასახლდა, 15 წლის ვიუავი მაშინ.

ქვევით ხეობაზე უშარი, უშარიძეები ცხოვრობდნენ. 5 კომი იყო ჩემ ბალდობას უშარიძე. გაღმა ყავდათ უშარიძეებს ხატი.

სოფელ სონჩოში არის ვილიას ანუ წმიდა გიორგის, კვირაცხოვლის და მთავარანგელოზის მამულები. სონჩოელ ნარიმანიძეს ქოქონელი მოუკლავს; ეს მკვლელი მლეთეში გადასახლებულა, ნაზღაიძედ დაწერილა და მოკლელი ქოქონელის სისხლი მიწით გადაუხდია – ხუთი დღის სახნავი მამული ხატისათვის შეუწირავს. აქ სონჩოელები და ქოქონელები ილიას ვლოცულობთ. ვიცით ვილიაობის დღესასწაული. ვილიაობის დილით სახამ ხალხი სალოცავად ავიდოდა, მწყემსები არეპავდნენ პირუბეჭებს და ეკლესიის გალავნის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ, იმიტომ, რომ სალოცავი ვილია ფურების მშველელი, მწყალობელი და ბევრი რძის მომცემი ყოფილიყო. გალავნის ირგვლივ 20-30 მეტრის დაშორებით სამნები ეტყობა. მიწაში ეს სამნები იმიტომ იყო ჩასმული, რომ თუ პირუბეჭვი ეგლესიის გალავნის ირგვლივ შემოტარების დროს იმ სამნის გარეთ გავიდოდა, იმ ზაფხულს ის აუცილებლად კლდეზე გადაიჩუნებოდა. გალავნის ირგვლივ სამჯერ შემოტარების დროს ყველა ძროხას კუდის პატარ-პატარა წვერს მოაჭრიდნენ და ამ ბეჭებს გალავნის კედელში ინახავდნენ. ამის შემდეგ ყველა ოჯახის ბავშვი ერთი-ორ სანთელს აანთის და შეეხვეწის ვილიას, ორ-სამ სამწყალობნოს, პატარა ქადისკვერებს გასერის და დაზოქილი სანთელს მიაწების კედელს.

## ლადო გიგოლის ბე მამულაიძე, 64 წლის, სოფ. ქოქონი, 25. 05. 82

თეთრაძეები ყოფილან ხევსურეთში, ართხმო ჰქვია მაგათ სოფელს. მაგ თეთრანთას წინაპარს თავისი მეზობელი მოუკლავს და გამოქცეულან და მერე ნარიმანიძეს მოუკვანია და ხატის წინ დაუსახლებია.

მამულაიძეები მოსულები ვართ საიდანდაც, რომელი-ლაც რაიონიდან, იმერეთიდან. ჩვენს ვიდაცას რაღაც მოხ-ლომია და გამოქცეულა და ნარიმანიძეებს დაუსახლებია ჩვენები აქა. ჟოუნში მკიდრი გვარი ნარიმანიძე ყოფილა და მამულაიძეები მერე მოსულან.

ოჯახის მეზობელი, ახალგაზრდა ქალი ქეთო მამულა-იძე ამბობს, რომ ჩვენი ძველი გვარი, მამულაიძეების, ყო-ფილა გოგოლაური, ფშავიდან, და აქ რომ ბევრი მამულები პქონიათ გადმოსახლების შემდეგ, მემრე დაწერილან მამუ-ლაიძეებად, პაპისაგან მაქვს გაგონილი.

ჩვენს ხატს კვირაცხოველს პქონდა ხატის მამულები. ეს მამულები ვიდაცას მიცემული პქონდა და ის კაცი ამუ-შავებს, ვანო ამუშავებდა, იმას (აღგილს) სრელი ერქვა და ხატობაში კულუხს ვეძახდით, ის მოჰქონდა (ქობი არაყი).

რაც მთავარი მამულებია, აქ სულ ნარიმანიძეების იყო. მამულაიძეებს მამულებად ნაპირები გვქონდა, ცოტა ადგი-ლები.

აქედან მამულაიძეები ადრე წასულან მანგლისში, ისი-ნი მამულაძეებად იწერებიან. მამულაიძეები ნელად წასუ-ლები არიან ასპინძაში.

ჭალაში არის ეკლესია ყველაწმინდა და მანდ უნდა გაგვერია ბავშვი. ბიჭიც უნდა გაგვერია და გოგოც. ბიჭი თუ გეყოლებოდა, მიხვიდოდი, ერთ ბატქანს წაიყვანდი და გარევდი. ორი ბიჭი რომ გეყოლოდა, ორ ბატქანს წაიყვანდი, ბავშვებს გარევდი. გოგოს გარევაზე ყველაწმინდაში ბატ-ქანს წაიყვანდით. გოგოების გარევაც ვიცოდით, მაგრამ ბატქანს არ დაკლავდით. ყველაწმინდაში რომ წავლენ და გარევენ, მერე ლომისაში უნდა გარიონ. თუ სულდგმული (ყოჩი) გეყოლებოდა, ამას წაიყვანდი და ლომისაში დაკლა-ვდი. ყველაწმინდაში დეკანოზი იყო ქარჩაიძე. ყველაწმინდა ქარჩაიძეებს, ლაკათხევს ეკუთვნის და ჩვენც მაგათ ვეკუთ-გნით. ყველაწმინდა უშარიძეებს უშენებიათ.

მოსულან ლეკები. მანდ ნასახლარია, თათარანთ ნასა-ხლარებია (თათარი ნარიმანიძეები იყვნენ). იქ მისულან ლეკები. პოდა, მანდ ყოფილან სამუშაოდ წასულები თათა-რაანთ ბიჭები. მთაში, თუ სადმე იქნებოდნენ. სამუშაოდან

რომ მოსულან ოჯახის კაცები, სახლში ყოფილან დედაკაცი და ბავშვი და ესენი ლეკებს წაუყვანიათ. ვიღაცას შეუტყობინებია, რომ თქვენი ოჯახობა წაიყვანეს ლეკებმა. მეტრე, წამოსულან ეს ბიჭები და დასწევიან ლეკებს ყველაზინდას ეკლესიასთან. ღმერთო, საღაც დაგვწევ ჩვენ მტკრსაო, შენ საბრძანისს იქ ავაშენებთო. დასწევიან იქ და აუშენებიათ ყველაწმინდის ეკლესია. უშარიძეების აშენებულიაო და ვეღარ გამიგია, თათარნი სონჩოდან იყვნენ ნარიმანიძები. უშარიძეები იქ იმარხებიან, ყველაწმინდას. ყველაწმინდაში ბავშვს რევენ სონჩო, ჟოჟონი, ლაკათხევი, სეფე და გვიდაქლები. ასე გამიგონია, თითქოს ბედონიც, არც კარგად გამიგონია. ლაკათხევლებს ყველაწმინდაში არაყი და საკლავი რიგით მოჰკონდათ. კვირაცხოველში ჩვენ ასე ვიციოთ, ამ წელს მე დავკლავ საკლავს. თითო კომლზე მივდევთ, მეორე წელს – მეორე კომლი და ა.შ. მოვამთავრებთ და მერე ახლიდან დავიწყებთ. სონჩოვლებს თავისთვის პქნდათ. ზევით, თავში ვინც ცხოვრობდა, იქიდან დავიწყებდით. ჯერ ის დაკლავდა, მერე ბოლოში ჩავიდოდით და ახლა ახლიდან დავიწყებდით.

კვირაცხოვლობა ადრე ვიცოდით ადდგომის სწორზე. აქედან მერე ორი კილო ერბოსაგან ქადა უნდა გაბგებეთებინა და აიკიდონ ქალებმა. დიდი ქადა გამოდიოდა. კვცებში ვაცხობდით და ერთ დიდ ქადას და ხმიადს ხურჯინში ჩააწყობდნენ და ისე აიტანდნენ, რომ არ დამტვრეულიყო და დეკანოზზი დასერავდა, დაამტყალობნებდა ყველას და...

ქადა და ხმიადი ხატში ყველა ოჯახს უნდა მიეტანა.

პარასკევს და ორშაბათს უნდა ეუქმაო, რომ სეტყვა არ მოსულიყო.

ჩვენ „დერანიანი“ ვართ. არიან კიდევ „გოგიანი“, „ბიანი“. სამი კომის სახელი გვაქვს მამულაიძეებს.

უშარნი პირველად აქ ყოფილან ჟოჟონში და მერე გადასულან ქვევით.

სოფელში ერთმანეთში ნათლიაობა გვქონდა და ქალს არ ვათხოვებდით. უშარიძეებთან არ შეიძლებოდა ქალის გათხოვება. სონჩოს ვათხოვებდით და ვთხოულობდით ქალს, მაგრამ აქ რომ ნარიმანიძეები იყვნენ, ჩვენს სოფელში, იმათთან არ შეიძლებოდა.

## **განო მამულაიძე:**

ჩვენზედ უთქვიათ ისე, რომ მე ბიძა მყავდა და მას პქონდა გადმოცემა, რომ ჩვენ, მამულაიძეები ვართ კახეთი-დანო. ლეკიანობის დროს მოსულან. აქ პირველ რიგში და-სახლებული ყოფილა ნარიმანიძე. ჩვენი წინაპრები, ლეკები რომ ესხმოდნენ, მთას ეტანებოდნენ.

ვინც აქ მოსულა, იმას მამულა ჰქვივნებია და იმის სახელზე მოვდივართ.

თეთრაძის წინაპარი ხევსურეთიდან ყოფილა გამოქ-ცეული, კაც-მკვლელობაზე. გაღმა მდგარა ის კაცი და „თე-თრანთ ნასახლარებს“ ვეძახით. შემდეგ დასახლებულან ჩვენს სოფელში.

ციმბირის წყლულს აქ ჭუჭუნას ეძახიან, ერთ დღე-დამეში ათავებს ადამიანს.

ხატში სამანი გგაქს ჩასმული; ჩაუსვეს სოფლის მა-ბეზღარ კაცს, გაბუდაყებულს. სოფლის პირგამტები იყო. შეწყველილიყითაა. საკლავს გკლავთ რიგით და იმ სამანზე უნდა მოვაჭრათ თავი. სოფელში დღეობა ორჯერ ვიცოდით – კვირაცხოვლობა და პეტრე-პავლობა.

უშარიძეები გვედავებოდნენ ჟოჟონის ადგილს, მთა-თხილოვანს, ჩვენიაო ეგ მთაო. აქაურმა ვიდაცამ უმოწმა და მაინც არ ჩაუდგეს ის წილი და იმ კაცს ჩაუსვეს სამანი და, როგორც სოფლის პირის გამტებს. სამანის ამოდება ერთე-ულისაგან არ შეიძლება. ისივ ხალხს შეუძლია ამოდება. თუ მოითხოვს ამოდებას, მაშინ დიდი საკლავით უნდა მო-ვიდეს. მას თოქს გამოაბამენ, ხარით გაწევენ და ისევ სო-ფელი ამოიდებს.

ლაკათხევი, სონჩო, ჟოჟონი, სეფე – ერთი ხატის ყმანი ვიყავით. ყველაწმინდას იქ უნდა გარეულიყო ბიჭი, ბატბანი უნდა დაეკლათ. ხალარჯობას უნდა იქნას ეს დღეობა, ყვე-ლაწმინდაში, ლომისას წინ მოდის.

[ლადო მამულაიძე იმიტომ ამბობს იმერლობას, რომ ძალისში ვინმე ფხავაძეს უთქვამს: თქვენი გვარის ხალხი იმერეთშიაო].

ვანოს მამას ერქვა ბიჭია, ბიჭიას მამას – შოო, შოოს მამას – ადამი, ადამის მამას – გოგია, გოგიას მამას – მამულა.

ფასანაურელი არჩილ აბულაძის თქმით, აბულაძეების ადრინდელი გვარია არაბული. ხევსურეთიდან მათი წინაპარი მესისხლეობის გამო გადმოსახლებულა მისივე გადმოცებით გუდამაყრის სოფელ ათნოხში მოსახლე წიკლაურები ადრე თამნიაურები ყოფილან. ჩემი დედა იყო თამნიაურიო. დედისძმიშვილი გვარის გადაკეთებას აპირებსო, უფრო სწორედ თავის ადრინდელ გვარს – თამნიაურს უნდა დაუბრუნდესო.

**ლიზა მოსეს ასული ბუჩუკური, 67 წლის, სოფ. ქვეშეთი,  
27. 05. 82**

ჩვენს სოფელს, სადაც ვცხოვობთ, ადრე ქიმბარიანი ერქვა. ეხლა ქვეშეთი დაარქვეს. ბუჩუკურების გვარი ძირითადად ხევსურეთიდან არის წამოსული. პირველად გვიდაქეში დასახლებულან ჩვენი წინაპრები. ხევსურეთში დადიოდნენ სალოცავად. გოგოჭურები რომ არიან, ეს გოგოჭურები უშუალოდ ჩვენ ვართ. ბუჩუკურები გოგოჭურებიდან მოდიან. აქედან წასულა ბუჩუკური სოფ. ლაგაზიანიდან (იგივე ქიმბარიანიდან) დუშეთის მხარეზე და სამი ვაჟი ყოლია და სამივეს სახელი გვარად გადაუკეთებია. ლაგაზას შვილები ლაგაზაშვილად დაწერილან, დარიბას შვილები – დარიბაშვილად, ნინიას შვილები – ინაშვილებად. სამივე ეს გვარი ძირითადად ბუჩუკურებია.

ტონჩელი შალიგაშვილები ბუჩუკურები არიან ძირად. ტონჩელი მათიაშვილებიც ძირად ბუჩუკურები არიან. ხანდისხან მამის სახელზე გადაჯიშდებიან ხოლმე. გრემისხევში რომ არიან ბუჩუნტლიანი, ეგენიც ბუჩუკურები არიან ძირად.

გვიდაქეში ქვეით სოფლებიდანაც მოდიან, ბარიდანაც. აი, გვარები რომ გითხარით, ისინი მოდიოდნენ.

ქაშვეთის სალოცავთან, გვიდაქეში ქვევრებიც არის. ქალებს არ უშვებენ აქ ახლოს (სალოცავთან).

ჩვენს სოფელში ხატის მიწაა. გლეხები, რომ ხმარობდნენ ხატის მიწას, სამაგიეროდ კულუხი არაყი უნდა მიეგზანა.

## **სოფიო სიმონის ასული ბუჩქური:**

„კარგ ყმას ნე შურობ სოფელო,  
კარგი ყმა კაი ფარია,  
იქიდან მოგეფარება,  
საიდან დიდი ქარია“.

სადას სოფელ მუღურეში 7 კომი ვართ წამალაიძეები: „მახარობლიანი“, „შეთიანი“, „გლახანი“, „ბიანი“, „ავწიანი“... „ყატყვიანი“ – ზაქაიძეები არიან. პირველად მუღურეში წამალაიძეები ყოფილან. მერე გადმოსულან ზაქაიძეები. ზაქაიძეები წკერესაც არიან.

მუღურეში გვაქვს წმინდა გიორგი, კვირაცხოველი, ყველაწმინდა, ადგილის დედა. ყველა სოფელს თავთავისი სალოცავი ყავდა. ადგილის დედას პირადად არ ყავდა დეკანოზი. ბავშვი და რძალი ყველაწმინდაში უნდა გაგვერია.

ერთი ხნიერი დედაკაცის თქმით, მურლულები ფშავი-დან ვყოფილვართ მოსულიო. მეორე ახალგაზრდა ქალის განცხადებით კი, მამამთლისაგან გამიგონიაო, რომ მურლულები სამეგრელოდან ვყოფილვართ მოსულიო.

**გიორგი ალექსის ძე ზაქაიძე, 55 წლის, ვალერიან**

**გიორგის ძე ზაქაიძე, 54 წლის, სოფ. ზაქათი**

**(დიდგველი, ანუ გამოღმა ხადა), 30. 05. 82**

ციხეში (კოშკში) სოფ. ზაქათში არის სალოცავი კვირაცხოველი – ვერცხლის დიდი ჯვარი. შიგ სოფელში, იქ სადაცაა სოფლის სასაფლაო არის წმინდა გიორგის ეკლესია. ეკლესიასთან ახლოს ქვის მშრალი წყობის შემაღლებაა, რაზედაც ქვის ჯვარია დადებული.

ხადაში მიღელაური აღარავნია.

კვირაცხოვლისა და წმინდა გიორგი დეკანოზი იყო ზაქაიძე. სამებაც ზაქათისაა. ამ სამიდან მთავარი სალოცავია წმ. გიორგი. ბავშვის და რძლის გარევა ვიცოდით წმინდა გიორგში. ხადიჯვარშიც დავდიოდით სალოცავად. ხადიჯვარშიც დეკანოზი ზაქაიძე იყო. წკერეშიც სულ ზაქაიძეებია.

წკერეში ჯერმიზაშვილები და მაგანაშვილები არიან. მაგათ გვარი აქვთ ზაქაიძეზე გადაკეთებული. არის ასეთი

გადმოცემა, ვითომ ჩვენს წინაპარს გველეთში (ყაზბეგისა-კენ) უცხოვრია; ზაგაშვილი მოკლეს და მას ორი ტყუპი ბავშვი დარჩა. ეს ვაჟები, რომ გაიზარდნენ, გააგებინეს, თქვენ მამის სისხლი არ აგიღიათო და დედას ძალა და-ატანეს, ეთქვა, ვინ მოკლა მათი მამა. ათქმევინეს – ქისტების მოკლული იყო. ქისტებს იმ დროს ქორწილი ჰქონიათ. ორი-ვე მმამ მოილაპარაკა. უმცროსი შევიდა ქორწილში, ვითომ სტუმარი იყო და გაგაგებინებ, როდის უნდა შემოხვიდეო, მაგრამ ერთი მოხუცებული ქისტი არ იძინებდა. ამ უმცრო-სმა მმამ თქვა, მე რომ გარეთ გავიდე, მმას გავაგებინო, ეს ბერიკაცი გამიგებს და ყველას გააღვიძებსო. ადგა და ჯერ ბერიკაცი მოკლა, მერე დანარჩენი ყველა. უმცროსმა მმამ მარტომ დახოცა ყველა. უფროსმა მმამ ეს რომ გაიგო, გა-უწყრა და უთხრა რატომ არ გამაგებინეო? შენ დახოცე და კაცად მე არ ჩამაგდეო. უფროსი მმა გამოვეკიდა... და მერე რომელმაც დახოცა, ის წამოვიდა და დასახლდა აქა დიდ-ველში და მერე იქიდან აქ ამოსახლდნენ. წყალი არ ყოფი-ლა იქა.

ამანათი იქნებოდა სხვაგნიდან მოსული, აბა, რა იქნე-ბოდა. მაგრამ დამხვდეური თუ არ იქნებოდა, ამანათი როგორ იქნებოდა? ის კაცი, ჩვენი წინაპარი, ჯაჭვის პერანგით მო-სულა ხევიდან და აქ გაუხდიათ ხელოსნებს, რომლებიც ციხეებს აშენებდნენ. ხელოსნებს უთქვამთ მისთვის, ქვა მო-გვაწოდეო და, როცა ეხმარებოდა ჩოხის კალთები აიწია და დაუნახეს ჯაჭვის პერანგი და უთხრეს, სანამ არ შესწირავ, არ აშენდებაო (ციხე) და შესწირა კიდევ.

ხევში რომ ზაგაშვილები არიან, ჩვენი ბიძაშვილები არიან. ერთიმეორეს მიყვებოდნენ ზაქაიძეები და ზაგაშვი-ლები, ძალიან პატივს სცემდნენ. ეხლა ზაგაშვილები ხევის სოფელ ცდოში ცხოვრობენ, მაშინ გველეთში მდგარან.

ხადაში შარმიანებია სოფელი. ეგენი სინამდვილეში ზაქაიძეები არიან. შარმიანებიდან წითელწყაროში გადასა-ხლებულები, ზაქაიძედ იწერებიან. მაგათ აქვთ საკუთარი სალოცავი ცეცხლისჯვარი. დიდი კოშკი რომ ჩანს მაღლა, ისაა ცეცხლისჯვარი.

ბავშვები ღუდაშიც გაგვავდა გასარევად – ეგ საერ-ოოდ მთელი მთიულეთის იყო. ჩემს ხსომაში ჩვენთან ორი

მამიშვილობიდან იყო დეკანოზად, მაგრამ ასე ყველა მამიშვილობიდან ყოფილა. ზაქაიძეების მამიშვილობებია: როსებიანი, ბუჭრანი, ციხისოთავიანი, გურგენიანი, მახარობლიანი, გივიანი. სხვა გვარს ჩვენს სოფელში არც როდის არ უცხოვრია.

სახნაური მიწები საქმარისი ჰქონდათ. ყოფნიდათ.

წმინდა გიორგის შეწირული მამულები აქვს: „ნაწინდარი“, „გორის უკან“. წმ. გიორგის ჩემ მოსწრებაში 7-8 დღიური სახნავი ჰქონდა.

სატის მამული პიროვნებაზე იყო გაპიროვნებული. დღეობაში უნდა დაეკლა მამალი და მოქმარებინა ხატის დღეობისათვის. კვირაცხოველსაც ჰქონია გადმა მამულები. კვირაცხოველი სადაცა, იმ ადგილას ნამოუთკარს ეტყვიან. ციხეში კვირაცხოვლის ხატი შეუბრძანებია ჩვენ წინაპარს.

წკერეში რომ ზაქაიძეები არიან, ისინი ჩვენს სალოცავში არ დადიან. წკერეში ძირად ზაქაიძეებიც არიან. წკერეში ძირად ზაქაიძეები სჭარბობენ ჯერმიზიანებსა და ძაგანიშვილებს.

მე ვიცხობდი კაცს, აქ მოდიოდა სალოცავად. აქედან ყოფილან გადასახლებული კახეთში, სოფელ კურდევლაურში. რომ ვუთხარი, რა გვარი ხარ-მეთქი? – ზანქაიძეო. აქედან გადასახლებული ძალიან ბევრია მისაქციელში, დუშეთში, ხარტიშოში, შირაქში. მამა-პაპა ამ გადასახლებული ზაქაიძეების მოდიოდა აქ სალოცავად წმ. გიორგში.

ზაქაიძეები ძლიერი გვარი რომ უნდა ყოფილიყო, ფაქტია; ციხისოთავი ზაქაიძე უნდა ყოფილიყო და ხადიჯვრის დეკანოზიც. შეიძლება წვერელებმა ზაქაიძედ იმიტომ გადაიკეთეს გვარი, ძლიერი გვარი რომ იყო.

ჩვენს სოფელში იყო ადგილის დედა, ეხლაც არის. მანდ ქვევრებიც ყოფილა ჩაყრილი. ადგილის დედაში აწყვია დიდი ქვევრები მშრალად. აქვს სასანთლე, ქვის ჯვარი არ ადგას ზევიდან. სოფელში ადგილის დედა ორია, მეორეც ნიშივთაა. ადგილის დედაზე სალოცავად შემოდგომის გიორგობას დადიოდნენ.

იყვნენ მკითხავები, რომელი მკითხავებიც ეტყოდნენ: საქონელი უნდა ალოცო ამა და ამ სალოცავშიო. აქ საქონლის სპეციალური ხატი არ ყავთ. წმინდა თევდორე იუხოს

დაბლა და იქ სამწყალობნოდ გავუგზავნივარ. ეს იყო საქონლის მფარველი ხატი გამატანეს სანთელი და ერბოს ქადა.

სოფელმა ახალ წელს სადმე იცოდა ერთ რომელიმე სახლში შეყრა. ვიცოდით წყალკურთხევა – მკვდართდღეს ეძახიან. გავიდოდით სუფთა წყაროზე („ვაკელი“) და ოუ ახალი მიცვალებული ყავდათ, აუცილებლად საკლავი უნდა დაეკლათ. ახლკვდარს ვამბობდით წლამდის. ვაკელის წყაროდან წყლის წამოლება იცოდნენ სახლში. ქალებს მოჰქონდათ. წყალზე იცოდნენ დალოცვა.

წყალკურთხევის შემდეგ იცოდნენ ყველიერი. ყველიერის შემდეგ ადდგომა მოდიოდა. ადდგომის კვირის შემდეგ, ორშაბათს არის ტაბლობა. აღდგომის ხატებში ხალხი მოდიოდა, დეკანოზიც მონაწილეობდა. ვინც მარხულობდა, ამოვიდოდნენ ეკლესიაში, მოიტანდნენ სანთელს, საჭმელს და იტყოდნენ: „შეირთვაო“. ადდგომა დღე იყო წმ. გიორგიში.

კვირაცხოვლობა უნდა იყოს თიბისა და მკის ხანებში. მარიანობა 28 აგვისტოს უწევდა. კვირაცხოვლობა მარიანობის წინ იყო. მარიანობაც წმინდა გიორგიში იცოდნენ. წმინდა გიორგის ეკლესიაში იყო ჯვარი, რასაც ხატს (წმინდა გიორგის ხატს) უწოდებდნენ. მარიანობის შემდეგ, შემოდგომით, ვიცოდით გიორგობა. წმინდა გიორგის თავისი დროშა ჰქონდა, კვირაცხოველს – თავისი. რაც მე მახსოვს, დეკანოზი დროშებს მალავდა. ადგილის დედასაც თავისი დროშა ჰქონდა.

ზაქათკარში ციხე აშენებულა ზაქაიძეების სამ მმათა მიერ. რომ დაუმთავრებიათ მშენებლობა, უთქვამთ: აბა, ახლა რა ძალა შეგვრჩაო და პირველმა მმამ ჯინი გაავსო კირით. ზევით მხრიდან, უკანა მხრიდან დადგა, შემოსტყორცნა და წინ გადმოისროლა, თავზე გადმოატარა ციხეს. მეორე კიდევ უკიბოდ ასულა და ჩამოსულა გარედან კედელზე. მესამე – აღარ ვიცი. მაგ ციხეს კვირაცხოველს ვეძახით.

სვიანაიძეები აღარავინაა, ნელად ვაშლაჯვარში წავიდნენ. აღარც მიდელაურებია აქ ვინმე.

იუხოში იყვნენ და დდესაც არიან სისაურები, ქუცუ-  
რები იყვნენ და სისაურებად გადაიკეთეს გვარი. გომურები  
ეხლაც არიან, ერთი კომია, მეტი არა. სოფელს გომურები  
ჰქვიან. ქუცურები და სისაურები, გადმოცემით ვიცი, ძირად  
ქისტებია, გამოქცეულები.

წაერეში ჯერმიზაშვილები და მაგანაშვილები იწერე-  
ბიან ზაქაიძედ, ძირად ზაქაიძეები არ არიან.

სიღისათორმეწამე-ხადიჯვრობას იხდიდნენ. ესაა ხა-  
დის საერთო სალოცავი. ზაქაიძეა მაგის დეკანოზი. ზაზი-  
ანთას ვეძახით, ბეგონში ცხოვრობენ, მაგათ მოუდიოდათ  
დეკანოზობა ხადისათორმეწამეში.

განძია (ხატის): ქვაბები, თასები. განძი უსულოა, სუ-  
ლიერზე, შეწირულ საქონელზე განძი არ ითქმის.

ბეგოთ საღვთო რომაა – კლდეა გამოღრუებული.

წაერეს თაგს არის ციხე (კვირაცხოველი). ნავახშმევი  
იყო და აქედან აფრინდა დიდი რამ ბურთულა, დიდი ქვა-  
ბისხელა და ზევით წაგიდა და გაქრა; ჩემი თვალით დავი-  
ნახე. მთელი ხადა სულ გააშუქა და უკან ალს ისროდა  
წყვეტილ-წყვეტილ. ეს იყო 1943 წელს და შევიდა ბეგოთ  
საღვთოს კედელში.

ლომისას ეკლესიიდან დამე გამოფრინდა, როგორც  
თავზე ისეთი ცეცხლი და შარმიანთ ცეცხლიჯვარში შეფ-  
რინდა. ძალიან სწრაფი სვლა აქვს. ჩვენს ადგილის დედა-  
შიც დიდხანს ჩამოსულა ასეთი ბურთულები მხოლოდ დამე.  
როცა მიფრინავს, სულ შევილი აქვს.

ქვეშეთის გაღმიდან, სეფეს ეძახიან, მანდედან ხევშამ-  
დე (ხევშა ფასანაურამდეა) ცხავატს ვეძახდით. ქვეშეთს ზე-  
ვით ხადაა.

ცხვარმა იცის, თუ მეორე დღეს ამინდი უნდა გაფუჭ-  
დეს, გაუმაძლრად ძოვს, იმარაგებს.

კაცს თუ მოგრძო თვალი აქვს, სიგრძეზე თუ წაუვიდა  
თვალი, მეორე დღეს ამინდი გაფუჭდებაო. თუ მრგვალი  
თვალი აქვს, კარგი ამინდია მოსალოდნელი. ცუდი ამინდის  
მოსალოდნელობის შემთხვევაში, ბეღურები ჯიშუ-ჯგუფად  
დაფრინავენ.

დიდველი არის გამოღმა ხადა, იქით გაღმა ხადაა.

სოფელ ზაქათაში ციხისთავიანთ კომობას ნაფიცრობის სამანი აქვთ ჩასმული შარუმიანთ ცეცხლისჯორში. ციხისთავიანი ძალმომრები ყოფილან, ვისიც საქონელი, ქალრძალი ან სხვა რაიმე მოეწონებოდათ, სახლში წაიღიან. ვიდაცისათვის ცოლი წაურთმევია. ხალხს ძალმომრები გაუმტკუნებია – გადაუწევეტიათ იმათი თავიდან მოშორება... ციხისთავიანთ პატიება უთხოვიათ. ხალხს შეუსმენია იმათი თხოვნა, აღარ გადაუსახლებია, ჯერ ხატში დაუფიცებიათ, შემდეგ კი მღდლით სახარებაზე, რომ აღარ გაიმურჯდნენ იმ ძალადობას, რასაც სჩადიოდნენ.

### **ნატო გიორგის ასული ჯალმაიძე-ქარჩაიძე, 66 წლის, ჯალმაიძები, 30. 05. 82**

ჯალმაიძებში ხატის საბერო გვქონდა კოშკში, მე-4 სართულზე, სადაც სამი ხატი იყო: კვირაცხოველი, წმინდა გიორგი და ადგილის დედა. მა სამ სალოცავ ხატს საბეროში თავ-თავისი ადგილი ჰქონდა.

ბავშვს გავრეკდით დუდას ყველაწმინდაში და შემდეგ იქიდან ლომისაში.

თუ დედა არ შესწირავდა ყმად, არაფრის ყმად არ ითვლებოდა. ასში ერთი მოხდებოდა, რომ დუდას შესთხოვდა, ყმად შემოწირეთ შვილით, მაშინ როცა არ რჩებოდა. ხატში გარევა სხვაა და ყმად შეწირვა სხვაა. ყმად შეწირვა ხდებოდა მაშინ, როდესაც დედას შვილი არ რჩებოდა ანდა მაშინ როცა ბავშვი საღად გასაოცრებული იყო (ვერ იძინებდა და სხვ). ყმა ხატში წელგამოშვებით უნდა მივიდეს და იღოცოს. თუ საკლავით ვერ შესძლებს, მისულზე ხმელი სანთელით მაინც უნდა მივიდეს.

სხვა შემთხვევაში ადამიანი, თავისი ხატის, თავისი გვარის ხატის ყმაა.

10-15 წლისაც შეიძლებოდა ყმად შეწირვა და უფრო პატარისაც. რომელი ხატის მიზეზიც ექნებოდა, იქ უნდა შეეწირა ყმად. სუსველა დუდს სწირავდნენ ბავშვებს. ყმად შეწირვა უფრო ამაღლება დღეს იცოდნენ. ხატში ბავშვი რომ გაერიათ, აუცილებლად მონათლული უნდა ყოფილიყო. თუ მოუნათლავი დარჩება, არ მიიყვანდნენ ხატში. არც დუ-

დაში შეიძლებოდა მოუნათლავი ბავშვის გარევა. ქალის გარევაც აუცილებელია და ვაჟისაც. გარევის დროს საჭირო იყო ბატკანი და ყოჩი, თუ აღთქმულია – პურატი.

**ლადო მიხას ძე შარმაიძე, 57 წლის, სოფ. ციხიანი (ხადა),  
31. 05. 82**

ციხიშვილები აქედან გადასახლდნენ შირაქში, თელავში, ორჯონიკიძეში. ციხიშვილი დღეს აქ ერთი კომლილაა. შარმაიძეები კი ორივე სოფელში ერთად (ციხიანში და შარმიანში) ოთხი (4) კომია. 12-13 კომი ვიყავით და ოთხიდა გართ. კახეთში, რუსპირშიც არიან შარმაიძეები. სულ ზევით რომ არის, მაგას ეძახიან ცეცხლიჯვრის ციხეს. აქედან შაბათ-კვირას ავდიოდიოთ, საკლავს კვირეს იქ დაგვალავდიოთ, სალოცავი//ეკლესია ცეცხლიჯვარი კი სოფელ შარმიანთას თავზეა. ცეცხლიჯვარი ორივე სოფლის სალოცავია – ციხიანთის და შარმიანთის. დეკანოზი ორი იყო, ერთი შარმიანთიდან, მეორე – ციხიანთიდან.

შარმაიძეები უფრო ვყოფილვართ ზაქაიძეები. შარმაიძეებს და ზაქაიძეებს ერთმანეთის ქალი არ ეპუთვნით.

დიდველიც ხადაა. ადრე ერთი ყოფილა.

ხადაში ძლიერი ყოფილან მიდელაურები, რადგან მათ მეტი მიწები ჰქონიათ. ქოროდოს და მიდელაურთას ერთი სალოცავი ჰქონდათ.

ციხიანებში ნანგრევებია და აქ არის ადგილის დედა.

ცეცხლიჯვარში ვიცოდით კვირაცხოვლობა. ცეცხლი-ჯვრობა თიბათვეს არ უნდა მოსცილებოდა. ქოროდოში იცოდნენ ღვთისმშობლობა. მიდელაურნიც აქ მოდიოდნენ.

ხადისა თორმეწამეშიც, ხადიჯვრობას გავდიოდით. სათემო იყო ეგ ხატი. ბეგონი იყენებ მანდ დეკანოზები.

ბავშვის გარევა იცოდნენ ჯერ დუდაში, შემდეგ იქიდან ლომისაში გამოატარებდნენ და მერე აქ, ჩვენ ხატში.

შარმიანების ზევით სოფელი ცხოვრობდა. შარმიანებიდან არ ჩას – ძეგიანი იყო ეგ სოფელი. ნასოფლარია, ნაციხევარია ეხლა. შარმიანებსა და ძეგიანებს ერთი სასაფლაო ჰქონიათ. ამით სალოცავიც ცეცხლიჯვარი იყო.

**ნინო ნიკოლოზის ასული ბექაური-ირიული, 40 წლის.  
სოფ. იუხო (ხადა). 31. 05. 82**

იუხოში ძირითადი მაცხოვრებელი ყოფილა ირიაული. ირიაულებს მიღერიდან გადმოუსახლებია ძელური. ოდონდ მეზობლად მისულიყვნენ და ირიაულებმა მამული, ტყე, მთა მისცეს ძელურებს. სისაურები რომ არიან, ეგენი ქუცურები ყოფილიყვნენ ადრე. ირიაულ-ძელურებს ხატი ერთი გვაქვს და სისაურ-გომურებსაც ცალკე, ერთი ხატი ჰყავთ.

ირიაულებს და ძელურებს ერთი ციხე გვაქვს და შიგაა სამი ხატი. ეძახიან: ადგილის დედას, კვირიას და წმინდა ნინოს. მთავარი დღეობაა, კვირიძლობას ვეძახით, სამი კვირის შემდეგ მოდის საკლავს რომ ავიყვანთ, სამივეში იკვლის.

სისაურ-გომურების სალოცავს ჰქვია საღვთო. გომურები თვითონ იძახიან, რომ სისაურების ბიძაშვილები ვართო და დედამთილი კიდევ ამბობს, რომ ეგენი მოჯამაგირეები ყოფილანო. მაგათ ხატს საღვთოობას ეძახიან. მოდის ლომისობის შემდეგ.

**პავლე დავითის ძე გომური, დაბად. 1908 წელს. სოფ. გომურინი (ხადა), 31. 05. 82**

გომურები, სისაურები და ქუცურები მველი მკვიდრები ვართ. გაღმა ყოფილან, ნასახლარებია. მემრე გომური აქ გამოსახლებულა და სისაური და ქუცური ციხისძირში (იუხოში). სადაც ადრე (გაღმა) ჩვენი ძვლები მოსახლეობდნენ, მაგ ადგილს ერქვა ქოსეთ ქედი, ანუ ქალაქეთის ციხე. ესენი სამი ძმანი იყვნენ: გომური, სისაური და ქუცური. იტყვიან კია, რომ ხევსურეთიდან, სოფელ ლიქოიდან ყოფილან გადმოსულიო. ქუცურების ნაწილი ორჯონიქიძეში წავიდა. ნაწილი ახლა სისაურებზე გადავიდნენ. შირაქშიაც არიან ჩვენი მოგვარეები. ჩემი ძმა შირაქში ცხოვრობს, გომურია და სისაურობაზე იწერება. მამაჩვენი გომურობაზე იწერებოდა. ობლები დავრჩით, ძმა ბარისახოს ინტერნატში იყო და იმათ მიაღებინეს თავიანთი გვარი. სოფელ იუხოში არიან თითო კომლი: მძელური, ირიაული და სისაური. მძელურები სულ ადრე ბეგოთურებში ცხოვრობდნენ. ირიაულები მათი ნათე სავები ყოფილან. მიუციათ ადგილი და აქ დაუსახლებიათ.

ჩვენი სლოვავია ქუცურთ სადგომ. აქ დეკანოზი სისაურიც იყო და გომურიც. კალესიაა პატარა. ხატი აბრძანია შიგ. ხადისა თორმეწამეში მარტო აქედან კი არ დადოდა ყველა გვარი, სხვაგნიდანაც მოდიოდნენ.

ირიაულები და მძელურები ლოცულობენ წმინდა ნინოს, ციხეშია ეგ სალოცავი. ამ ორ გვართან ნათლიაობა გვქონდა – ერთმანეთის ქალს არ ვირთავდით.

მისაქციელში ცხოვრობენ გომურიშვილად იწერებიან, გომურებია ეგენი, აქედან წასულები. პაპი-პაპა ყოფილა. მოდიან აქ სალოცავად ქუცურთ სადგომიში. საერთო გვარი ამ სამ გვარს სისაურს გვქონდა.

### გიორგი ზაქაიძე, 78 წლის სოფ. წერე (ხადა) 31. 05. 82

წერეში ცხოვრობენ: ზაქაიძე, ჯერმიზაშვილი, ნარაიძე. აქ იყვნენ ძაგანიშვილები, მაგრამ მათ გვარი გადაიკეთეს ზაქაიძედ. ოთხი მმა ყოფილა: ზაქაი, ყარაი, ყატეა და ჯერმიზაი. ზაქანში ზაქაი დასახლებულა, ჯერმიზა – წკერეში, ყატეა – მუღურეში, ყარაი – ბეგოთკარში. ყატეაის შვილები ისევ ზაქაიძეზე იწერებიან და მაგათ ყატეანთ ეტყვიან. ყარაის მოდგმას ეძახიან ახლა ზაზიანთ და ვაჩალდიანთ. ეგენიც ზაქაიძეობაზე იწერებიან და ბეგოთკარში ცხოვრობენ.

წერელი ზაქაიძეების მამიშვილობებია: გიგიანი, ჯერმიზიანი, გივიანი, კურდდელიანი. ეხლა ჯერმიზიანი ჯერმიზაშვილის გვარს ატარებენ.

მუღურეში არიან: ყატეანი, ბანიანები (აღარ არიან). ნარაიძეები, ჩვენი ძველი გადმოცემით, დვალები არიან, ნარადან მოსულები. სოფელში ნარაიძეები ერთი დანაყოფია – ნარანი. ჯერმიზაშვილები და ზაქაიძეები ერთები ვართ, ქალის თხოვნა არ შეიძლება. ნარაიძეებსა და წკერელ ზაქაიძეებს შორის ქალის გათხოვება არ შეიძლება. სხვა სოფლის ზაქაიძეებსა და ნარაიძეებს შორის ქორწინება შეიძლება.

წკერეში ციხე ჰქონიათ, როგორც ზაქათ, ისე ნარათ და ძაგანათ. გვაქვს სალოცავი კვირაცხოველი. აბრძანია ის

ნარათ ციხეში. წინათ ყოფილიყო ჯერმიზაშვილების ციხეგ-ში საბრძანისი და მერე ნარაიძეების ციხეში ჩამოიტანეს. ადგილობრივ არის კიდევ ადგილის დედა, წმინდა გიორგი და მთავარანგელოზი – ერთ ხატს სამი სახელი ჰქვია. ამ ხატს უფრო მთავარანგელოზის სახელითაც იხსენიებენ.

კვირაცხოვლობას ვეძახით, ლომისობიდან კვირანახე-ვრის უნდა იქნას. დეკანოზი ნარაიძეც იყო, ზაქაიძეც იყო, ჯერმიზაშვილიც იყო. უფრო ჯერმიზაშვილებზე მოდიოდა. კომლზე ვიციოთ საკლავი; კვირაცხოვლობაზე ერთი კვირე გვაქვს ქეიფი. სასმელი ვიციოთ, ერთი თუნგი არაუი უნდა წავიდოთ. არაუი მაგარი უნდა იყოს. თითზე უნდა აინთოს. ლუდი აქ ხატობაზე არ ვიცოდით. ლუდი ლომისობაზე იცი-ან.

დიდველიც ხადაა, მაგრამ ისინი ჩვენ ხადელებს გვე-დახიან. ხადაა ქვეშეთიდან ზევით.

ჯიმშერ არაგვის პატრონო

შაუბრალებო ყმისაო

ხევში ციხების მტვრეველო

არაგვზე-საყდრებისაო.

ჯიმშერ ხადას ემზადებაო,

ქალბატონი უშლის ხელსაო.

ჯიმშერ, ხადას ნუ მიღიხარ,

წუხელ ვიყავ ავ სიზმრებსა.

ამ შენს ციხე-გალავანსა

სამი ზარბაზანი ჰკრესა.

როგორ მკადრებ, ქალბატონო,

მაგისთანა პასუხებსა?!

მე რო მთიულეთს მივიდე,

ჩემი შიში ქვას გახეთქსა.

ჩამოგირევთ ხარ-ფურებსა,

ტურფებსა და მშვენივრებსა,

ყალან-ბეგარას მოგიკრევ

ხევ-ხადას და ორუსოს ბევრსა.

შამოგისევ ხარ-ფურებსა

ტურფებსა და მშვენივრებსა.

შეუა დამისა დროშია

ჯიმშერს სამი თოფი ჰკრესა.

ჯიმშერს ცხენით მოელოდნენ,  
ჯიმშერ მკვდარი მოართვესა.

ის აქ მოკლეს საღმე ჩვენმა სადელებმა. ზაქაიძემ მოკლა. სხვა ბატონი ჩვენთან არ ყოფილა და არც გამიგია. იმის შემდეგ ვიდა მოვიდოდა, ერთი იყო და მოკლეს.

სადაში მიდელაური უფრო ძლიერი გვარი ყოფილა – მე კი ვერ მოვესწარი. საკოხის მთას ვეძახით, იქიდან რეგ მილებით მიდელაურებში მოსდენიათ. დიდი სახელი ჰქონდათ მაგ მიდელაურებს. მიდელაურების ცოლი და და გაიტაცეს ლეკებმა. დაედევნენ და დახოცეს ლეკები. გიორგი მიდელაური და იმისი ცოლის ძმა დაწევიან ლეკებს.

ამანათი ნიშნავს იმას, რომ მე ჩაგაბარე რაღაც და წავედი სხვაგან. თუ სხვა ვინმე შემოგვეხიზნა, იმაზეც იტყვიან: ამანათივით გვაბარიაო. ძესიძედ მოსულ კაცზე ვიტყოდით – შემოხიზნულიაო.

წიფორში, ქავთარაძეების სოფელში, ბენიაძეებიც არიან. აქ, ბენიანთეპარში ქავთარაძეები არიან. ბენიაძეებსა და ქავთარაძეებს ერთმანეთისათვის გაუცვლიათ სოფლისა და საცხოვრებელი ადგილი.

წკერეში ნამდვილი ზაქაიძეები მეტნი ვართ, ძირად ძაგნიძე ზაქაიძეებზე.

არც ერთ სოფელში მეზობლები ერთმანეთზე არ ქორწინდებიან.

სადის მთავარი სალოცავი არის სადისა თორმეწამე (ეკლესია). ჩემს ბალლობაში დეკანოზობდა ბენიაძე ზაქარა. ზაქარაზე ადრე კი აბა ბენიაძე იყო. სადისათორმეწამეში დეკანოზობა მოუდიოდათ ბენიანთ. ბოლოს მანდ დეკანოზი იყო ბეგოძე. ერთი დეკანოზი ყავდა. მნათეებიც იმ სოფლიდან დგებოდნენ.

დეკანოზს ხატი ირჩევდა. შეიძლება ხალხს უნდოდეს ესა თუ ის კაცი, მაგრამ ხატმა არ მიიღოს, ხატი დეკანოზად ხელს სდებდა უფრო ერთი მამის მოდენილობას. ყოფილა ისეთი შემთხვევა, დეკანოზად ყოფილა და ხატს არ მიუღია და გამოსულა უკან. დეკანოზი უნდა იყოს სუფთა, წმინდა, შრომისა და ხალხის მოყვარული, წესრიგის მოყვარული. ხატსაც ასეთი უნდა და ხალხსაც.

წკერეს კვირაცხოველს ბარში ჰქონდა ვენახები. ქვემოთ არის ჩვენს ხატში. ვენახი შასყიდული ჰქონდათ ხატის ფულით. მოპქონდათ დგინო. შარშანდელი მოტანილ დგინოს წელს ამოიღებდნენ, დალევდნენ, წლევანდელ მოტანილ დგინოს კვლავ (ე.ი. გაისად) დალევდნენ. მე ამ დგინის მოტანა არ მასსოგს, გადმოცემით ვიცი.

მამულებიც ჰქონდა ჩვენ ხატს, აქვის კიდეც. მამულებს კომლი ამუშავებდა, კომლზე იყო განაწილებული. ხატის ყანებს ეძახდნენ. ეს ხატის ყანები შეჭრილი იყო მეკომურგბის მამულებში. ხატის მამულები მთელ სოფელზე იყო განაწილებული. 20-25 დღიური მამული იქნებოდა. სოფელი ამას ინაწილებდა. თუ სოფელი მოიმატებდა (კომლი მოიმატებდა), ოჯახი გაიყრებოდა, მერე ახლიდან ანაწილებდნენ ამ მამულებს. ყველა მეკომეს ერთნაირად ჰქონდა გაყოფილი. ვინც შესწირა, მარტო იმის მოხსენება იცოდნენ. ხატის კულუხი არ ვიცოდით.

საკუთარი მამულებიც ჰქონდათ.

დგინო როცა მოპქონდათ ბარიდან, მაშინ არაყი აღარ იყო. საკლავი კი იყო. ყველა კომი თავის საკლავს მოიყვანდა.

წმინდა გიორგის და ადგილის დედას მიწა არ ჰქონია. ხატის ცხვარი არ გამიგონია.

თუ რომელიმე ხატი ოჯახს მიზეზს მისცემდა, მაშინ, იმ შემთხვევაში დაასახელებდნენ კურატს და ემსახურებოდნენ ხატს.

შარშანაც და წინა წლებში იყვნენ წკერეში სალოცავად საგურამოდან მოსული ძაგანიშვილები.

ლომისას ხატს ვენახები ჭილურტში ჰქონია.

**არჩილ ალექსის ძე როსტიაშვილი, 28 წლის, ჭართალი,  
8. 06. 82**

ანანურში ვართ ძირითადად როსტიაშვილები. ხადიდან ყოფილან გადმოსახლებული. პაპის პაპა წამოსულა. 4 თუ 5 ძმა ყოფილა. კაცი მოუკლიათ და ყველა თავისი სახელის მიხედვით გვარზე დაწერილა: როსტიაშვილი, გულბათაშვილი, ამირიძე, ნაზდაიძე და მე-5 – ნარიმანიძე.

ქოთილა შალვას ბე კობაიძე, 50 წლის, 11. V. 1983,  
სოფელი დოლასქედი (ჭართალი).

კობაიძეების წინაპარი მთიულეთის სოფელ ჩირიკიდან გადმოსულა დოლასქედში. პაპის პაპა შალვია გადმოსულა. მმაღნაფიცი ყოლია აქ ვიღაც და იმას გადმოუბირებია. სამი ბიჭი ჰყოლია, ერთ-ერთი იყო პაპაჩემი და ზევით დოლასქედში ასახლებულან შეუ დოლასქედიდან. მამულები იქ ჰქონიათ და იმიტომ ასახლებულან. ზემო დოლასქედს მთაშიურს ვეძახით. მთაშიურს ვეძახით, ვინც იქ ცხოვრობს. მერე პაპაჩემს იქ ყოლია დორები. პაპას კოფა ერქვა. და მერე მოულაპარაკებიათ და პაპაჩემი გადმოუსახლებიათ ქვევით დოლასქედში. მარტოკა ყოფილა. დორებიც აქ ყოლიათ და მთაც. მერე ყველა აქ ჩამოსახლდა.

გაღმა ნასახლარებია, ნაყორა ჰქვია. მანდ უცხოვრიათ სალხეს. მერე გაწყვეტილან. ნაყორებში შვიდი მმანი ყოფილან. სათიბზე წასულა ეს შვიდი მმა. დედისთვის უთქვიათ, რაღაცა რომ მოხდეს, ლეკის შემოსევა, ჩალის თივებს ცეცხლი მოუკიდეთ და წამოვალოო. ლამაზი და ყოლიათ. გაუგია ქსნის ერისთავს, რომ აქა და აქა ესეთი ლამაზი ქალია და ოქრო აქვთო. გამოუგზავნია ქსნის ერისთავს 700 კაცი, როცა მმები სათიბზე იყვნენ. ის ქალი და ოქრო აქ უნდა მომიუვანოთო. ეს ქალი შეიაბრეს 700 კაცმა და დედას სცემენ, ოქრო მოგვიტანეო. უთქვია, ნუ მომკლავთ და წაიღეთ ოქროო. წაიღეს და ქალიც წაიყვანეს. ამ დედამ მოუკიდა ცეცხლი თივას და დაინახეს მმებმა ბოლი. ამოვიდნენ და უთხრეს დედას, რაშია საქმე. დედამ უთხრა მუგუდაზე წავიდა 700 კაციო. აისხეს იარაღი და წავიდნენ შვიდი მმანი. ეს ექვსი მმანი პირდაპირ წავიდნენ მუგუდაზე და მეტვიდე მმა ჭალისოფელზე წავიდა, გაკეზე – ყვერები ჰქონდა დასიებული და ვერ მიღიოდა. ეს ექვსი მმა დაეწია სისხლის ტბაზე. ასე ეძახიან მუგუდას მთაში ტბას (მას შემდეგ დაერქვა ეს სახელი). ამათ დაუწეუს ექვსმა მმამ ომი 700 კაცს, თან იყო შაბათი დღე. მეშვიდე მმამ გულდვიძლი დაიჭირა პირში თხისა. ვიღაცას ჭალისოფელზე დაეკლა ეს თხა. და რომ დაინახეს მოსული მეშვიდე მმა სისხლიანი წვერით, აქ კაციმჭამელიც მოვიდაო და შეეშინდათ. თანაც დაშაფათ-დაო – მზე რომ გადავა იარაღის ხმარება აღარ შეიძლებაო.

700 კაციდან 7 დატოვეს, ისიც იმიტომ, რომ შაბათმა მოუსწრო. ლექსად არის ნათქვამი:

შვიდნი ჩვენ,  
შვიდას ისინი  
სისხლის ტბას შევიყარენით.  
მოგვისწრო შაბათის ძალმა,  
ბარი-ბარ გავიყარენით.

შვიდი კაცი გაუშვეს. გადაუტანეთ თქვენს ერისთავს ამბავიო. ოქროც უკან წაართვეს და ქალიც. მერე ეს ხალხი დაიხოცა, რქეში გველი ჩასულა და იმისაგან ერთი და გადარჩენილა. ნათქვამია: ნაყორელი ქალი ვარო და წინახოველი რძალიო (ჯულისის ერთ ნაწილს წინახოს ვეძახით).

დოლასქედში ცხოვრობენ: აფციაურები, ქავთარაძეები, კობაიძეები, ჩოხელები, წიკლაურები, გიგაურები. არ შეიძლება ჩვენი სოფლელი ქალი ჩვენ სოფელში გათხოვდეს. წიკლაურები სიჯანათიდან არიან გადმოსულები, აფციაურები – დუმაცხოდან. ქავთარაძე აქ ახალი გადმოსახლებულია საქერედან და ვაშლობიდან. დოლასქედში გვაქვს ლომისას ნიში. როცა ლომისამ გაანთავისუფლა თათრებისაგან ხალხი, აქ დაუსვენია და მაშინდელი ნიშია.

მთიულებს გვეძახიან ქვევით ხალხი. ისე აქ არაა მთიულეთი. დოლასქედიდან გზა გადადის ხორხში, საქერედან – გომეწარში. ხმალა სამი ხოფლისაა: დოლასქედის, ხორხისა და პავლეურისა. დიდი ხმალა სამი ხოფლის თავდამყურებიო. სამივე ხოფელი ვლოცულობთ, ცალ-ცალკე ბინები გვაქვს. ხორხი და დოლასქედი ერთმანეთს შორის ქალს ვათხოვებთ. სამივე ხოფელს ცალ-ცალკე დეპანოზი გვჟავდა ხმალაში. დოლასქედში მთავარი სალოცავია ადგილის დედა. ეპლესიაც არის მანღვე, ეს ააშენა უშვილო ქალმა 1898 წელს. აქაური იყო, აფციაური. ადგილის დედაში სამი ხატობა, დღეობა ვიცით: კვირაცხოვლობა, მარიამობა და გიორგობა. ორი კომლი იყო, მნათეები ერქვათ, შეაერთებდნენ ხორბალს, ფქვილს. ახლა ვიცით ფული, 10 მანეთი. მერე ჩვენც ვიცით საჭმლის წადება. ხატის მიწები არ ჰქონია ამ ხატს. ერთ ყოჩის იყიდნენ. მერე ვინც შეხვეწილია, იმას ცალკე მიჟავდა. 9-10 საკლავი იკვლის ხოლმე დღეობაში. მთავარი სამ დღეობაში უფრო მარიამობაა. დოლა ქედი ჰქვია

მდებარეობის გამო. ზემოთ რომ ახვალთ, კარგი სანახავია, დავაკტაა და იმიტომ დაარქვეს დოლა ქედი.

### **თამარ ნარიმანიძე-ბუჩქური, 72 წლის, სოფო ჯალმაიძე-ბუჩქური, 77 წლის სოფელი გვიდაქე**

ნარიმანიძების განაყრები არიან როსტიაშვილები ხადაში. ჩვენები სონჩოდან ყოფილან გადასახლებულები, ნარიმანიძები არიან და როსტიაშვილებად ეწერებიან. შონჩოში სალოცავი გვაქვს კვირაცხოველი და წმიდა გიორგი. ორჯერ მოვჭირარ იმათ გადმოსვლას ხადადან კვირიძლობას, ერთმანეთში ქალს არ გავათხოვებდით. საკლავით რომ გამოვიდოდნენ, ერთ დამეს დარჩებოდნენ და მერე წავიდოდნენ. მათიანი ჯალმაიძების მამიშვილობაა. ეგენი აღრე საღირაშვილები ყოფილან და ეხლა ჯალმაიძებად იწერებიან. გადააკეთეს გვარი, იმიტომ, რომ ჯალმაიძები ბევრები იყვნენ, და ისინი ორი კომლი იყვნენ, ადგნენ და შეუერთდნენ. მახარობლიანი არიან კიდევ ჯალმაიძები და ეგენი ძირად მოხვევები არიან. მესამე მამიშვილობა შიოლიანი არიან – ესენია ძირითადი ჯალმაიძები. ჯალმაიძების მამიშვილობა მათიანი, გვიანდელია, მე მახსოვს ის კაცი – მათია, აღრე საღირაანო ებახდნენ.

სოფელ როსტიანში არის ვილის წმიდა გიორგი – ქოვნის ქედზე ეკლესიის ნაგრევებია. დეკანოზი ამ ხატში სონჩოელია. როსტიანის მოსახლეობა სონჩოდან არიან გადმოსახლებულები და ამიტომ ლოცულობენ ამ ხატს. ძაგნიძები ხევიდან არიან გადმოსულები.

### **თედო მიხეილის ძე მურდული, 73 წლის სოფელი გაიშაურები, 27. 05. 1983**

მურდულები ჩემს სსოფნაში ოთხი კომი იყო და წინათ – რა ვიცი. სოფელ კაიშაურებში ვითვლებოდით: კაიშაური, მურდული, ქუმიანი. კიდევ იყვნენ ჯაბაშვილები, რომლებიც კაიშაურებად იწერებოდნენ. ეგენი ჯაბაევი იყვნენ და გაქართველდნენ. ჩვენი გვარი, მამა-პაპათ თქვეს, რომ სამეგრელოდან მოსულან. ომში მოხდა ერთად ქართველი ხალხი და იმ ქართველებმა წამოიყვანეს. მოჯამაგირედ იდგა ქალთან ვიღაცასთან და მემრე შვილები დაუჩნდებოდეს და წამოვედით – სამი-ოთხი კომი გახდა. კაიშაურებთან მოჯამაგირედ დამდგარა.

აქ ჩვენები როცა დასახლდნენ და იქიდან მოსულ კაცს შვილები ეყოლა. ისინი ეოფილან სამი ძმანი. სამ ძმათაგან ერთს აქ უთხოვია ცოლად ჩოხელო ქალი. არ მოუვიდა ჭეუაში და გაუგდია. იმ ქალსა ოთხი ძმა ყოლია. თურმე დახვდნენ გზაში და მოკვლას უპირებენ ქალის ძმები. ამდგარა და გაჭტეულა ის ბიჭი, არ მაგალანო და მოჯამაგირედ დამდგარა ფშავში. ცხვარი შაუყრია და იქ უთხოვია ცოლი. ეს ცოლი რო ითხოვა, იმას შვილები ეყოლა. მერე წავიდა დრო და მოვიდა თავის ძმასთან ისევ ცოლ-შვილით გამართული. მერე აქ ხო ძმა ყვანდა დარჩენილი. გაყრილან. მერე ოთხი ბიჭი წამოზრდილა და გახდა ოთხი-ხუთი კომლი. მას შემდეგ სალოცავად დავდიოდით დაშარის ჯვარში მთელი გვარი. მე არც ერთხელ არ ვყოფილვარ. მამა-პაპა დადიოდა. აქ ვლოცულობდით ჩვენ სანებას, აგრეთვე ზაქაძეები. ჩვენი გვარის ხალხი მოდიოდა ფასანაურიდან, არაგვისპირიდან, თბილისიდან, ორჯონიკიძიდან. მოდიოდნენ ღვთიშობელში. ახლო-ძახლო სოფლები სულ ლოცულობდა ამ ღვთიშობელს. ეს სოფლები სულ მიღიოდნენ ხადიჯრობას, ზოგჯერ საკლავიც იყვის, ზოგჯერ ეგეც. ბავშვი და რძალი უნდა გაგვერია გუდაურს რომ გასცდები, ხატისხოველი ჰქვია. ახლა თსების სოფელია, იქ გაგვავდა გასარევად ბავშვი და რძალი. თავ მოკრეჭა არ შეიძლებოდა, სანამ იქ არ მივიყვანდით. ამ სალოცავს ჰქვია ღვთიშობელი. ეს სალოცავია ღუდაყველაწმიდა. ღეკანოზი ჯერ ღმერთს ახსენებდა, ღმერთო ღიდება შენდაო, ღმერთო გაუმარჯვეს ღღევანდელ ღღესაო, ხატი ხელში ჰქირა იმას, ღიდებაო, ღიდება ღომისასა, ღიდება ნაღორევის წმიდა გიორგისა, ღიდება ნადიბათ ლაშარის ჯვარსა, ღიდება ხატსა თორმეწამესა, ღიდება ბეგოთ საღვთოსა, ღიდება წიფორის წმიდა გიორგისა, ღიდება ფშავის ლაშარის ჯვარსა, ღიდება ფუძის ანგელოზსა. რაც ხატები ვახსენე, იმათი ძალის მაღლი დაეხმაროსო. ვინცა ყავს შეეწიოს, ამათი ძალი და მაღლიო. რაც რიგზე სოფლებია, დაყვებოდა და ბოლოში გავიდოდა და ისე ახსენებდა ამ ხატებს. ხატს დავვმიზეზებინე და მკითხავს ეთქო, თუ ფშავში ეერ წახვალო, ლაშარში, მაშინ ნადიბათ ლაშარში წაღითო და მამამ წამიყვანა აქ საკლავით.

სუნგრიძეები ადრე ლაკათხევში ყოფილან და იქიდან არიან გადმოსული. მანდ რომ ციხე დგას, მაგათ მამა-პაპათ აშენებულია. ლეკებს ამოუწყვეტია ეგენი მერე. სუნგრიძეს ქალი ყოლია ცოლად ქსნის ხეობიდან და ამოწყვეტის დროს მამის სახლში

ყოფილა. ამ ქალმა. შვილი რომ ეყოლდა იქ, რადას წამოვიდოდა და იქ თავის მამის სახლში გაზარდა ვაჟგაცი და ამაიყვანა. ამაიყვანა სალოცავში, ლომისაში სალოცავად და გამაახედა, შენი მამაპაპა ეგრე იმ ციხეში ცხოვრობდა და ლეკებმა ამოწყვიტესო. მერე დაბლა ჩამოსულა ის ბიჭი. ყველა სოფელსა, ლომისაში რომ მოდიოდნენ, დაჩემებული გორები ჰქონდათ. ეს ბიჭი ამ ლაკათხეურ ბინაზე მისულა. იქა ყოფილა ერთი უშვილო კაცი. იმას გაუგია ეს სუნტიძის შვილია და უთქომს იმ ბიჭისათვის, რომ მე შვილი არა მყავ, სახლი მაქვს, კარი მაქვს, დაგაქორწინებ. ის ბიჭი მერე მართლა მისულა ლაკათხეულში. დანიშნა, დააქორწილა. შვილები ხო დაუჩნდა და სამი-ოთხი კომი გახდა; შირაქშიც წავიდნენ აქედან. ერთ-ერთ მმას აქ არგუნეს ეს მამული და ციხის კარმიდამო. ლაკათხევიდან რომ გადმოვიდნენ სუნტიძები, კოლექტივების შექმნამდე (1929-1931) ერთი ხუთი წლით ადრე ჩამოსახლდნენ. მაგრამ მანამდე აქ მამულები ჰქონდათ. აქ ხნავდნენ. მიწა კი არა ჰქონდათ. იქიდან მოდიოდნენ და აქ ამუშავებდნენ.

ჩვენს მხარეს რითაც ვხნავდით, გუთანს ვეძახდით. ყევარს ვაბამდით. ვთესდით ქერს, ქერსვილას. არ გვყოფნიდა და სიმინდი მოგვერნდის ორჯონიერიძიდან. ორი ძროხა, უდელი ხარი გვყავდა – ეს დარიბ ოჯახად ითვლებოდა. საშუალო შეძლების ოჯახი ცხვარსაც ყიდულობდა, ცხენებსაც. საშუალო შეძლების ოჯახს თოხასი ცხვარი ეყოლებოდა, სამასი, ორასი. იყვნენ მდიდრები – სეთურიძები, წამალაიძეები. გაღმა სოფელში, ხადის მხარეს, ათასი ყავდათ ცხვარი.

მურლულებს არ შეეძლოთ დაქორწინებულიყვნენ თავის სოფელში ხალხზე: სუნტიძეზე, ქუმსიშვილზე, კაიშაურებზე. ჯალმაიძე შეიძლებიოდა, ის უკვე ცალკე სოფელია, თუ ნათელმირონბა არ გვქონდა. ჩვენს გვარსაც ჰქონდა ციხე, მაგრამ დაშლილია. მაგის სახელი არ ვიცი. აქ გვაქვს კიდევ კვირაცხოველი. ეგ მოდის აღდგომის სწორზე. ხატები გვქონდა მაგისი ეკლესიაში – დაგვაპარეს.

სანება – ესეც ეკლესიაში (კაიშაურების) ბრძანდებოდა ეგ ხატი. მოდიოდა მარხვის წინა კვირას. ხორცშაბათს ვეძახდით – ხორცშაბათიას შემდეგ, ხორცის ჭამა აღარ შეიძლებოდა.

## ნატო ჯადმაიძე-ქარჩაიძე, 67 წლის, სოფელი ჯადმიანები (ხადა), 27. 05. 1983

ჯადმაიძეები სამი მამიშვილობაა. ჩვენა ვართ შიომლიანი, მეორე – მახარობლიანი, მესამე – საღრიანი. შიომლიანი ძირითადი ჯადმაიძეები ვართ. მახარობლიანი ძირად დვალები არიან. საღრიანი საღირაშვილები ყოფილან. არ ვიცი, საიდან მოვიდნენ. დანაშაული რამე ექნებოდათ და გვარი გამოიცვალეს. თავიდანვე ჩვენი, შიომლიანთი ყოფილა დეკანოზი.

გამიგია, რომ პირიმზე ქალია – გუდამაყრის სალოცავი. ღუდაში უნდა გაგვერია ვაჟი საკლავით. ქალსაც გავრევდით, მაგრამ საკლავს არ გავაყოლებდით. ღუდას მოხდა, ხორცს როდესაც ხელზე არიგებდნენ, გაუთხოვარმა ქალმა ქვა შეახვია და მეც ბეჭი მყავს, ორი ნაწილი (ხორცი) მომეციოთ. მე კი არ მინახია. ნაწილი მისცეს. აეხსნა კალთა და ბავშვი იყო, ვაჟიშვილი. ქვიდან ბავშვი გაჩნდა. დაილოცა იქ დეკანოზი, რომ „გაუმარჯოს ღუდას ყველაწმინდას – ქალწული ქალის ადამიანად მქევევლს“. დეკანოზი ყოველთვის ეხლაც დაილოცება: გაუმარჯოს ლომისას, გაადიდოს დიდებული ლომისა, მერე ღუდას ყველაწმინდას ახსენებდა. წიფორის წმიდა გიორგის, ჩოხის წმიდა გიორგის, ლაშარის ჯვარს, ზეგარდის წმიდა გიორგის, ღუმაცხოს საღვთოს, პირიმზეფუტუმის ანგელოზს, ცეცხლიჯორს, ახსენებდნენ შარმიანო ცეცხლიჯორს და გაუმარჯოს ლაშარის ქვედზე დაბრძანებულს ნაღიბათ ცეცხლიჯორსო. ჩემი ვაჟი რომ დაიბადა, ექვსი თვისა გავრიე ღუდაში საკლავით. სანამ დაიბადებოდა, შეკუთქვით, თუ ბიჭი დაიბადებოდა, სამი წლის კურატი უნდა დაგვეყნებინა და შეგვეწირა. ჩემი ვაჟი ხორცის არ ჭამდა, პირს არ ადებდა საერთოდ ხორცის საჭმელს. დედაჩემმა თქვა, რომ შვილო, მაგ კურატს ბატქანიც მიაყოლეო. და სანამ დღეობა მოვა, ლაკათხევის საღვთობა ძუძუ აწოვეთ მაგ ბატქანსო. ასეც მოვიქეციო. იქ ქალები ვერც ავალთ. საზღვარია, გზა გადის. იმ გზას არ შესცდება ქალი. მერე მამაკაცებს მიყავთ ლაკათხევის საღვთოში, ქალები იქ ვერ მივიღოდით. და მერე ჩემმა ქმარმა თქვა, რომ ეს ბატქანი სულ წინ მიღიოდა მაღალ ბალახში, მიხტუნაობდაო, წინ არავის უშვებდაო. აი, ეს ბატქანი რომ დაკლეს, მერე მისი ღვიძლი ცეცხლზე დააგდეს, შეწვეს და მაშინ პირველად მოითხოვა ჩემმა სამი წლის ვაჟმა ხორცის საჭმელი და მას შემდეგ დაიწყო ხორცის ჭამა.

ლაგათხევის საღვთოში ქალის მისგლა არ შეიძლება. მდევლს უთქვია, რომ მეო ოჯახებს ვასუფთავებო, წმიდა ვაროდა როგორ არ უნდა შეიძლებოდეს ჩემი ქალი საღვთოში მივიყვანო. მიიყვანა ის ქალი. ეს მდევლი მისულა, საკლავი იხოცება რამე და ყველამ დაინახა, რომ ის ქალი საღვთოში ცეცხლათ აენთო. სადაც ის ხატია დაბრძანებული მარჯვნივ წამოვიდა ის ცეცხლი. მთის გზა მიდის. შორია. იქ ისეთი მდებარეობაა, ვიწრო კარებია გასასვლელი, კლდეებია აქეთ-იქიდან. იმ კარებთან ერთი დიდი ქვაა. იმ ქალის მარჯვენა ხელი და ფეხი დაეტყო ქვაზე. მარჯვენა ფეხი და მარჯვენა ხელი დაუტყიდა და როგორც ცომზე რომ დაადო ხელ-ფეხი, ისე ეტყობა.

### სოფიო დიმიტრის ასული ოგბაიძე-გაგაძე, 73 წლის, ქვემო მდებარეობა, 29. 05. 1983

ოგბაიძეების წინაპარი „თათარი“ ყოფილა. აქიმი იყო. აქიმინთ გვემდასიან კომათ. ის ქქიმი მოკვდა და შვილად აყვანილი ყველა, უწილო ყოფილა, და იმაზე მოვდივართ ოგბაიძეები. ოგბაიძეების მეორე კომობაა ჩოჩოლიანი, კიდევ ვლადიმერიანი, ლაზარიანი. გოგნაურში გვაქვს სამხოთ მაღალი, კვირიაცხოველი, წმიდა გიორგი. „დამის სათვე“ (ხატია, სანთველს უნთებთ). სოფლის თავი და მთავარი საღოცავია სამხოთ მაღალი. ის დასცექრის იმ ხატს. ჯერ დუდაში უნდა გაგვერია ბავშვი და მერე გოგნაურის სამხოთ მაღალში. სუარიძეებიც ჩვენ ხატებს ლოცულობენ, რაც გიოთხარი. თუ მირონი არ გვქონდა, ოგბაიძეებს და და სუარიძეებს შორის შეიძლება დაქორწინება. სამხოთ მაღალს ჰქონდა სახნავი. ხნავდნენ იმას, გალეწავდნენ, გამოხდიდნენ არაყს, საკლავს მიაყოლებდნენ და ეგ იყო კულუხი. ერთ წელიწადს ერთი გამოხდიდა, მეორე წელიწადს – მეორე და ა. შ. ხატის მამულს მორიგობით ხნავდნენ, წელს მე, მერე სხვა. ჩვენი სოფლის დეკანოზი ჯერ ახსენებდა სამხოთ მაღალს, მერე წმიდა გიორგისა, მემრე დამის სათვესა. ამების შემდეგ ახსენებდა, ლომისა გვეწეოდეს, მერე დუდა ყველაწმინდა გვეწეოდეს. მემრე ალარ მასხომს, სიმართლე რო გიოხრა. ყველა თავის კუთხისას (ხატებს) ახსენებდა. გაგაძეები მძიმე გვარია, სიკვდილამდე გამტანი, უდალატო ხალხია. რო მოხვიდე და მეეკადლო, სიკვდილამდე გაგიტანენ.

გაგაძეების ნასოფლარში მივდივართ სალოცავად. მანდარის წმიდა გიორგი, კვირაცხოველი, ადგილის დედა. აქ უფლაბაზე მთავარი ადგილის დედა ჸიგ სოფელში. ისინიც იქვეა, გარშემო. მანდ გაგაძეთას ცხრა მდვდელი ყოფილა, ცხრა დიაკვანი. ოურმე მანდედან გამოდიოდნენ გაგაძეთიდან ეს მდვდელ-დიაკონი ლომისას. რვა კომი ვართ გაგაძეენი. შირქში გვევანან, ყანჩავეთში, ქსოვრისში ჩვენი გვარისები. მივდივართ კიდვე იმათან დასაფლავებაზე, ქორწილში; ისინიც მოდიან.

ადგილის დედაში გოგოს როცა გავრევდით, მძივებს შევწირავდით და ქვევრში ვერიდით. ფულიც ვიცოდით, ქვევრში ჩაერა. ადგილის დედაში მოდიოდა პეტრე-პავლობა და კვირაცხოვლობა.

### გიორგი კეკიშვილი, 77 წლის, სოფ. ნადიბანი, 30. 05. 1983

კეკიშვილები (კეკიანი) ფშავებინ გართ მოსულნი. მამაპაპანი სამხი მმანი ყოფილან. ფშავში ცხოვრების დროს, ერთი ხევსური მოუკლავ. ამიტომ აყრილან და აქეთ-იქით უვლიათ. ბოლოს მთიულეთში მოსულან და სოფელ სალაჯურში შეხინებულან. უფროსი მმა მონადიორე იყო და ხშირად სტუმრობდა იქ მყოფ ბერებს. ბერებს უთქომ იმისთვი: „მოდი ჩვენთან, აქ იცხოვრე, ჩუენი წყალი ჩავლილია, ჩუენი საქმე მაინც წასულია, ჩუენს ადგილ-მამულს შენ დაგიმტკიცებთ, რო შენს მისნის-მისნებს და ქალ-ქალიშვილსაც არავინ შავდაოს“. საშვალო მმისთვის კი მანასეულელთ უთქვამთ: „მოდი ჩვენთან, ჩვენ მოგცემთ ადგილ-მამულს, ისე, რომ ხელი არავინ გახლოს და არავინ შეგეცილოსო“. მესამე უმცროსი მმა სალაჯურელთ მიუპატიქიათ: „იძენ მამულს მოგცემთ, რო ვერც კი მოუარო. შენი მმებიც მეზობელ სოფლებში იქნებიან, ერთმანეთს არ დაკარგავთ“. მთიულეთის წესი იყო, ბერებსა და სალაჯურელთ და მანასეულთ ამ სამი მმა ამანათისათვის ადგილ-მამული მისცეს და აგრეთვე სახლებიც გაუკეთეს და ხარძოსაც მისცეს. ზამთრეულს მოსულ უფროს მმას და მის მოდგმას ყოველ წელს კულუხი და ბეგარა უნდა ეძლივა ცეცხლიჯრობის დროს სალოცავად მოსული ხალხისათვის. ზამთრეულს გარდა, ცეცხლიჯგრის მამული სოფელ ყველათასაც იყო. იმ ადგილს, სადაც ეხლა სოფელ ყველათ განაპირას შა-

ბლიანი მოსახლეობენ (შაბლიანი ყველაიძეების კომობაა, ძორად იგრიაულები არიან), წინათ იქ სუარო (სუარიძეებს) უცხოვრიათ. ეს სუარიძეები ეხლა სოფელ გოგნაურთაში არიან. სუარიძეს თხრილი გაუკეთებია, რომელშიც თეთრი ირემი ჩავარდნილა და ის ირემი მოუკლავ იმ სუარო კაცს. ის თეთრი ირემი კი ცეცხლიჯორის ყოფილა. რო გაუგია ირემი ხატისა-აო, შეშინებულა, თავი ყველაფრისათვის დაუნებებია და გადასახლებულა სოფელ გოგნაურში. მთა და მამული კი ცეცხლი-ჯორისათვის შაუწირავს, ხატს რომ ირმის მოკლა ეპატივებინა. მერე ერთი ფშაველი იგრიაული მოსულა სოფელ ნადინანთას და ცეცხლიჯვრის დღეობის დროს ხალხისთვი უთხოვია: მიმიღეთ, რო თქვენი თემისა გავხდეთ“. ხალხმა კი მისცა სუარო შეწირული მთა-მამული სოფელ ყველათას. დაეკისრა კი ცეცხლისჯვრის ხატისათვის კულუხისა და ბეგარის გადახდა გიორგობას, ნათლიდებას და კვირაცხოვლობას. ცეცხლი-ჯორს მამულები ჰქონდა მანასეულშიც. მანასეულში სათემო ხატის ცეცხლისჯვრის მთა-მამულზე გუდამაყრიდან მოსული წიკლაური იყო დასახლებული. ისინიც კულუხსა და ბეგარას იხდიდნენ.

ცეცხლისჯვრის ეკლესიის გვერდით ხთიშობლის ეკლესიაა აშენებული. ეკლესია თამარ მეფის დროსაა აშენებული. დაქანებული ადგილის გამო, სალოცავად მოსული ხალხი თავს იყრიდა ცოტა მოშორებით. ამ ადგილს საჯაროს ვებახით. საჯაროს ზევით კი ნასახლარია. ამას სათემო სახლს ვებახით. ორი სახლი ყოფილა, გვერდებით ერთმანეთზე მიდგმული. ერთი კაცებისათვის ყოფილა, მეორე – დედაკაცებისათვი. სათემო სახლის ზევიდან ზედასართული (კალო) იყო გაკეთებული. სათემო სახლთან ახლოს სამი მეკომური კეკიშვილი ვცხოვრიდით. დადამებისას მლოცველი საჯარო მოედნიდან სათემო სახლში იყრიდა თავს. ცეცხლი-ჯორში გოგნაურელი ოგბათ თადილას დროს საკვირველი ამბავი დატრიალებულა. თადილას დაუკარგავ ცეცხლი-ჯვრის კურატი. კურატი ქსნელ თეზელა-ანთ მოუპარავ. ისინი აგისძმენელი ხალხი ყოფილან. ოგბათ თადილა ქსანზე ჩასულა და უკითხავს: „პურატი დავკარგე და ხომ არ გინახავთო“. თეზელაანთ ძალიან უცემნიათ ოგბათ თადილა. ნაცემს ერთი წელი გაუძლია და შემდეგ მომპვდარა. თადილას სიკვდილის შემდეგ, თემს საბოვრაყის წინ სამრის-ხველო სამანი ჩაუსომს და ერთხმად დაურისხებიათ: „შენ გამაინე ცეცხლისჯვრო იმ კურატის მამპარავი და შამჭმელიო

და გაეც შასაფერი პასუხიო“. თემის შაბახილი ხატმა გაიგონა, თეზელანთ სახადი გაუჩნდა და ქალ-ქალიშვილობამდე გაწყვეტილან, ვინც თავანეარა ხალხი ყოფილან. შაბლიანი ფშავიდან არიან მოსული, ძირად იგრიაულებია. მაგათ მამა-პაპას კაცი მოუკლავს და გამოხიზნულა. თემმა სუარიშვილის შეწირულ მამულზე დაასახლდა. ის მამული უპატრონოდ ყოფილა დარჩენილი, ხოლო კულუხი დაუდვია 49 თუნგი არაყი ცეცხლიჯორის დღეობებში მოეტანა. ცეცხლიჯორი შთამომავლობით ოგბათი იყო, მათი ოჯახიდან იყვნენ დეპანოზები.

\*\*\*

==ბარათაშვილები თავს თვლიან იმ შვიდი ათასი ქართველი ტყვიდან ერთ-ერთის შთამომავლად, რომელიც ლომისამ დაიხსნა სათათრეთიდან. კერძოდ იმ უკანასკნელის შვილები, რომელიც შვიდი ათასს ერთი რომ აკლდა და ლომისა-ხარი რომ არ მოდიოდა. როცა ეს ერთიც მოიყვანეს (მოახლე ქალი) ლომისაც (ხარი) წამოვიდა და დაფუძნდა მთიულეთს. იმ ერთი მოახლე ქალის შთამომავლები არიან ბარათაშვილები. ბარათაშვილები რო არიან ჩვენთან, არავითარი ნათესაური კავშირი, მისგლა-მოსგლა, ხატში სიარული არა გვაქვს.

==უშართას არის კვირია, ადგილის დედა და მთავარანგელოზი და ყველაწმიდა დგომიშობელი უშართას აშენებული. ბავშვს უშარიძეები გავრევდით ყველაწმიდა ხეთიშობელში – ხალარჯობა დღეს, მერე – ლომისაში.

==წერეში ზაქაიძე, ძაგნიძე, ნარაიძე, ჯერმიზაშვილი – სუმელა ზაქაიძეობაზე იწერება. განაყრები არიან. კომად ვეძენით ზაქაიძეს ჯერმიზაანთა.

== თორმეწამეს მთელი ხადა ლოცულობს. თიბათვის ორ-სამრიცხვებში იქნებოდა, ხადიჯვრობას ვეძანით. წინათ დეკანოზი მანდ ბენიაძე და ზაქაიძე იყო. სხვა გვარიდან მანდ დეკანოზი არ დადგებოდა. ალავერდობა ხადის საღოცავია. მუდურე, წაჭრე, ბეგონი, როსტიანი, სვიანანი, ბებიანი, იუხო, ქოროლო ლოცულობენ მანდა. თედორე საქონლის ხატია. არახვეთელები, მლეთე, ხადა აქ მოდიან. დაშლილია. თედორობა ზამთარში მოდის. შაბათ დღეს.

==გოგნაურის (სალაჯურის) წმ. გიორგის ახმეტაში ვენახი ჰქონდა. აქედან წავიდოდა სამი კაცი და ლვინოს წამოიდებდნენ.

==ჩვენა წინათ ხარებაშვილები ვყოფილგართ. მემრე ერთი ბებერი ყოფილა, ქალი ყოლია. რაჭველები დადიოდნენ სამუშაოდ. იმათ ბიჭი მოყოლიათ. ეს ბიჭი მოჯამაგირედ დააგდეთ, წისქილი მიბრუნავს აქაო, – უთქომს ბებერს. მეეწონა მერე ეს ბიჭი, წელიწადში ხუთი თუმანი უნდა მიეცა. ბიჭი ოცი წლისა იქნებოდა. კიორტიძე ყოფილა გარად. მემრე ეს კიორტიძე ჩაისიძევა. ქალი ხარებაშვილი იყო.

==მიყორაშვილები წინათ რა ვიცი რა გვარები იქნებოდნენ. როცა ბატონი ყოფილა, მიყორაშვილის ქალს ჯიელი ბატონიშვილი შაჟყვარებია. მერე მიყორანი შერქმიათ მაგათა. მერე შვილები ეყოლა ქალსა და ჩამომავლობა დარჩა მიყორანი.

==ბერის წმიდა გიორგიში მარტო ბექიშვილები და დარძულიძეები მიდიოდნენ.

==ცეცხლისჯვარი მდებარეობს სოფელ ზამთრეულთას აღმოსავლეთით. დიდი ნაგებობა – სალოცავი მოიცავს ყველაწმინდის ეკლესიას, ცეცხლისჯვრის ნიშს, ცეცხლიჯვრის ეკლესიას და სათემო სახლს. კომპლექსი სოფელ ზამთრეულთასთან იყო. ამ თემში შედიოდა აგრეთვე სოფლები: ყველანი, სალაჯური, ნადიბანი, გოგნაური, ჩოხელი, მანასეული, ხარხეთი.

==ცეცხლისჯორში დეკანოზის დალოცვა: „ღმერთო, დიდებულო, შენ უშველე ყველა ქრისტიან კაცს. ჩვენს ხემწიფეს, დიდებულო ცეცხლისჯორო, მტერს ნე მორევ ჩვენს საქართველოს და ჩვენს ნეფეს. ღმერთო დიდებულო, შენ უშველე მთელს მთიულეთს, გუდამაყარს და ხანდო ჭართალს, დიდებულო ცეცხლისჯორო, შენ უშველე ჩვენს თემს და შენს მოსაწირავე“. დეკანოზის დალოცვისას ხალხი შესძახებდა: „შესძახე, დიდებულო, ცეცხლისჯორს, მოსწიოს ქალ-ქალიშვილსაო“.

==ნადორევეის წმიდა გიორგი ისეთივე საერთო სალოცავია, როგორც ლომისა, რომელსაც ბარიდან მოსული ხალხიც ლოცულობდა.

==გვიდაქეში მცხოვრები ბუჩქურები ხევსურეთის სოფელ ბუჩქურთიდან გართ გაძმოსულები. სოფელ ბუჩქურთას ერთოჯახში ცხრანი მმანი ძალიან „გიუგბი“ ყოფილან და სოფელს გამოუყრია. ზოგი სოფელ ტონჩას, ზოგი ზეგნაკორას, ერთი ხევის სოფელ ახალციხეს დასახლებულა და უთქვამს: „მე აქ დავდგები, სხვა რო არაფერი იყოს, ნადირის ხორცით ვიცხოვრებო“.

გუდამაყარი

**ალექსი ისაკის მე ანთაური, 49 წლის, ფასანაური,  
17. 07. 1981**

მე ვცხოვრობდი ჯერა გუდამაყრის სოფელ ლუთხუბში. მერე გადავედი ფასანაურში. ჩვენა ვართ წამოსული ხევსურეთის სოფელ ბლოდან; გიგაურები ვიყავით ადრე. ვინც გადმოსახლდა იმას ერქვა ახორა. კომად ლუთხუბში გამახარედ გვეძახიან. ორი ბიძა ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლდა, ორჯონიკიძეში. [ანთაურები] ლუთხუბში ვიყავით ჩემ ბალდობას 5 კომი. ორნი კიდევ არხილოზე არიან, ნელა ხანებში გადასახლდნენ. [ფასანაურში] ანთაურები ჩვენ გარდა (2 კომი), სხვა არავინაა. ერთი ანთაური თელავში აღმოვაჩინე.

დავდიოდით სალოცავად ბლოში ათენგენობას – მუხის გიორგის ვეძახით.

ლუთხუბში სალოცავი გვქონდა ფშარაველი (ფშარაო). ეპლესია არაა, მაღალ მთაზედ არის პატარა ნიში; სოფლიდან არის 5-6 კილომეტრი. ფშარაველი გაყურებს მაღაწალ წმიდა გიორგის, რომელიც ცხვედიათსა და დიხხოს ეკუთვნის. კაწალხევშიც არიან ჩვენი მოგვარეები. ესენიც დადიან ბლოში სალოცავად. ჭართლელ გიგაურებთან ვბიძაშვილობთ.

**მაგდანა სოლომონის ასული ბექაური-ჯანიაშვილი,  
70 წლის, ფასანაური, 23. 07. 1981**

ჩემი მამის ჩამომავლობა, ჩვენი წინაპრები ყოფილან ხევსურეთში, უკანახოში. ხატია, იმ ქედზეა ნასახლარი. დიდი მაცხოვრებელი ხალხი ყოფილა. იმ დროს ზურაბ ერისთავი ყოფილა და ლაშქრავდა ის ხალხს. გაუგონია, რომ მიქაი და შარვანია (ჩვენი წინაპრები ხევსურეთში) კარგი მცხოვრები ხალხი იყო. შეესრა ჯარი და უნდა წავიდეს იქა. ამათა ეხლა ეს ალბათ ელოდებოდნენ, რომ მდიდრად რომ ვართ, ვინმე რამეს გვიზამსო. დაუბეზღებია თლოშიას ბადუნაურს (გვარი იყო), რომ მდიდრად ცხოვრობდა. ზურაბ ერისთავმა რომ უნდა გაიტანოს მაგით ოქრო და ვერცხლი:

„ზურაბმ უბრძანა ლაშქარსა

მოდი, ვიდინოთ წყნარადაო;

მიქას, მაგ შარვანაულსა,

ვერგინ ჩაუვლის კარადაო.

ბევრი აქვ ტყვია-წამალი,  
ჯორი ვერ ზიდავს ცალადაო.  
წისქვილი ცაში უბრუნავს,  
ვერ გამარეკავს ძალადაო.

წავიდა ზურაბ ერისთავი და რო გადავიდა ფხიტურზე, სა-  
ქონელს ხოცა დაუწყეს, ზურაბ ერისთავმა ქვეიდან შამოუ-  
ძახა:

საქონს რადა ლევ სხვისასაო?  
საქონი მეაც ბევრი მყავს,  
ქუმას ვაძოვებ მთისასაო.  
შვიდი მყავს, შვიდი ძმისწული,  
დღემუდამ დადგმენ ლიშანსაო.  
რომელსაც დაუცილდება,  
ფერდაიდებენ მგლისასაო.

ზურაბ ერისთავს დაუხხოცია ისენი და მერე ერთი ბალ-  
დი დამრჩალა. მიქასთვის თავი რომ მოუჭრია, რეჯ გამოს-  
დებიაო. ის ბალდი წამოსულა და გუდამაყარში დასახლე-  
ბულა და იმისგან ვართ ბექაურები. მაგის დედას ერქვა თი-  
ნათინი. ის ქალი ყოფილა ბაქურხეველი ხევსური. პირვე-  
ლად ნისლაურთას ვეძახით, ნაყორნიო, იქ დასახლებულან.  
ეხლა გამსისა ვართ.

ბექაი და წიკვაი ძმები ყოფილან. ჩეუბი მოსვლიათ და  
ძაღლი გაუკვეთიათ, რომ ქალი გვერგოს ერთმანეთისო.

ბექაურების სალოცავია პირიმზე ფუძის ანგელოზი (ჩო-  
ხში) და წვერის ანგელოზი. წვერის ანგელოზი გამსის თავს  
არის. კიდევა არის საბურთველოს წმიდა გიორგი და მთა-  
ვარანგელოზი. მთავარანგელოზი არის კიტოხში რომ მი-  
ვალთ, გორზე. დიდებანთოან არის საბურთველოს წმიდა  
გიორგი. დიდებანთში და გამსში არიან ბექაურები: თორე-  
ლანი, კიტოხი, ცუცქუნაურნი. საბურთველოში უფრო ჯან-  
მრთელობას შეხოხვენ. გუდამაყარი თემია, იმიტომ, რომ  
ბევრი სოფელია.

ბავშვებს ბექაურები ვრევთ ჯერ წვერის ანგელოზში  
და მემრე პირიმზე ფუძის ანგელოზში. პირიმზე ფუძის ან-  
გელოზი გუდამაყრელების საერთო სალოცავია. ზეგარდის  
წმიდა გიორგიშიც მიდიან ბექაურები (დუმაცხოში) – ესე

იციან: დუმაცხოს სადთო მაღალოო. ეს არის აფციაურების სალოცავი, მაგრამ მაინც მივდივართ.

როცა იყო ავად ბავშვი, ახალგაზრდა, იტყოდნენ, მოარჩინე თღონდ და შენი ყმა იყოსო, ყმად გაუხდიდნენ მაგას. ყმა იმას ნიშნავს, რომ ერთი წელი თუ არ წავა, მეორე წელიწადს უნდა წავიდეს.

ჩემი მმა ლომისაში იყო, მთიულების სალოცავში შეწირული. ჩემი მმა დაკარგულა ჯარში, ნიკალაის ომი რომ იყო. ყველა გამსიველი მოსულა და ჩემი მმა დაკარგულა. დედამ შეწირა ლომისას, რომ ლომისა ტყვეების დამხსნელი ხარ და შვილი დამიბრუნეო, დაიხსენ ტყვეობიდან და შენი ყმა იყოს და დაბრუნდა, როცა ყმად შესწირა, დედას მაშინ ბოძე დაუჭედავს (ჯვარი გაუკეთებია), დედაბოძე.

ჩემი სამშობლო, არ შეიძლება, მკვდარიც რომ წინ ედვათ, არ წავიდნენ პირიმზე ფუძის ანგელოზში. შარვანიანებმა (ბექაურების კომობაა) თუ არ დაკლა საკლავი, სხვა ვერ დაკლავს. ხევსურეთში ფუძის ანგელოზში უნდა დაკლან ეს საკლავი. იქ ლუდი აქვთ ნადუდარი და კოდებში ჩასხმული. თემსა სდებია ეს სადები (სადები=მოკრეფენ პურს, რამდენიც კომია იმდენს, სამი ფუთის რაოდენობა უნდა იყოს). პურის ფორს წაიდებენ და ხევსურეთში გადაიტანენ. აქ ლოცავენ, რომ მოვიდეს ქალ-ქალიშვილიო.

ამანათი ის არის, რომ ქალს მოუკვდა, ახალგაზრდას, კაცი. დარჩა შვილები და სხვაგან გათხოვდა და წაიყვანა თან თავის შვილები. მის შვილები მამინაცვლის სოფელში ითვლებიან ამანათად. მანგლისში შემოკვდომია ჩვენი გვარის კაცს და აქ ამოსულიყო ისევ უკან და იმაზე ამანათს იტყოდნენ.

მე მინდა რომ ხატს კურატი შევწირო, ჩვენი ოჯახი იყოს კარგად, უნაკლოდ. იმ შემთხვევაშიც იცოდნენ, ვინმე ახალგაზრდა თუ ავად იყო. ხარს შემოატარებდნენ ავადმყოფის გარშემო სამჯერ, შეიწირე ეს ხარი, უშველე ამ ავადმყოფს და გაათავისუფლე ავადმყოფობისაგან. ერთ შვილს დედა შამოვლებიყო თავზე სამჯერ მუხლის კვრევით (მუხლის კვერი), ხატს თხოვა, რომ მე მომკალი და შვილი გამიჯანსაღეო. ხატში კი არ შემოვლო თავს თავის შვილს, თავის კერაზე. მერე შვილი მორჩა და დედა მოკვდა. იტყოდა

ხოლმე ნინოაო, მე შენს ნაცვლად ვპვდებიო. მემრე ის კაცი ავად რომ გახდა, 3 წელიწადი იყო ლოგინად, ვერ ინძრეოდა.

ხატში სულ საღამოთი იხოცება საქონელი. დილით მოდის ხალხი, საღამოთი მივა და მაშინ არის დრო.

სამანი არის, რაღაც დააშავა და მტერსა და დუშმანს სამრისხველო სამანი ჩაუსვეს (მოკვლა, დანაშაული). სოფელი გადაუწყვეტდა სამანის ჩასმას. სამანს რჩეული ხალხი ჩასვამდა და დეკნოზი.

ბექაურობა გვქონდა, მთელი გვარი შეიკრიბა – აქაური და სხვაგან გადასახლებული. აუარებელი ხალხი მოქუჩდა, რომ მინდორზე არ ეტეოდნენ.

\*\*\*

წიკლაურები არიან დოლასქედში (ჭართლის საბჭო) – 9-10 კომლი. სალოცავი არის პირიმზე ფუძის ანგელოზი გუდამაყარში, ბავშვი უნდა აქ გაირიოს. დოლასქედში აფციაურებიც არიან, ქავთარაძეებიც, მთიდან გადასულები.

**კაცა ივანეს ძე წიკლაური, 76 წლის, სოფელი ჩობალაური,  
24. 07. 1981**

ჩობალაური ჩოხის ქვემოდანაა, წიკლაურები ვცხოვ-რობთ. გამოსული არიან ფახვიჯიდან (ფახვიჯიც გუდამაყარს ეკუთვნის, ხევსურეთის მხარესაა).

წიკლაურების პაპის პაპა ხევსურეთიდან, როშკიდანაა გადმოსული სამნი ძმანი. ერთი გუდამაყარს დასახლებულა, ერთი ყაზბეგში, მესამე – არ ვიცი. გამოერიდნენ მგვლელობას, ჩხუბსა და ხათაბალას. ჩვენი გვარის ხატია პირიმზე ფუძის ანგელოზი. ჩვენი პაპის პაპა ჯერ ფახვიჯში იყვნენ და იქიდან გადმოვიდნენ ჩობალაურში. გუდამაყრელები ლომისას ისე ლოცულობენ, როგორც ყმები – არა.

ამანათი, მაგალითად, უპატრონო, უსახლკარო, უწილკერო დადის ეგრე და მიეხისხება სოფელს. დღესაც ვიცით შესანდობარი, ამანათები შეიწყალოს. ამანათებს სოფლის სასაფლაოზე ცალკე კუთხე ჰქონდათ გამოყოფით.

ხატშიც იციან სამნის ჩასმა. ვინმე ისეთ საქმეს გააკუთქს, რაც არ ეკუთვნის, სოფელს შეურაცხყოფას მიაკუნებს, შეარცხვენს, ამას მიაკუთვნებენ. თემის, ხალხის ენა-

პირით ნათქვამია, ჩასვამენ ქვას, რომ მუდამ იყოს, საკლავს დაკლავდნენ, დაარისხებდნენ.

კეკიშვილები არიან მთიულეთის სოფელ სალაჯურში. მაგათი ყოფილა ერთი მეფის დროს სტრაჟნიკი, ბეგარაზე უნდა გაერეკა. იმ დროს მისულა ის კეკიშვილი, როცა ლომისობაა, დღეობა. წამოიყვანა ბეგარაზე, თან უცემია ეს ხალხი. მერე მღლოველს კეკიშვილი დაურისხებია, თქვენი გვარი ნურც ამოწყდება და ნურც გამრავლდებაო და ჩოხს ჩაუგდია სამანი. ხევისბერთან შარშან მოვიდა ერთი კეკიშვილი, ხარს მოვიყვანო, საკლავს დაკლავთ, ოდონდ ის სამრისხელო ქვა ამოაგდეთო. დეკანოზმა უარი უთხრა ქვის/სამანის ამოღებაზე. მისულან ეს მთიულები და დაუწყიათ ძებნა იმ სამანისა, რომ ამოიღონ. მერე ჩოხელებს სწერებით და არ მიუციათ ამ სამანის ამოღების ნება.

ჩობალაურის ადგილი თავისუფალი იყო და იმიტომ გამოვიდნენ ფახვიჯიდან წიკლაურები. ჩობალაური მანდ არავინაა. ფახვიჯში კიდევ იქნებიან წიკლაურები (10-12 კომი).

გიგოლა ივანეს ძე წიკლაური, დაბად. 1892 წელს.  
მონათლულია 1893 წელს. ფასანაური. გუდამაყრის სოფელ  
გამსიდან. სამი წელიწადია ფასანაურში ცხოვრობს  
ქალიშვილთან. 22. 05. 82

ეს სამი წელიწადია გუდამაყარს მივანებე თავი და ხან აქა ვარ, ხან უინვალში.

მამაჩემს ერქვიენა ივანე, ამის მამას გივი, გივის მამას – ნადირა. იმის იქით აღარ მახსოვეს.

კომობის სახელს გვეძახიან ჭალივერთ. ჩვენი წინაპრები დაბლა ცხოვრობდნენ ჭალაში, სოფელი ზემოთ იყო და იმიტომ ჭალივერთ ეძახდნენ. სინამდვილეში კი ქურციკიანი რქმივნებიათ. სადაც ჩვენა ვცხოვრობდით, იქ სხვებიც ყოფილიყვნენ. მღვდელი ყოფლა ერთი, ჩვენი წიკლაური. იმისი სახლი ზოგს დაუნგრევია და გადასახლებულა ლაფანაანთკარში. მაშინ დაბადებული არ ვიყავო. არის კიდევ სხვა წიკლაურის ნასახლარები. ისინი სიჯანათას, ისივ გუდამაყარს გადასახლებულან. ესეც ჩემს დაბადებამდე იყო.

ქურციკი ნადირაის მამის მამა იქნებოდა. გამსში მარტო ქურციკიანი ვიყავით წიკლაურების გვარიდან. იყვნენ კიდევ ბექაურები.

მამაჩემი და იმისი ძმები მაშინ გაიყარნენ ოჯახიდან, როცა დაცოლშვილდნენ და შვილები შეეძინათ.

მამის ძმამ როცა ცოლი შეირთო, გადასახლდა მანგლისისაკენ. თავის სახლი ვერ მოითმინა, ვერც მეზობლადა, წავიდა და ცოლეურო შეეთვისა. ქალიც გუდამაყრელი იყო. აქ შეირთო გუდამაყროში. ჯერ ცოლეურთას იყო და იქიდან წავიდა ქართლში, მანგლისის მხარეზე სოფელ შუბათში გადასახლდა.

ბევრი ოჯახი იყო, რომ ბიძაშვილები და ბიძაშვილის შვილები ერთად ცხოვრობდნენ. იმათ ცხვარი ყავდათ, საქონელიც ყავდათ, მიწაც ქონდათ.

ოჯახის უფროსი ის იქნებოდა, რომელსაც რომა ცხორი ყავდა, ცხორში დადიოდა, იმას ეწოდებოდა “ხაზეინი”. იმის სიტყვაზე ოჯახის წევრები მუშაობდნენ და ოჯახს ისე აწარმოებდნენ. როგორც უფროსი დაუთითებდა, უმცროსები ისე მუშაობდნენ. ის კაცი ცხორში როცა იყო, ვინც ოჯახში სხვა უფროსი იყო, ის განაგებდა.

სახლიკაცი ძმა-ძმას ეწოდებოდა. რძალი მაზლს ეტყოდა როგორც „ჩემო მაზლის“, ისე „სახლიკაცის“. ბიძაშვილებსაც ეტყოდნენ სახლიკაცობას. როცა ხანი გავიდოდა, რამდენიმე მამის შემდეგ სახლიკაცი აღარ ეწოდებოდა.

მოგვარე პევია იმას: მე წიკლაური ვარ, შენ ბექაური ხარ. ჩვენ მოგვარები არა ვართ. წიკლაური წიკლაურს ეტყოდა მოგვარეს.

ეს მთავრობა რომ შემოსახლდა, ხალხი გუდამაყროში ასაკს იმატებდა, ერთ ათ წელს მაინც, რომ ადრე განთავისუფლებულიყო სამუშაოდან.

როცა გაიყრებოდნენ მამულის ნაწილი ქალს არ ეძლეოდა.

გამსში უფრო ადრე წიკლაურები დასახლებულან. ბექაურები კიდევ იმის შემდეგ მოსახლებულან. ხოლო არ ვიცი რომელ წლებში იქნებოდა იმათი გამსიში დასახლება. გამსიდან გადასახლებული წიკლაურები მოსახლეობებს სიჯანათას და ფახვიჯს [ორივე გუდამაყრის სოფელია]. მიწის

ნაწილი ჩვენ წიკლაურებს ფახვიჯში გვაქვს. ესე არ ვიცი, ეს მიწა, წილი საიდან ჩაიგდეს ხელში წიკლაურებმა ფახვიჯში, იქ ცხოვრობდნენ თუ როგორ იყო.

ბექაურები ჩვენ სოფელში კიტოხიდან არიან გადმოსახლებულები. როცა ბექა და წიქვა მოსულან, მაშინ ნაკლები ყოფილა გუდამაყარში ხალხი.

ორი ნაწილი წიკლაურია გუდამაყარში და მესამედი ნაწილი ბექაურია. ბექაურები ცოტები არიან და წიკლაურები ბეკრია.

წიკლაურებისა და ბექაურების მთავარი სალოცავია პირიმზე. ორის გვარისა ერთი ხატია. ჩოხლებსა და აფციაურებს მაგათ თავთავისი ხატები აქვთ – ჩოხის წმინდა გიორგი და ზეგარდის წმინდა გიორგი, ანუ მთავარანგელოზი.

თუ ვინმე ავად გაუხდებოდა ჩოხელსა და აფციაურს, მაშინ შეეხვეწებოდნენ პირიმზე ფუძის ანგელოზსა: გვიშველე, გაგვაურნეო. საკლავს წაიყვანდნენ, მივიდოდნენ, იღოცებდნენ. სხვა შემთხვევაში, იშვიათად მოდიოდნენ აფციაურები და ჩოხელები.

კველაზე ძლიერი ხატი გუდამაყარში იყო პირიმზე ფუძის ანგელოზი – ამას აფციაურები, ჩოხელები და წიკლაურები, ბექაურები ერთად ლოცულობდნენ. მაგის დღეობა წელიწადში ერთხელ მოდიოდა 15 აგვისტოს, მარიამბის სწორზე რომელი შაბათიც მოვიდოდა, იმის სწორზე მოვიდოდა ფუძის ანგელოზობა. ახორბას უწოდებდა ჩვენი ხალხი. ეს ხატი არის პირიმზეში ბექაურ-წიკლაურების ხატში.

XVI საუკუნეში ზურაბ ერისთავი ყოფილა ანანურის ერისთავი. ის წასულა ახალციხეში გაჲპეთებინებია გერცხლის ჯვარი, წამოუდია და მოუტანია გუდამაყარში წიკლაურ-ბექაურების სალოცავად. ამ ზურაბ ერისთავს ურჩევია ადგილი იმ ხატის, სადაც უნდა დაარსებულიყო, სადაც უნდა ელოცა ხალხს – დაუთოლიერებია ადგილმდებარეობა და მოსწონებია ჩოხის ტერიტორია, რასაც ეხლა ეწოდება პირიმზის მინდორი და ის აურჩევია ზურაბ ერისთავს. ჩოხელებს რა უფლება პქონდათ, რომ ერისთავის წინააღმდეგ წასულიყვნენ. ეს ყოფილა ზაფხულში (მაშინ), აგვისტოს

თვე, ან ივლისის თვე. ამ ხანებში ყოფილა ამ ხატის დამკვიდრება იქ. მაშინ დღე დიდია ზაფხულში, მზე ზემოთ არის ძალიანა და მზე ჩადის ისეთ ადგილას, სადაც რომ უფრო დაბლობია და ამ დაბლობიდან პირდაპირ პირიმზის მინდორს უმიზნებს, სადაც პირიმზის ხატი დაარსა ზურაბ ერისთავმა. ესე რომ სხვა ადგილებში, რომ მზე კარგა მაღლა აიწევდა გორებისაკენ, იქ პირიმზის მინდვრებში ისევ მზე იყო. იქ დაღამებამდე მზე არ ჩადის. ამის გამო დაქვივნეს ამ ხატს პირიმზე.

პირიმზისა და ფუძის ანგელოზის ჯვარი ერთი და იგივეა. ერთი ეკლესია. ეს ერთი ხატია. ამ ჯვარს ჩვენ ხატს ვეძახით. ჯვარი კია დახატული ზედ იუსო ქრისტე – ამას ხალხი ვეძახით ხატს.

გამსში ჩვენ გვჭონდა წვერის ანგელოზი. ნიშია ეს. საქობეა, გაკეთებული ქობი იყო, ლუდს ადუდებდნენ დღეობისთვინა. ზარები იყო დაკიდული. ხოლო ეხლა მარტო არის საქობე, ხოლო ქობი აღარ არის. სხვა სოფლებიდან გამსში იშვიათად მოდიოდნენ, თუ დაამიზეზებდა მაშინ.

გამიგია გუდამაყარში, ბოსელსა და დუმაცხოში ცხოვრობდა ბუბუნაურები, ზოგი ადგილობრივ არის, ზოგი გადასახლდნენ. ეს ბუბუნაურები კომლეურის სახელია და გვარი წიკლაური. ბარში წინავ წასულან ზოგი ბუბუნაურები ახალციხისკენა, სხვა ხალხიც. ნელად გადასახლდნენ ისევ ეგენი ახალციხისაკენ. ზოგი შირაქშია ეხლა გადასახლებული.

ხარხელაურებიც წიკლაურებში შედიან. ეს კომლეურების სახელია. ესენია დუმაცხოში. ხარხელაურები მარტო დუმაცხოში არიან.

ათხოხში იყვნენ თამნიაურები, ეგენი ზოგი გადასახლდნენ, ზოგი მანდ არიან. იგივე წიკლაურობაზე იწერებიან. თამნიაურები კომლეურის სახელია. თამნიაურები კიდევ არიან ცხვედიათში.

თლორშიაურებიც წიკლაურები არიან. მაქართაში ყოფილან. მერე გადმოსახლებულან ზანდუკში. ესეც კომლეურის სახელია. ლიდე ჩამომავლობით არიან ლაგაზიანი, ხოლო ცხოვრობდნენ სოფელ ხოზას ანდა ჩობალაურთას. ამ ორი

სოფლის შუა ცხოვრობდნენ. ლიდეში ერთი კომლი იყო და ეხლაც ასეა.

ცუცქუნაურები გამიგია. არის ასეთი სოფელი. ეხლა ბექაურებად იწერებიან, მაგრამ სინამდვილეში ბექაურები არ არიან. ჩამომავლობით ხევსურები არიან.

გუდამაყრელი მიგრიაულები (შემისწორა იგრიაული კი არა მიგრიაულიო. მიგრიაული გამიგია გუდამაყარში, იგრიაული არაო). ჭალისოფლიდან გადასახლდნენ ჭართლის სოფელ საჩალისჭალაში. წიკლაურებია ესენიც. მიგრიაულები წიკლაურების კომობაა. ამით ამანათობის შესახებ არაფერი გამიგია.

ამანათობა ყოფილა ფახვიჯში, ლუთხუბში და დიხოში. ფახვიჯში ხევსური მოსულა. რაღაც შემთხვევა მოხდენია და კაცის მკვლელობაში გადასახლება უწევდა და მოსულან ფახვიჯში და მიუღიათ ამანათოდ. თავდაბლად უნდა ყოფილიყო სოფელში მოსული, შეკვედლებული ეს კაცი, რომ, რასაც დაუთითებდა სოფელი, იმას უნდა დასჯერებიყო. ეხლა წიკლაურებად იწერებიან ფახვიჯში, ხევსურეთში სხვა გვარი იქნებოდა, რასაკვირველია.

დიხოში ვინც იყო იმან შეიცვალა გვარი, ვინაიდან დიხოში სულ წიკლაურები ცხოვრობდნენ, ხოლოდ ლუთხუბში ვინც ამანათი შესულა ხევსური, ისინი დღესაც თავის გვარზე იწერებიან. იმათი გვარი არის ანთაური.

საბურთველოს წმ. გიორგი სოფ. დიდებანთასაა.

ზეგარდის წმინდა გიორგიში ჯვარია, მაგრამ ხატი ჰქვია.

მაჩაგნის ჯვარში ბექაურები ლოცულობენ, ჩემს ხსომობას ასე იყო და წინათ როგორ იყო არ ვიცი.

იმ დროსა, სუკველანი ქართველი ხალხი კერპებს ლოცულობდნენ თურმე, მე-4 საუკუნემდე. დევები და კერპები ერთი და იგივე არაა. კერპებს აკეთებდნენ ხელოვნურად, დევები კი ითვლებოდა რაღაც უჩინარ არსებადა. დევები ყუდრო ადგილებში ცხოვრობდნენ. დაეცემოდნენ სოფელს ან დაეპატრონებოდნენ, ან დაიტაცებდნენ. მაგრამ ეს დევები იყვნენ ისეთი ხალხი, ვინც მაშინ კერპულად ცხოვრობდნენ და ძალას ხმარობდნენ, ჩაგრავდნენ მოსახლეობას, იმის გამო დაქვივნებია დევები. არაფერი დევები არ არის. ისინი

ჩვენსავით ადამიანები იყვნენ და ცხოვრობდნენ თავის ძალით, კერპობლივ.

მე შემემთხვივა შემდეგი. ბახანში ვიდრე შევალის ერთი დიდი კლდე არის, გოგორის კლდე ჰქვია. მე ბინდბუნდით წაველ ფასანაურიდან გუდამაყარში. ცოტა ავდრიანი დღე იყო, დილა იყო. ამ გოგორის კლდესთან რომ მივედი, რომ გავანახევრე, უნდა გავითაო ეს გასავალი, ამ დროს გავხედე და ერთი კაცი იმ გზის მარჯვეში დგას და თამაშობს. ჩვეულებრივი კაცი იყო, ჩემსავით ახალგაზრდად მამეწვენა. მაგრამ მე დღესაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ის კაცი იყო და არა დევი. მე რომ დამინახა ამ კაცმა, რომ მივდიოდი, წამოვიდა ჩემსკენ და დამეტუქრა, ახლა გიტირებ დედასაო. იმ კაცს, კარგად ვიცნობდი, ჭაუიდან იყო არეული და ვითომ დევად მომეწვენა. ის კაცი იყო ჩვენი გუდამაყრელი ქალის შვილი. იმის დედიძმას ეძახდნენ მიხას, ბექაური იყო. თითონ ის კაცი მგონი ქავთარაძე იყო. რომ მოვიდა ჩემთან მუქარითა, უთხარი: გაგიმარჯოს ლევანო, რატომ მემუქრები მეთქი. მითხრა: დედიძმა შენ ხარო? პო, მე ვარო და ბოდიში მოიხადა. მაშინვე უთხარი, ლევან, წამოდი, ამდი აპათან დუქანში, არაყი ექნება, შეგცივდებოდა, შე ბექავო. წამომყეა და იქვე მარჯვეში, 100 ნაბიჯი იქნებოდა, წყალი ჩამოდიოდა. რაკი ავდრის დრო იყო, ის ხევი ცოტა გამოდიდებული იყო. მივედით იმ წყალთან, ჩაწვა ეს კაცი ამ წყალში და გადაბრუნდა-გადმობრუნდა. შემეშინდა ნამდვილი დევია-მეთქი. ის კაცი აღარ დაჩნდა, აღარ მამდევდა. აი, ეს შემთხვევა მამიხდა მე. მე დღესაც არ ვიცი, ნამდვილი ის კაცი იყო, თუ მამეწვენა.

ხატის დიასახლისი ეს არის იგივე დასტური, მნათე ერთი წელი ამ ხატის მსახური უნდა ყოფილიყო. მას ევალებოდა ლუდის აღუღება. ლუდისათვის უნდა შეეკრიბა თითო კომლზე თითო პინა ქერი. უნდა დაეფქო და ედუდუ ბინა ლუდი. ეს ლუდი იხარჯებოდა ხატობაში.

დღეობები იყო. ახალი წელი, აღდგომის კვირიჯრობა, ამაღლება, პეტრე-პავლობა, მარიანობა, ახორის, გიორგობა – ყველა ამ დღეობაში ლუდი უნდა გამოეხადათ. უმეტეს მათში ლუდი იყო.

ადგილობრივ ხატში ჩვენი სოფლის მნათე, ანუ დასტური იყო. პირიმზისა კი თემიდან სახელდებოდა, დეკანოზები ასახელებდნენ, რომელი დეკანოზებიც ამ ხატების მოთავენი იყვნენ. პირიმზე ფუძის ანგელოზში ორი (2) დასტური იქნებოდა.

მთელი გუდამაყრის ხეობა ერთი თემი იყო. მთიულეთის ხეობა ერთი თემი იყო. ხანდო და ჭართალი ცალ-ცალკე თემი იყო.

დასტურები, მნათეები, ისე როგორც დეკანოზები პირიმზე-ფუძის ანგელოზში წიკლაურ-ბექაურები იყვნენ.

ხატს-პირიმზე ფუძის ანგელოზს ცხვარი ყავდა, ბევრი არა, ერთი 40-ოდე.

ზესიძე იშვიათად თავის გვარს შეიცვლიდა და სიმამრის გვარზე დაიწერებოდა.

ხორხში, ჩემი ახალგაზრდობის დროს, მაზლს ქვრივი რძალი შეერთო ცოლად. და ისინი სოფელს მოუკვეთია. ვარად იყვნენ ხუცურაულები.

ასე მოიკვეთდნენ: სოფელი შეიკრიბებოდა, მოვიდოდნენ ერთად იმ ოჯახში და გამოუცხადებდნენ, რომ თქვენ ესეთი საქმე ჩაიდინეთ და მოკვეთილები ხართ. წყალში რომ იხრჩობოდეთ, არავინ მოგეხმარებათ; არც ხატში მიუშვებენ, ვინმე მოუკვდებათ, არავინ მიეკარებოდათ. არც ვინ ხმას გასცემდა, არც ვინ აუძრახებდა. მეზობლობა არ გაეკარებოდა. იმათ საქონელს სოფლის საქონელში არ გარევდნენ, არც ხვნაში მიეშველებოდნენ და არც სათიბში. ყველა მორიდებული იქნებოდა. სადაც ხატი იქნებოდა სოფელი იქ შეიყრებოდა, შეიკრიბებოდა. სოფლის საფხვნოში, სადაც ხალხი იკრიბებოდა, იქ გადაწყვეტდნენ ამ ამბებს. ამ საფეხვნოს ის იუფროსებდა, ვინც მეტ ჭარას ფლობდა და ლაპარაკს ახერხებდა. მოკვეთის დროს დეკანოზი იქნებოდა თავი მეთაური. იმის დაუკითხავად სოფელში მაგისთანა საქმეს ვერაფერს გადაკეთებდნენ. დამნაშავეს ხარს გამოუყვანდნენ. იმ ოჯახიდან ფქვილსაც ამაიღებდნენ, პურსაც გამოაცხოდნენ, არაყს გამოიტანდნენ.

გუდამაყრის ჩვენს სალოცავებში კულტურული აქტები გადასახლებულ ხალხს მიჰქონდა. კულტურული ერქვივნა ხორბალს, ქერსა. აადუდუბდნენ ლუდსა ამ დღეობაში, რომელიც მოიტანდა კულტურას, ისაც იქ უნდა დასწრებულიყო.

კულტურა ხატს არ ყავდა საკუთარი ცხვარი. ყავდა პირობზე ფუძის ანგელოზს. ჩოხს არ ყავდა. ეს ცხვრები ხატს გაუჩნდა აქტები: როცა პირობზე ფუძის ანგელოზში მლოცვა მოდიოდა, ბევრი ცხორი მოყავდათ, ბევრი ცხორი იკვლოდა და თან უნდოდათ, რომ ცხორი ყოლიყო იმ ხატსა. ხატის ცხვარს მიაბარებდნენ ერთ კაცს, იმას ეძახდნენ მებაკურს. ხატობაში, როცა დასჭირდებოდათ, მაშინ დაკლავდნენ, უფრო ხშირად ახალწელიწადს დაკლავდნენ. ვინც მიიყვანა ეს ცხვარი ხატში, იმის თანდასწრებით ცხვრის დაკვლა აუცილებელი არ იყო. როცა დაკლავდნენ, მაშინ დაამწყალობებდნენ ცხვრის მოყვანს. ხატს გაადიდებდნენ და იმ ადამიანსაც, რომელმაც შესწირა ეს ცხვარი.

ხატებს კულტურას მამულები ჰქონდა. აი, როგორ გაუჩნდათ ხატებს მამული: სადაც ხატობა იყო და ადგილი იყო ბლომად, იქ იყო ხატისათვის არჩეული სახნავი მიწა. ეს სახნავი მიწა მაიხსნებოდა შაბათ დღეს. მივიდოდნენ დასტურები, მოიტანდნენ არაყს, თესლსა, რო დაეთესა და საბაკურიდან გამოიყვანდნენ ცხვარს და დაკლავდნენ, ხატს გაადიდებდნენ. ეგ იყო პირველი მიწა ხატისა. მერე დანარჩენი მიწა ხატისა. დანარჩენ მიწას ხატი ასე კულტურიდა. რომელიმე ოჯახს წევრი გაუხდებოდა ძალიან მძიმე ავადმყოფადა. ამ ღროსა არც ექიმი, არც არა მოვლა-პატრონიბა, მარტო ოჯახი უკლიდა და ხატებს შეეხვეწებოდნენ, მაარჩინეო და ხატს შეწირავდნენ მიწას, რომელიც მემკვიდრეობით ქონდათ. ის მიწა ითვლებოდა ხატის მიწადა. მოხსნავდა ვინმე. მიიკუთვნებდა ერთი კაცი და დაიდებდა ნადებს ან საკლავს მიიყვანდნენ, თუ სასმელი ეკუთვნოდა. დეკანოზები დაავალებდნენ, შენ მიწა რომ გიჭერია ხატისა, შენ ამ მიწის იჯარა უნდა იხადოო, ამდენი არაყი ან საკლავიო. ლუდი არა. ეს მიწა ითვლებოდა ხატის სადიდებლადა. ამ ხატის მიწის შემოსავალი ხატს ხმარდებოდა. ხალხი ხმარობდა ამ მიწის შემოსავალსა.

რო ვლოცულობდით ფუძის ანგელოზსა, ეს ფუძის ანგელოზი უკანახოდან ყოფილა (ეს ხატი). იმ სოფელს ეპუთენოდა იმ ხატის გადასახადი მიწისა და მთისა, საძოვრისა. ესენი ხდიულობდნენ გადასახადსა ხატის – პირიმზე ანგელოზის დღეობისათვის, მის ხატის სადიდებლად მოყვანდათ ის, რაც გადაკვეთილი (?) – რ. ო.) იყო იმ ხატის სადიდებლად (არაყი, ცხვრები და ხატს სწირავდნენ).

გამსედან, ვთქვათ, სადმე გადასახლდა ოჯახი, ისინი მიწას მიყიდიდნენ მეზობელს. მყიდველი დაეუფლებოდა ამ მიწას და სხვა კაცს არ ჰქონდა უფლება ამ მიწაში შესულიყო. შეიძლებოდა მყიდველს მიწის საფასური გადაეხადა ხარით, ცხვრით, ფულით.

გუდამაყრელები ბავშვებს ჯერ ადგილობრივ ხატებში გარევდნენ, მერე სათემო ხატში – პირიმზეში.

ლომისაში ეგრე თავის ქიფის გულისათვის დავდიოდით. გუდამაყრელები ვალდებულები არ იყვნენ, რომ ლომისაში წასულიყვნენ.

გუდამაყარში, შაპ-აბასის დროს, კახეთიდან შემოხინულები არიან: სოფ. გამსიში – ამათ გვარი ყოფილა, რაღაც ეშმაკი გვარი ყოფილა, ხო, გორზამაშვილები და ეხლა კი იწერებიან ბექაურებადა. ესენი, აი, როგორ მოვიდნენ: XVI საუკუნეში, როცა შაპ-აბასი გაწმენდას უპირებდა, მაშინ მთელი კახეთი იცლებოდა და ეფარებოდნენ მთა-გორიან კუთხეებში, იქ სახლდებოდნენ. როდესაც რომ შაპ-აბასი აღარ იყო და კახეთის ხალხი თავის ადგილებს დაუბრუნდა, მაშინ ცოტანი დარჩნენ მთაში. გორზამაშვილები – ესენი არიან კიდევ სოფელ დიდებანთას. ისინიც ბექაურობაზე იწერებიან ახლა. ამიტომ გადაუკეთებიათ გვარი, რომ მეტი ნაწილი ბექაურები იყვნენ და დაეწერნენ ბექაურებად. იქ მიიღეს მიწები და მათი მიწები ბექაურების მიწებში არ არის, ცალკე არის მოჭრილივით. როცა გორზამაშვილები გუდამაყარში დასახლდნენ, მაშინ ერთი კომლი ყოფილა, ეხლა კი 10-12 კომს მიაღწიეს.

**ისევ გიგოლა ივანეს ძე წიკლაური, 89 წლის, სოფელი  
გამსი, ჩაწერილია ფასანაურში,  
24. 07. 1981**

გორზამაშვილები ყოფილან და ეხლა ბექაურად იწერებიან, გამსიში ცხოვრობენ. კიდევ ამით ორი კომი დიდებანთას არიან. ესენი, შაპაბასმა რომ კახეთი ააოხრა, მაშინ გადმოსახლებული ყოფილან ჩვენს ტყეებში. მგონი გორზამაშვილები მარტყოფილან უნდა იყვნენ. ბექაურად იმიტომ დაეწერნენ, რომ ბექაურნი სადაც ცხოვრობდნენ, იმ სოფელში ჩასახლდნენ და იქ დაიწყეს მუშაობა და დღესაც იმ სოფელში ცხოვრობენ ნაწილი, ნაწილი კი ზოგი სად ცხოვრობს, სადაა გასული და ზოგი სად. ესენი ეხლა აქ 9-10 კომლი იქნება.

სოფელში მოსული კაცი შეიძლება თავის გვარზე დარჩენილიყო, შეიძლებოდა დამხვდურის გვარი მიეღო. ფახვიჯში არიან ერთი კომლი (ეხლა 3-4 კომია) და დაეწერნენ წიკლაურად, ხევსურეთიდან იყვნენ მოსული. დიხხოში არიან კიდევ, ამათაც წიკლაურად გადაიკეთეს, ესენიც ხევსურეთიდან არიან. ამანათები ეწოდებად ამათ.

ამანათი ეწოდება იმას, ვინცა სადაც ცხოვრობდა კაცი შემოკვდომოდა და ისინი იქიდან აიყრებიან და სოფელს წამოსულან და შახვეწიან: – დაგვიფარე, შეგვინახეო. ბოლოს ესენი ისე გახდნენ, ამანათები კი არა, თავი კაცები გახდნენ ბოლოს. მიწა სოფელს უნდა მიეცა. აქაური მთის მიწები სახელმწიფო იყო, ვინც რას გასტეხდა, მიისაკუთრებდა და თავისი იყო. ამანათს რა მიწასაც მისცემდა სოფელი, იმას უნდა დასჯერებიყო. უპატრონო მიწას ან ხატისას მისცემდნენ. ხატს შეგწირებოდა. როგორც სხვები, ამანათიც ხატს ემსახურებოდა. ამანათიც იმ ხატის ყმა იყო, როგორც ადგილობრივი მცხოვრები, კიდევ იდასტურებდა, დექანოზობაც შეეძლო. რაც გადასახადი იყო, იმასაც ხდიულობდნენ. მორიგეობის საკლავს დაკლავდნენ, ისიც ისე კლავდა, როგორც ადგილობრივი მცხოვრები. თავის სურვილით იყო ამანათი, რომ გვარი შეეცვალა თუ არა.

ლუთხუბში რომ ამანათები არიან, ესენი არიან გვარად ანთაურები. თავის გვარზე დარჩენენ ისინი ისევ. ხოლო ხატში, როგორც ადგილობრივი მცხოვრები ისე ემსახურებიან

ისინიცა. ანთაურები ხევსურეთიდან მოსულან და რომელი სოფლიდან, ვერ ვიცი, იმიტომ, რომ დიდი ხნის საქმეა ეგა.

ამანათს სოფლის სასაფლაოზე ასაფლავებდნენ, მაგრამ ცოტა მოშორებით, ესე რომა, 10-12 მეტრის დაშორებით უნდა ყოფილიყო. იმიტომ, რომ ისინი მაინც სხვა ხალხი იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხატის ყმა გახდნენ. იმიტომ, რომ ადამიანს თავისი მამიშვილობა, ჩამომავლობა აინტერესებს.

გუდამაყარში რომ კაცს კაცის მკვლელობა მოუხდებოდა, ამას ასამართლებდა თემი. რასაც თემი გადაუწყვეტდა, იმას უნდა დასჯერებოდა. თემის უფროსობა იქნებოდა ის კაცები, ვინც ნამუსიანები, სიმართლის მთქმელები და კარგი ადამიანები იყვნენ. მოხუცებული უნდა ყოფილიყო, 60 წელს მაინც უნდა ყოფილიყო მიჯარებული. ამ კაცებს ამაირჩევდა, თემი რასაც გადაწყვეტილებას დაავალებდნენ, ის კაცები ჭედს მოიხდინენ, პირჯვარს დაიწერდნენ და იტყოდნენ: ღმერთოო, ცუდს ნურას მათქმევინებ, აზრი მომეც, ჰქუა მომეც, რო სიმართლე გავატაროო. ხოდა, ეტყოდნენ იმ დამნაშავეებს: – თქვენ ხო ყაბული ხართ, ჩვენ რასაც გადაწყვიტავთ? – ყაბული ვიქნებითო, უფალო, თემის მოსამართლენოო. თქვენ რასაც დაგვითითებთ, გვიბრძანებთ, ჩვენ იმ სიტყვას არ გავტეხავთ. თუ კაცის მკვლელობა იქნებოდა, ეტყოდნენ იმათა, თქვენაო, ერთი თვის ვადას მოგცემთო, გეემზადენითო და აიყარენითო და გადასახლდითო ისეთ ადგილსო, რომ ამ სოფელს არსად არ შახვდეთო. ისინიც ადგებოდნენ და გადასახლდებოდნენ სხვაგან.

გუდამაყარში თუ კაცი შამააკვდა, ის უნდა წასულიყო შორს სადმე. კაცის მკვლელობა დამნაშავეს არ ეპატიებოდა. ეს კაცის მკვლელობა საბოლოო საქმე იყო. რამდენიმე მამა რომ გამოცვლილიყო, მაინც სისხლს აიღებდნენ. ამის გამო, ასახლებდა თემი სხვაგან.

სხვა შარი და ჭრილობაზე რამე რომ მომხდარიყო, იმ ნაჭდევს გაზომავდნენ, ხორბლის მარცვალს დაადებდნენ, გააყოლებდნენ. ჩვენს სოფელში არის გადმოსახლებული მეზობელი სოფლიდან, კიტოხიდან გამსიში ბექაურები. თემის გადაწყვეტილება იყო. ჭრილობა რო გაზომეს, ისე იყო, რომ

სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, მაგრამ, მორჩა, ... როცა გაარჩიეს, ის კაცი ოქმის მოსამართლემ გაასამართლა; დამჭრელს გადაუწყვიტეს სხვა სოფელში გადასახლება, იმიტომ რომა, კიდევ რაღაც მოუხდებოდათ. ამ სოფელს პქონდა ადგილი, სახნავი გამსისა და კიტობში. როდესაც რომა, ის კიტოხიდან გადმოსახლდა გამსიში, იმ კაცსა თემის მოსამართლებმა, ვინაიდან გამსიში საკმარისი მიწა არ იყო, ვერ იცხოვრებდა, გამსის სოფელში, იმ მიწითა, რაც მიწა იყო ხატის მიწები, იქ არავინ ხნავდა, ვერ შედიოდნენ იმაში, მიუსაჯეს გადასახლება გამსიში, მაგრამ მიწა უნდა მექენა კიტობში და ეზიდნა და იმით ერჩინა თავი. კიტობში რომ გადმოსახლდა, გამსიში, რაკი იქ მიწა საკმარისი არ არის, აქაც მოხნიდა, გამსის იხმარეო.

როცა ხალხი გამრავლდა, ის კანონი შემოიღეს, რომ ხატის მიწები მოეხნათ და იმათ მიეტანათ ხატში არაყი, საკლავი.

სამანი იყო ისა რომა, თუ სოფელი მაიკეთდა, ერთ რომელიმე მეზობელსა, აიძულებდნენ ან ქურდი, შარიანი იქნებოდა, ემ კაცს ჩაუსვამდნენ სამანს, სოფელი ჩაუსვამდა სამანს. ეტყოდნენ, რომა შენი თავი და შენი ოჯახი მოკვეთილია, შერისხულია ჩვენი სოფლიდან, რომ შენ არა ხარ წესიერი ადამიანი, შვილსა და შვილიშვილსაც უნდა გადასცემიყო, რომ ეს სამანი იმიტომ არის ჩასმული, რომ მოკვეთილია ეს ოჯახი, სოფელში არ შეეძლო იმას ლხინში, ხატში, მოკეთესთან მისულიყო. იქ ცხოვრება შეეძლო, ხოლოდ სოფელში მისვლის უფლება არ პქონდა. რამთენი მამის შემდეგ, შვილიშვილის შემდეგ, შეიძლებოდა სამანის ამოღება. ამოიღებდნენ და შაირიგებდა სოფელი. ხოლო პირდაპირ ვისთვინაც ჩასვამდნენ, იმას არ შეეძლო იმ სამანის ამოღება.

კიტოხიდან იყო კაცი ბექაური, ქალს თხოულობდა დუმაცხოში. იმ ქალის გვარი იყო წიკლაური. ქალი არ მიეცა, არ გაყვა. ამ კიტოხელმა ამ ქალს მოტაცება გაუბედა, მივიდა დამე, უნდა მოეტაცა და წაეყვანა. მაგრამ ეს ოჯახი, ამ ქალის მმებმა იუკადრისეს, დაუხვდნენ, მოუვიდათ ხმლით, ხანჯლით ჩხები და ამ კიტოხელმა, რომელიც გატაცებას უპირებდა, მოკლა იმ ქალის მმაი ხმლით. ეს კა-

ცი წავიდა კიტობში და თან აფრთხილებს, რომ არ მოეპლათ დუმაცხოვლებს. ბოლო დროს თემმა გადაწყვიტეს, რომ ეს ხალხი შავარიგოთ როგორმე. თემის უფროსი კაცები დასხეს თემმა. იმ მამკვლელის მეზობლებმა და მოკლულის ძმა-პიძაშვილებიც, ქალიც მოიწვიეს და უთხრეს, რაში იყო საქმე. ქალმა უთხრა, რო მე იმ კაცს არ გავუვებოდიო და ჩეუბში ჩემი ძმა მოკლესო. როგორც თემის წესია, თქვენ გადაწყვიტეთ რა ეკუთვნის იმ კაცსაო, – უთხრა ქალმა. ეს კაცებიც დაფიქრდნენ, დაიწერეს პირჯვარი, ღმერთო, ნუ შეგცოსდავთ, სიმართლე გვათქმევინეო და გადაწყვიტა თემმა იმ კიტოხელის – იმისი, მკვლელის, გადასახლება, რომ სისხლი სისხლით არ დაიბანებაო, რო არ დაიბანოსო, გაერიდე ამ თემსაო. წასულან და უთქომთ იმ კიტოხელისათვის, თემმა გადაწყვიტა გადასახლება, როცა გინდა, წადი ამ თემიდან; დიდი დანაშაული გააკეთეო, სისხლმა სისხლი რო არ დაბანოს, წადი, გადასახლდი აქედანო. მდგარა ეს კაცი და გადასახლებულა ისევ საქართველოში, ერწოს რომ ეტყვიან და დღესაც იმისი ჩამომავლობა იქ იქნებიან, რა თქმა უნდა. მე ვერ მოვესწარი იმის გადასახლებას, მაგრამ იმ ქალს ვიცნობდი, მოვესწარი, რომელიც უნდა გაეტაცათ, ჩემი ნათლიის მამიდა იყო. ბებიად მამეკუთხებოდა ეს ქალი, დიდი ხნისა იყო. ის ქალი, რაკი ძმა მოუკლეს, ძმის მაგივრად გაუწევია თავის ძმისწულებისათვის მამობა და დედობა. გუთანიც გაუმართავს, ცულიც აუღია... ყოფილა იმ ოჯახში, იქ დაბერდა და მოკვდა, აღარ გათხოვდა.

გუდამაყარში ყველაზე ძლიერი ხატია პირიმზე ფუძის ანგელოზი. ეს ხატი ითვლება ყველაზე ძლიერად. მერე ითვლება კიდევ თავთავად სოფლებში თავთავად ხატები ჰყავდათ. მერე ძლიერ ხატად ითვლება კიდევ ჩოხის წმიდა გიორგი. დანარჩენი ჩვეულებრივი ხატებია. ხატს შველასა, წყალობასა, უჭირველობას შესთხოვდნენ. პირიმზე ფუძის ანგელოზი გუდამაყრის მთავარი სალოცავია. ეს ხატი ითვლებოდა ყმისა და უყმო ყმის მეშველი და მწყალობელი. სუსაკლას იფარავდა. წელიწადში ერთხელ მოდის იმისი დღეობა. აგვისტოს 15-ში, მარიანობას ვლოცულობდით. ფუძის ანგელოზობა კი მოდიოდა, მაგალითად, ხუთშაბათს,

օյտ 15 ացցուեցո, մարուանոծա. թյամի ջղյությ ոյնքուած ջշմուս անցյլութուս դժյուածա. შածատս րոմ մուշյլոյու մարուանոծա, մյորյ շածատս ոյնքուած ջշմուս անցյլութուած.

հուելյեծո, տացուս յմանո, ոմ դժյուած պայլա դժյուեթո (ախալո վյլո, ալճգոմա, ամալլյեծա, մարուանոծա, զոորշյուածա) ամ եյտ դժյութո լուցյլուծունքն վմուծա զոորշյուածա, հուելյեծո տացուանո եացի. եռլու ևեցա ցցարյեծո ոմ եացիթո եալուցյած վազունքն ամ դժյուեթո րուուսմյ, սակլազւ վայց ցանքն էյրո დա մարուու տացուանու ոչչանուած շնճա վայդու. սակլազո րո դայցվլյեծուած, ու եացիթո շնճա մյյեսար մատ. րաց ճարհյեծուած, ամաս հուեծուս յմեծո ոնավուլյեծունքն տացուետզոնա. մեռլուած մուսարմյալ եռրուսա շուշալազած մուշբանքն յայլած - մլուցազուսատզուս շնճա մոյցատ.

ծյյաշրո մյյեթորյեծուած հուեծուս եացիսա, րոցորց հուեծուս ցցարո մյյեմսաեյրյեծուած եացիսա, ուսուց ուսյ շնճա մումսաեյրյեծուած եացի հուեծուսաս, յայլա դժյուեթո յնճա մոյցյանա եացլազո, յուժյաց յժասէթյունա. րոցորց մլույրո եացի վմունճա զոորշյուած հուեծուսա, ազած րոմ զոնմյ ցայեցյեծուած ոչչանուս յե ոչչանո մյյեցյիթուած ամ եացի: „հուեծուս վմուծա զոորշյուած մյյե յմյցյնալյ, մուրինց դա մյյե մացյիթուածուու. եացի յասեյլյեծուած, ու ևեցա ցցարյուս կացո մյյեթորյեծուած ամ եացի. ամոտ ցատյյու սաելու ամ եացմա. հուելյեծուս շնճատ րոմ հուեծուս վմուծա ցոորշյուայլա յայլույրո ցամույցանոն.

սածյրտցելուս եացիս դույցեանուեռոցյելյմո. մանճ ծյյաշրյութո լուցյլուծյեն, րոմլյեծուու այցյ ցեռվրուծյեն. ալճգոմա, կըօրաջրոծա (ալճգոմուս եվորթյ), ամալլյեծա, մարուանոծա դա զոորշյուած - ամ դրուս մունուս սածյրտցելուս եացիթո. դյյանութու: „սածյրտցելուս վմուծա ցոորշյուած, ցամարյցյեթյուլուու, մյյե եա եվյալուծյու իշյեն եռոցլուս մցեռվրյեծուառ, սագույցյելյ մյյենու, սամյյալուծունք իշյեն եռոցլուսառ, իշյեն եռոցլուս սար-ցյուտնուսառ, մտույցյ-մոմյալուսառ, ցեռր-մյյցեռրուսառ մոմյուլու, մյյե մույժարույ եցլուս ամ իշյեն եռոցլուս մցեռվրյեծյեծսառ“.

սաճաց ու սայոնյ ցաակյուտյս սածյրտցելումո դա լուսո շնճա յժյալյեծնատ, ոմ ալճուու էյցյուս սածյրտցելու, թոթյալյ ալճուու ոյտ. յրտո կարշյ մոիթա ոյտ, ոմ ալճուու ցենաց դու. ոմ ալճուու մունուածա կաս մուսազալո. սաճյեծո յժյա ոմ

სატსა. სადები არის გადასახადი არყოთ ან საკლავით. ექვსი თუნგი არაყი უნდა მიეტანა, ვინც მოხნავდა ან ერთი ჭედილაი. რაკი საბურთველო ადგილი იყო, იმიტომ დაუძახეს საბურთველოს წმიდა გიორგი. მაგალითად, XVI საუკუნეში ზურაბ ერისთავი ყოფილა ანანურში, როგორც ეხლა რაიკომია დუშეთში, ეგეთი მოთაური ყოფილა. ეს ზურაბი წასულა ჯვრის გასაკეთებლად. ჯვარი გაუკეთებინებია ხატად. როცა ამოიტანა ეს ჯვარი, ამ ბექაურებისა და წიგლაურების სალოცავად, ამ ზურაბ ერისთავმა, ადგილი შაარჩივა, სად უნდა ყოფილიყო იმისი სამკვიდრო, სამყოფი ადგილი. წინათ ბექაურების და წიგლაურების სალოცავი ყოფილა სოფელ ცუცქენაურთას (იქვე მარჯვედ არის ეს სოფელი). ზურაბ ერისთავს დაუწერია ხატისათვის: „მე, ზურაბ ერისთავმა შავწირე ბექაურ-წიგლაურების სალოცავად“ – ეს პირიმზებია. ამ ზურაბ ერისთავს შეურჩევია ადგილი, სადაც საუკეთესო ადგილი იყო, მიდიან და ხატობა გადაეხადათ. მან დაარქვა ამ ადგილს პირიმზე. ხატსაც პირიმზე დაუძახა. სადამოზე რომ მზე ჩადის ზაფხულში, ისეთ ადგილზეა, ჩადის მარიანობის თვეში, რომ ბინდობამდე მზე დგას. სხვა სოფლებში გადივლის, მზე ჩადის და იქ ისევ მზე დგას. მზე დიდხანს რჩება დაბლობის გამო, ამიტომ დაუძახა პირიმზე ზურაბ ერისთავმა და ფუძნგელოზიც იმ ხატში ინახება. ჯვარი პირიმზისაა, ხოლო სახელი ჰქვია ფუძის ანგელოზი“.

### **კოტე იოსების ძე ჩოხელი, 47 წლის, ალექსი შიოს ძე ჩოხელი, 47 წლის, სოფ. ჩოხი, 18.08.81**

სოფელ ჩოხში არიან მხოლოდ ჩოხელები (15-16 კომლი). დაცოტავებული ვართ. სანახევროდ აღარ არის სოფელი. 25-30 კომლი ვიყავით. როდის იყო არ ვიცით, ეს კია, რომ ჩვენა ვართ მოსული ახალციხიდან (სამხრეთ საქართველოდან). შემოსევები რომ იყო, მაშინ გამორიდებულებია იქედან და შემოხილების მაშინ.

ადრე წინაპარს ერქივნა ჩადი და ჩოხელები იმის სახელზე წარმოიშვნენ. ჩადის ჰყვანდა ერთი მმა აფი, რომლის საგანაც აფციაურები გამოვიდნენ, მაშინ

ერქვათ ეს სახელები. ერთი, აფი დასახლდა დუმაცხოში, მეორე, ჩაღი – ჩოხში.

ბოსელში მაშინ ყოფილა ერთი ჭოჭოლაური. ეხლა მაგათ გვარის აღარავინ არის. გვარი ეხლა მაგათ გადაიკეთეს – ეხლა წიკლაურები არიან.

ერთმა ჩოხელმა ადრე მამასახლისი მოკლა. გვარად აფციაური იყო ის მამასახლისი. ის ჩოხელი მანგლისში გადასახლდა. ვინც შუღლიანი იყვნენ ყველანი წავიდნენ მანგლისში და გადაიკეთეს გვარი შუღლიაშვილად.

ჩოხელების სალოცავია ჩოხის წმინდა გიორგი. ჩოხელები და აფციაურები ერთმანეთში ქალს არ გაათხოვებენ. ბექაურმა და წიკლაურმა კი ლეკვი გასჭრეს შუაზე, რომ ერთმანეთის ქალი გვეკუთვნიდესო. ლეკვს რომ გასჭრიან, სისხლი შორდება ერთმანეთს. ჩოხელები და აფციაურები ადრე არ თხოვლობდნენ ერთმანეთს. ასეთი ოჯახები არ ხეირობენ და ერიდებიან დანიშვნას.

ჩოხელები ცხოვრობენ თოთიაურებში. თოთიაურები იყო ასეთი გვარი და გადაშენდნენ. უკანასკნელი თოთიაური მოუკლავთ ხევსურებს. მისი სახელის ციხეც არის თოთიაურებში. გვაქვს სალოცავი – ჩოხიდან წაღებული ნიში. თოთიაურებში არის სალოცავი კანჩხის წმინდა გიორგი და ადგილის დედა.

ჭოჭოხი იყო ახლოს ჩვენთან სოფელი. აღარ არის, ეს სოფელი გადაშენდა. აქ იყო ადგილის დედა, მანდაც ვლოცულობდო.

პირიმზე ფუძის ანგელოზშიც დავდივართ, მაგრამ უშუალოდ ჩვენ სალოცავად არ ითვლება. ეგ ბექაურებისა და წიკლაურების სალოცავია. გუდამაყარში არის ხატი პირიმზე, ხევსურეთში კი არის ფუძანგელოზი. ლოცვის დროს კი ერთად მოვისხენიებთ. ახორბას გუდამაყრიდან სალოცავად გადადიან ფუძის ანგელოზში ხევსურეთში, სოფ. კანახოში. ფეხით ფხიტურზე გადავდივართ.

პირიმზე და ფუძის ანგელოზი და-ქმანი იყვნენ. ბაბურხევში საკერპოს ნიშანთან შეგჩერდებით, დამეს როცა ვათევთ გზაში. იქ დევები, კერპები ყოფილან. კიდევ ნიში არის ხახმატის და ფუძის ანგელოზის ოსავის ხევში. იქიდან, ხევსურეთიდან დაბრუნებულებმა იქაც იციან დღეობა.

ახორბა ევალებათ წიკლაურებსა და ბექაურებს. ისე ყველა მოდის, დროშას ვინც აბრძანებს აქ. იმას (ბექაურს ან წიკლაურს) ევალება საკლავის დაკვლა. სანამ ბექაურის და წიკლაურის საკლავი არ დაიკვლება, სხვა ვერ დაკლავს. სულ მუდამ წელს ბექაურებს გადაძქო ალაო – ლუდის მოსახარში. ჩოხლები ჩოხში მოდიან სალოცავად ასპინძი-დან, შირაქიდან, მანგლისიდან. ერწო-თიანეთიდანაც მოდი-ან. ქარელიდანაც შემხვდნენ ჩოხში მოსულები.

წმინდა გიორგი პირველად იყო კაცი და პქონდა სხვა სარწმუნოება და მიიღო ქრისტიანობა და განიწმინდა უდა-ბნოში და ხალხმა შერაცხა წმინდანად და რომელი სარწმუნოებისაც იყო, იმ ხალხმა დაიჭირეს და ურმის თვალზე დააკრეს და „გაბაჯორებ“ და 363 ნაწილად დაიშალა. ჩვენი ჩოხელების ნაწილი არის ენა. გული წიფორის წმინდა გიორგისა. რაკი ენაა ჩვენი სალოცავი, ყველა ერიდება, რომ ჩოხელმა დაარისხოს და დასწეულებოს. ჩოხელი თუ სადმე ქალის სათხოვნელად მივიდოდა უარს ვერავინ ეტყოდა. ერიდებოდენ, რომ ქალი არ მიეცათ. ერთი ქალი იყო და ერთი ბექავი კაცი, გვარად ჩოხელი თხოულობდა. ის კაცი ბექავი იყო (ალექსი ჩოხელი). ჯერ უარი უთხრეს და მერე ეს ქალი გაგიუებულა, კედელს ებლაგებოდა თურმე და მერე უთქვიათ, წაიყვანეთ, იქნებ ცოცხალი მაინც იყოსო. ეგათი შემთხვევები სხვაც იყო. ერთმა ქალმაც გიუკით დაიწყო ბოდიალი, მას შემდეგ, რაც ჩოხელი თხოულობდა. ის ქალი გვარად ბექაური იყო. მზე რომ დაინაგრილებდა, ეს ქალი კივილს იწყებდა და მერე დაიბარეს ის ჩოხელი და მიათხოვეს. როცა გათხოვდა მორჩა, ერთი ბიჭი ყავს, მეუდღეო მში დაედუპა. ლმერთმა დაარისხა. იმ კაცის მამამ ალბათ სანთელი აანთო ხატში, დამეხმარეო...

ჩოხის ხატში ციკნებს კლავენ მარიამობას, გინდ გიორგობას (როგორც არიან შაპირებული). კლავენ ციკანს იასაულებისათვის. ისინი – იასაულები ხატს ყავს. იასაულს წმინდა გიორგის გარეშე ვერ შეუძლიან დამიზეზება. ციკანს იასაულს უკლავენ, წმინდა გიორგის თხას ვერ დაუკლავენ: „იასაულო, შენი თვალი და გული დაუტკბეო“! – ამას იტყვის დეკანოზი. ციკანს დეკანოზი არ დაკლავს, არც დასტური, ოდონდ ჩოხელი უნდა იყოს.

წმინდა გიორგის საკლავს კი დეკანოზი კლავს, სადაც ციქნები იკვლებიან, ქვაზე არის ხელის გამოსახულება – ეს ქვა არის წმინდა გიორგისა და იასაულის მიჯნა. ლოცავი იმას იქით ვერ მივა. იასაულზე ნიში არც შეიძლება დაიდგას. აქვს იასაულს მხოლოდ ქვა. მცურავი ყავს ყველა ხატს. ხატებს ყველა ცხოველი ყავს, თუ ვინმე რაიმეს დააშავებს, ხატი ამათ მიუსევს პირველად, დიდ დანაშაულზე მექს, ელვას მიუსევს. მეხი-ელვა ხატის გამგებლობაშია (ელია და ზაქარია). ცოტა დანაშაულზე მხოლოდ დაამიზეზებს, რაიმე ცხოველს მიუსევს. ხატის წინაშე როცა დანაშაულს ჩაიდენს, მაშინ მიუსევს იასაულს.

ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლება გვარის გატეხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩოხელმა ჩოხელი წაიყვანოს.

დეკანოზს ხატი იყვანს, ხალხი არ იოჩევს.

ჩოხელების ერთ-ერთი მამიშვილობაა მექობაურიანი, მაგათზე იყო უპრიანი დეკანოზობა ჩოხელების სალოცავში.

ყველა სალოცავს ჩვენ გუდამაყრელები „ხატს“ ვეძახოთ.

ანდაზა: „მამის ნაჭამმა ნიორმა შვილიშვილს დასწვა ყელიო“.

### სიმონ თევდოს ძე ბექაური, 56 წლის, სოფ. გამსი, 15. 07. 81.

ბექაურებისა და წიკლაურების სალოცავი არის პირიმზე ფუძის ანგელოზი. ბექაურები ვართ გამსში, დიდებანში, კიტოხში, თორელანში. ჩვენა ვართ გადმოსული ხევსურეთიდან, გადმოსახლებულნი. მშები ყოფილან, ბექათ და წიკვათ როცა გაიყარენ, წიკლაურობაზე და ბექაურობაზე დაეწერენ. ძირად ხევსურეთიდან ვართ, სოფელ უკანახოდან. წიკლაურები არიან მაქართაში, სიჯანაანში, ფაცვიჯში, საჩალისჭალაში, ზანდუკში, დიხხოში; ნაწილი ლუთხუბშიცაა. წიკლაურების სალოცავია პირიმზე ფუძის ანგელოზი. ნიშები არის სხვაგან პირიმზესი: კიტოხში; ასპინძაში არიან გადასახლებულნი, იქც ააშენეს ნიში, შირაქში, მანგლისში.

ხევსურეთიდან ჩვენი წინაპრების გადმოსახლების მიზეზი შემდეგი ყოფილა: ზურაბ ერისთავს ბექაი წინააღმდევ-

გობას უწევდა და ის ამოხწყვიტა და ცოლი დარჩა ფეხმძიმე. იქიდან ის ქალი გამოასახლა ზურაბმა და აქ მოსულა. აქაური ყოფილა ის ქალი. ორსულ ქალს შეეძინა ერთი შვილი და ბექაურები იმაზე მოვდივართ. ბექაურები არიან ჟინვალში, მანგლისში, ერწოში. ესენი ბექაურები არიან სინამდვილეში და როცა გადასახლდნენ, სოფლის სახელის მიხედვით დიდებაშვილად დაეწერნენ, რადგან სოფელ დიდებათიდან იყვნენ გამოსულები.

ბექაურები არიან კიდევ აქედან წასულები. ლილოში, ძეგვში, კასპში – ჩვენი ბიძაშვილები არიან. ადგილმდებარეობას ვერ ეწყობოდნენ და უკეთეს ადგილს ეძებდნენ.

გუდამაყარში არის ნასოფლარი ოსავი. აქ უცხოვრიათ წიკლაურებსა და ბექაურებს. ტყეშია ოსავი. როცა თათრები ლაშქრავდნენ, დეკანოზები ასე ილოცებოდნენ: „ღმერთო გაუმარჯვოსო თემს ოსავს და სოფელ გუდამაყარსო“ – ასე ილოცებოდნენ პირომზის დეკანოზები.

თათრები როცა ლაშქრავდნენ წიკლაურები და ბექაურები შეხიზნული იყვნენ ოსავში.

გუდამაყარში იყო თემები: ჩოხლების, წიკლაურების და ბექაურების. აფციაურები ცოტანი იყვნენ და შედიოდნენ წიკლაურების თემში.

კიტოხში მოსახლეობენ ბექაურები. გვიან ჩამოსული არიან წიკლაურები ლუთხუბიდან, დუმაცხოდან და ბოსლიდან.

მთიულეთში არიან გუდამაყრიდან გადმოსახლებული ჩოხელთაში ჩოხლები. დიდი ხნის ამბავია. აქ ამოდიან ეს ჩოხლები სალოცავად სოფელ ჩოხში. იქ სალოცავი არა აქვთ. მამულების უქმარისობის გამო გადასულან საცხოვრებლად გუდამაყრიდან მთიულეთში.

ჩოხის წმინდა გიორგის ხატში სამი სამანია ჩასმული. ერთი – ვინც ჩოხელი ჩოხელს უდალატებს (თავის გვარს), დაწყევლილია – ეს არის სამრისხველო სამანი. იმ მოღალატეზე წაგა რისხვა; და სამანი, ნათლავია (?) – რ. ი.) ეს სამანი და საკლავიც არის აღრე ერთხელ, თავის დროზე დაკლული. დარისხება იმაში გამოხატება, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ამოწყდება. მეორე სამანია, ვინც დაქვრივებული ქვრივის გათხოვებაში ჩაერევა. ჩოხელი რომ

დაქვრივდება, არ უნდა გათხოვდეს, რო გათხოვდეს ვერ იხეირებს, ან იქაც ქმარი მოუკვდება, ან მაშინვე დაიღუპება.

მესამე სამანი ადარ ახსოვთ, რისაა (მთხოვობელის სიტყვით, ის უნდა იყოს ის სამანი, დეკანოზი, რომ ქალის გათხოვებაში ჩაერიოსო).

შარშანწინ ერთი გვარი მოვიდა მთიულეთის სოფელ მანასეულიდან, კეკიშვილები. ჩოხის წმინდა გიორგის ხატში კეკიშვილები დაწყევლილი არიან და სამანი აქვთ მათ ჩასმული. ხარი მოუყვანიათ და უთხოვიათ სამანის ამოღება. კეკიშვილს, დიდი ხნის წინ, რომელიც მამასახლისად ყოფილა, ჩოხის წმინდა გიორგიდან მლოცავი ხალხი სამუშაოდ, გზის საწმენდად გაუყვანია და დეკანოზს იმის შემდეგ ჩაუსვია სამანი, კეკიანი ნურც გამრავლდებით და ნურც გაწყდებითო. შარშანწინ მოვიდა მთელი გვარი და დიდ-ატრა სულ მუხლზე დაეცა. თბილისიდანაც მოვიდნენ სტუდენტები და გაზეთებს ივენდნენ მუხლს ქვეში. სამანი არ ამოვგიდია, იმიტომ, რომ რომლისაა, არ ვიცით.

სამანის ამოღების წესი ისეთია, რომ თეთრი ხარი უნდა მიიყვანონ და მთელმა გვარმა უნდა გადაიხადოს საბხოო. სპეციალურად არ გადასცემდნენ თაობიდან თაობას, თუ რომელი სამანი რომლისაა, რათა არ გამომჟღავნებულიყო და არ მოეხსნათ.

კიტოხში არის სალოცავი მაჩაგნის სალოცავი. ლოცვაში ხმარობენ მაჩაგნის წმინდა გიორგის. კიტოხში ძირითადი გვარი არის ბეჭაური.

ათხოხში მთავარი, ძირითადი გვარია ავციაური. კოდევ არიან წიკლაურები, რომლებიც შახიზნულებად ითვლებიან. სალოცავი მაგათ სულ მთაზე აქვთ – წვერის ანგელოზი.

ბაკურხევში ხევსურები (ფიცხელაური, ჭინჭარაული) იყვნენ 32 კომლი და დაიშალა.

გუდამაყრის მთავარი სალოცავი არის ორი: პირიმზე და ჩოხი. პირიმზის მთავარი დღეობაა მარიამობა და ფუძის ანგელოზის – ახორბა.

ჩოხლები დადიან პირიმზეში სალოცავად და ბეჭაურები და წიკლაურები პირიქით, ჩოხში.

ბექაურებისა და წილაურების გვარის ხალხის ჩოხის ხატში ყმად არიან შეწირული. ოუ ვინმე ამ გვარის ხალხი დაამიზება ჩოხის ხატმა, მივლენ შეეწირებიან და ხატის (ჩოხის) ყმად ხდებიან. ორი ხატის ყმა იქნება მაშინ. ჩოხის წმ. გიორგის ყმად შეწირული ოუა, ჩოხელის ქალი ცოლად აღარ ერგება. ერთი ვაჟი ოუ ყავდათ, ისინიც ეწირებოდნენ ჩოხესა, რომ შერჩენოდათ. ყმად რომ შეეწიროს საჭიროა სამი ქადა (მოსალოცავი), სამი სანთელი, ერთი საკლავი (უკეთესია კურატი) და ფული ვერცხლისა (სამი, ხუთი ან ცხრა ფული). ბიჭი გვერდზე დაუდგება დეკანოზს და ასე დაილოცება: დიდო ჩოხის გიორგიო, ყმად შემოემატება ესა და ეს გვარი, შაგეწირა, გეწირებაო და დალოცავს. ბავშვს, რომელიც ყმად შეეწირება, ხატში პატრა გორია და აქედან სამჯერ დააგორებენ. როცა ყმად შეწირავენ, უკეთესია ბიჭი დაატირონ, სასურველია იტიროს, ჭინჭარში გააგორონ. ხატში სალოცავად ეს ყმად შეწირული ორ-სამ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოვიდეს. მთელი გვარი არ შეიძლება ყმად დაუდგეს ჩვენს ჩოხელების ხატს, რადგან ეს დამცირება იქნება თავიანთი გვარის სალოცავის.

მაგალითად, ქისტებში ან ხევსურებში ვინმემ მკვლელობა ჩაიდინა. გადაასახლებდნენ იმას, მოვიდოდა, მაგალითად, ჩვენს სოფელში. ჩვენს სოფელს შეეძლო მიეცა საამანათო ადგილ-მამული. საამანათოდ გადადიოდა ის ადგილები, რომლის პატრონებიც ამოწყდებოდნენ. შეხიზულს საკლავი არ უნდა მიყენონა ხატში. სოფელს არ აწყობდა ამანათის მიღება, მაგრამ უარს არ ეტყოდნენ. საამანათო მიწა საერთოდ მუშავდებოდა. იტყოდნენ, რომ საამანათო მამული უნდა მივცეთ მოსულ კაცსო და, ვისაც დროებით ჰქონდა მიცემული, ჩამოართმევდნენ და მისცემდნენ. ეს მოსული კაცი ხდებოდა ჩვენი ხატის ყმა და მერე დაიცაგდნენ ისე, როგორც თავისი გვარის კაცს.

ბექაურების გვარში არიან ამანათები, ოურქიანთ ვებახო.

იმ დღიდანვე, როგორც დასახლდებოდა სოფელში, თავის გვარს ვეღარ ატარებდა. ამანათს არ მალავდნენ, მაგრამ იცავდნენ.

ბოსელში მოსახლეობენ წიკლაურები.

ბურსაჭილში იყვნენ წიკლაურები (ძირითადი გვარი). გამსში არიან ბექაურ-წიკლაურები. აქ აქვთ სალოცავი წვერის ანგელოზი.

დიდებანში მოსახლეობენ ბექაურები. სალოცავია სა-ბურთველოს წმინდა გიორგი.

დუმაცხოში ძირითადი გვარია აფციაური. მოსახლე-ობენ, აგრეთვე, წიკლაურები. სალოცავია ზეგარდის წმინდა გიორგი. აქვეა საღმოო მაღალი.

სოფელ ზანდუკში წიკლაურები მოსახლეობენ. სოფ-ლის სალოცავია – მთავარანგელოზი.

სოფელ თითიაურნში ჩოხლები მოსახლეობენ. აქ აქვთ სალოცავები: კანჩხის წმინდა გიორგი და ადგილის დედა.

თორელანში მოსახლეობენ ბექაურები.

ჩოხში ყოფილა გვარი განაყოიანი და ეხლა ჩოხლებად იწერებიან.

ლუთხუბში არიან წიკლაურები, ანთურები, აფციაურე-ბი. ანთაური 3-4 კომლია. სალოცავებია ფშარაოს წმინდა გიორგი და კვირია.

მაქართაში მოსახლეობენ წიკლაურები. ჰყავთ ადგი-ლის დედა.

ბაკურხევის ხეობაზეა საკერპო. ბაცალიგოში დადიო-დნენ სალოცავად, აგრეთვე, გუდანში. ველთაურები ცხოვ-რობდნენ გომბორში, თეთრიწყლებზე გადასახლდნენ. მან-დაც ქონდათ სალოცავი. საკერპე ბაკურხევის ხეობაზეა.

საჩალიისჭალაში წიკლაურები არიან მთლიანად. ჩოხე-ლები არიან კიდევ და ესენი (ჩოხელები) კუთვნოდნენ სო-ფელ ბაძიანებს. ბაძიანებში აღარავინ არ არის, წავიდნენ აქედან ჩოხელები, ზოგი ახატანში, ზოგი სად.

საჩალიისჭალაში არის კვირიაწმინდა და ადგილის დე-და.

ფახვიჯში არიან წიკლაურები. მაგათი სალოცავთა ად-გილის დედა.

ჩობალაურში არიან წიკლაურები. სოფელ ჩობალაუ-რის სალოცავია მთავარანგელოზი.

წინამსარში მოსახლეობენ აფციაურები.

სიჯანაანში ცხოვრობენ წიკლაურები. სალოცავი აქვთ საჩალიისჭალის კვირიკე წმინდა.

დიხხოში მოსახლეობენ წიკლაურები, ჩოხლებიც არიან იქვე დაბლა. მაგათი სალოცავი არის მაღალ წმინდა გიორგი.

ბახანში პატაშურები და ქავთარაძეები მოსახლეობენ.

ჩოხის წმინდა გიორგში არის სათემო ხატი. ოთხი ფრთა აქვს. თითო მხარზე თითო გვარია (წიკლაური, ბექაური, აფციაური, ჩოხელი). ამ ჯვარს ეძახიან სათემო ხატს. ერთი მთხოვნელი ამბობს, რომ გუდამაყარი იყო ერთი თემიო.

დეკანოზი ილოცება ხოლმე: საბურთველოს წმინდა გიორგის გაუმარჯოსო, სათემო საიმედოსაო. საბურთველოს სათემო ხატს რაიმე უბედურების დროს, – გვალვა, ჭირი, სხვა გამოაბრძანებენ.

სათემო ხატი არის ჯვარი ვერცხლისა და ინახება ჩოხის წმინდა გიორგის ხატში. რომ გამოაბრძანებენ აქედან ერთი დამით მიაქვთ საბურთველოში. ჩოხის წმინდა გიორგი და საბურთველოს წმინდა გიორგი ორი კილომეტრით იქნება დაშორებული ერთმანეთისაგან. ჩოხის წმინდა გიორგიდან რომ გამოაბრძანებენ, სათემო ხატს მიიტანენ ნიშთან. ეს არის პეტრე-პავლობის ნიში.

საბურთველოს წმინდა გიორგიც სათემო ხატია. დიდებანი ლოცულობენ.

ჩოხში რომ ჯვარი ინახება, მთხოვნელის აზრით, უნდა იყოს საბურთველოსი და ინახება ჩოხში. საბურთველოში ეს ჯვარი არ გაგვაქვს. მხოლოდ ნიში რომაა პეტრე-პავლესი იქ მიაქვთ. შარშან იყო გვალვა და იმიტომ გამოიტანეს.

ხორველა გაჩენილა გუდამაყარში და ეს ჯვარი ააბრძანეს, გუდამაყარს გააცილეს და შემდეგ მოატრიალეს უკან, რომ ჯვარი რომ გაიტანეს გარეთ, ე.ი. ხორველა გუდამაყარს გასცდაო.

ლუთხუბიდან ფშავში, სოფ. კაწალხევში არის გადასასვლელი.

**მიხეილ მათეს ძე წიკლაური, 1905 წ. სოფელი  
პოსპიტალი/გუდამაყრის ხეობა. იქვე შავი/გუდამაყრის  
არაგვი უერთდება თეთრ/მთიულეთის არაგვს, 20. 07. 81.**

ომის შემდეგ გადმოვსახლდი ბურსაჭილიდან. ბურსა-  
ჭილში დიდი ზამთარი იცოდა. უფრო მთა ადგილი იყო და  
ჩამოვალით ცოტა ბარად.

ჩვენ კყოფილვართ ხალხელაურები. მემრე გადაუკეთე-  
ბიათ გვარი წიკლაურად. ერთი თაობაა, რაც გორი გადა-  
უკეთებიათ. წამოსულები ვართ, ისე უფრო მივეკუთვნებით  
ხევსურებს, არხოტიდან. ჩემი პაპა – ბეწიკა იწერებოდა ხა-  
ლხელაურად. ჩვენები აქედან შირაქში წასულები ხალხე-  
ლაურებად წერებიან. ჩემს ბალდობაში დუმაცხოში, ბურსა-  
ჭილში, ვინცა ხალხელაურები ვიყავით 14-16 კომლი ვიყა-  
ვით. ჩემს ხსომას გადაიკეთეს (სოფელი ბოსელი) წიკლაუ-  
რად გვარი.

ქარჩის კარი როშკაშია ტოპონიმი.

**პელო ისაკის ასული ქობაიძე-წიკლაური, სოფ.  
ლუთხუბი, ჩაწერილია ზემო მლეთაში, 20. 05. 82**

ლუთხუბში არიან წიკლაურები, აფციაურები და ანთა-  
ურები. ყველაზე მეტი წიკლაურები არიან. ეს წიკლაურები  
ხევსურეთიდან გუდამაყარში მოსულან. ჩვენ სოფელში  
სალოცავია წმინდა გიორგი. კიდევ კვირაცხოველს ვლო-  
ცულობთ. ფშარაველი გეჭავ კიდევ, მაღლა მთაზეა. დილით  
ავდივართ ფშარაველზე მარიანობას და საღამოთი ჩამოვდი-  
ვართ. ლუთხუბელების გარდა, ფშარაველზე სხვა სოფლე-  
ბიც მოდიან, ვინც გადასახლებულები არიან – ზოგი შირა-  
ქში არიან. წილდებულნი ვინც არიან, ისინი, ფშავლებიც  
ამოდიან კი და რომელი სოფლიდან, ადარ მახსომს. ფშა-  
რაველის დეკანოზი წიკლაურია. ფშავლებისაც არის დეკა-  
ნოზი ფშარაველში. იმათ თავისოვის ყავთ დეკანოზი ფშა-  
რაველში. ფშაველების დეკანოზი ფშავებს ემსახურება, ჩვე-  
ნი კიდევ, ჩვენა.

გუდამაყარში ყველაზე ძლიერი ხატია ფუცანგელოზი.  
ისეთ ადგილას არის დაბრძანებული რომ გაუკვირდება  
კაცსა, უცხომ რომ ნახოს, ზარი კიდია იმდენი, რომ ვერ  
დათვლის კაცი. ფუცანგელოზობას გუდამაყრიდან ყველა

გვარი ლოცულობს. უსაკლაოდ რა უნდოდათ ხატ-ში! ყველა გვარი, ოჯახი, ვინც მოდიოდა, საკლავით მოდიოდა. ერთსა ადრე შაუწირავს კურატი და ვერა სცოდნია, სად უნდა წაიყვანოს და თითონ კურატი გამოუშვია და მოსულა თავისით დღეობაში. პირიმზეს გუდამაყარში ვლოცულობთ და ფუცანგელოზობას მთას იქით, ხევსურეთში. პირიმზე ჩოხის სოფელშია. კითხვაზე, თუ წიკლაურ-ბექაურებმა რატომ თავიანთ საცხოვრებელ სოფელში არ გააკეთეს პირიმზის სალოცავი, რომა ჩოხელების სოფელში, ვერაფერი გვიპასუხა.

ჩოხელებს კიდევ თავიანთი სალოცავი ყავთ – ჩოხის წმინდა გიორგი. მარტო ჩოხელების გვარი ეყმობა. ჩოხელები როგორც თავიანთ სალოცავში დადიან და მას ეყმობიან, ისე პირიმზე ფუძის ანგელოზს.

ზეგარდი სოფელ დუმაცხოში აფციაურების სალოცავია. აფციაურები პირიმზესაც ეყმობიან. ზეგარდის წმიდა გიორგის ეძახიან. ხატებს ვეძახით, ჯვარს არა. ისეთი შემთხვევა არ გამიგია, რომ ხატ-სალოცავს ჯვარი დაუძახონ.

ცეცხლით ჯორო, ცეცხლით მეომარო – ისე ილოცება დეკანოზი (შარმიანთ ხატია). ცეცხლით მეომარი მაგაზეა, რომ ცეცხლს გაუჩენს ოჯახს, თუ რამე დანაშაული ექნება.

ღუდაში თავიდანვე ოსებს არ უცხოვრიათ. ისინი შახიზებიან. ჯერ ერთი კომი ყოფილა. ეხლა კი ინანიან მლეთელები, რატომ დავაყენეთო. ქურდები ყოფილან ეგ ოსები, გამოქცეულები.

კობაიძეების სალოცავია ჩირიკი. გინდა კობათას იტყვი, გინდა ჩირიკს. ჩირიკში წვერის ანგელოზი გვჟავ. თავწმინდობა რომ ვიცით, ის არის წვერის ანგელოზი. დაბლა არის წმინდა გიორგი. წვერის ანგელოზი მაღლაა. მემრე კიდევ კვირაცხოველი გვჟავ. დეკანოზი კობაიძეა.

ადრე რომ გადასახლებულან ლუთხუბიდან, ქვა წაუდიათ ნიშის გასაკეთებლად. წასულ ზაფხულ ისევ აქ ამაიბანებს, ფშარაოს, მიზეზი მიუცია. კინაღამ ამამიწედა ხიზანორ, იმას ჩიოდა. მიზეზს ისე გაიგებდა, ან მკითხავთან წაგიდოდა, ან ფოილას დაახვევინებდა.

მუდურეში რომ ავწიანი არიან წამალაიძედ იწერებიან (1774 წ. აღწერით მანდ ერთი კომლი ავწაიძე მოსახლეობ-და).

**ალექსი ბექაური, 75 წლის, სოფ. ცუცქუნაურთა,  
2. 06. 82**

სოფელ ცუცქუნაურთაში ბექაურები ვცხოვრობთ. აქ ბექაურები ორ მამიშვილობით ვიყოფით: გულანი და აფთა-რანი. „გულანთ“ წინაპარი ახალციხიდან ყოფილა მოსული. ახალციხიდან მოყოლია პირიმზის ჯვარს და ცუცქუნაურ-თას დასახლებულა. მერე გულას შეუხიზნებია მოვარდნილი კაცი, ვინმე აფთარა, რომლის შთამომავალნი ბექაურების აფთარის მამიშვილობას მიეკუთვნებიან.

**გასილ პავლეს ძე ჩოხელი, 82 წლის, სოფ. ჩოხი,  
2. 06. 82**

აქ სულ ჩოხელები არიან. სხვა გვარისა არავინ არ არის. წიკლაურები გადმა არიან დუმაცხოს, ათხოხსა. ჩვენი მამიშვილობებია: „ხიზანიანთ“, „ლაზარიანთ“, „შუბლანი“, „შუდლიანი“, „პაპველიანი“. ხიზანიანი შოოზაურები ვართ. გოდერძი შუდლიანთისაა. ჯერ ქვიან შუდლიანი, მერე მაგის პაპას გუჯია რქმოვნებია და გამოეყვნენ მაგათ გუჯანი. ბოლოს გუჯანთ ეძახიან. ლაზარიანთ გამოყოფილი ყავთ, ეძახიან „ფილიპიანთ“.

ჩოხელების წინაპარი მოსულა. ჩვენ ქისტეთიდან მოვ-სულვართ. ჯარიახელი ყოფილა, მეზობელი შემოკვდომია და გამორიდებია. ჩაღი ჰქვივნებია და თავისუფალი ადგილი ყოფილა და აქ დასახლებულა. აქ მემრე შეურთავს ცოლი. მემრე იმასა კიდევ ოსი მოურიგებია მწევმსად და მემრე ეს ოსი შეუერთებია, ადგილი მიუცია, დაუქორწინებია. ეს ოსი რომ მოსულა, იმის შთამომავლებიც ჩოხელების გვარზე დაწერილან და ეხლა იმათ დაგვინით, ოსებს ვეძახით. ოსებზე რომ მოდიან მაგით მამიშვილობაა „ლაზარიანი“.

მეორე ძმაც მოსულა, იმის ჰქვივნებია აფცი (ჩაღის ძმა) და აფციაურები იმაზე მოდიან. აფცი თავიდანვე დუმაცხოში დამდგარა. აფციაურები და ჩოხელები ერთმანეთში ქალს

ვათხოვებთ. ჩოხელები კი ერთმანეთში ქალს არ გაათხოვებენ.

ჩოხი უფრო განთქმული იყო, ვიდრე აფციაურები. აქ ყოფილა წინათ ძალმომრეობა. ქისტები დადენილან და გაუტაცნიათ ჩოხელი ბერაის ქალი. აქედანვე გაუტაცნიათ აფციაურების ბიჭი – ისინი ძროხებს ედგნენ. მერე გავარდნილა ბერა და უხოცნია ქისტები. მდევრად გამოეკიდა და ბევრი აზარალა. არხოტივნელი ხევსური თამარიძე გაუამხანაგებია. ორივეს უხოცნიათ. თავი რომ მააძულეს, ქისტებმა ბეგარა დაიდვეს, დაგვანებე თავი და ბეგარას დავიდებთო. ის ბერაის ბიძაშვილი ქალი, რომელიც ქისტებმა გაიტაცეს, იქ იყო ქისტეთში, ქმარ-შვილი ყავდა. მოხელა ბერაიმ წისქვილში ის ქალი. მე, შენი გულისათვის, ამდენ ხალხს ვხოცავ და უნდა წამოხვიდეთ. არ გამოყვა, ბალდები ყავდა უკვე. ქალს უთქვამს, 3 ქმარ-მაზლი მყავს და არ გაპატივებენ, შენც მოგკლავენ, მენცაო. ბავშვი გააპარა შესატყობინებლად, რომ ბერაი იყო მოსული. მოუცვიდნენ სამივენი და ბერაიმ სუჟველა მოკლა. ქალი არ მოკლა, ჩემი სისხლისა ხარო. იმ ბერას ჭროდა ბერას ეძახდნენ (ჭლუხი ბერა?). აბა ეხლა შენი ქმარ-მაზლები, რომ მოვლენ, უყურეო. მერე მდევარი დაყვათ და თამარიძე და ბერაი გამოიქცნენ. მერე იმაზე დაერქვა სახელი. სახელი გაიკეთა ჩოხელი რომ იყო ისა. ხატში ბერაის ყოველთვის იგონებენ. იმის ლექსს ფერხისას იძახდნენ:

ჩოხს დაიბადა არწივიო,  
ამბობენ ცოტა ხნისასაო.

არ დადებს საქმე-საგონსაო,

შურს ეძებს ბიძაშვილთასაო.

ბევრი აქვს ტყვია-წამალიო,

სადაღლს სწურავს ქვიშასაო.

ქვენა ფრთა გადაიარაო,

კორს გადადიან მგლისასაო.

მოუაო თამარისძესაო (არხოტიონს),

ამბავსა კითხავს მტრისასაო.

არხოტის ჭალას ჩადიან

ვაჟნი ჩადარვენ ქვიშასაო.

აგრე გახედე ბერაო (თამარიძე ეუბნება)

კლდეში სხედს ქისტის შვილებიო,

საათსა სთვლიან დღისასაო.

გავარდა ბერაის თოფიო,  
შუბლს ხვდება, დებავს კისერსაო  
ქისტი ეგ არის ბერაიო,  
ბერ ეძებს ბიძაშვილთასაო.

ბერაი შემდეგ მმას მოუკლავს. ბერაის სახელზე ჩოხის  
გიორგიში ლუდს ადულებენ. როცა ასეთი კარგი მოსახელე  
გამოვიდა ჩოხის გიორგისა, მერე გადასწყვიტეს, ლუდი უნ-  
და ადულონ იმის სახელზე დღეობაში ერთი ქვაბი მარიანო-  
ბას.

ბერაის მმას ჰქვივნებია გულბათა. იმას მოუკლავ ბე-  
რაი. აღდგომას მმებს ჩხუბი მოსვლიათ. ბერაის საცვლები  
გამოუცვლია და ბერაის თოფიო გულბათას უკნიდას დაუ-  
კრავს. შენაო ცოდვიანი ხარ, იმდენი ხალხი დახოცეო.

ჩოხში არის ბერაის საფლავის ქვა შემორჩელნილი.  
მამის სახელიც აწერია. ის ქვა მოთხარეს, მოხელეს, მიწი-  
საგან იყო დაფარული. აღდგომას ხალხი ამ ქვასთან, საფ-  
ლავზე მიდის.

დმერთთან ნაწილიანი იყო ბერაი და აბა მაშ როგორ  
გადარჩებოდა ამდენ ლაშქარს. ლვოისაგან იყო ის. დმერთი  
უმართავდა ხელს და... ქისტები ქორწილს თურმე სოფელში  
კი ვერ შეგრებოდნენ, არამედ ციხეში. ერთ სოფელში ბერაი  
თურმე როცა მიდიოდა, ბავშვი ტიროდა და დედას გა-  
დმოუყედებია და უთქვამს, ჩუმად თორემ ბერაი მოვიდაო.  
ბერას ამ დროს ჩამოუსვია სმალი და უთავო ბავშვი გადა-  
უტანია დედას.

ციხეების სანგრევად, თურმე, ბერაის სოლები გუდით  
დაჭქონდა. იქ ქისტებში ნეფე მოუკლავს (ციხეში) ბერაის  
და მის დედას დაუბახია, შენამც მმის ხელით გედირსება  
სიკვდილიო.

ბერაიზე კარგ ყმას იტყოდნენ. ორი თოფი დამარხაო  
ბერაიმ, ე.ი. ორასი კაცი ყავდა მოკლული. ასს რომ, მოკ-  
ლავდნენ, მემრე თოფს დამარხავდნენ, მაგზე იცოდნენ: აზა-  
რი აათავაო.

ბერაის შემდეგ ჩვენმა ჩოხლებმა გორი გამოიცვალეს.  
ჩოხელი რომ გაეგოთ, მოკლავდნენ და თაგაურზე შეიცვა-

ლეს გვარი. ეხლაც კი გვეძახიან თაგაურებს. არ იწერებოდნენ თაგაურად, მაგრამ გვეძახოდნენ ყველა ჩოხელის (უფრო პირიქით იყო. თაგაური გადასულა ჩოხელის გვარზე. თაგაურნი ძირად ჩოხელნი არ იყვნენ – რო). წახვიდოდი საღმე არაა?! – რო შეგეპიოხებოდნენ გვარს, იტყოდი თაგაური ვარო, აქ კი ჩოხელებს გვეძახდნენ.

ხატი გვყავს ძალიან ძლიერი და, თუ ჩოხელი ქალს შაადგებოდა, არ მიეცათ, ხეირი არ ექნებოდათ. დაცდილი ჰქონდათ ეგრე. ხატშიაც დიდი დღეობა ვიცით.

პირიმზე ფუძის ანგელოზი მთელი გუდამაყრისაა.

ჩოხის გიორგი ენის მიმყოლიაო. ეხლა შენ რომ შას-წყევლო არაა, იციან ენის გამყოლიაო. რომელიმე ჩოხელი, თუ წმ. გიორგის შეაგულიანებდა აბაო, წმინდა გიორგიო, ნუ ახეიორებ იმ ქალსაო, თუ არას ეტყოდნენ.

მაგ ხატში სამი სამანია ჩასმული, რო ძლიერი ხატია. ერთშია დარისხებული, ვინც მამისძმას უდალატებსო, იმას არ უნდა ჰქონდეს ხეირიო. ჩვენ ჩოხლები მამისძმას ვეძახით ერთმანეთს. ერთმა უდალატა, მმამ მმა მოაკვლევინა. აქ სახლი აღარა. უმართ ეძახოდნენ იმათ (ჩოხლებია). უმარნი სამი მმანი ყოფილან. ერთ მმას ხევსური მოუკლავ. მეტის-მეტი კაი ბიჭი ყოფილა ის მმა. ხევსურები გადაემტერნენ. დაედევნენ ეხლა იმას მოსაკლავადა და უნდათ კაი ბიჭი რომელიცაა ის მოკლან. სხვები (ძმები) ხვდებიან, მაგრამ არა კლავენ, უმართის მოკვლა უნდოდათ. ხევსურებმა დაიჭირეს ერთი მმა და უთხრეს, რომ სულერთია, ხომ სისხლი უნდა ავიღოთ და მმა მოიყვანე, იმას მოვკლავთო. შანაღიროდ წასული მმა უკან რომ დაბრუნდა, უმართამ უთხრა მმას: რად მოხვედი, ნაღირი არ მოკალიო? – არაო, ბევრი ჯიხვები არიან და შენც წამოდიო. აისხა იარაღი. წავიდნენ და ჩასაფრებულმა ხევსურმა, უმართი მოკლა. შემდეგ ეს გამყიდველი მმა ჩოხელებმა მოიკვეთეს, გაუგეს ცუდი საქმე რომ გააკეთა. აქედან უნდა აყარონ, მაგრამ აღარ გააძევეს და დაიდვა სადები და კურატი მოყავდა მას, კვირიაჯვრობას ვეძახით. მაშინ მაგის მოდგმას კურატი ნელობამდე მოყავდათ სულ. ეხლა იმათი მოდგმა აღარცრა ვინ იბადება. „უმარნი“-ს ეძახიან. ის სამანი იმაზეა ჩასმული. სულ გაწყდნენ. ქალები კია გათხოვილი. კაი სიძეები ყავთ.

ჩოხის ხატში მეორე სამანია კიდევ ჩასმული. აქ, ჩვენ ბიძაშვილ ჩოხელებს, რომლებიც მთიულეთში არიან გასული, მაგათ ჩაუსვეს ეს სამანი. დღეობა ყოფილა მარიანობა და ის ჩოხელი მთიული სტრაჟნიკი ყოფილა და მათრახით გაურეკია ხალხი სამუშაოდ. დღეობაში გაურეკია ხალხი და დაურისხებით ისა. ეხლა ვისაც ვაჟები გაუჩნდათ, არ რჩებათ. შარშან მარიანობას მოვიდა ის ხალხი და კურატი მოიყანეს. სამანის ამოღება უდოდათ. არავინ არ გაძედა, რომ ესწავლებინა, რომელი იყო ის სამანი. მერე ერთ ქვას დაეჭიდნენ და ხალხს არ გაუშვია მისი ამოღება. ისინი კეკიშვილები იყვნენ, ძირად ჩოხელები არიან. მოდიან აქა, დასტურად დგებიან, ვბიძაშვილობდით. სამანი კი აქვთ ჩასმული. წმინდა გიორგიში დგებიან დასტურად. ყველაფერში გვერდში გვიდგებიან. იმ კაცს ჩაუსვეს, რომელმაც მათრახით გარეპა ბეგარაზე და ეგენი იმაზე მოდიან.

მესამე სამანი დარისხებულია იმაზე, რომ ვინც ჩოხელის ქალი დაქვრივდება, იმის გათხოვებაში არ უნდა ჩაერიოს. შაწყევლილია და რაზეა ეგა, კერ გეტყვით.

საამაყოდ მიაჩნიათ ჩოხელებს, რომ ქვრივი დარჩა, არ გათხოვდა და თავი დაუდოო, შვილები გაზარდაო.

გიორგიანი არიან – ბახტრიონის ბრძოლაში მონაწილეობდა აფციაური და, რა გინდათ შენა მოგცეთო, და ბატონობა მომეციოო, ამ კუთხის. მაგ გიორგიანთ მამულები წაურთმევიათ ჩოხელებისათვის და გამსივლებისათვის. ეგენი თურმე სადაც კარგი ადგილი მოწონებოდათ, იქემებდნენ. ის კაცი ჩოხელების მამულში ცხენს ჩამოუგდია და წაურთმევია, ჩემი ადგილიაო. ეს იყო სახნავი. ეგ აფციაური დუმაცხოველი იყო. იჭერდა ხალხს ის, ციხე პქონია თავის სახლში. სახლად გადააკეთეს ის ციხე დუმაცხოში. ვინც არ დაემორჩილებოდა, იმას დაიჭერდა და ჩააგდებდა ციხეში და თოკით ჩაუშვებდა, მერე ისევ თოკით აიყვანდა, როცა მაანანიებდა და დაწიოკებდა.

აფციაურები სულ მუდამ მოდიან ჩოხის გიორგიში.

გამიგონია კიდევ სომეხი ყოფილა, მოსულა და შეუხი-ზნებია ჩოხელებს. შეკლიანებს ვეძახით მაგათ.

პირიმზე ფუძის ანგელოზი ეკუთვნით წიკლაურ-ბექაურებს. მაგათია ეს ხატი. ჩვენც კი მივდივართ, ვლოცულობთ.

საკლავი მიგვყავს. ჩვენი გვარიდან პირიმზეში დეკანოზს ვერ ვიყენებთ, სანოელს ვერ ავანთებთ. დუმაცხოს საღვოო მაღალი და ზეგარდა, აფციაურებისაა. სათემო ხატი სხვა არის. ეგ აქ იყო ჩვენს ხატში, დაიკარგა, მოხელეს და გამსში გააბანეს ჯვარია. ჩოხში იყო, ჩვენს სალოცავში ეგ, ხატი. გამსში გააბანეს. და ეხლა ჩვენს ხატში ინახება ეს ჯვარი, რომელსაც ჩვენ სათემო ხატს ვე-ძახით. გამსში გააბრანებენ ხოლმე ამ ხატს (ჯვარს) გაზაფხულზე აღდგომის დღეს.

პირიმზეში სამი დეკანოზია – ერთი უფროსობს. ის არის მაქართელი, ბერს ეძახიან. აფციაური დეკანოზად პირიმზეში არ გამიგია. პირიმზე ფუძის ანგელოზს უფრო ძალა ჰქონდათ გუდამაყარში. აქ პირიმზე და უკან არის ხევსურეთში ფუძის ანგელოზი.

გავიდა ხმა, რომ ჩოხელებს ყავდათ დამალული ხატი (ჯვარი) სათემო და მერე გაიტანეს გამსივლებმა. იქვეა საბურთველო.

ჩოხელები წმინდა გიორგის ყმანი ვართ, აფციაურები – ზეგარდისა, რა ვიცი, აქაც პირიმზეში წილს იდებენ. ბექაურები და აფციაურები პირიმზის ყმები არ არიან.

ჩვენი ჩოხელების წმინდა გეორგიც მარიანობას მოდის. და ახორბაც მაშინ მოდის; ზოგჯერ ახორბა და ჩვენი ჩოხელების მარიანობა ერთმანეთს ემთხვევა. ჩოხელების ხატში მარტო ჩოხელები დეკანოზობენ და მარტო ჩოხელები დასტურობენ. დასტურს უფრო ვიტყვით. აფციაურები პირიმზეში დასტურად არ დგებიან. აფციაურები ზეგარდში დასტურობენ.

ჩოხელებიც დავდიდივართ უკანახოში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შახვეწებულები იყვნენ. მანდ ძირითადად ყმანი დადიოდნენ. ბექაურ-წიკლაურები აღუდებდნენ ლუდსა და აქედან დროშას წააბრანებდნენ, ერთ დროშას. უკანახოში ფშაველებიც მოაბრანებდნენ კოპალეს დროშას. ჭიკლაურ-ბექაურებს უკანახოში თავისი ადგილი ჰქონდათ, ხევსურებს თავისი ადგილი ჰქონდათ. აქბური ბექაურ-წიკლაურები გადადიოდნენ ხევსურეთში სალოცავად, მაგრამ ხევსურების გადმოსვლა აქ არ გამიგია.

ძველად დევებს ჩვენი ხატი ებრძოდა. იტყვიან: „გაუმარჯოს ჩოხის გიორგისაო, ცირასაებით აბრძანებულსაო და ჩოხში დაბრძანებულსაო“. „ცირასები“ მთის სახელია, თავშია დაბრძანებული. მტრედივით ყოფილა და დევი გამოდეგია. იმ ტყეზე წამოსულა. დევი არ უშვებდა, რომ დაბლა ჩამოსულიყო. იქიდან დევი დაყოლოდა და ხატმა თქო: ეხლა კი მამეწევაო. და ხეთანასთან (ადგილია) რომ უნდა დაეწიოს, გადმოიქცა სოფელი. ვეღარ გამოყვა ის დევი და მსხალია ერთი, ხატის სარამს ემახიან, იქ შემჯდარა ეს მტრედი (ხატი). ის მსხალზე, რომ შემჯდარა, მერე დაუჭერია, შეულიანთი ყოფილა. ის ყოფილა მჭედელი კაცი. არწუხი შემოუჭერია ფრთხებზე, რომ არ გამექცესო. და ვინც დაიჭირა ეს მთები, იმათი ყველა დაუხოცია; პოდა, ვეღარსად გაფრენილა და დარჩენილა მანდ და დევიც იმასთან მოსულა ბოლოს და ქისათვის დაუკრავ ხელი და დაუმწევია. იმ დევის იასაულებისათვის ციკნებსა ვხოცავთ. დევი იასაულებს უსევს, ვინც მისი წინააღმდეგია. ლოცვა კი არ იციან. ამბობენ ხოლოდ: „დაუტკბე შენი თვალი, შენი გული, აგრე – სამჯერ იტყვიან. იასაულები ხალხს ემტერებიან. ვისაც ციკანი არ მოყავს – იასაულის მიზეზი აქვთ. ცხრა კერს გამოაცხობენ და ცხრა სანთელს და დამწყალობნებს დეკანოზი. ეგ დღეობა მარიანობას მოდის. ციკანს თავს დასტური მოსჭრის. შარშან აქ მარიანობას 140 საკლავი დაიკლას.

ხატსაც ყაგს იასაული. მაგათზე დობილს იტყოდნენ: „წმ. გიორგის იასაულო, წმინდა გიორგის დობილოო“.

მამები და ბიძები დამე დადიოდნენ, აქ მთა გვაქს. მამაქმი დამე ამდგარა, თივა პქონია მოსაფოცხი და მმისათვის უთქვამს: ადე, წავიდეთ, გავფოცხოთო. რაო, კაცო, რა მოგივიდაო, უდრო დროზე ავლა მანდ არ შეიძლებაო.

ავიდნენ, საკვირაოს ვეძახით, და ბოლოდან მოვიდა პაპი ჩოხელი (პაპი მაშინ მკვდარი იყო). გამოეჩვენა, მიესალმნენ ერთმანეთს. შაგვიძებ პაპი წინაო და არაო, თქვენ შაგვიძეხითო. იარეს და მივიდნენ, წყალ გვაქს მთის ძირას, არც ლაპარაკობდნენ. დაისვენეს. პაპმა იქით მსარეზე დაისვენა. უთხრეს: პაპი, ჯერ შენ აამსეო და არაო, ჯერ თქვენ აამსეთო. პაპი ეგე გაემართა იქითკენ, არა, მე ესე

გორდაგორ ავივლიო. ავიდნენ მთაში; აღარ თენდება, აღარ და აღარ. ძმაშ უთხრა მამაჩემს – რა გვეჩარებოდა? და რომ გათენდა, მერე მოვიდნენ აზრზე, რომ პაპი ცოცხალი არ იყო.

ბეჭია ჩოხელი იყო, ორ-სამჯერ დაუჭიდა თურმე დევი. ორჯერ მე დავრიეო და მითხრა – გამიშვი და მაინც არ დამინდო, მესამედაც დამერიაო. მატყლიანი, ბალნიანი რამე იყო დევი. ბევრს გასხვენებია დევი და მერე გამქრალა. ეგ-თან ხელუკუდმა უნდა გეხმარა იარაღი. თუ პირდაპირ დაკრავდი, შენ მოგვხვდებოდა. ეგრე გამიგია, დევი სულ ტიტველიაო, ბალნიანიო; უშნო რამ ხმა ჰქონდაო.

ამანათია, ვინმე რომ მოვიდეს გაჭირვებული, შემოხინული.

ლომისაში გუდამაყრიდან სალოცავად არ დადიან. ნათესაობით კი. გუდამაყრელები ხეგში ივანე ნათლისმცემელში დადიოდნენ ხიზნით. ჩოხელები ჩვენ ვრევთ ბავშვს, აფციაურები ზეგარდას რევენ, ბექაურ-წიკლაურები – პირიმზეში. რო მიზეზია, რადაც გაუჭირდება, მკითხავი ეტყვის. ჩოხს ყმად შეეწირებოდა, მოვიდოდა და შეეწირებოდა. ნამდვილი ყმა არის ისიც, პურეტით მოდის.

„გაუმარჯოს პირიმზე ფუძის ანგელოზსა, ყმათა და უყმოთ მეშვეოლსაო“. სუყველას ერთნაირად შველის. მე ჩოხელი პირიმზის უყმო ყმა ვარ. ჩოხში კიდევ ილოცებენ: „გაუმარჯოს ჩოხის გიორგისა, სწყალობდეს თავის ყმათაო.

**ეთერი ივანეს ძე წიკლაური-ბექაურისა, 49 წლის, ილო გიორგის ძე ბექაური – 53 წლის, სოფ. ზანდუკი,**

**3. 06. 82**

ამ სოფლის სახელი არის ორი – ზანდუკი და ლაგაზიანი. ლაგაზიანი გაღმა სოფელია. ჩვენ ზანდუკი ვართ. ამ ზანდუკს კიდევ ნათიანთას ეძახიან. ხევსურის რძალი (ძალი) ყოფილა, პეტრებია ნათია, იმაზე ეძახიან ნათიანთა. კაი სახელის ვაჟაცური ქალი იყო. აბა რას გააკეთებდა, წინავ ხვნა-თესვა იყო ჩვენთან და ყოჩადი ქალი იყო, ვაჟაცურად ეჭირა თავი, იმაზე მოდიან საბოლოოდ ეს ნათიანი. ლაგაზიანში მარტო წიკლაურები არიან. 2 კომლია ახლა. ჩვენ ბალდობას 7 კომლი იყო. გადასახლდა ხალხი, ზოგი

ფრონტზე დაიკარგა. ზანდუქში წიკლაურებიც არიან და ბეჭაურებიც. აქ ორი კომლი ვართ ბეჭაური და დუშეთში და მანგლისში არიან წასული ჩვენი განაყრები. თორელანში სულ ბეჭაურები არიან. მამაჩემი (წიკლაური) ზესიძედ იყო მისული თორელანში ბეჭაურებზე.

თორელანის სალოცავებია: აი, მაგალითად, დღესა ხატობაა თორელანში. მე დედა მამიკვდა, და შავებით მისვლა არ შეიძლება ხატში. ფშარაველს ვეძახით, მაღლა არის სულ მთაში. წინქედს ვეძახდით, ფშარაველი იქაა. ნიშივით არის, შვილო, და ბევრი განძივით არის. მე არ მინახია განდი, ქალების მისვლა არ შეიძლება ახლო. ეს მარტო თორელანის სალოცავია. ლუთხუბი არ ამოდის აქა. ლუთხუბისა და მაქართის სალოცავია აფშო. სასანთლე აქეს, ორი ქვა – იქით, აქითა, მერე ზევიდან. ქვის ჯვარი არ ჰქონია ზევიდან. ფშარაველს ხატის მამულები ჰქონდა. არ შავებით და თუ შავებით, საკლავი უნდა დაგდლათ. ვინც ხატის მამულს დაამუშავებდა, ის საკლავს დაკლავდა, სასმელს მოიტანდა, ხატს გაადიდებდნენ. არაყი უნდა მიეტანა 2 თუნგი (8 ლიტრა). ხატის მამული 3-4 დღის სახნავი იყო. ხატის მამულს ერთ წელს ერთი მოხნავდა, მეორე წელს – მეორე და ა.შ.

თორელანის მთავარი სალოცავი იყო ადგილის დედა მთავარანგელოზი. მუხის ხეზე, ირმის რქაზედა ზარები კიდია – სამი ზარი. როცა ხატობა გვაქვს, დღეობა, კომზე ყველა მივდივართ, მიგვაქვს სანთელი, ამ სანთელებს რომ მივიტან და ქადის კვრებს ვაცხობთ, რომ მივალთ ხატში, იქ უფროსია, დასტურს ვეძახით, ვინც ზარები უნდა დარეკოს; ყოველწლიურად ცვლიდნენ, მარიამობიდან მარიამობამდე. ის დასტური იქ არის წინასწარ, ვინემ ხალხი მოქუჩდება. ხალხი რომ მივა მიუტანთ იმ ქადისკვრებს და იმ სანთელს. ეს დასტური აანთებს სანთელსა, ჰოდა დასერავს იმ ქადისკვრებს, ჯვარს გაუკეთებს და შვილებს დაგვილოცავს. ხელი მოუმართე, კარგად ამყოფეო. მერე, როცა სასოფლო საკლავს დაკლავენ (ფულს ვკრევავთ და ვყიდულობთ), დასტური დალოცავს სოფელს, ვისიც ფულია შაკრებილი. მერე როცა ხორცს მოხარშავენ, იქეიფებენ, მე-

რე დასტური დარეკავს ზარებს და, ვინც იქა ვართ, წამოვ-დგებით სუსკელანი ფეხზე და პირჯვარს გამოვისხვთ, გვი-შველოს, მოგვიმართოს ხელი, შვილებს შევახვეწებთ. დას-ტური რომ ზარებს დარეკავს უკვე წასვლისაა.

დეკანოზი არ ყავდა ამ ხატს. ჩვენ ხატში ორ-ორი და-სტური იყო წლიდან წლამდე.

თორელანში არის კიდევ ხახმატის ჯვარს ვეძახით. არის კიდევ მგზავრის გიორგი, ესენი ახლო ახლოა და თა-ვთავად არიან. ამ სალოცავებს დასტური არა ყავს. ვისაც როგორ უნდა, ვინც როგორ არის შახვეწილი, ისე მიღის. პირველ ბოროლას ხახმატისათვის ვზრდით – ხახმატს ვეძა-ხით. გინდა სულ დაბერდეს, როგორც შენ გწყალობს, როცა გინდა, მაშინ დაუკლაბ. ამ ხახმატს უფრო საქონლის გამ-რავლებას შევთხოვდით.

მგზავრი გიორგი პირიქით, ამ მთას იქითაა, ფუძის ან-გელოზს ვეძახით, მთელი თემისაა, იმისი ნიშია. იმას არ გასცედება არც დასტურ-დეკანოზი, არც მლოცავი, რომ იქ კვერი არ გასეროს და არ დაილოცოს. მთელი თემი ლოცუ-ლობდა აქ. ახორბას რომ მიღის ხალხი, მაშინ ლოცულო-ბენ. ადგილის დედას და ფშარაველს ერთი დასტური ყავს. იმიტომ რომ ერთი სოფლის სალოცავია. პირიმზეში დას-ტურობენ მხოლოდ წიკლაურ-ბექაურები, მთელი გუდამაუ-რიდან.

თორელი ჰქვივნებია იმ წინაპარსა, მაგალითად, ის თო-რელი ჩემი ოჯახისა ყოფილა, სადაურიც ჩემი დედაა, ბექა-ური ყოფილა გვარად.

მმანი ყოფილან წიკვა და ბექვა. გაეყარნენ ეს მმები ერთმანეთს. უფრო ხეგსურეთიდან არიან გადმოსული. ბექვა კარგი ყოფილა, წიკვა – არა. სალოცავში აღარ უშვებდა ბექა წიკვას და, სადღა ვილოცო მეო, და აი, სადაც დავაფსი იქაო.

პირველი მამალი ბატკანი რომ გაჩნდება წიკლაურები და ბექაურები ვუხევთ ყურსა. მიგვყავ პირიმზეში და ეს წიკლაურ კი ვერ დაკლავს პირველ ბატკანს იქა. იმ ბექამ რაც უთხრა, აი აქ ილოცეო, იქ დაკლავენ, პირიქით არის ეგ აღგილი, ფუძის ანგელოზი.

თორელანში ბექაურების შემდეგი მამიშვილობაა: „მადიანიანი“. ჩვენ ვიცით, რომ მაგათი წინაპარი ამანათად მოსულა და დაუსახლებია ბექაურს, შაბრალებია და ადგილი მიუცია. 9-10 თაობის ამბავი მაინც იქნება ეგა. მაგ კაცის შთამომავლები დაეწერნენ ბექაურზე. ეგენი არიან ეხლა შვიდი კომლი. აქედან წასული არიან. თბილისში ცხოვრობენ. იყვნენ კიდევ „დიდებიანი“. დიდებიანი იყვნენ ჯერ და შემდეგ „ხამხაძიანი“ გამოყო. კაცს ერქო ხამხაძე, ჩემი ტოლაა ერთი, მაგის პაპის მამას რქმივნებია ხამხაძე და ვეძახით ხამხაძეებს მაგაზე. არიან კიდევ „ირემიანი“, როგორც დიდებიანი, ისე ეგენი კიდევ კომებად სხვები არიან. ეხლა იყოფიან ეგენი „ჯდანიანი“, „ჭედილანი“, „ბიჭანი“. ჩვენ კიდევ „ჭეხილი“ ვართ და დიდებიანთ ვეკუთვნით.

ამ სოფელში, ზანდუკის არის ზანდუკის მთავარანგელოზი. პატარა ეკლესია, დაფარებულია უქსტით, ზარები ჰყიდია. როგორც ეს ბოძი, იმსიმაღლო ქვა არის. ამ ქვაზეა ირმის რქები შებმული და რქებზე ზარებს დაგეიდებოთვე. დავილოცებით ასე: „გაუმარჯოს ზანდუკის მთავარანგელოზსაო, ციდან სევტად ჩამობრძანებულსაო და ზანდუკის გორზე დაბრძანებულსაო“. შესთხოვდნენ: უშველე ყველასა, ვინც შენ გემსახურება და ვინაც კულუსსა რწყავს. ხატის მამულები ამ ხატს არა ჰქონია. საკლავი მორიგეობით მიგვიდის. ორი დასტური ხომ ვართ. ერთი დავკლავთ, როცა ვდგებით დასტურად, მეორე დაკლავს, როცა დავდგებით. ქალებიც მიდიან სალოცავში, მაგრამ საცა კაცები არიან იქ ჯალაბი არ მიყავთ.

**ზანდუკიში მარტო მთვარანგელოზი გვყავს.**

აქ არის კიდევ „მკვრივთ ხატი“ – ეს ქვა არის, როგორც სვეტად ჩასმული. უწინ მკვრივში იყო ორი სევტი. ერთი დაგორდა ზევიდან და ახლა მთავარანგელოზშია. დაგორდა და მთავარანგელოზის პირდაპირ დამდგარისო. ეგ დიდი ხნის ამბავია.

დიდებანთიდან ვართ ზანდუკი ბექაურები გამოსული. ზანდუკიანი მირითადად წიკლაურების სოფელია.

პირიმზის სალოცავში ბარიდან მოჰქონდათ კულუხი (=ლვინი). ეს ხალხი ხო გადასახლდა მთიდან ბარში. აქ

ეხლა ამ გუდამაყარში ხო დასტურები არიან. ამ გუდამაყარში პინა არის კარგი გაკეთებული და ამ გუდამაყარს მოსდევს და ისინი ხომ ვედარა სწყავდნენ, ვინც გადასახლებულიყო და აქაური დასტური ხომ მანგლისში, შირაქში და სხვაგან ვერ წავიდოდა, და გადასახლებულებს ღვინო მოქონდათ და ასხამდნენ ქვევრებში. ძალიან დიდი ქვევრები იყო. ქართლიდანაც მოჰქონდათ კულუხი (=ღვინო). გამიგია „რუსიანი“ (წიკლაურები), მაგათ მოქონდათ კულუხი ბარიდან.

პირიმზე არის ახალციხიდან მობრძანებული. პირიმზის წამოსაყვანად ახალციხეში რომ წამოაბრძანეს, გუდაში ჩასვეს პირიმზე, ჰოდა, ხევსური ყოფილა და გუდამაყრელი, ვინც წამოაბრძანა. წამოასხეს საქონელიც და ეს როდეს საქონელიც მოუდის, ხატიც მოაქვს. რო ამოვიდნენ გუდამაყარში, ბაკურებევის გადასახვევში (ხევსურეთისაკენ), ამ გუდამაყრელებს უნდათ, ჩუმად მოილაპარაკეს, ხატი და ჩვენა ვთქოთო, რომ საქონელი გვინდაო, რო მოვიდნენ ამ გადასახვევში, უთხრა ამ გუდამაყრელმა: ჩვენაო ამ საქონელს წავასხამთო, არაო, უთხრეს ხევსურებმა, საქონელი ჩვენ გვინდაო. ამ გუდამაყრელებსაც გაუხსარდათ და ხატი მაგათ დარჩათ პირიმზისა.

პირიმზეში ხოხელები და აფციაურები ეგრე მოდიან, ყმები კი არ არიან. დაილოცებიან კია: „გაუმარჯოსო ფუძის ანგელოზსაო, უყმო ყმის დამხმარესაო“. ყმასაც ეხმარება და უყმოსაც. ერთი ადამიანი წავიდა ბარში სანადიროდ და იმან სინამდვილეში მოკლა ირემი, დაუდამდა. კლდე იყო გამოქვაბული და დარჩა იმ კლდეშია. ამ კაცმა ცეცხლი დაანთო, ჩამოატყავა ცოტა და დაუწერ წვა. სწვავს ამ მწვადებს და შემდეგაში შამფურზე ასხმულ მწვადებზე მოვიდა ერთი, რაღაც გონჯივით შესახედავი დევი. ამას წასწვდა შამფურს და შეჭამა. ეს კაცი რომ შაშინდა და დაიწყო ლოცვა. მიშველე, მეშველეო, სადაც კი ხატები გაუგონია ყველა ახსენა. დევი კი უკირთავს (აჯავრებს ლაპარაკს), კაცი კი ხატებს ახსენებს. მემრე ახსენა, რომ ღმერთო, მთას იქით, რომ იტყვიან, კიო ფუცო-ო, და ისევ უნდა გაუკირცხოს დევმა და ამ დროს ციდან მოვიდა, როგორც ცეცხლი

და თავისი მათრახი დაკრა და სულ დაწოო დევი. და თეთრწერა კაცი გამესახა ამ მონადირეს. უთხრა, აქ რა მოგიყვანა, შე უბედუროო. ამ კაცმა ხომ ვერ იცის, ეს დღეობა რომ მოდის ან სად არის. დააყენა კურატი. გახდა ექვსი (6) წლისა ეს კურატი. ხო უნდა წამაიყვანოს ეს კურატი დღეობაში. არც იცოდა დღეობა სად იყო და როდის. თავად წამოვიდა ეს კურატი და მისდევს პატრონი უკან. იარა, იარა და მოსდევს პატრონი უკან. ამოვიდნენ ფასანაურში. ის კაცი იქით გზაზე, მთიულეოთისაკენ ერგება. ეს კურატი კი აქეთ იწევს. ხო და გაუშვა თავისუფლად, გაანება თავი. მაშინ პატარა ბილიკი იყო, განა გზა იყო. იარეს ეხლა და შეეყარნენ, ხახმატობა რო ვიცით. იარა-იარა კიდევ, პირიმზეში მოვიდნენ. ამ კაცმა უამბო თავისი გადანაყარი დასტურდეკანოზებს და კურატსაც მოსჭრა თავი. ის კაცი რომ ყმა არ იყო, და ამიტომ ამბობენ: „უყმო ყმის მშველელსაო, ფუძის ანგელოზსაო“. ის კაცი ხომ ყმა არ იყო, ისე დაეშველა ხატობაზე იმას. პირიმზე ყველა ხატობაზე ძლიერია.

ჩოხელები და აფციაურებიც საკლავით მოდიან. ძალიან შორიდანაც მოდიან: მანგლისი, მარტყოფი, შირაქი, თოანეთი. ავტობუსებით გაივსება აქაურობა. დიდი მინდორია. ყველაზე ძლიერი სალოცავი პირიმზე ფუძის ანგელოზია, მერე – ჩოხის გიორგი.

წიკლაურ-ბექაურები ჯერ სოფლის სალოცავში გავრევდით ბავშვსა და რძალს, მერე პირიმზეში.

ამანათს იცი რას ეძახიან? – მოვიდა სხვა და დასახლდა ჩვენს სოფელში. პოდა, ამანათს იმაზე დაუძახებენ, შე ამანათოო. შეიძლება რომ ცოტა-ცოტა მოუჭრათ მთა, მამული, ცხვარი-ძროხა მივცეთ ცოტა და ის იყო ამანათი. თუ უნდა ამანათს, თავის გვარზე დარჩება, თუ უნდა, სოფლის გვარზე გადავა, როგორც თავად უნდა.

არიან ბექაურები და დიდებაშვილზე იწერებიან. შირაქში არიან ეგ დიდებაშვილები და მე გავუბრაზდი სადმე, რატომ წერისარო სხვა გვარზე მეთქი; რატომ კარგავთ ბექაურის გვარსო, დიდებანთიდან არიან წასულები და იმიტომ დაეწერნენ დიდებაშვილზე.

სადღაც ვიღაცა კაცმა იშოვგა ბალლი და სადაურია არ იცის და იმას თუ გაზრდის, იტყვიან, ამანათიაო.

ქალის გარევაც ვიცოდით ხატში, ბატრძლისაც. გინდა მონათლული იყოს, გინდა მოსანათლი. ჩვენი სოფლის ხატში არ ვიცით გარევის დროს საკლავის დაკვლა. პირიმზეში კი აუცილებლად უნდა საკლავი. სოფლის სალოცავში კი ქადისკვრები ვიცოდით, მოსალოცავს ვეძახით. ფულს ჩავურჭობდით, თეთრ ხურდა ფულს (10-15 კაპიკიანებს). პირიმზეში როცა მივიყვანო დასტურ-დეკანოზთან, ქადისკვრები პირიმზეშიც მიგვაქვს, ფულებს ჩაარჭობდა და საკლავს, რომ დაკლავნენ, დეკანოზი სისხლის ჯვარს გაუკეთებს შებლზე და ორივე ხელის გულზე. ფეხმძიმე პატარძლის ხატში გარევა არ შეიძლება. ჩვენ იმის გამო ვეღარ გავრიეთ პატარძალი. შარშან ამ დროს ფეხმძიმე ქალი იყო და მეორე წლისათვის ბავშვიც იქნა და ახლა თრივეს ერთად გავრევთ.

აუცილებელი არაა, რომ პატარძალს გარევის დროს ქმარიც გაყვეს. შეიძლება ოჯახის სხვა წევრი (დედამთილი, მამამთილი, მული) ახლდეს თან.

დეკანოზმა და დასტურებმა არაგვში იანვარში უნდა იბანაონ. არაგვში ტრუსიკიანი უნდა ჩავიდეს, როცა წყალი ძალიან ცივია. ახალწელს ვიცით ეგ. მარიანობას რომ აირჩევენ დასტურად, იანვარი რომ მოდის მაშინ უნდა იბანაონ არაგვში. დეკანოზი ყოველ წელს ბანაობს. ჩავამტვრიეთ ყინული და იქ ჩავწეპთ. დეკანოზი და დასტური რომ ბანაობს მთელი ხალხი უყურებს. პირიმზის წინ ფერმა არის, კანტორიდან ქალები და კაცები გამოვიდნენ და გვიყვირონენ (ათხოხიდანაც): შეგეწიოთ პირიმზეო, გწეალობდეთო.

პირიმზეში ერთ წელს ორი წიკლაურია დასტურად, მეორე წელს კი ბექაურ-წიკლაური.

ჩოხელიანთ გოგიას ეძახოდნენ, გვარად წიკლაური იყო, ლუთხეუბიდან, 8.000 სული ცხვარი ყავდა და რომ შეგეხდა, იტყოდი, ისე ეცვა, არაფერი მაქვს, მივცე ამ კაცსაო.

3.000-4.000 სული ცხვარი ბევრს ჰყავდა. იყო ბექაური პავლე, დიდებაანთიდან, 3000 ცხვარი ყავდა. ეს პავლე გააკულაქეს და წავიდა ფილიპე მახარაძესთან და უკან დააბრუნეს. ამოიყვანეს ფილიპე მახარაძე კიტოხში და შეხედა აქაურობას და თქვა – აქ და კულაკიო? რომ გააკულაქეს თურმე აღარაფერი დაურჩინეს, არც ჯამი, არც კოვზი. აბა, კავლე, შენი სახლი გვანახეო. ფასანაურში ჩაურევა ცხენები

და წამოიყვანა სახლში. აბა, პავლე სასადილო სადა გაქსო? და აჩვენა სახლი, სასადილოც ეგ არის და სახლიცაო. მერე გამოვიდნენ კიტოხში, საბჭოში. ამ პავლეს ყავდა მეზობელი შარიანი. პავლეს ყავდა კიდევ მოწმეები, რომ, როგორ არის და რანაირადო. თითონ მამაჩემიც დაიბარეს. შეეკითხა მამაჩემს, შენა პავლესი რა იყავ, რას გაძლევდაო; შენაო, ცხვარი რამდენი გყავდაო. უთხრა: მე, პავლე არაფერს არ მაძლევდა, მარტო ცხორი უდოლიკე. შენაო, შარიანს შეეკითხა, რამდენი გყავდა ცხვარიო, ამდენიო და, შენ თავად გასაკულაკებელი ყოფილხარო, უთხრა მახარაძემ, პავლე რატომ გაძლევდა ცხორსაო.

მაშინ საბჭოს თავმჯდომარედ იყო ბანცური და ის ავკაცობდა. დაიბარეს ის ბანცური და იდგა მეზობელთან დგმურად და თავის დროზე არ მივიდა, მახარაძემ რო დაიბარა, ჟურსა სჭამსო. ეს ბანცური მაშინვე დაკარგეს და ამ პავლემ თავისი ქონება უკანვე დაიბრუნა, არაფერი არ დაძლეს. დანარჩენმა ხალხმა თქვა (ვინც გააკულაკეს და ცხვარ-ძროხა ჩამოართვეს): ნეტავი პავლე სუსველაზე უწინ ბაეკულაკებინათ, ჩვენი ქონებაც უკან დაგვიბრუნებოდაო.

გუდამაყარში პირიმზე სადაც არის, ეს არის წიკლაურებისა და ბექაურების ადგილი. არც ერთი კომლი მანდ არ იყო ადრე. ჩოხლები მაღლა იყვნენ ეგენი. და ეხლა გვიან ჩამოვიდნენ მანდ. არც შეიძლებოდა ჩოხლები დასახლებულივნენ. მანდ პირიმზეში ყოფილა ნიკოლოზის დროს, თურმე მოვლენ იმ ტყეში, მოჭრიან – დაიტანს, დაიხოციან. მერმე გაუნებებიათ თავი. არ შეიძლებოდა ეგ ჩოხლები მანდ გადმოსახლებულივნენ. არ შეიძლებოდა მაგათი შაგუება (მანდ რომ ჩამოსახლდნენ). მაგათ ყოველთვის მიზეზი აქვთ, დაუხიცათდებათ რამე. ერთსა ჯდანას ეძახიან, ჩოხლია, იმან გაიკეთა იქ სახლი, ზემოთ მხარეზე და შვილი მოუკვდა, ეგეთი, რომ საქორწილო. ეგ მინდორიც პირიმზისაა. არ შეიძლება, ეგენი მანდ დასახლებულიყვნენ, მაგრამ მაინც ჩამოსახლდნენ.

ერთი დუმაცხოელი აფციაური ყმად შეეწირა პირიმზესა. ეგ არის მაღიან ძლიერი ხატი და უნდოდა ყმად ყოფი-

ლიყო პირიმზისა. ძალიან მორწმუნე იყო და შვილი შესწიო კა ქმადა, როგორიც წიკლაურ-ბექაური და ისიც ისე სწერა ვდა კულუხს, როგორც წიკლაური და ბექაური.

ეს სალოცავი და მინდორი წიკლაურ-ბექაურთი იყო, სადაც პირიმზეა. ჩოხელები მანდ კი არ იყვნენ პირველად. სოფელი მაღლა ჰქონდათ. მერე ჩამოვიდნენ ქვევით. მაგათ ხატი, ჩოხისა, ზევით იყო.

ჩოხის გიორგიში მლოცავს რომ მიუდიოდა საკლავი, მიიყვანდნენ, დაილოცებოდნენ, თავს მოჭრიდნენ და შენ აღარაფერი. პირიმზეში რომ მოუდიოთ საკლავი მარტო თავს მოჭრის დეკანოზი და დაგამწყალობნებენ. მარტო თავია დეკანოზის. ტყავიც მლოცავისაა. ვინც უშმოა, მარჯვენა მხარი და თავი, აგრეთვე, ტყავი დეკანოზს რჩება. ამ ჩოხშია რო მოჭრიდნენ საკლავს თავს, მთლიანად (ხარიც და ყოჩიც) დეკანოზის იყო, თითონ მოხარშავდნენ და მერე მოხარშულს მოგიტანდნენ, ცოტას, თვითონ რამდენიც იყავით. პირიმზის დეკანოზმა შეუცვალა იმათ კანონი. იმ პირიმზის დეკანოზს წიკლაური გიორგი ერქვა, დიხხოლელი იყო. რომ ის ყოჩი მთლიანად თავისთვისა უვანდის, აი, ასე გაჭერით შუაზედაო და ნახევარი პატრონს მიეცითო და ნახევარი თქვენაო. და ამის შემდეგ პირიმზის დეკანოზის ამ ნათქვამს დაემორჩილნენ ჩოხელები. ძალიან ისეთი კაცი იყო პირიმზის დეკანოზი წიკლაური გიორგი – შესახედავად, იტყოდი – ეს არის დემერთიო. ეხლა რომ გვყავს დეკანოზი, ბერია მაქაროლელი წიკლაური, იმან დააყენა. ხატმაც დაიჭირა ბერი. ისეთი კაცი იყო ეს დიხხოლელი დეკანოზი, რომ შენს გულზე რა ეხატა, ყველაფერს წაიკითხავდა. მაგ დეკანოზს ხელზე ბუნებრივად ჯვარი ეხატა. მაგათ ნაწილიანს ეტყოდნენ. მე რომ დავინიშნე, ახალი დანიშნული ვიყავი, ეს ხიდი რომაა ჩვენი, მე და ჩემი სიდედრი შევიყარენით, ჯერ არც მივსულიყავ ცოლეურთას. დავიწყეთ ლაპარაკი ჩვენ ხიდთან. დავიწყეთ საუბარი. პირი მქონდა თან მთავარანგელოზისაკენ შაბრუნებული. კიდევ იყო დაღამებამდენა საათნახევარი. ზანდუკის მთავარანგელოზისაკენ ვიყურებოდი. სიდედრი კი ზურგით იყო სალოცავისაკენ შებრუნებული. ხოდა, მე იქ გავიცქირები, რაკი რატომ წამივიდა თვალი ხატისაკენ. მე ჩემს შვილებს გეფიცები, თუ კი ამას ვტყუოდე.

თუ იქიდან საიდანმე არ მოსულიყო და იმ ტყეში არ შესულიყო. ამ სახლის სიგრძისა იყო. ლურჯი იყო, უკან და წინავ აი, ასე შვრებოდა (ხელები წინ წასწია და უკან) და შუქს მიყრიდა უკან. სხვაგნიდან მოვიდა და ქუჩის ტყეში (ზოპონიმი) შევიდა, ხატოან ახლოს. როგორც ადამიანი წაწვეს, ისე მიდიოდა. ეს დანახული მაქს და ეხლა ისეთი ხანა გამოვიდა და თითქმის აღარა მჯერა და ვუჟურე გაშტერებული, ვერ მოვასწარი ჩემი სიდედრისათვის მეთქვა.

ბალკონში ვწოლილგარ და, წინავ იყო, რამე დამინახია, ცეცხლივით რამე გაშუქებულა, გადაუვლია და გადმოუვლია.

აქ, ამ სოფელში, ზანდუკში ცხოვრობდა პირიმზის დეკანოზი – ოლოშია დეკანოზი (მამაჩემს ახსოვდა). ეს ოლოშია იყო დეკანოზი კაცი, ზანდუკიდან ამ პირიმზის დღეობაში.

აზალა ხევსაო დევნი ყვირიანო  
და ზანდუკს ციხენი ზანზარებენო

აზალა ხევი პირდაპირ არის ზანდუკში, კიტოხში გამოდის. ზანდუკი ხომ ესაა და აქა ყოფილა დიდი ციხე ძალიან. ეხლაც ეტყობა. ეს დიდებანი სამნი ძმანი ყოფილან. ერთ ძმას იმედი ჰქვივნებია. ეს დევნები რომ დაიწყებენ ლრიალს, ეს იმედი დაუბახებს, არ გამომიყვანოთ მანდ თორებ დაგხოცავთო. დევნები, ოურმე, გაჩუმდიან. დევნი და იმედი რომ დაჭიდებულან, უთქვია დევნსა, რომ ოდონდ გამიშვი და შენ მისხისმისს აღარ გაუვლი ახლოსაო. – ესაა გადმოცემა.

ჩვენ მოყვანილი პური მთელი წლის განმავლობაში არ გვყოფნიდა, ვყიდულობდით ცოტას მაინც ბარში, ორჯონიკიძეშიც. ყველზე ვცვლიდით.

**ნიკოლოზ გიორგის ძე აფციაური, 73 წლის, პოშპიტელი,  
5. 06. 82**

ჩემი მშობლების სოფელია ცხვედიათი. ცხვედიათი მთლიანად დუმაცხოდან გადმოსახლებულებით არის დასახლებული. დუმაცხოში მამაჩემის პაპას უცხოვრია, რომელსაც მირიანი ერქვა და წამოვიდა ცხვედიათში. ორი ძმა წამოსულან. მეორე ძმას ადამი ერქვა. მთიდან თივებს რომ

ათრევდნენ, ადამი მაშინ ზვაგს მოუკლავს. მას ადარავინ დარჩენია. პაპაჩემს გივი ერქვა. მეორე ძმას – ბერი, მესამეს – გიორგი. როცა ჩვენი წინაპრები ცხვედიათში გადმოვიდნენ, მანდ იყო მოსახლეობა – აფციაურები ათხოხიდან. მერე ჩამოვიდნენ ათხოხიდან წიკლაურებიც. ათხოხელ წიკლაურებს ზოგი თამნიაურებს ეძახის, წიკლაურად კი იწრებიან. ჩვენები (აფციაურები) რომ დასახლდნენ ცხვედიათში, ორი ოჯახი ყოფილა.

აღრე ცხვედიათში უცხოვრიათ სხვა ხალხს და ის სოფელი აყრილა და სხვაგან წასულან. ზოგი ამბობს, რომ ისინი შემოხიზნული ყოფილან ბარიდან და მემრე გადასახლებულან ბარში, კახეთში. ის ხალხი, რამდენიმე კომლი, მანგლისისაკენ გადასახლებულა, საკურთხი პქგია. ჩვენები გუდამაყრიდან რომ გადმოსულან ცხვედიათში მარტო ნაგრუები ყოფილა. ციხე-კოშია დანგრეული და კალესიაა ჩამონგრეული. ხვალაც დღეობაა იქ, კვირიობა.

მირიანი და ადამი პირველად ორ ადგილზე ცხოვრობდნენ – ცხვედიათში და დუმაცხოში. იქ წილი პქონდათ მირიანს და ადამს. საბოლოოდ განაყრები დარჩენებ იქა. სულ ადრე ჩვენი წინაპრები ჯალაბაურები იყვნენ. აფციაურთ, ჯალაბაურთ მოდგმას, გიორგიანთ ეძახიან. ჯალაბაურნი სულ პირველი დასახლებაა გუდამაყრის ხეობაში. მე მგონი შატილიდან არიან მოსულნი. გიორგიანი დუმაცხოში დარჩენენ და ჩვენ აქ მირიანი ვართ.

მამაჩემი და ბიძაჩემი იტყოდნენ ხოლმე, რომ ცხვედიათი მესამედ დასახლებულიათ. პირველი არ ახსოვდათ, მეორე შემოხიზნულები ყოფილან კახეთის აოხრების დროს და მესამე გუდამაყრელების ჩამოსახლება დუმაცხოდან და ათხოხიდან.

ჩვენები რომ დასახლდნენ, მაშინ ცხვედიათი ალბათ, გუდამაყრელების იყო, თორებ ალბათ სხვაგან წავიდოდნენ. კოშები დგას. გალავანი და ეკლესია ჩანგრეულია. ალავნის შიგნით დასახლება ყოფილა. კახეთში ცხვედიათიდან კაცი წასულა პურის საშოგნელად. აქ ხომ პურის სიმცირე იყო; ხალხი საქონლით ცხოვრობდა. ორი კაცი წასულა აქედან. უძებიათ და უნახავთ იქ, კახეთში მოხუცი კაცი. იმ წელი-წადს იმ მოხუც კაცს პურის ბევრი მოსავალი პქონია.

ღრმად მოხუცი ყოფილა ის კაცი. ვიდაცას მიუხედავლებია, მაგ კაცს ბევრი პური აქვსო. მოხუცი კაცი ჩვენებს შეკითხებია, საიდან იყვნენ და მაგათ უთქვიათ სოფელი და ოქმი, გუდამაყრიდან ვართო; ცხვედიეთში ვცხოვრობთო. იმ კაცს უთქვია, ცხვედიეთი კი არა, ცხვედიათია ისაო. მე იქიდან ვარ წამოსულიო. კახეთის სოფელში მცხოვრებ იმ კაცს ჩვენებისათვის უთქვამს: მე იმდენი პური მაქვს, რამდენიც შეგიძლიათ, წაიღეთ, ცხენები ჩამოიყანეთ, ოდონდ ერთ დავალებას მოგცემთო. მთაზე კოშკი რომ დგას, კედლის ამა და ამ კუთხეში ქვა არის ლურჯი ფერისა დატანებული, ის ქვა გამოიდეთ და აქ ჩამომიტანეთო. წამოსულან მემრე, გაუხარდათ, ქვის ჩატანა რა იყო, გამოიღეს ეს ქვა და ხურჯინში ჩადეს, ცხენს გადაკიდეს. დანარჩენი ცხენებიც წაიყვანეს ხორბლის იქიდან მოსაზიდად. იმ მასპინძელს დიდი ოჯახი ჰქონიყო. რაც შეეძლოთ ფულს, ერბოს წაუდებდნენ ჩვენები ხორბლის შესახყიდლად. მიიტანეს ცხვედიათელებმა ლურჯი ქვა და უთხრეს იმ მოხუცს: შეგისრულეთ დავალებაო, თხოვნაო. ამოიღეს ქვა ხურჯინიდან, შედიოდნენ და ვიდრე გადასცემდნენ, ხელიდან გაუვარდათ და დაინა სულ ოქროს ფული. მოხუცს უთქვამს მერე, ფასი ადარ მინდა თქვენი, რამდენიც გინდათ იმდენი პური წაიღეთ.

მოხუცს უთქვამს, ცხვედიათიდან იმიტომ წამოვედით, აქ მოსაგალი ადარ მოდიოდაო. ცხვედიათში ჩვენ კახეთიდან ვყოფილიყავით ასახლებულიო. თათრების შემოსევების დროს კახეთში ჩვენი სოფელი გადაუწვიათ და ჩვენი წინაპრები მთაში გამოქვეულანო. მერე გაუგიათ, რომ თათრები უმაშე ადარ იყვნენ და კახეთი თავის ადგილზე სახლდებოდა და ესენიც წავიდნენ.

კახეთის აოხრების შემდეგ ეს ხალხი თავის ადგილს რომ დაუბრუნდა, ჩემმა გუდამაყრელმა წინაპრებმა ცხვედიათში ნახეს მიტოვებული ადგილი, ნასახლარები და გუდამაყრიდან გადმოსახლდნენ, ჯერ ათხოხელები და მერე დუმაცხოვლები. ცხვედიათში აფციაურები კომად ვიყავით: ივანიანი, ბეჭანიანი, მახარიანი და ჩვენ – მირიანიანი. ამას ჩამომავლობას უძახია. ჩვენ ჩამომავლობით გიორგიანი ჯალაბაურები ვართ. ჩამომავლობა უფრო გრძელი ნათესაობა, მამიშვილობა უფრო მოკლე.

აქედან სალოცავად დუმაცხოში დავდივართ; ზეგარდობა ჰქვიან საერთოდ დღეობას, ზეგარდის წმინდა გიორგი.

თავდაპირველად დუმაცხოდან ცხვედიათში კაცები ჩამოდიოდნენ, იქიდან მოჰქონდათ ქვაბი (მხარზე გადაეტული ჯოხით ორ კაცს). ჩამოდიოდნენ და ცხვედიათის ყველა კომლი ხორბლით აავსებდნენ. ხატის ქვაბს ეძახდნენ, პინას ეძახდნენ. ერთი ფუთი გამოვიდოდა ამ ქვაბში, პინა კი ორი. თვითონვე ამუშავებდნენ, აუწყავდნენ და თვითონვე პატრონს მიაბარებდნენ, იმის ალაოს გააკეთებდნენ და დაფქავდნენ და იქ მიიტანდნენ გუდამაყარში და ლუდს ხდიდნენ ზეგარდობას, დუმაცხოში.

მხოლოდ აფციაურების იყო ეს ხატი. აქ ახლომახლო, გუდამაყრის სეობაში ყველა აფციაურს ჩამოუკლიდნენ. ჩემ ბალდობისას მახსოვს, რომ დღეობაში კახეთიდან იყვნენ აფციაურები, ქართლიდანაც. მოყავდათ ჭედილები, კურატები, საკლავები, რაღა!

დუმაცხოში დარჩნენ და არ წამოსულან, ასპინიანი ჰქვიათ იმათ. გიორგიანთ ნაწილი იქ დარჩა. ჩვენ, რომ დღეობაში მივდივართ, ამით სახლში უკითხავად შევდივართ.

კიდევ მამუკიანი, და ათხოხში არიან კიდევ აფციაურები, რომელებსაც ღენჯანთ ვეძახით. ღენჯანთ ნაწილიც ცხვედიათში არიან გადმოსახლებულნი.

მცირერიცხოვანი რომ ყოფილიყო ოჯახი და მდიდარი, იმათზე არ იტყოდნენ, რომ დიდი ოჯახიაო, მარტო მდიდარ ოჯახს იტყოდნენ.

შატილს დიდი მტრობა ჰქონია ქისტებთან. ერთ-ერთ ძმას ქისტებმა ძმა მოუკლეს და იმასაც მოუკლავს ვინმე და ძალიან დიდი მტრობა გასხენიათ და ჩამოსახლებულა გუდამაყრის ხეობაში და ჯალაბაურობა დაუმალიათ. როცა ჩამოსახლებულა, უთქვიათ გვარად ჯაბური და შემდეგ აფციაურზე გადასულან. ლექსია:

დილლებებში, ჯალაბაურო,

შვილდს აყევებდი რქისასა,

სცემდი და აწყვეტინებდი

აფ-ძვალსა გუროვნისასა.

(გუროვნელები ქისტები ყოფილან).

ათნოხში თამნიურები იყვნენ და ახლა წიკლაურებად იწერებიან. გვარი აქვთ გადაკეთებული.

ჯაბურები არიან ქართლისაკენ მგონი საკურთხში (საკურთში), კასპის რაიონი უნდა იყოს. აქედან წასულები, ჩვენები ყოფილან ძირათ ჯალაბაურები და მამახემი იტყოდა ხოლმე, რომ სალოცავად მოდიოდნენ აქაო ზეგარდში ეგენი.

მას შემდეგ, დიდი ჯალაბაური რომ იყო გვარში, სახელადაც ვეძახით ჯალაბაურს, ვინეს ვარქმევდით. იყო ერთი პატარა ჯალაბაური (აფციაური), მაგას თარხნობა მისცეს, ერეკლეს დროს (თუ ალექსანდრე ბატონიშვილის დროს) ჰქონია თარხნობის სიგელი მიცემული – აზნაურობა. ღუდუშაურებთან ერთად ჯარის გადმოყვანაში ეხმარეობდნენ, რუსეთის ჯარისას საქართველოში. ამ ჯალაბაურ აფციაურს ღუმაცხოში ჰქონია ციხე. ეხლა გიორგიანთ ციხეს ეძახიან. თუკი კაცი ვინმე არ დაემორჩილებოდა (ან ბეგარაზე, ან ჯარში), იმას უფლება ჰქონდა დაეგრუსადებინა. ხალხს ბატონი დაურქმევია. მამულები მეტი არ ქონია. მაშინ თანასწორად ყოფილა. ათი ძმაც რომ ყოფილიყო, იმათ იმდენი უნდა გაენაწილებინათ, რაც მამა-პაპას ქონდათ. ერთი შვილი თუ ეყოლებოდა, ცოტა შთამომავლობა, მაშინ ბევრი მამული ექნებოდა.

თემის მამასახლისად ისევ გიორგიანთ მოდგმას ირჩევდნენ.

თუ ვინმე გადასახლდებოდა, იმის ნაკვეთი ისევ იმის შთამომავლობაში რჩებოდა, სხვა კაცი მას ვერ შეეხებოდა. ამიტომ იყო მიწის უსწორობის ამბავი. ზოგს ბევრი, მეტი ჰქონდა, ზოგს ნაკლები.

სევის ღუდუშაურებს (ეხლა შიოლაშვილებს) და აფციაურებს ერთნაირი სიგელი ჰქონიყოთ.

გუდამაყარში ყველაზე მეტი წიკლაურებია, მერე აფციაურები, შემდეგ ჩოხლები და ბექაურები.

ჩოხის წმინდა გიორგი ძლიერი ყოფილა, ენააო. რომ შეეხება ჩოხელი, უსრულებს სურვილს და ამიტომ უარს ვერ ეტყოდნენ ქალის მიცემაზე. წიკლაურ-ბექაურების პირი-მზე მკლავით და აფციაურების ზეგარდის წმინდა გიორგი კიდევ მხარიაო. ჩოხელს ქალის მიცემაზე უარს ვერ ეტყოდნენ, რომ წავა და ხატს ეტყვისო, ენას აყვებოდა. მერე

დაარისხებდა და ეშინოდათ. ჩოხელი კაცი ხატს ეტყოდა, დამებმარეო და მერე უარს ვეღარ ეტყოდნენ.

ჩოხელის კაცი, ან ჩვენი გვარის თუ სთხოვდა, ლაშქრობის დროს მიშველეო, უშველიდა. მოძმე ხატებია ეგენი. მაგალითად, აფციაურები აუცილებლად უნდა წავიდნენ წიკლაურ-ბექაურების ფუძის ანგელოზში. ჩემი შშობლები ფუძის ანგელოზსაც შესთხოვდნენ ხოლმე, საკლავს წაიყვანდნენ და შესთხოვდნენ. ისევე როგორც ზეგარდობას, ისე დადიოდნენ ჩემი წინაპრები პირიმზე ფუძის ანგელოზში.

პირიმზე ფუძის ანგელოზს კიდევ სთხოვდნენ, დამე გზაზე სიარულის რომ ეშინოდათ დევებისა. ამის დამცველიც იყო პირიმზე ფუძის ანგელოზი. ზეგარდის წმინდა გიორგი უფრო ცხოვრებაში ხელის მომმართველი იყო. ხევისბერები რომ დაიღოცებოდნენ, იტყოდნენ: დალოცე საქონელი, ოჯახიო... წყალობას ნუ მოუშლი კაცსა და საქონელსაო. ჩოხი ლაშქრობის დამხმარეც იყო.

ზეგარდში მახსოვეს საქონლის ნათავარის მიტანა.

ზეგარდში საკლავი სულ იქ უნდა მოიხარშოს და იქვე განაწილდეს, ადგილზე უნდა დაიკაფოს და დანაწილდეს. ყველაზე უნდა განაწილებულიყო, ვინც სალოცავში იყო. ოჯახის სულადობის მიხედვით ანაწილებდნენ. შეიძლებოდა, ვთქვათ, მისული არ იყო. ქალებზე, ბავშვებზე, კაცებზე ყველა ნაწილდებოდა. ხელზე ჩამორიგება იცოდნენ. ორ კაცს კეტზე ქვაბი აქვს ჩამოკიდებული და ორი კაცი კიდევ არიგებს. ქალის ჩამორიგებაც ასევე იცოდნენ. ხელზე უნდა განაწილდეს ყველაფერი. დეკანოზის და დასტურის წილი იქ არის ტყავები. დეკანოზი შეიძლება ორიც ყოფილიყო. ვინც დროშას ატარებდა, უფროს დეკანოზს ეძახდნენ. ხალხი კი ხევისბერს ეძახდა.

საკლავების დაკვლა ლომისაში ისევეა, როგორც პირიმზეში.

პატარა ქადები – საწყალობნოები ჰქვია, დეკანოზისაა, აღარ იქრება.

დასტურის თანაშემწეებს მომხმარო ერქვა.

ვიდრე უფროსი დეკანოზი ცოცხალია, იმის მეტი დროშას გერავინ ატარებს. ამას ბოვრავი ჰქვია. ხევისბერზე იტ-

ყოდნენ „ბოვრაყს აბრძანებსო“. ბოვრაყს საბეროში ინახავდნენ. ინახებოდა შეწირული ვერცხლის თასები. ეს იყო განდო. ხატი უფრო ვერცხლს იხდენდა. ოქრო მე არ მინახია.

დეკანოზს დღეობაში ქუდის მაგივრად საკადრისი (ბოვრაყის ნაჭერი) პქონდა შემოკრული.

აფციაურებში აფციაური უნდა იყოს დეკანოზი. თითქმის ყველა მამიშვილობის ყოფილა დეკანოზად ჩვენს ხატში.

წლის განმავლობაში ორი (2) დასტური და ორი (2) მომხმარო უნდა ყოფილიყო. გადაყენება იცოდნენ ამალექა დღეს. დასტურები რომ გადადგებოდნენ, მომხმაროები დადგებოდნენ დასტურებად. ამ დასტურებს კიდევ ახალი მომხარები უდაგებოდნენ.

დეკანოზს ეკითხებოდნენ სოფლის ხალხი, როგორც უფროს კაცს. შეამავლადაც იცოდნენ დეკანოზის გაგზავნა. უარს ვერ ეტკოდნენ, თუ დეკანოზი მივიდოდა.

სანთელს მოაგროვებდა ხალხი და ხევისბერთან მიიგანდნენ, ხვენს სოფელში ქურდიაო და დაარისხეო. არ დაარისხებდა. ერთმა თქვა, მე წისქვილი გამიტებეს, მე ძნები მომპარესო. სანთელს რომ მოაგროვებდნენ, ხევისბერი დაილოცებოდა, შეეხვეწებოდა ყველა ხატებს, დალოცავდა სოფელს და რომ ეტყოდნენ – დაარისხეო, არაო, ისედაც დარისხებულიაო; თითონ სოფლისათვის არ არის კარგი, რომ დავარისხოო.

სამანი კი, ეგ თემის საქმე იყო. თუ თემი მოიყრიდა თაგს და აღალანდებოდა. თემის საქმეს მთელი ხალხი სწყვეტდა და არა დეკანოზი. თემის უფროსები შეგროვდებოდნენ და გადაწყვეტდნენ და სამანს ჩაუსვამდნენ. სამნის ამოღებიც ისიც ხალხი შეიძლებოდა ყოფილიყო.

სამნის გარეშეც მოიკეთდნენ. ჩემს სოფელში ასეთი რამ არ მომხდარა. გამიგონია, ხადაში სამანი ჩაუსვეს და მოიკეთესო. ტყის მცველი ყოფილიყო ეს კაცი და ძალიან შეუწებია ეს ხალხი. ხადაში ზევით ტყე არ არის. უტანიათ ხადელებს შეშა და უკან წაურთმევია და ამის გულისთვის თემი შეგროვდა ხადაში და ჩაუსვეს სამანი. და როცა უკან ამოიღეს, თოკი მოაბეს და უკელამ მოკიდა ხელი და ისე ამოიღეს. ეგ სამანი ჩასმული იყო ხატის მოედანზე,

სადაც ეკლესიაა. ამას ჩემი სიმამრი იტენდა ხოლმე. იმის გადმოცემით ვიცი მე ებ.

პირიმზე თითქოს თამარის დროს შერქმევია.

პირიმზეს აფციაურები არ ვეყმობოდით, მაგრამ სალო-ცავად ყოველთვის დავდიოდით.

ზეგარდის წმინდა გიორგი ეკლესიაც არის და ნიშიც ძველებურადაა თაღით შეკრული და კოშკის ნანგრევებია, ეგ არის. ზეგარდაში სალოცავი ჯერ ნიშივით რამე ყოფილა და მერე მთიულ ქარჩაიძეს დაპათხევიდან აუშენებია ზეგა-რდის წმინდა გიორგის ეკლესია.

აფციაურებს თუ შეთქმული აქვთ და შეხვეწილი არი-ან, მაშინ წავლენ პირიმზე ფუძის ანგელოზში, ისე – არა.

ჯიმშერ ერისთავი მლეთაში ხუცა ბურდულმა და თა-ვისმა ძმებმა მოკლეს. მიეხმარა სამუკა ნაზღაიძე. სამუკას ძმას ლევანი ერქვა. ხუცა ბურდული ერისთავის მკვლელო-ბაში პირველია. მგზავრობის დროს ჩასაფრებიან:

ხუცაი ფიცავს ძმისასა,

იმ თავის სალოცავისა.

ორივეს დედას ვატირებ,

ჩემსა და ჯიმშერისასა.

ამ დროს ხუცაც იღუპება. გაგაძე დაღუპულა კიდევ და-ერთი ნაზღაიძე. მაგ ლექს მდეროდნენ ხოლმე, როცა ლო-მისას მთაზე მიდიან.

ეშმაკებთან და დევებთან მებრძოლი გუდამაყარში უფ-რო პირიმზე ფუძის ანგელოზია, გააქრობდა. შეეხებიწებოდ-ნენ: შენი ცეცხლიანი მათრახი დაარტყიო.

ცხვედიათში არის სალოცავი მაღაწალ წმინდა გიორ-გი. მაღაწალი მთის სახელია. დანარჩენი პატარ-პატარა სა-ლოცავებია. კვირაცხოვლობა (ხვალაა დღეობა) – აქ ისევ მაღაწლის დროშა მიაქვთ. კიდევ სოფლის ახლოს ტყეში არის მთავარანგელოზ ადგილის დედაო. – ეკლესიაა, თა-ლიც არის. ნახევარი ჩამონგრეულია. იქვე ნიშია ქვის ჯვა-რით. კიდევ არის წმინდა დავითი – დავით გარეჯის სახე-ლობის ნიში. მარიანობა დღეს რომაა, წმინდა დავითში ხდე-ბა. ნიშია კიდევ ერთ ქედზე და ყველაწმინდას ეძახიან.

ცხვედიათის ამ ხატებს ერთი დეკანოზი უძღვებოდა. დეკანოზთან ახლოს იყო, ვისაც ხატი ხელს დებდა და მერე ის დგებოდა დეკანოზად.

ცხვედიათელებს ბავშვი ჯერ გუდამაყარში, ზეგარდში უნდა გაგვერია, პატარძალიც. მერე სოფლის ხატებში გარევდნენ.

მაღაწალში ფშავიდანაც მოდიან. იმათი ნიში ცალკეა. სამი მხარე აქვს მაღაწალს, ცხვედიათი, გუდამაყრის მხარეზე სოფელი დიხხი (წიკლაურები) და ფშავლები. ერთ-ნაირად ლოცულობენ. ბინები ცალ-ცალკე აქვთ.

პირიმზის მინდოოზე ადრე მოსახლეობა არ იყო. გვიან, კოლექტივობის დროს ჩამოვიდნენ, ჯერ კოლმეურნეობის კანტორა აუშენებიათ.

სათემო ხატი გამიგია, საბურთველოს წმინდა გიორგი. დალოცვაში ასე იცოდნენ: საბურთველოს წმინდა გიორგის გაუმარჯოს სათემოსა... ეს სალოცავი გამსსა და დიდებათ შორის არის. დეკანოზი აქ წიკლაურ-ბექაური უნდა ყოფილიყო. მანდ ნიში იყო.

ყველაზე ძლიერი ხატი გუდამაყარში პირიმზე ფუძის ანგელოზი იყო.

დანარჩენ ხატის რომელიმე დღეობაში მლოცავი რომ მივიდოდა, ჯერ საბურთველოში გაივილდნენ, ქუდებს მოიხდიდნენ, გახერდებოდნენ, სანთელს აანთებდნენ, შეეხვეწ-ბოდნენ და წავიდოდნენ თავიანთ სალოცავში.

ჩემ დროს ამანათი არ ყოფილა. ამანათს ეტყოდნენ შეხიზნებულივით რომ იყო, ობოლი, უპატრონოსავით დარჩენილი, რომელიც სოფელს უნდა ადეზარდა, ეპატრონა თქმს.

გიგაურები რომ არიან ჭართალში, ბუჩანოკარში, მუგუდაში ყველანი ფშავიდან არიან, იმიტომ რომ ჩემი დედიმები სალოცავად ფშავში, ლაშარის ჯვარში დადიოდნენ. მანდ კიდევ ხარებაშვილი, ციხელაშვილი, კოტორაშვილი სუჟველა გიგაურებიდან არიან გამოსული. წინათ ფშავში მათი სიარული სავალდებულო იყო. შემდეგ კი გვიან-გვიან დადიოდნენ. მანდედან გასაღასავი კაცები ფშავში ლაშარში მიყავდათ. ლაშრობა იციან ბუჩანკარში, იმიტომ რომ ვეღარ მიდიან იქან.

ცხვედიათში გუდამაყრიდან როცა მოვიდნენ, მთავარანგელოზის ქალესია დახვდათ და ყველაზე ძველი ეგ უნდა იყოს. თაღიანი ქალესიაა.

**მარტია სვიმონის ბე წიკლაური, 80 წლის, სოფ. ათნოხი,  
6. 06. 1982**

ათნოხში ცხოვრობენ წიკლაურები და აფციაურები. ორივე გვარი საშუალოდ არიან. გადმოცემით, აფციაურები უფრო ძველი მოსახლენი არიან. აფციაურები ათნოხშიც არიან და დუმაცხოშიც. ჩვენი გვარი სევსურეთიდანაა მოსული. სევსურეთში ჩვენი სალოცავია უკანახოს, ფუძის ანგლოზი. ჩვენ წინაპრებს სევსურეთში უკანახოს, სოფ. ფანდურანში უცხოვრიათ. ეხლა აღარ არის ეს სოფელი.

აქაური ხალხი იმ სევსურებს იმ დღეობაში არ იცნობდნენ. შურისძიება იყო რამე ჩამომრჩალი და იმის მერე არც სევსურებს უშვებდნენ და არც მიდიოდნენ. პირიმზე ფუძის ანგლოზი ჩვენი და ბექაურების იყო. ახორბას მივდიოდით. დროშა აქედან გააბრძანიან, პირიმზიდან. დეკანოზობა წიკლაურ-ბექაურებს მოუდიოდათ. განსხვავება არ იყო უფროს დეკანოზში ბექაურსა და წიკლაურებს შორის. მასხოვს გიორგი წიკლაური იყო უფროსი დეკანოზი, დოხოველი. დეკანოზი ორი კი არა, რვანიც იყვნენ. 2 კი მთავარი იქნებოდა. უსიკვდილოდ უნდა ყოფილიყო წიკლაური და ბექაური. უმითოდ არ შეიძლება ეს დღეობა. პირიმზეში არც აფციაური, არც ჩხელი არ შეიძლებოდა დეკანოზად. სევისბერები იყვნენ სულ უფროსები. უფროს დეკანოზს სევისბერს ეძახდნენ.

წიკლაურის გვარი უფრო დიდია, ვიდრე ბექაურის.

ათნოხში გვაქვს ადგილი დედა – ნიშია ფუძის ანგლოზის.

ყოფილან მმანი და გამოსახლებულან აქა და რაღაც ძაღლი გაუკვეთიათ, რომ ერთმანეთში ქალი რგებიყოთ. წიკაი იყო უფროსი, ბექაი – უმცროსი. ბექაი მარხეი (ავი) კაცი იყო, წიკვაი – არა. სევსურეთიდან შურისძევაზე წამოსულან; მკვლელობის გამო გადმოსახლებულან. წიკვას მოუკვლია. პირველად ათნოხში დასახლებულან. აფციაური იყო უკვე აქა და იმან მიიმეზობლა. უფრო ამანათები იყვნენ.

ამანათად მიიღო აქა. ისა ყოფილა მარტოდ-მარტუაი და მეზობლად გაიხადა. დუმაცხოში კი ბევრი აფციაურები ყოფილან. დიდი ოჯახი პქონია მრავალ შვილიან იმ აფციაურს. ოთხი ძმანი ყოფილან ის აფციაურები, როცა წიკვათ და ბექვათ იმეზობლა. ოთხ ძმას ერთად უცხოვრია და უფროსი ძმა ყოფილა იმათი გზის მიმცემი. იმ აფციაურმა გადასცა, რასაც არა ხმარობლა თითონ (წყალთანა, ქოხთანა, ნაფუძარა, მამულები, სახნაურების სახელები, რომლებიც მისცა, კიდევ ჩირდილაი და მზორე). ამ მამულებიდან გაუნაწილა, სულ კი არ მისცა. სათიბები: საპირიტე, მზორე, მაღალი მთა, თეფართო, საამაღლებოს ქედი. ამ სათიბებშიც წილი ჩაუდეს. ტყის სახელები: წელთვზა, შარაგზა და ორმო.

აქ აფციაურებს თავისი სალოცავი პქონდათ – „კარის ანგელოზი“ – ნიშია და ზარია. თავის დეკანოზი ყავდა, ადგილობრივი დეკანოზი, დეკანოზი იცოდნენ: მარიანობა, პეტრე-ავლობა და დავითობა. სულ სამი დღეობა იყო. თავისი მამული კარის ანგელოზს არ პქონია. აქედან ვინც იყო გარეული, ის აფციაურები ლოცულობდნენ ამ ხატს. კარის ანგელოზი თავად დასდებდა ხელს დეკანოზად. თავისით კი ვერ დადგებოდა, დამიზეზავდას ეძახიან.

ჩვენ თამნიაურები ვართ სინამდვილეში, ახლა გვეძანიან წიკლაურებს, თამნიაურებსაც გვეძახიან.

აფციაურები იყოფიან: ლენჯანი, ნადირანი და ელიბიანი. დუმაცხოში სხვა არის. ამას პქვია მამიშვილობა, მექომურობა. დეკანოზად მეტწილად ლენჯანი იყვნენ.

დეკანოზი სიტყვიანი, მეტყველი, მოქმედი უნდა ყოფილიყო. ხალხი უსახელო კაცს თავად არ გაუშვებდა დეკანოზად.

დეკანოზი ხალხის წამებით და ხატის წამებით უნდა ყოფილიყო; აუცილებლად ავადმყოფობდა – უფრო გულის და თავის ტკივილით.

დუმაცხოელ აფციაურებს ხალხი ყავდათ დაყმევებული – გიორგიანთ ეძახიან მაგათ. ამუშავებდნენ და მიწებს ართმევდნენ. გამსიში წაურთმევიათ. აქ ისე არა. 6 დღის სახნავი წაართვეს. ამუშავებდა სხვებს და თავადა დებულობდა დალას.

ხალხის პუდვით დადიოდნენ. მამულები ოჯახებზე იყო განაწილებული. მიწები მეტ-ნაკლებად ჰქონდათ ოჯახებს. ჩვენი ოჯახი რომ გაიყარა, ოთხა ძმაზე გაიყო, აფციაურებს, ჩვენს მეზობლებს კი უფრო ნაკლები ჰქონდათ, რადგან მეტი ძმები იყვნენ.

ჩემ პაპას პატაშურა (პაატა) ერქვა.

ხატის მამული ჰქონდა სოფელს. ხალხს ახმარებდნენ ისევ. მთელი სოფელი ერთდროულად დაამუშავებდა. ისეც იყო, რომ მორიგეობით სოფლის (ხატის) დასტური ამუშავებდა. ადგილის დედის სახელზე იყო ხატის მამულები. დღენახევრის-ორი დღის სახნავი იყო. ნაღალურიდან არაუი უნდა გამოეხადათ და ერთი ჭედილაი. ჭედელასთნ ქადაპური იქნებოდა. 5 თუნგი არაუი მაინც იქნებოდა. ხავიწის ქადა იქნებოდა და იმასთან ხმიადი, ძველებურად გამომცხვარი. ხავიწის ქადას ერთს გამოაცხობდნენ მხოლოდ დიდს. ნახევარი ლიტრი (=2კგ.) ერთოს ახმარდნენ. ხმიადიც ერთი იყო.

ხატის ხევისბერი ეგ სხვა არის, თემისა – სხვა. თემის უფროსს ხევისბერი ერქვა.

აფციაურებს (ჯალაბაურებს) ხალხმა როგორც ბატონიანებს, სამრისსხველო სამანი ჩაუსვეს პირიმზე ფუძის ანგელოზში. პირიმზე ფუძის ანგელოზში იმიტომ ჩაუსვეს, რომ ეგ იყო ყველაზე დიდი და მძლავრი სალოცავი. ეგ იყო ძლიერი კაცის დაცვით და შანახვით. ყველაზე მეტი ყმა ყავდა პირიმზე ფუძის ანგელოზს. ბექაურ-წიკლაურები ამ ხატის ყმები არიან. აფციაურების სალოცავი არის ზეგარდის წმინდა გიორგი.

ლომისაში თუ ვინმე ყმად იყო შაწირული, ის მუდამ წელს დადიოდა. კოპალეს ნიში გუდამაყარში არის კიტობ-ში. პირიმზეში წვრილი ზარი იყო აუარებელი, შაწირული ზარები იყო, კურებებს რომ კიდიან.

თამნიაურები აქედან წასულები არიან ცხვედიათსა და მანგლისში. თამნიაურები აღრე გვარი იყო და მერე წიკლაურობაზე გადასულან. თამნიაური ხევსური იყო. იქ მაუკლავს ხევსური, შახიზნებიან ამ აფციაურს და უთქვამს, რომ წიკლაური ვარო. თამნიაურია ნამდვილად. იმ თამნიაურს შალვა ურქვა. შალვას მოუკლეს ძმა მამისიმედი. მოუკლეს იმას ძმა, ადგა და შური იძია და გადაიკეთა გვარი

წიკლაურად. აქ პირველად წიკლაურებს არ უცხოვრიათ. შალვამ ადგა და 18 მოკლა. იმან ჭინჭარაულები დახოცა (18) ქმოსტელები. შალვა ამანათი იყო, აქ რომ მოვიდა. კოტოხში იდგნენ ხადენი (ბექაურები) და იმათ შეეკედლა პირველად და დაეწერა წიკლაურად. იმიტომ დაეწერა წიკლაურად, რომ წიკლაურები ბევრი ხალხი იყვნენ.

ღუმაცხოში წიკლაურები არიან ეხლა და ხარხელაურები იყვნენ. ფშავიდან ყოფილან გადმოსახლებულან ბუბუნაურები და გვარი წიკლაურად გადაჟეოთებიათ.

შალვა თამნიაური, რომელიც გუდამაყარში ხევსურეთიდან გადმოსახლებულა, ხოფელ თამნიაურიდან ყოფილა. ხევსურეთამდე თამნიაური პირიმზე ფუძის ანგელოზის ყმა იყო. შალვა თამნიაურის შეწირული ზარი ხევსურეთში ფუძის ანგელოზში ისევ არის.

ბავშვი და რძალი პირიმზეში უნდა გაგვეყვანა.

შალვა თამნიაურის ერთ შეილზე მოვდიგართ ისივ. აქ მეეკლათ ხევსურებს მერე შალვა. ხიზაში ჩოხლები იყვნენ. ღვევში მანგლისის მხარეზე არიან ჩვენი თამნიაურები გადასახლებული. მანგლისიდან მოდიოდნენ აქა, მარტია ყოფილა და ვანუას ეძახდნენ, იმის შვილსა. იქაც წიკლაურობაზე იწერებიან.

პირიმზის მინდორზე კაციშვილი ფეხს ვერ დადგამდა. ადრე კაცი ცხენით რომ მოდენილიყო, უნდა ჩამომხდარიყო.

ფუძის ანგელოზი თავის ძალას ხმარობდა ყმისათვის და უშმო ყმისათვის. უშმო ყმანი იყვნენ აფციაურები, ჩოხლები და დანარჩენნი.

ჩოხლების ადგილზე არ არის პირიმზე. მაგ სალოცავის იყო ეგ ადგილი. დაინებოვრეს მაგათ ეგ ადგილი. ეგ ადგილი წიკლაურ-ბექაურებს ეკუთვნოდათ. რომელი გვარიც გინდა ყოფილიყო, ყველა უნდა ჩამოქვეთვებულიყო.

ათნოხში გვაქვს კიდევ გიორგობა. ჩვენი თამნიაურები ამ გიორგობას მანგლისიდანაც მოდიან.

ბოსლელი მთხოვობლის სიტყვები: „ბოსელში წიკლაურები იყვნენ. სწორი-სწორზე ვიყავით ბუბუნაურები და მარტიანი“.

## გიორგი ალექსის ძე აფციაური, ფასანაური (დუმაცხოველი) 7. 06. 82

დუმაცხოში წიკლაურები და აფციაურები ცხოვრობენ. აფციაურები 15-20 წლის წინ 17-18 კომლი იყო. წიკლაურები დუმაცხოდან გადასახლებული არიან ბოსელში. ბოსელში რომ წიკლაურები არიან, ეგენი ადრე ბუბუნაურები ყოფილან. პირველად დუმაცხოში აფციაურები დასახლებულან. აფციაურების წინაპარი ხევსურეთიდან არის გადმოსახლებული, შატილიდან. აფციაურებს და ჩოხელებს ერთმანეთი უმშიათ.

ჩვენ გაგვაძულაკეს. წაგვართვეს ყველაფერი: ცხვარი, ძროხა, ცხენი. რაღა შაგინინახვდა ამოდენა ხიზანს, ავდექით და გავიყარენით. მაშინ მუშახელი იყო საჭირო, როცა ბევრი ცხვარი გვევავდა და ერთად ვიყავით.

აფციაურები დუმაცხოდან გადასახლებულები არიან ლუთხუბში, წინამსარში (ისიც გუდამაყრის სოფლებია), ცხვედიათში, ჯულისში (ჭართალშია), ქართლში, თეთრ წყაროზე. სუ დუმაცხოდან წასულები არიან.

აფციაურის გვარისა ბარში რომ გადასახლებულა, იქიდან გადასახლებულ შვილს მთაში დარჩენილი მამისათვის შემოუთვლია:

- მამა, გიბარებს შვილებიო,
- ჩამოდი, ახმეტაშიაო.
- მე ახმეტაი რად მინდა,
- მთაშიაც მოდის სვილებიო – შეუთვლია მამას.

დუმაცხოს საღოცავებია:

1) დუმაცხოს წმინდა გიორგი. სოფლიდან ყველა მიდის. სოფლის უკანაა. შეიცავს: დარბაზს, საქობოს (ერთი ქვაბია შიგ), საზარეს, საქარეს (მინდორია); 2) ზეგარდის წმინდა გიორგი. ახლოს არის დუმაცხოს წმინდა გიორგისთან. ზეგარდის წმინდა გიორგი ჯერ ნიშივით რამე ყოფილა და შემდეგ ეკლესია აუშენებია მთიულ ქარჩაიძეს; 3) საღმო მაღალი მაღლაა სერზე, ნიშია. ნიშზე ჯვარია; 4) წვერის ანგელოზი. ნიშია ჯვარით. ათხოხელებისაც არის და დუმაცხოელებისაც. აფციაურებისაა, მაგრამ წიკლაურებიც

მოდიან. ათხოებში არის ადგილის დედა, კლესიასავითაა ნაგები. აქ მოდის ადდგომა, პეტრე-პავლობა, დავითობა და მარიანობა.

წმინდა დავითი ადგილის დედასთან არის. პატარა ეგლესიაა. ამ ხატებში მარტო ათხოების აფციაურები და წიგლაურები მოდიან. წმინდა დავითი უფრო წიკლაურებს ეპუთვნის. აქ დეკანოზი წიკლაური იყო.

### ბურსაჭილი (გუდამაყარი), 7. 06. 82

ბუბუნაურები ბოსელში ცხოვრობენ და ბურსაჭილს ადგილები გვერნდა. მე აქა ვარ დაბადებული (ბურსაჭილში). ბუბუნაურები ბოსლიდან სადმე წასულები არიან ხორხში. ისინი ბუბუნეურობაზე იწერებიან და ჩვენ წიკლაურობაზე ვიწერებით.

ჩოხის წმინდა გიორგიზე იტყვიან: „ცით სვეტად მოსულიო, ცირასებ დაბრძანებულიო და ცირასებიდან აბრძანებულიო, ჩოხს დაბრძანებულიო“ (ცირასები – არის ადგილის სახელი შავი გუდამაყრის არაგვის ხეობაში, მანამ ბურსაჭილს მივალთ.

ბურსაჭილს გაღმა, შავი არაგვის მარცხენა მხარეს დიდი ნასოფლარია, რომელსაც ვანისკარს ეძახიან. ვანისკარსა და მის მიდამოებში ადრე ჩოხელებს უცხოვრიათ: „ჩოხური ადგილები იყო აქ“.

ბურსაჭილის გაღმა, შავი არაგვის მარცხენა მხარეზე, შემაღლებულ ადგილზე არის ნასახლარი, რომელსაც ბატკინიანთ ნასახლარს ეძახიან. მაგის დაბლა არის პაპივლიანთ ნასახლარი. ორივენი (პაპივლიანი და ბატკინიანი) გვარად ჩოხელები არიან. ბატკინიანთი ჩოხში აღარავინაა. ერთი თბილისშია და მეორე – ფასანაურში. პაპივლიანთი 2 კომია ჩოხში; ერთი კომი კიდევ ჟინვალშია, თუ სხვაგან სადღასაც არიან. გაღმა სულ ჩოხური ნასახლარებია. მაგალითად, ომარათ ნასახლარია. გაღმა, ზევით, წიკლაური მარტო ერთი კომი იყო.

ბურსაჭილში იყვნენ: დათვენი, ბუდღუნიანი, ვაზდეგიანი და მეოთხე – ბატკინიანი. I. დათვენი – ორი ახალგაზრდა ბიჭიდაა, ფასანაურში ცხოვრობენ. 4-5 კომი ვიყავით და ჯარში დაცვივდნენ. ესენი აქედან პიდაპირ ფასანაურში

გადასახლდნენ. II. ბადდუნიანი ზოგი ასპინძაშია; ერთი კომი წითლიანთკარშია. III. ვაზდევგიანი ფასანაურში არიან, პოსპიტალში. IV. ბაწაწუნიანი, ერთი კომი ფასანაურში და ერთიც ასპინძაში.

ბურსაჭილის თავზეა, სერზეა მაღლა, საღვთო მაღალი – დუმაცხლები აქ მოდიან. ჩვენ ერთად ვლოცულობთ იმას. აქვე არის აღგილის დედა. დათვენი და ვაზდევგიანი ძირად ხარხელაურები არიან. ახლა წიკლაურობაზე იწერებიან. ზევით რომ წავიდეთ აქედან, ცხოვრობენ წიკლაურები, ბუბუნაურები არიან კომად.

ბურსაჭირში ხევი ჩამოდის, რექიას ეძახიან. გაღმა, ჩოხელების ნასახლარში ამ ხევს ვანისკარის ხევს ვეძახით.

ლუთხუბში რომ წიკლაურები არიან, ეგენი აქაური წიკლაურების განაყრები, ერთები არ არიან. ლუთხუბელი წიკლაურები ძირად ფშავლები არიან. მაგათი აღრინდელი გგარი წითელაური ყოფილა. ლუთხუბელი აფციაურები დუმაცხლები მოდიან ზეგარდობას. ლუთხუბში რომ ფშარაობაა, ჩოხში იმ დღეს მარიანობას ეძახიან.

ჩემი მამა-ბიძა ყოფილან დუმაცხოს; რომ გაუკულაკებიათ, მერე ბურსაჭირში გადმოსულან, რადგან იქ დუმაცხლები სახლი და ქონება წაგვაროვეს. ჩვენ წიკლაურებს ეს აღგილები სამთოთ ქონდათ. ზამთარში დუმაცხოში იქნებოდნენ, ზაფხულში აქ წამოასხამდნენ ცხვარსა და ძროხასა. სახნაურებიც გვქონდა (ჭალიანი, ჩირდილი, წამოთელული). სალაფოსაც ხნავდნენ, საძელის თავსაც ხნავდნენ. შორია ესენი, არ არის ახლომახლო.

მთავარანგელოზი ადგილია, ჩემი მამა-ბიძის ადგილი, სახნავია, ვთიბთ კიდევაც. ნიშია მაგ მიწის ბოლოზე – მთვარანგელოზის ნიში.

დამლევაის ხევს ეძახიან. წიკლაურები ყოფილან. ზვავს წაულეკია 9 მმა და დედა გადარჩენილა. პური წაულია დასა და ისიც ზოვმა წამაილო, დამლევაის ხევი მერე დაუძახეს. ეგ ადგილები ხარხელაურ-წიკლაურებისა იყო. ხალხელაური კარგი გვარია და არ იწერენ ამ გვარზე.

ხარხელაურები: ბაწაწუნიანი, დათვენი და ვადევგიანი. დუმაცხლები სახლ-კარი გვქონდა და აქ სამთოდ მოდიოდნენ. მუდმივად ბურსაჭირში არ იყვნენ. ამ სამ მამიშვილობას

შორის ქორწინება არ შეიძლება. ეხლა წიკლაურთ გვარი გატეხილია, გადალახულია. აფციაურების გვარი არ გატეხილა. სიმრავლემ გატეხა წიკლაურები.

ხარხელაურები არც თამნიაურ-წიკლაურებზე გავათხოვებთ, სხვა წიკლაურებზე კი. ხარხელაურ-წიკლაურები და თამნიაურ-წიკლაურებიც ბაგშვს და პატარძალს პირიმზეში გარევენ. ყველა წიკლაური და ბექაური გარევს პირიმზეში.

### **მიხა მათეს ძე წიკლაური, 77 წლის, პოსპიტელი, 11. 06. 82**

პოსპიტელში გადმოსახლებულა გუდამაყრიდან, სოფელ ბურსაჭილიდან. ჩემს სოვნას ბურსაჭილში 15 (ოცუთმეტი) კომლი ვიყავით: წიკლაური – 13 ოჯახი, აფციაური – 1 ოჯახი და ჩოხელი – 1 ოჯახი. მაშინ 20 წლის ვიქნებოდი. ძეელად დუმაცხოს ყოფილან ჩვენები და მერე გადასახლებულან ბურსაჭილში. თითქმის ერთი მამა იყო წასული. ორი მმანი ყოფილან. ერთი ივანე და მეორე გიორგი. ივანე ვანისკარში დასახლებულა და გიორგი აქეთ. სამი ლოდი იყო ასე დაწყობილი. სამდოთს ლოცულობდნენ, იქა. გიორგი სადღაც ცხოვრობდა, ნაყორთას ეძახდნენ. ლეკებს ბეგარა დაუდვიათ გუდამაყრისათვის და წასულან გიორგი და ივანე.

ჩვენა გორი ხარხელაურად გვეწერა. შირაქში ისევ არიან, ჩვენები გორი არ დაუკარგიათ – ხარხელაურად იწრებიან. ბუბუნაურებმაც წიკლაურად გადაიკეთეს გვარი.

ბურსაჭილში ჩოხელები, აფციაურები და წიკლაურები (იგივე ხარხელაურები) თავიანთ მამულებზე იყვნენ დასახლებული. მამულები ეკუთვნოდათ მაგათ ადრევე.

ბურსაჭილში წმინდა გიორგის ნიშია, წიკლაურების სალოცავია. ჩვენი გვარისას (ძია გიორგის ძეს) აუშენებია. დააარსა იმ კაცმა და ხალხმა დაიწყო ლოცვა. მამაჩემის დროს არის ეგ ნიში გაპეოებული და ვლოცულობდით ადდგომას.

ვაზდევიანთ ეძახიან. ეძახიან კიდევ ბარდღუნთან მისას (მთხოვობელზეა ლაპარაკი). იყვნენ ბურსაჭილში კიდევ ბაწაწუნიანი. შივიანთ ეძახდნენ კიდევ და დათვენი იყვნენ.

ბუბუნაურები იყვნენ ბურსაჭილში. მაშინ ბუბუნაურად წერებულან, ეხლა წიკლაურებია. ძირად წიკლაურები არ ყოფილან. ეგენი ფშავიდან ყოფილან, ფშავიდან ჩამოსულან. დუმაცხოსაც დასახლებულან ბუბუნაურები და ბოსელსაც. მემრე ბოსლიდან გამოყიდნენ ბურსაჭილში.

დუმაცხოს პაპო მჭედელო,  
ნეტაო, დედაშენსაო;  
დუმაცხოს ჩასდგი ქვიტკირი,  
შუას ჩაზარავ მტერსაო.

ეს პაპი მჭედელი აფციაური ყოფილა.  
ჩოხის გიორგი ცირასებს ყოფილა დაბრძანებული და  
მერე იქ (ჩოხში) გადაუტანია ხატი.  
თავანკარი ხალხი = გაგებული, მცოდენ კაცი.  
დუმაცხოსთან ადგილი ოზანი საოქმო ყოფილა. მთელი გუდამაყრის იყო. სახარავნე ადგილი იყო მთელი გუდამაყრისა.

ხოსრო ბუბუნაური ბუბუნებს, როგორც ჭარიო.

ჯიხვების გადანავალო  
შიბო და შიბო კლდისაო.  
სამზღვარო, სისხლით საგსე ხარ  
ჩვენი და ქისტებისაო.  
ოზანოს მიდგა ხარიო,  
დაეცა ქისტის ჯარიო.  
ხოსრია ბუბუნაური

ბუბუნებს, როგორც ჭარიო.  
ხოსრო შაქრეს და მიაგდეს,  
მანდ უბუბუნე ბევრიო.  
ხოსრომ დაგლიჯა ჭაპანიო,  
როგორც კვიწის ბაწარიო.  
დუმაცხოს გამოუძახა,  
ათხოხს შაიქნა ჩქამიო.  
მამეშველენიო ჩქარაო,  
წაიღეს ხარავანიო!  
ათხოხით გამეემართნენ.  
სულ შიგ ნარჩევი ყმანიო.  
[ქისტების ნათქვამი]:  
დაგვლიეს გუდამაყრელთა,  
აგვაგეს ხმლისა ფხაზედაო,

ჩვენი გუდა-ნაბადი  
გაკიდეს ხარის რქაზედაო.

ხარხელაურ-წიკლაურებს და ჩობალაურ-წიკლაურებს ერთმანეთში ქალი არ გვერგებოდა. ერწოში რომ ხარხელაურები არიან, ეგენი აქედან არიან წასულები.

ამბობენ, რომ ლაშარის ჯვარში ვინც მუხა მოსჭრა აფციაური ჯალაბაურიანთი ყოფილა.

გუდამაყარში სათემო სალოცავი იყო დიდებათ და გამსს შორის საბურთველოს წმინდა გიორგი: „საბურთველოს სათემო სალოცავს გაუმარჯოს სათემო სალოცავსაო“ – ასე ილოდებიან. პატრა ეკლესია აქვს იმას, მგონი ადარც არის იქა. სათემო სალოცავი დაარქეს, რაკი შეა თემში იყო გაკეთებული. ჩიტა ბექაური მახსოვს მაგის დეკანოზი.

აქედან რომ წავსულიყავთ ჩვენ გავივლიდით, გამოვივლიდით. პირჯვარს ვიწერდით. იმ ხატს ისე ყველა ლოცულობდა, იქ კურეტები არ მოდის, როგორც პირიმზეში. მგონია მარიანობას როდისდაც იციან ეგა.

უყმო ყმა = სხვა გვარისა წიკლაურ-ბექაურის გარდა, ვინც ყმად შეეწირება პირიმზეს.

სახლისშვილს ხევსურეთში მოჯამაგირეს ეძახიან.

სეკაცი = არც რა არაფერი რომ იცის, ისეთი კაცი.

სულ ერთი იყო, პირიმზეში გავრცელდით ბავშვს, თუ ფუძის ანგელოზში (ხევსურეთში).

ქალი თუ გათხოვდა და წავიდა სხვა სოფელში, აღარ არის თავისი მამის ხატის ყმა. ის ქმრის ხატის ყმა ხდება. თუ სოფლიდან არ წავიდა, ზესიძედ მოიყვანა ქმარი, მაშინ ეს ქალი ისევ თავისი მამის ხატის ყმად რჩება. ქმარი ისევ თავისი სალოცავის ყმად რჩება.

ბუბუნაურები ზეგარდში დასტურებად დგებიან, აფციაურებთან ერთად. ზეგარდში ბუბუნაურის გვარის დეკანოზი არ გამიგია. ხარხელაურები ზეგარდში არ დასტურობდნენ. პირიმზეში ვდასტურობდით ჩვენ.

მისა ძიასთან სუფრაზე რომ ვისხედით, მეზობელმა დაუძახა: „მათევ, ცხვრებს მიხედეთო“. აქ ასეთი წესი ყოფილა, რომ ვაჟის სახელს იძახის მეზობელი, მიუხედავად იმისა, რომ ის ახლა თბილისში ცხოვრობს (მათე, იგივე მამუკა წიკლაური, პოეტი).

**ივანე გაზდეგას ძე წიკლაური, 73 წლის, სოფელი  
ლუთხუბი, 18. 05. 1983**

ლუთხუბში წიკლაურების მამიშვილობა თანგულანი ძირად ფშავლები არიან – წითელაურები ყოფილან. კაცი შამაკვდომიათ და იქიდან ჩამოუყვანია ხიზანი შამადგომას, დაზამთრების დროს, სასანოს ქედს ვეძახით, ლუთხუბის თავზე. აქაურებს ცეცხლი დაუნახავთ იქ და რომ მისულან, უთქვიათ, მანდ რატომ ხარ, სოფელში ჩამოდიო. ჩამოსულა ხიზნით და ამანათად მიუღიათ და წიკლაურად დაეწერნენ. მეორე მამიშვილობაა ჯიჯანი, მესამე – თორელანი, მეოთხე – ბოლონაანი. მები ყოფილან და სახელზე მოდიან. არიან აქ კიდევ ლაგაზიანი და წიკლაურები არიან კიტოხიდან გადმოსული.

თლოშიაურები არ გამიგია. თავიდანვე წიკლაურები ვიყავით. ზურაბ ერისთავმა გადმოგვასახლა ახოდან წიკლაურები აქა.

ლუთხუბში აფციაურები ერთი ხელი არიან გადმოსახლებული დუმბაცხოდან და ერთები ცხვედიათიდან. მღვდელი ყოფილი. ანთაურები კაწალხევს ეძახიან, ფშავს იქიდან არიან მოსულები. ისე ბლოდან არიან წამოსულები.

**გოგა ბასილას ძე წიკლაური, 78 წლის, სოფელი  
ლუთხუბი, 18. 05. 1983**

ჩვენ ხევსურეთიდან ვართ გადმოსულები ლუთხუბში, ახოდან. ზურაბ ერისთავი რო ყოფილა, ამას მთის ხალხი ულაშქრავ, უჩაგრავ და იმის დროს ახოდან გადმოსახლებულან გუდამაყარში. ჯერ კიტოხის გაღმა რომ სოფელია, ზანდუქს ეტყვიან, იქ დასახლებულან. ზანდუქიდან მაქართაში ჩამოვსულვართ. ზანდუქუდან რომ წამოსულან, მაშინ მაქართაში მჟავე წყლებია, ნადირი მოდიოდა, მანდ თურმე და რაღა აქა ვზიდოთ ნადირი ზანდუქშიო, ბარემ გადმოვსახლდეთო და გადმოსულან მაქართაში. დღესაც არიან იქ ჩვენი სახლიკაცები. მერე ამდგარა ერთი ძმა და, აქ ხალხს არ უცხოვრია იმ დროს, უთქვამს, მოდი, ამ ხეობაზე წავიდეთ, ვნახოთ, რა ადგილიაო. ნახეს და მეეწონათ. ჩავიდნენ

და უფროსები შეეკითხნებ, როგორ მოგეწონათ ის ადგილიო. მდიდარი ადგილიაო, ლუხუმი ადგილიაო, ე. ი. მდიდარი ადგილიაო და ლუთხუმი იმაზე პქვია. ორი ძმა გადმოსახლდა. ერთს ერქვა თორელა, მეორეს – ბოლონა. აქ რაც წიკლაურებია იმის ჩამომავლობა ვართ. ერთი სხვა არის. ეგენი წითელაურები არიან. იმას უკანაფშავში მკვლელობა მოხდებია და წამოსულა და აქ, სახარავოს ქედს ვეძახით, იქ დასახლებულა. წითელაურია და წიკლაურბაზეა ეხლა გადასული. აქედან რო გახედვს, ცეცხლი დაუნორ და ბოლი ამოდის, წავიდნენ და კითხეს, ადგილი ჩვენიაო და აქ რატომ ხარო. აუხსნა მდგომარეობა და უთხრა, ამანათი ვიქნები, შემინახეთო. მერე წამაიყვანეს ის კაცი, ოჯახით იყო. საორბეს ვეძახით, იქ მისცეს სათიბი. მთა და სახნავი მამულიც. გაუმიჯნეს ის ადგილი იმას. იმ კაცსა შეიღები ყავდა კიდევ. ეს ხალხი შეთვისდნენ ერთმანეთში და წიკლაურობაზე დაეწერნენ ეს წითელაურები. მამიშვილობით მაგათ თანგულაანთ ვეძახით. იმ კაცს თანგულა რქვივნებია, რომელიც აქ მოვიდა. რო შესჩივლა თავისი მდგომარეობა, მისცეს ადგილი. შეფიცა ხატში ადგილის დედას, სოფლის თავს არის, თქვენს გვარზე ვიქნებიო, როგორც ბიძაშვილები, არც ქალს ითხოვდნენ ერთმანეთში. კიდევ ორი მამიშვილობა ვართ აქა – თორელანი და ბოლონანი.

[შეკითხვა დავუსვი – XVIII საუგუნის აღწერის დავთარში ლუთხუმის მოსახლეობა თლოშიაურის გვარს ატარებდა, რა გაგიგიათ მათ შესახებ. თლოშიაურები წიკლაურებად იქცნენ?]: თლოშიაურები გამიგია კი და სხვა არ ვიცი, პაპისაგან ვიცი, რომ წიკლაურები გართ. ეგ თლოშიაური თუ იქნებოდა, მაინც წიკლაური იქნებოდა სულ ძველად.

ჩვენ სალოცავად დაგდივართ ხევსურეთში ახოს, საიდანაც გადმოვსახლებულვართ. იქ ორი გვარის ხალხი, ყმა მივდივართ, ფუძის ანგელოზის ყმები, წიკლაურები და ბექაურები. მთავარი ხატი გუდამაყრის პირიმზე ფუზის ანგელოზია. პირიმზე ახალციხიდან არის მობრძანებული, როცა ასპინძის ომი იყო; წამაიღეს ხატის უნჯი. პირიმზე მომმეა ფუძის ანგელოზის. პირიმზის დღეობა და ფუძის ანგელო-

ზობა ერთმანეთს მოსდევს. მოდის ძველზე, მარიანობის თვეში, 15-ში. პირიმზეობა და მემრე, იმის შემდეგ შაბათს არ ასცდება ახობა. ხევსურეთში გადავდივართ კურატებით და ყოჩებით. დასაკოდი უნდა იყოს ორივე.

გუდამაყრის სათემო ხატი არისო საბურთველოს წმიდა გიორგი. ეს არის ღიდებათ-გამსის საზღვარზე. ოემი არ მიდის აქ საღოცავად; ვინც ახლოს ცხოვრობს, ისინი ლოცულობენ. ჩვენ, როცა პირიმზეში მივდივართ, ჯერ უნდა გავიაროთ საბურთველოზე, სანთლებს ავნოთებთ და სამწყალობნებს – კვერების გამოცხობა ვიცით – იმას გავსერავთ. დეკანოზი არა ჰყავს, უფროსი კაცი, ვინც იქნება, ის ხელმძღვანელობს. პირიმზეში სასამართლო იქ ყოფილა; ამ ხატან დაიფიცებდნენ კიდეცა.

ლუთხუბის საღოცავებია: 1. ადგილის დედა წმიდა გიორგი – მთელი სოფლის საღოცავია, 2. ფშარაველი – მაღლა მთაზეა. იქიდან დიდი ქვეყანა ჩანს – ფშავი: ხომი, აფშო, უკანაფშავიც ჩანს, დურბინდით. აფშოველებიც ლოცულობენ ფშარაველს. ხოლოდ დროშას თავისას მააბრანებდნენ ისინი. ჩვენ ჩვენი დროშა მიგაქონდა. ფშარაველის დროშას ინახავდნენ ადგილის დედა წმიდა გიორგიში. ერთი დროშა აქ რომ იყო, სამივე ხატისაა. დეკანოზი აქ უნდა იყოს წიკლაური. ანთაურიც კი ყოფილა. ხატმა დაიჭირა, გაგონილი მაქს, მე მომსწრე არა ვარ. 3. მესამე ხატი არის კვირაცხოველი.

ბავშვი და რძალი ჯერ ფშარაველში უნდა გაირიოს, მემრე პირიმზეში. კიდევ არის სოფელში ღვთიშობელი, მთავარანგელოზი. ეკლესია ბრძანდება ღთიშობელს, სადაც ვლოცულობთ.

ლუთხუბში ჯერ წიკლაური დასახლებულა, მერე ანთაური, ბოლოს – აფციაურები. ანთაურები ბლოდან კაწალხევში მისულან და კაწალხევიდან აქ არიან გადმოსული.

აქ კლდე არის, საშავარდნო კლდეს ვეძახით. ეს შევარდენი დასჭირდათ თბილისში, დასჭირვებით. გადმოცემა არის რომ, ქალაქზე მზეს არ უშვებს, მზეს ეფარება რაღაც, ქალაქზე მზე არ იყო, არ უშვებდა და ის რა ფრინველი იყო მზეს რომ არ უშვებდა იმ ადგილზე. რით მოვაშოროთო და ამას შავარდენი შეებრძოლებაო. და სად არის შავარდენი

და ლუთხუბშიო. როგორ დავიჭიროთო, კლდე არის დიდი 199 მეტრი სიმაღლე ექნება, მემრე გოდორი დაწნეს და საბლები დაწნეს ლაფნისა. ამ გოდორში კაცი უნდა ჩაჯდეს და და იმ კლდეზე დაუშვებენ, რომ ლამე, გათენებისას შავარდენს მაატანოს. ამ გოდორში ჩაჯდა ეს ანთაური. თუ ამ ადგილს მომცემთო, ერთი გორია, აქედან – იქამდინ. ჩაჯდა ეს ანთაური და მართლაც მაატანა და დაიჭირა ეს შავარდენი. ჩაიყვანეს თბილისში ეს შავარდენი; რომ ნახა, რომ მზე როგორც წამოვალის, აყვება ეს ფრინველი. ნახა ეს შავარდენმა და წამოვა და ზეიდან შეეჯახება და დაამარცხა. ადგილი იმის შემდეგ აქს მიცემული ამ ანთაურებს.

აფციაურები დუმაცხოდანაც არიან და ათხოხიდანაც. აფციაურები ცხვედიათიდან არიან მოსული. მდგდილანთ ვეძახით. მდგდელი ყოფილა ცხვედიათიდან გადმოსული. დუმაცხოში დადიან სალოცავად. მაგათ უფროსებისაგან გამიგონია: ჩოხელები და ქისტები ვართო. ერთი მმა ჩოხში დასახლებულა, ჩაღი რქმივნებია და მეორე მმა აფი – დუმაცხოში. დუმაცხოშიც არიან და წინამხარშიც. აფციაურები ჯალაბაურებიც ყოფილან.

გუდამაყარში ბუბუნაურები წიკლაურობაზე იწერებიან, ბექაურობაზე იწერებიან. ბექაურებსა სახლიკაცობენ, ბიძაშვილობენ.

მამული ჰქონდა ადგილის დედას. ერთი ჰექტარი იყო. სალხისაგან იყო შეწირული. სოფელი მოხნავდა და იმ ერთ დღეს მთელი სოფელი წაიყვანდა აჩახას და იმით გხნავდით. თესლსაც მოსახლეობა მიიტანდა.

ფშარაველს ლამისყანაში ვენახი ჰქონია. გადმოცემა მაქვს პაპაჩემისაგან გაგონილი. ვენახი დიდი ყოფილა. ეს ფშარაველი ადრევე ბაზალეთში ყოფილა დაბრძანებული. იქ საიდან გაუჩნდა ვენახი, მაგას ვერ გეტყვი. პაპაჩემმა იცოდა ანდაზა: მაშინდელია ფშარაველი, ღ(ღ)ამით ულამი მომდიოდისო. 63 ქიჩირგოლი (ცხენი) აკიდებული მამდიოდისო“ საიდან გაუჩნდა ვენახი ლამისყანაში, ამას ვერ გეტყვი. ბაზალეთში ყოფილა ეგ ფშარაველი, ბაზალეთიდან ერწოშია და ერწოდან აქ არის მოსული. როცა ბაზალეთში ბრძანდებოდა, მაშინ დევებსა და ადამიანებს ერთმანეთს შორის ჩხუბი ჰქონდათ. კაცი შემოხვდა დევს და გაუხდა

ჩხუბი. შეიძნენ ერთმანეთს კაცი და დევი ბაზალეთში. დევი გალახა კაცმა. წაასწრო ხატმა ფშარაველმა. დევმა უთხრა, რომ ნუ გამცემ, რო კაცმა გამლახაო. ფიცი მისცეს. თუ როგორ იყო და ერთხელ ფშარაველმა სადღაცა თქვა და დაესია ამის შემდეგ ეს დევი ფშარაველს, გამანებე თავიო. არაო, შენაო ფიცი გასტეხეო და წელიწადში უნდა მომცე ქალი და ბიჭიო. შეწუხდა ეს დალოცვილი ხატი და ადგა და ერწოში წაბრძანდა. ამ დევმა იკითხა და იქაც მიაგნო. მერე აქ მობრძანებულა. ალბათ ფიცი რომ პქონდა მიცემული, იმიტომ გაურბოდა. აქედანაც, აქაც მააგნო. აქაც ართმევს ქალს და კაცს. არჩევს. კარგები უნდა. ბიჭი არის, და-ძმანი არიან. და კარგი ვაჟაცია. თავისთავს ატყობს ეს ბიჭი, რომ იმაზე კაი ბიჭი არ მიდის ხატში. დაც ლამაზი იყო და თქვეს, რომ დევი რომ მოვა, ჩვენ წაგვიყვანსო. ხმალი გალესა ამ ბიჭმა, მექმზადა საომრად. როცა ხალხი მივიდა, სულ ბოლოს მივიდნენ ეს და-ძმანი და სულ ბოლოში დასხდნენ. ბოლოს დევიც მივიდა და ფშარაველს დეველაპარაკება, რომ სულ იმას მიძრახავო, რომ ჩემს ხალხს არჩევო და ეხლა ბოლოში რომ სხედან, ამერბს წავიყვანო. ადგება და უარს ვერ ეტყვის. ამ ბიჭს ეტყვის დევი, რომ გამიძებ წინაო, შენც და ქალმაცო. მერე ბიჭი ეტყვის, სად წავიდგ, შენ გამიძებ წინაო. იმ ბიჭმა უთხრა ხალხს, რომ რამე მოხდეს, ხმა არავინ გაიღოთო – უწინავ უთხრა. გაუძღვა დევი წინ. ბიჭმა ასწივა ხმალსა და დააჭრა თავი. თავი გაგორდება და ყვირის: გავსკდი, გავსკდიო. აინც ვერ გაძლო ბებერმა ერთმა ქალმა, რომ ადრევე გასახეოქი იყო შენი თავიო და ნელად მოხდაო. ამ ქალის სიტყვებზე მოხდა სეტყვა საშინელი. ნაწილი ხალხი დაუხოცია. სასაფლაოებია იქ იმ ხალხის, აკლდამებია, ეტყობა. მას შემდეგ თავი-სუფალია ხატი დევისაგან.

ფშარაველს დიდი ვენახები პქონია ლამისყანაში, 63 ცხენის საპალნე დვინო მოჰქონდათ.

იტყვიან, რომ თორელას შემდეგ ჩემი ჩათვლით, 8 თაობაა გასულიო. 7 მამას ითვლიდნენ ჩემი მამა-პაპანი და მე მერვე ვიქნები.

## ისევ გოგა წიკლაური, 25. 05. 1983

ლუთხუბელი წიკლაურების თანგულაანთ მამიშვილობა აღრე სალოცავად დადენილა ფშავში. ჩემობას აღარ გამიგია. ფშარაველის უნჯი ყმანი წიკლაურები ვართ. აფციაურები და ანთაურები ისე ლოცულობდნენ. დეკანოზად ფშარაველში წიკლაურიც დგებოდა და ანთაურიც. ანთაურებიც აღრე მოსულები არიან და ყმად შეფიცული. წიკლაურებიდან დეკანოზობა ძირითადად მოუდიოდათ თორელაანთ და ბოლონაანთ. უფროსებმა იცოდნენ, ფშარაველი უძველესი სალოცავიაო. ფშარაველს იტყვიან, არც ხატს და არც ჯვარს.

ლუთხუბებზე იტყვიან, შვიდჯერ არის ნაოხარიო, ე. ი. შვიდჯერ არის მოსახლეობა შეცვლილი.

ლამისყანაში ფშარაოს ვენას ადგილობრივი ხალხი ამუშავებდა. კითხვაზე – აქედან წასული ხალხი ხომ არ ამუშავებდა – არ ვიციო; შაწირული იქნებოდაო. თვითონ ლამისყანელებს მოჰქონებიათ დვინო დღეობაში. იმათ მეტ-ლუხენი ერქვათ. სანამ ფშარაველში ავიდოდნენ, მეკულუხენი დამეს ათევდნენ, ლიშანაოსთან – ეს არის ფშარაველის ნიში, ჯვარი აქვს ზედა. მშრალად ნაგებია. ქვის ჯვარი ადგას ზედ და შიგ აქვს სასანოლე. ქვებია დაწყობილი ჯვარივითა. ორი ქვაა ერთმანეთზე დადგებული, ჯვარივითა. დამეს რომ გაითვალისწინენ, მანდ ინახება ფშარაველის დროშა, ადგილის დედა წმიდა გიორგიში. დროშა ვერცხლის ჯვარია, ზარი აქვს. ახლა ზოგი შეეხვეწება ხატსა, მიშველეო და დროშას მოგაროვევო და მერე მოაბეს, შეხვეწილები რომ იყენენ. ბოვრაჟსაც ეძახდნენ დროშას ძველებურად. უნაჭრო დროშაა ბოვრაჟი. დროშის ხედ ხმარობდნენ დვიის ხეს, მარადმწვანე მცენარეა.

ხევისბერსაც ვეძახდით და დეკანოზსაც. საერთო საქმეზეც დეკანოზს ეკითხებოდნენ, მმები როცა გაიყრებოდნენ, მოიწვევდნენ დეკანოზს და უფროს კაცებს, ასაკით უფროსებს. მოდავეები უფროსებს უნდა დამორჩილებულიყვნენ. სულ ძველად ვისაც როგორ ეჭირა მამული, ისე იყო. გადანაწილება მიწების არ იყო. როგორც ვისმე ეჭირა მამაპაპიდანგვე, ისე ეპავათ მამული. მაგალითად ორი მმანი არიან, გაიყარნენ. დაფუშვათ ერთს ბევრი შვილები ყავს,

მეორე უშვილოა, ამ მამულს მაინც შუაზე გაჭრიდნენ. მამას, როცა გაიყრებოდნენ, სამარხს მისცემდნენ. თუ შაძლებული ოჯახი იყო, ბევრს მისცემდნენ, თუ არა – ცოტას. ოჯახი ძროხისა და ცხვრის სულადობით იყო მდიდარი. ათასი სული ცხვარი მაინც უნდა ყოლოდა შეძლებულს, ძროხა ათზე მეტი არ ეყოლებოდა. ღარიბს ათი ცხვარი, ორი ძროხა და უდელი ხარი ეყოლებოდა, მეტი არა. შეძლებულს ორი უდელი ხარი ეყოლებოდა, მეტიც შეიძლება. ხუთასი ცხვარი საშუალო შეძლებისად ითვლებოდა. აქ იყო ისეთი კაცი, რომელსაც 7 ათასი სული ცხვარი პყავდაო. ეს მდიდარი იყო.

„კაი ვაჟაც ეტყოდნენ კაი ყმას და არა შეძლებულზე. „კაი ყმას ნუ შურობ, სოფელო, // კაი ყმა კაი ფარია, // იქიდან მოგევერება, // საიდან მოდის ჭირია“ (ესე იგი საიდანაც გაჭირვება მოდის). კაი ვაჟაცზე იცოდნენ იმის თქმაც, კაი ხარიაო.

„სამარხში“ შედიოდა ცხვარი, ძროხა, პური. ისე რომ მიწა მეტი მიეზომათ, ეგ არ იყო. უშვილო რომ დაბერდება, უნდა დამარხონ მმამ და მმიშვილებმა. მამული დარჩება იმათ. ტოლათ გაინაწილებენ; სხვას საქმე არა აქვს იმათოან.

შეიძლებოდა სხვა გვარისაზე, სოფელშივე მიწის გაყიდვა. თავის სინდისზე იყო. წიკლაურებს რომ გაეყიდა მამული აფიაურზე, ეწყინებოდათ, მაგრამ არაფერს იტყოდნენ. რჯული ეაგთი იყო. (ეს უწილო კაცების შესახებ). სოფლის გარეთ კაცზეც ყიდღნენ მიწას და სოფელშიც. სოფლის კაცზე უფრო უპრიანი იყო გაყიდვა.

არ გამიგია, რომ უწილო კაცს მამული შეეწირა ხატისათვის. წილიან კაცს კი შეუწირავს ადგილის დედისათვის მამული. პქონდა სამი დღის სახნავი ამ ხატს. სოფელი ვხნავდით. დღე იყო დანიშნული და მოვხნავდით. თავისებს რომ მოვხნავდით, მერე ხატის მამულს მოვხნავდით. ეს ხატის მამული ხატიან ახლოს იყო. თესლს თან მივიყოლებდით. აჩაჩით ვხნავდით. ვთესდით წმინდა პურს. ხატის მამულს ხაზეინობდა დასტური და დეგანოზი. დასტური მოყოლებით მოდიოდა. დასტური სამივე სალოცავის იყო. დასტური

ოთხი იყო. სოფელში კომლობრივ მოყოლებითაა. ასტურობა დაახლოებით ათ წელიწადში ერთხელ შეგვხვდებოდა. დასტურია თვითონ ხატის დიასახლისი. ოჯახიდან დასტური ერთი კაცი უნდა ყოფილიყო, გინდ რამდენიმე კაცი ყოფილიყო ოჯახში. მოყოლებით, მეზობლობის მიხედვით მოუდიოდათ დასტურობა. დასტური იცვლებოდა ამაღლებას. ამაღლება მოდის დიდი ხუთშაბათის მეშვიდე ხუთშაბათს.

ავად რომ გახდებოდნენ, შეეხვეწებოდნენ ადგილის დედა წნიდა გიორგის და შესწირავდნენ. დეკანოზთან მიგოდოდნენ და ეტყოდნენ: აი, ეს მიწა შემიწირია ამა და ამ ზომისა ხატისოვისაო.

**ივანე იოსების ძე აფციაური, 81 წლის, სოფელი ლუთხუბი,  
25. 05. 1983**

ქისტები ვართ ძირად. ქისტი ვინმეა გაქართველებული, გადმოსული მკვლელობაზე. აღდგომელაანი, ტერლაანი, აბდულიანი, გიორგელანი ერთი განაურები არიან. არიან სხვები აფციაურები, მღვდლიანთ ეძახიან – ცხვედიათიდან მოსულან. პირველად სოფელში არის დასახლებული წიკლაური; ბევრი ეგენი არიან. ჩვენ და ანთაურები ცოტანი ვართ. აფციაურები ანთაურებზე წინ მოსულან. ანთაურები არიან მოსული ბლოდან, ხევსურებია ძირად. კაცი შემოკვდომია და აქ მოსულან. შახიზნებიან სოფელსა. ეს ადგილი ყოფილა უწინ ეგრე თავგანებებული. 70 კომი ვიყავითო, 50-ლაა ეხლა.

ამანათი ნიშანებს იმას, რომ დანაშაული აქვს ადამიანს და წავა და შაეხიზნება, ეტყვის: მკვლელობა მომიხდა და შამინახეთო. ერთი შემთხვევა იყო ჩემ დროს – ხანდოელს კაცი შემოკვდა და აქ ამანათს ეძახდნენ. ბაღათურაი ერქვივნა იმ კაცს. ცოლი აქაური ყავდა და იმის სახლ-კარზე მოვიდა ამანათად. ცოლისძმებმა ადგილი მისცეს. ხელოსანი კაცი იყო, მუშაობდა. ცალკე, თავისოვის ცხოვრობდა. ხალხმაც უთხრა, მოხანი, იარსებე და იყავიო. ეს ამანათი ყველგან სოფლის სალოცავებში დადიოდა. ამ ამანათს დასტურობა არ მიარგეხს. ხატის მამულის მოხვნაში სოფელთან ერთად მონაწილეობას მიაღებინებდნენ. სოფელში რაც ხა-

ტია, ყველას ვლოცულობდით. გარეპიოთ ბავშვს და პატარ-ძალს ზეგარდში გავრეკავდით. აფციაურები ზეგარდის ყმა-ნი ვიყავით, ყველანი აფციაურები. სოფელ ლუთხუბის სა-ლოცავებში არ გავრეკავდით, ისე გავიყვანდით.

ამ სოფლის ხატებში ყველაზე ძლიერი ხატია კვირია – ვეძახით კვირიჯვრობას. აღდგომის სწორზე მოდის. პირვე-ლად კვირე ხსენდება. ასე დაილოცებოდა დეკანოზი: „დიდება ღმერთსა, მოწყალე მოსამართლესა, ღმერთო, გაუმარჯვე თავში კვირესა, კვირე ძლიერსა, კვირეს ძალიანსა, ღვთიშ-ვილს წინაღმდეგსა, ხორციანთ ხერუხლებსა; ღმერთო, გაუ-მარჯვე, მაზალა ხევის (მაზალა ხევი ვითომ დიდი ტერიტო-რია) ბატონ-პატრონს, ემ ადგილის დადას წმინდა გიორ-გისა; ღმერთო, გაუმარჯვე ფშარაოს წვერი ანგელოზს; ღმე-რთო, გაუმარჯვე მაღაწალ წმიდა გიორგის, წვენი ფშარა-ველის მომმე-მომხრეს; ღმერთო, გაუმარჯვე პირიმზეს ბორ-ტვის ანგელოზს; ღმერთო, გაუმარჯვე ფუძის ანგელოზს – ქამ-უქამოთ მოარულო, ყმათა და ძმათ საიმედოს, უყმო ყმის მეშველს; ღმერთო, გაუმარჯვე ჩოხის გიორგის ცირასებით ჩამობრძანებულს, ჩოხს დაბრძანებულს; ღმერთო, გაუმარჯ-ვე სამხოო მაღალსა, სამართალს დთისასა; ღმერთო, გაუმა-რჯვე წვერის ანგელოზს, ორი წყლის ბატონსა და პატრონს; ღმერთო, გაუმარჯვე ზეგარდის წმიდა გიორგისა, ზენა სოფელს დაბრძანებულსა; ღმერთო, გაუმარჯვე საბურთვე-ლოს წმიდა გიორგისა – სათემო სალოცავს; ღმერთო, გაუ-მარჯვე ხახმატის ჯორს – მგზავრ გიორგისა, მგზავრის მიმყოლ-მომყოლ ანგელოზს; ღმერთო, გაუმარჯვე დადალ-ვთშობელს – საქართველოს განმანათლებელსა; ღმერთო, გაუმარჯვე მთავარანგელოზს – მთავრად სახსენებელსა; ღმერთო, გაუმარჯვე მუხის გიორგის, ბერმუხაში დაარსე-ბულს; ღმერთო, გაუმარჯვე ლომისას ხორაშან ტყვეთა მხსნელსა; ღმერთო, გაუმარჯვე ლუდის ყველაწმიდასა – ქვაწულად მქცეველსა; ღმერთო, გაუმარჯვე ცეცხლისჯორს – სულ არაგვიან დამყურებელსაო; ღმერთო, გაუმარჯვე ლა-შარის ჯორს – ოქროს შიბიანს, ოქროს მშვილდიანს; ღმე-რთო, გაუმარჯვე გმირ კოპალას – იუდად მებრძოლს (დუ-გებს შურობს ის გმირი კოპალაო); ღმერთო, გაუმარჯვე ილიას, ზაქარიას – ცა-ღრუბელთ უფროსსა; ძალაო იმათაო,

სამართალო დგომისაო, გეხვეწები, ჩვენი ლუთხუბი შეინახეთ, კარგად ამყოფეთ, ემ სოფელსა კაცი კაცზე მოუმატეთ, სარჩო სარჩოზე მოუმატე; მონადირეს გაუმარჯვე, მოლაშქრეს, მწყემსსა, მუშას, მგზავრს ხელი მოუმართე; ეხლა კიდევ, რითაც გალადდენ, გამრავლდენ, გასაზღელი გაუზარდე და ოთრი თმა-წვერით დაუბერე. ან კიდევ: ავადმყოფი, ვინძეს ყავდეს ემ სოფელში, მაარჩინეთ, ლხინის წამალი დააყარეთ, ოქვენი ტკბილი ანგელოზები დაახმარეთ. ან კიდევ: ჯარში ვინძე იყოს ემ სოფლისა, ხელი მოუმართეთ და მშვიდობით ჩამაიყვანეთ. გაუმარჯოს ნახსენებ დგომიშობელსაო! – ბოლოს იტყოდა დეკანოზი.

ცხრა ხატობა მოდის წელიწადში ლუთხუბში. მორიგეობით სამ საკლაგს ვკლავდით წელიწადში და ეხლა თოთო საკლავს ვკლავთ. დასტურობა ვიცით მორიგეობითა.

ზევით რომ ვთქვი, წვერის ანგელოზი, ათხონის თავზეა სულ ზევით და ორივე არაგვს გადაყერებს.

გამსის ქემოდან საბურთველოს ვლოცულობთ. სათვ-მოა. გუდამაყრის ყველა მოდის. პირიმზეში რომ გავივლით, სანთელს ავანთებთ, ქადებს გაგსერავთ და დავილოცებით.

მაღაწალი ცხვედიათის სალოცავია. ჩვენი ფშარაველი და მაღაწალი ორივე მაღალ მთაზეა და ერთმანეთს უყურებენ.

ხახანთ გიორგა იყო ჩვენი დეკანოზი, წიკლაური. ამ დეკანოზმა წინასწარ ყველაფერი სიზრით იცოდა, ვინ მოკვდებოდა, ვინ ავად გახდებოდა. ჩვენი სოფლის ყველა ხატში დეკანოზობდა. ცხრა დღეობა მოდის ჩვენთან და ის იყო ჩვენთან ყველაში დეკანოზი. ახალი წელი, აღდგომა, კვირიჯრობა (მთიულებმა იციან – კვირიძლობა), ამაღლება. მერე ამაღლების სწორიაო, ხატობა ვიცით. მერე პეტრე-პავლობა ვიცით. მარიანობა არის მერე – ეგეც ხატობაა. მერე ელიაობა ზაფხულში. ჯერ ელიობა და მერე მარიანობა, გორგობა.

ეკლესიაში ვიცით ელიობა და პეტრე-პავლობა. ახალი წელი ვიცით აღგილის დედაში. კვირიჯრობა ცალკე ხატია, კვირე პქვია იმ ხატს. აღდგომის სწორზე მოდის, ერთი კვირის სწორზე. ამაღლებაც აღგილის დედაში ვიცით.

ამაღლების სწორზეც, ხატობაც მანდვე ვიცით. ექლესია დედალვიშობლის სახელობისაა. მარიანობა ვიცით ფშარაოს. ფშარაველს ვეძახით, სხვა არაფერს. ფშარაველია ბაზალუთიდან მობრძანებული. გიორგობა ვიცით ადგილის დედა წმიდა გიორგიში. მარიანობა და ფშარავლობა ერთია. ყველაზე დიდი დღეობა არის მარიანობა. ერთნაირად კი არ მოდის მარიანობა-ფშარავლობა. დიდი ხუთშაბათიდან მეშვიდე ხუთშაბათზე მოდის მარიანობა. ადდგომის მიხედვითაა ეს მარიანობა-ფშარავლობა. ზეგარდობაც ისრეა ჩვენი – ეს მოდის მეთხუთმეტე შაბათს დიდი ხუთშაბათიდან. ზოგჯერ წინ გადმოიტანენ მარიანობას – მარხვის იქით არ უნდა გადავიდეს.

აფციაურები ვმარხულობდით ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს, წიკლაურები კი – არა. იმათ არ ჰქონდათ აკრძალული დღეები. ერთხელ ვჭამე ვეველა ოთხშაბათს და ნადირი დატანებოდა ცხორს, საქონელს. რო შარეოდათ (?), ნადირს რამე უნდა შეეჭამა, წაელო.

აქედან, ლუთხუბიდან ფშავში გადახვალ, კაწალხევში, აფშოში, ორწყალში. კაწალხევში ფუნდუკის მთაზე გადახვალ, კუდიანაზე – მიგრიაულთას გადახვალ, მაღაროში ჩავალის. ფშარაოზე – აფშოში ჩავალთ, ბეტისჩრდილზე ჩავალის.

პირიმზეში დადიან წიკლაურები, ბექაურები – ყმანი არიან. ჩვენ, აფციაურები, ყმანი ვართ ზეგარდისა. აფციაურები პირიმზის უყმო ყმანი ვართ. დუმაცხოს საღვთო მაღალი სხვაა, წვერის ანგელოზი სხვაა, ზეგარდის წმიდა გიორგი სხვაა. შაბათს – სამღოომადლობა, კვირას ჩამოვა ხატი დუმაცხოში და ოთხშაბათს ათხოხს ავლენ და კობათს გადახედავს და ხუთშაბათს ზეგარდობა – ერთმანეთს მოყვება. დეკანოზი სამივე ხატს ერთი ყავდა.

**ვანო ავესენტის (ბადაჩას) ძე წიკლაური, 88 წლის,  
სოფელი მაქართა, 28. 05. 1983**

თლოშიაური გამიგია, ჩვენი ჯალაფნი იყვნენ. მერე ისინი გაყრილან და გაღმით წასულან – ზანდუკში. გორი თლოშიაური არ გამიგონია.

მაქართას სალოცავებია: 1. მაჩაგნის ჯვარი. ეგა ადრევება. ერთი კაცი ყოფილა, დეკანოზებს ეძახდნენ. ისა გაუგიებია რასმე. დასდეგია და უთხრია ხის ძირები. იქიდან, მიწიდან ხელებით რომ სთხოდა, ვერცხლის ჯვარი ამოუბრძანებია. მემრე იქვე, იმ ადგილზე შაინახეს და ლოცულობდნენ იმას. მერე დაიწყეს მაგ ხატის – მაჩაგნის ჯვარის ლოცვა. ის დეკანოზი წიკლაური იყო. მემრე ხევსურებმა მოგვპარეს ის ძვირფასი ჯვარი. ერთი თოლი ჯვრისა 300 თუმანი ღირსო, – თქვიან. როცა ნახეს, მე დაბადებული ვიყავი, 25-26 წლის ვიქნებოდი, როცა ეს ჯვარი მოიპარეს.

2. კვირე – ნიშია. მაჩაგანი და კვირე ერთმანეთს გაყურებენ. ერთი გაღმაა. მეორე – გამოღმა.

3. სოფელთან არის ადგილის დედა – პატარა ეკლესია.

4. სოფლის ზემოთ არის ადგილის დედის შემდეგ წმიდა გიორგი.

ყველაზე ძლიერი, მთავარი სალოცავი სოფლისა მაჩაგნის ჯვარია. ბაგშეს და რძალს ჯერ ადგილის დედაში გავრევო, მერე – პირიმზეში. როცა პირიმზეობა მოდის, იმ დღეს მოდის მაჩაგნის დღეობა. თუ პირიმზეში ვერ წავიდა დღეობაზე, მაჩაგანში ავა. სანთლებს ანთებდნენ. ერთხელ მოდის მაჩაგნის დღეობა, მაშინ, როცა მარიანობა და პირიმზეობა. ადრე ერთი სალოცავი არ დარჩებოდა თუ საკლავს არ მიაყოლებდნენ. თუ დღეობა არ არის და ფოილებით მიზეზი ამოგვივიდა, წავალთ ჩვენს სალოცავში, სანთლებს ავანთებთ და მაგას ვეძახით „უდღეო დღეს“ გემსახურებით – ასე შეპირდებიან.

დეკანოზი ჩვენი სოფლისა პირველად მაჩაგნის ჯორს გაუმარჯოსო, ადგილის დედასა, დიდებულ კვირესა, წმიდა გიორგისა. ყველა სოფლის დეკანოზი პირველად თავის სალოცავებს დაასახელებდა.

ამანათობა ის არის, რომ კაცი რომ მოკლავდა, წავიღოდა სხვა სოფელში გადასახლდებოდა, იქ ვეღარ დაღგებოდა.

მაჩაგნის ჯორს მამული ჰქონდა. დღეობაში გამოხდიან ლუდს, არაქს დასტურები და მარიანობას დაღევენ. დასტურები, ორი კაცი დაახვნევინებდნენ, მაამჯინებდნენ ხალხს, დღეობაში გამოხდიან სასმელს... სამი დღიური ჰქონდა ეს

მამული მაჩაგნის ჯორს. თავისი საკუთარი შეუწირიათ მაჩაგნის ჯორისათვის. სამწყალობნოთ შეუწირიათ, რომ გამარჯვებულიყო და კარგად ყოფილიყო.

მამულები თავიდანვე პქონდათ ყველას თავ-თავისი და-თავისებული. სულადობით არ განაწილდებოდა მამული. ორნი ძმანი, რომ იყვნენ და ერთს ყვანდა ოთხი შვილი, მეორეს – ერთი, შუაზე გაიყოფოდა გაყრის დროს მამული მაინც. რაც ერთი შვილის პატრონს მიერგებოდა, ის ოთხი შვილისასაც. ხშირად იყო რომ ბევრი უმამულო იყო, ზოგს ბევრი მამული პქონდა. უმამულოები სხვაგან წავიდოდნენ სამუშაოდ, ბარში იყვის მკა.

### მარო წიკლაური-გაგაძე, სოფელი ქვემო მლეთა, 29. 05. 1983

ხარხელაურებს გუდამაყარში, დუმაცხოში წიკლაურად გვარი მამულის გულისათვის აქვთ გადაკეთებული. წიკლაური ყოფილა უშვილო; მემამულების დროს, როცა ხვა-თესვა იყო, გადაიკეთა გვარი ჩემმა წინაპარმა მამულის გუ-ლისათვის. უშვილო კაცს ბევრი მამული პქონდა. ჩვენმა წინაპარმა აიღო ეს მამული და დაეწერა წიკლაურად. იქ გვაქვს სალოცავი „ხარხელაურთ კვირია“. „აფციაურთ კვი-რიაც“ არის.

დუმაცხოს დეკანოზი დაილოცებოდა: ღმერთო, გაუმარ-ჯვე დუმაცხოს საღვთოს, საღვთო მაღალს (ეს ძალიან მა-ღალ წვერზეა, დუმაცხოს თავზე), ზეგარდის წმიდა გიორ-გისა, წვერის ანგელოზსა (გამოღმა ათხოხის თავზეა), პი-რიმზე ფუძის ანგელოზსა, ჩოხის გიორგისა, საბურთველოს და... გუდამაყრის ხატებს რომ მორჩებოდა, მერე ახსენებდა ლომისას.

გუდამაყრის სოფელ სიჯანათში არის უბანი მამესწა-რიანი. ჩვენთან მამიშვილობაცაა ბექაურების გვარში – „მა-მესწარანი“ და თბილისში არის გვარი მამესწარაშვილი, აქედან წასული.

ათხოხის თავზეა წვერის ანგელოზი. ამ ხატს ყავხო ერთი თეთრი დათვი და ორი თეთრი მგელიო. ხატის მოე-დანში არიან ესენი დაბინავებულიო. ამ ხატის მოედანზე არ შეიძლება ბალახის მოობგა, საბოვრად მხოლოდ შეიძლება

დღე მოაძოვონ ცხვარს. მანდ არ შეიძლება ცხვრის გაჩერება; ვინცაო ამ წესებს დაარღვევსო, ხატების დათვი და მგლებიო მის საქონელს მიესევიანო.

პირიმზეს ცხვარი ყავდა ორასამდე. შეწირულები იყო ეს ცხვარი, მე გავიღებდი, სხვა, და ასე მოუგვროვდებოდა. მასსოვს, შავლია იყო ბექაური, ის უკლიდა. თავის ცხვარში ჰყავდა შერეული. ხოლო როცა ამ ცხვარს გაპარსავდა, მატყლი ამ შავლიას რჩებოდა. ხატის ცხვარი მხოლოდ ერთი უნდა დაკლულიყო. ახლაც ყავს ცხვარი ამ ხატს.

მაქართაში ჯერ დეკანოზი რიგით სოფლის სალოცავებს ახსენებდა და მერე რიგით ახსენებდა გუდამაურის სხვა ხატებს.

==გუდამაყარში 22 სოფელია. ლუთხუბში, მაგალითად სამი სოფელი შედის, ეხლა ითვლება ერთ სოფლად.

### გაბრიელ განოს ძე ბექაური. 55 წლის. სოფელი თორეულანი

გუდამაყრელები სალოცავად დადიოდნენ ხევსურეთში. მიდიოდნენ საკლავით. თორელანის მარტო ბექაურები გცხოვრობთ. თორელანის პირდაპირ, სოფელ კიტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შავი არაგვის მარჯვენა მხარეს, მთის დაფერდებაზე მდებარეობს ფუძის ანგელოზის ნიში. ნიში ოთხკუთხა ფორმის კოშკა. კიტონის ხატებია: მაჩაგნის ჯორი, წმიდა გიორგი – მის გეერდზეა. მიწაში ჩასმულ ჯვარს ნიშს ეძახიან. სასადილოსთან ახლო ფუძის ანგელოზის ნიშიცაა. მაჩაგნის ჯორში მოდის ორი დღეობა – მარიამბა და ამაღლება. მაჩგნის ჯორი სასოფლო სალოცავია. პირიმზე კი გუდამაყრის საერთო, საოქმო სალოცავია. დეკანოზად ხატის მიერ ხელდადებული იყო. ვისაც ხატი ინდომებდა, ის იქნებოდა დეკანოზი. დეკანოზი მამიდან არ დგებოდა.

### ბერი იოსების ძე წიკლაური, 75 წლის. სოფელი მაქართა

ჩვენი მამა-პაპა ხევსურეთიდან გადმოსულან – წიკვა და ბექა. მკვიდრები ვართ ამ სოფლის. მერე გადასულან აქედან ლაგაზიანში, დიხოში. პირველად როცა გადმოვიდნენ, სოფელში წმიდა გიორგის ხატი ჰქონიათ. პირიმზე ფუძის ან-

გელოზია ყველაზე ძლიერი ხატი, პირიმზე და ფუძის ანგელოზი ცალ-ცალკე ხატებია. ამ ხატის ყმები წიკლაურები და ბექაურები არიან. აფციაურები ყმები არ არიან. მაგათ დუმაცხოს საღვთო ჰყავთ. წიკლაურები რომ გადმოსულან, ნიში გაუკეთებიათ. პირიმზეში მინდორია. იქ ჯარები მდგარან, აქედან ხატმა შერე ხალხი აყარა და შერე იქ დარჩათ ხატის ადგილი. პირიმზე ფუძის ანგელოზში ეკლესია დგას. აქაა საბერო და საქობეც. მანდ მოდიან წიკლაურები და ბექაურები. სხვა გვარებიდან, ვინც ეხვეწება, ისინი მოდიან. პირიმზეს ხატი აქ არის, ფუძის ანგელოზი კი ხევსურეთშია. მაგას აქ დროშა აქვს. მაქართაში მარტო წიკლაურები ვცხოვრობთ. ბავშვს ჯერ წმიდა გიორგიში გავრევით, შემდეგ – პირიმზეში.

პირიმზე ფუძის ანგელოზს მამულებს სწირავდნენ. ასეთი მამული აქს ცუცქენაურთასა – ხოზის მინდორი (პირიმზესთან ახლოსაა). არავის ახსოვს, ვისი შეწირულია. ხალხი შიგ ვერ შედის. გაღმა ვიღაცებმა წმიდა გიორგის ბორტვი ააფუქს და კინადამ დაიხოცნენ. ხატისათვის შეიძლება მოეხნათ, თავისთვის – არა.

მაჩაგნის მთას ეძახიან. აქაა წმიდა გიორგის ხატი; ეგარის ადგილის დედაც. მაქართაში მცხოვრები ბებუნაურები კომის სახელია. იქნებოდა ვინმე ძველთაგან. აქ სულ წილაურები ცხოვრობენ.

გუდამაყრის სოფლებია: 1. ბახანი (წიკლაურები – 9 კომი). აქ ცხოვრობენ მთიულეთიდან გადმოსული პატაშურები (7 კ.) და ქავთარაძეები (3 კ.); 2. წინამხარი (აფციაურები – 8-9 კომი), 3. მაქართა (აფციაურები – 40 კომამდე); 4. თორელანი (ბექაურები – 20 კომი); 5. საჩალისჭალა (წიკლაურები – 6 კომი, ჩოხელი – 5 კ.); 6. ფახვიჯი (წიკლაური – 20 კ.); 7. თოთიაურები და ჭოჭოხი (ჩოხელი – 12 კ., ბექაური – 3 კ. და წიკლაური – 1 კ.); 8. სიჯანანი (წიკლაურები – 15 კ.); 9. ბაპურხევი (ხევსურები: ფიცხელაური – 13 კ., ველთაური – 2 კ., არაბული – 1 კ.); 10. კიტოხი (ბექაური – 19 კ., წიკლაური – 2 კ.); 11. ანთოხი (წიკლაურები – 5 კ., აფციაურები – 2 კ.); 12. ბოსელი (წიკლაური – 7 კ.), 13. ჩობალაურები, ხოზა, ცუცქენაურები და ლიდენი (წიკლაური – 11 კ., ბექაური და ჩოხელი – 3-3 კ.); 14. ჩოხი

(ჩოხელი – 24 კ.); 15. დუმაცხო – (აფციაურები – 18 კ., წიკლაური – 3 კ.); 16. ბურსაჭილი (წიკლაური – 5 კ.); 17. ლუთხუბი (წიკლაურები – 44 კ., აფციაურები – 12 კ., ანთაურები – 2 კ.); 18. გამსი (ბექაურები – 30 კ., წიკლაური – 6 კ.); 19. დიდებანი (ბექაურები – 20 კ.); 20. ზანდუკი (წიკლაური – 25 კ., ბექაური – 5 კ..

### **ბაბალე ბექაური-წიკლაური, 85 წლის, სოფელი ზანდუკი**

ზანდუკელები (სოფელ ზანდუკში მცხოვრები – ო. ო.) მთავარანგელოზის ხატს ვლოცულობთ. მაგრამ ეგ ხატია, აქ, სოფელში არაა, ლაგაზიანის თავზეა. აქ ლოცულობს კიდვა კოტორიანის ხალხიც. ეს სამი სოფელი ერთად ვართ. მეორე სალოცავიც გყავს – მახვილოს წმიდა გიორგი. ეგ ამ მაღალი მთის წვერზეა. ეგ ციხეცაა. ყველა ლოცულობს პირიმზე ფუძის ანგელოზს. ეგ, ჩოხში თუ ყოფილხარ, იქაა. კვირეცა გვყავს, მაგრამ ეხლა აღარაფერია. მეხუთე სალოცავია თორელანის თავზე ხახმატის მგზავრის გიორგი. მასაც ყველა ლოცულობს. ბაკურხევის გზაზეა.

ზანდუკში ბექაურები დიდებანთიდან არიან გამოსულები. თლოშია ვიღაც წიკალაურს ერქვა. კოტორიანი და ლაგაზიანი ზანდუკში შემოდის; ამ სოფელ ზანდუკშია ჩვენ, წიკლაურები, თლოშიანი ვართ.

### **ქაცილა გვადაქას ძე წიკლაური, 76 წლის. სოფელი ლაგაზიანი**

ლაგაზიანი, კოტორიანი და ზანდუკი სინამდვილეში ერთი სოფელია. აქ ცალ-ცალკე მოისხენიებენ. ლაგაზიანში წიკლაურები სამი კომი ვართ; ადრე კი უფრო მეტი – 7 კომი ვიყავით. კოტორიანში მარტო წიკლაურები ცხოვრობენ. ზანდუკში ბექაურების სამი კომია, დანარჩენი წიკლაურები არიან. წიკვაი და ბექვას მმანი ყოფილან. წიკვა თურმე მუშაობდა, ბექვას კი ხალხი უჭრია. ამიტომ წიკვას გაყრა მოუნდომებია. გაყრილან ისე, რომ ერთურთის ქალი გვერგებოდესო. ამიტომ გაყრისას ძაღლი გაკვეთეს ერთმანეთში. წიკვა და ბექვა ხევსურეთიდან – არხოტიდან ყო-

ფილან მოსული. ბექაურები ერთმანეთში ქალს არ ათხოვებენ, წიკლაურები კი ერთმანეთში ზოგზოგაი თხოვდობენ.

სამივე სოფელს წინავ ლაგაზიანი ერქვივნა. ზანდუკაშვილები მაქართიდან არიან ამოსული. წინავ მანდ სამი კომი ბექაური ცხოვრობდა. ზანდუბის წიკლაურები, მაქართისა და კოტორიანი ერთმანეთთან ახლოს ვართ. ჩვენთან კოტორიანის წიკლაურები უფრო ახლოს არიან. ზანდუკლიანი ნელად არიან გადმოსახლებული.

ლაგაზიანში არის შემდეგი ხატები: მთავარანგელოზი, სახმატის ჯორი, კვირე, პირიმზე ფუძის ანგელოზი. ეს სალოცავები კოტორიანისაცაა და ზანდუკისაც. მთავარანგელოზს აქვთ საბერო მიწური, ოთახივითად. კვირეს ნიში ჩოხს არის. კვირეს ნიში აქაც გვაქვს, ზემოთ, მთაზე. ამას კვირაცხოვლობას ვლოცულობთ. კვირეს აქვთ საჯარე. ესაა კოშკი და თავზე აქვს ჯვარი. მთავარანგელოზი დამზადებული ლუდი კვირეში მიგვაქვს. ორივე ამ ხატის დეკანოზი წიკლაური იყო. აქ, ამ სამივე ხატში, მარტო ჩვენი სამი სოფელი მოდის.

სოფელ დიდებაანიდან დასავლეთით, მაღალი მთის დაცერდებაზე მდებარეობს კვირეს ხატი. ესაა უზარმაზარი იჯის ხის ქვეშ აგებულ პატარა ოთხკუთხა ფორმის ყორე. მას აღმოსავლეთით დატანებული აქვს შუკუმი.

საბურთველოს წმიდა გიორგი მდებარეობს სოფელ დიდებაანიდან ჩრდილო-დასავლეთით. ესაა დაცუტოროვებული მსხლის დიდი ხე, რომლის გვერდითაც მართკუთხედის ფორმის ნაგებობაა. მას სახურავი ჩამოქცეული აქვს. სოფელ დიდებაანის ბოლს უზარმაზარი ქვაა, რომელსაც ხალხი მინდვრის ქვასა და წმიდა სანებას უწოდებს.

### **მახარე ბერის ძე ჩოხელი, 78 წლის, სოფელი ჩოხი.**

აფი და ჩაღი მმები ყოფილან. ჩექნა ვართ ძირად ოსები. გაყრის შემდეგ ცალ-ცალკე დაუწყიათ ცხოვრება. აფი დუმაცხოში დასახლებულა, ხოლო ჩახი – ჩოხში. ერთმანეთში აფციაურებს და ჩოხელებს ქალი არ ერგებათ. წინათ ასე იყო. ეხლა თხოვდებიან ერთმანეთში. ჩოხის ხატებია: ჩოხის წმიდა გიორგი, კვირე, მთავარანგელოზი, ხეთანაი,

სადედაბროს წმიდა გიორგი. კვირე პატარა კოშკივითაა და ჯვარია. სადედაბროს წმიდა გიორგი სუ ზეით არის წვერზე, კვირეს ზემოთ. იქავ წინათ ბერებს უცხოვრიათ. თხუთმეტი ნასახლარია იქა. ადრე დარბაზი იყო, ახლა ნასახლარებია. ეკლესიაც ყოფილა. ხეთანაი სოფლის მარჯვნივ არის. ნიშია, კოშკია პატარა და ჯვარია ჩასმული. ესენი ჩოხელების სალოცავებია. ჩოხის წმიდა გიორგში მოდის მარიამბა, გიორგობა, ამაღლება, აღდგომა, აღება, ახალწელი.

ხეთანაში ხეთანობა მოდის ამაღლების შემდეგ, კვირგში – კვირიაობა, კვირიჯვრობა მაისის თხუთმეტში. მთავარანგელოზში – ხოზობა, თიბათვის ოცში. ბერები რომ არსებულიყვნენ, იქა იცოდნენ დღეობა, ახლა აღარ მახსოვს. სახელად კი სადედაბროს წმიდა გიორგი ითქმის. ყველა ხატის დეკანოზი ერთი იყო. დასტურობა წილისყრით არის. მარიანობას ჩადგებოდა დასტური და მარიანობას გადადგებოდა.

ჩოხის წმიდა გიორგის სახნავი ჰქონდა. სათიბი არა ჰქონდა. სახნავი ორი ჰქექტარი იქნებოდა. სოფელი ერთად შააქუჩებდა ხარებს, ხნამდა, ზოგი ფარცხამდა. ხელმძღვანელობა დასტურისა იყო. მოწეული ჰურიდან ლუდი დუდ დებოდა. თუ მოჭარბდებოდა, არაყიც გამოხდებოდა.

წმიდა გიორგის ტყეში ხეს ვერავინ ვერ მოჭრიდა; ხატისთვის კი მაიჭრებოდა. მარიანობას ხატის მამულიდან ვაკეთებდით არაყსა და ლუდს. სხვა დღეობებში პინით ვპრეზდით. კაცზე ერთი პინა იყო, ოჯახში რამდენი მამაკაციც იქნებოდა. პინა ექვსკილოანი იყო. ორასი ლიტრა ლუდი იქნებოდა, ორასამდე არაყი მოვიდოდა.

კვირეზი არაყი ვიცით. კვირეზე მოჰქონდათ ორი თუნგი არაყი და ერთი ქობი ლუდი. მამა-პაპითვე ხატის მამულებს ხოდაბუნებს ვეძახდით. ვისაც ხატის მამულები უჭირა, იმასც სადები ედო, ამდენი არაყი უნდა მოიტანო. ჩოხის წმიდა გიორგის წინათ ბევრი მიწა ჰქონია და სოფელს დაუნაწილებია. ჩოხის წმიდა გიორგის დაუტოვეს მამულები, როცა განაწილდა ეს მიწები. ხეთანას მამულები ჰქონდა და მაგის მამული ერთ კაცს უჭირა. მას უნდა მოეტანა დღეობაში ერთი თუნგი არაყი. თუნგში ოთხი ლიტრა ჩადიოდა. ხეთანას ტყე აქვს და აქედან შეშა მიჰქონდა არაყისათვის.

მთავარანგელოზს თავისი მამული პქონდა. დანაწილებული არ იყო. ტექ აქვს. ვისაც სადები პქონდა, რაც მოსავლიდან მოჭარბდებოდა, იმას რჩებოდა ჩალათ და პური და არაყი აკეთებდა თავისთვინა.

ჭალაში პირიმზე ფუძის ანგელოზია.

აქ ჩოხში განაყრობაზე არიან: ხიზანიანთა, ლაზარიანთა, შულიანთა, პაპიანთა.

დასტური ყოველი დღეობის წინ წმინდობს. როცა დღუობა მოდის, დასტური ჩაჯდება წყალში, არაგვში, იბანავებს და წავა ხატში, – ზამთარშიც, იანვარშიც. ერთხელ ჩავა წყალში; დეკანოზიც ეგრე იყო.

### გიგო ალექსის ძე აფციაური, 82 წლის, სოფელი დუმაცხე.

დუმაცხოს გვარებია წიკლაურები და აფციაურები. აფციაურები თვრამეტი კომლი ვართ. წიკლაურებია აქედან არიან გასული ბოსელში და ბურსაჭირში. პირველად აქ დასახლებული აფციაური. აფციაური ხევსურეთიდან არის მოსული, შატილიდან ყოფილან წამოსულები. აფციაურებს და ხოხელებს უმშიათ ერთმანეთი.

ერთმა წიკლაურმა მოკლა აფციაური. მკვლელის ოჯახი გადასახლდა ქართლში. იქ ცხოვრობდა. აფციაურს იქიდან კაცებს უგზავნიდა შესარიგებლად. აფციაური კი არ შეურიგდა. მერე აიღო წიკლაურმა, იყიდა ხარი და ზეგარდის ხატში დააბა. თავად კი ტექში დაიმალა. ხალხმა ხატში დაბმული ხარი ნახა და დაიწყეს გაკითხვა, რა არიო, ბოლოს გაიგეს, რომ ეს ბასილა წიკლაურის მოყვანილი იყო. მემრე ხომ აღარ შეიძლება იქიდან ხარის გამოყვანა. ადგნენ და დაკლეს. ჯერ დეკანოზი ელაპარაკა, ვინც მოკლეს, იმის მმას, აფციაურს. სისხლით არ დაიბანება პირიოდა უნდა შერიგდეთ. გელარ თქვა უარი აფციაურმა და შერიგდნენ.

ჩვენ კომუნისტებმა გაგავაკულაკეს. ცხვარი წაგვართვეს. აღარ გვევავდა არცერთი ძროხა, ცხვარი. რაღა შაგვინახავდა ამოდენა ხიზანს და გავიყარეთ. მაშინ მუშახელი გვჭირდებოდა, ბევრი ცხვარი გვევავდა და ერთად ვიყავით.

აფციაურები დუმაცხოდან გადასახლებულებია ლუთებში, ცხვედიათში, წინამხარში, ჯულისში, ქართლში, ოთრწყაროზე. ისე, დუმაცხოდან წასულები არიან. აფციაური რო წასულა ბარში, იქიდან შვილს მამისათვის შემოუთვლია: „მამა, გიბარებს შვილებიო, //ჩამოდი ახმეტაშიაო. // – მე ახმეტა რად მინდა, // მთაშიაც მოდის სვილებიო“ – შეუთვალა მამა.

დუმაცხოს სალოცავებია: დუმაცხოს წმიდა გიორგი. აფციაურების სალოცავია. სოფლიდან ყველა კი მიღის. ეს სალოცავი სოფლის ზევითაა. აქ არის დარბაზი, საქობე, საზარე, საჯარე (მინდორია); ზეგარდის წმიდა გიორგი დუმაცხოს წმიდა გიორგისთან ახლოა. ეკლესია. წინ აქვს საჯარე – ხალხი იყრება იქა; სამდოთ მაღალი სულ მაღლაა, სერზე. მოხევებისა და ჩვენს საზღვარზეა. ნიშია და ნიშანზე ჯვარია; წვერის ანგელოზი ნიშია ჯვარით. ეს ათნოხელებისაცაა და დუმაცხოვლებისაც. ათნოხში აფციაურები და წიკლაურები არიან. აფციაურები ამ ხატის ყმანი ვართ და წიკლაურები მოდიან სტუმრად.

ლაშქრობა ყოფილა და მაშინ იმმეს ერთმანეთი ჩოხე ლებმა და აფციაურებმა. არ დაღატობენ ერთმანეთსა.

### ნინია დიმიტრის ძე აფციაური, 76 წლის, სოფელი ათნოხი.

აფციაურები ათნოხიდან გადასული არიან ერწოში, მანგლისში, ცხვედიათში. აფციაური პირველად დუმაცხოში დასახლებულა. ჩვენა ვართ ქისტები ძირადა. ორი მმანი ყოფილან – ერთს ქვივნებია აფი, მეორეს – ჩახი. ჩახზე ჩოხელები მოდიან, აფზე – აფციაურები. კაცნაკლებობა მოსვლიათ წინავ და გადმოხიზებულან, აქ ჩახიზებიან.

ათნოხში წვერის ანგელოზის გარდა არის წმიდა გიორგის ნიში – პატარა კოშკია, წინ ცოტა მეიდანი აქვს. შოფლისპირ ადგილის დედაა – ძველებური ეკლესია. აქ მოდის აღდგომა, პეტრებავლობა, დაგიოთბა, მარიანობა. წმიდა დაგითი აღდოლის დედასთან არის – პატარა ეკლესია. ამ ხატებში მარტო ათნოხის აფციაურები და წიკლაურები ლოცულობენ. ადრიოვე ერთად ვლოცულობდით. წმიდა დაგითი ეკუთვნის უფრო წიკლაურებს, წვერის ანგელოზი – აფციაურებს, მაგრამ ორნივე ვლოცულობთ. წმიდა დაგითში დეკანოზი წიკლაური იყო,

წმიდა გიორგიში სულ ერთია, რომელი გვარისა იქნება და-კანოზი. წვერის ანგელოზში აფციაური იყო დეკანოზი.

### **პეტრე ბერიგას ძე წიკლაური, 87 წლის, სოფელი მაქართა**

მაქართაში გადმა-გამოღმა სულ წიკლაურები ვართ. მა-ქართისაა დგომიშობელი — გაღმაა ციხე, აგრეთვე კვირია, ადგილის დედა — ამას მაჩაგნის ჯორსაც ვეძახით. კვირიაში ადდგომის სწორზე კვირიაობაზე მივდივართ. ეს ხატი სხვა ხატებზე უფრო ძლიერია. კვირიას მინდორი აქვთ თავისი, საჯარეს ვეძახით. ნაეკლესიარია. ბოურაყი კვირიას არ ჰქონია. წინავ იყო ბოურაყი მაჩაგნის ჯორისა. კიტოხს ეტყვიან, ჩვენი ხატი და იმათი ხატი ძმებია. აქედან გააბძანებენ ბოურაყს კიტოხში, მაჩაგნის ჯორში. კიტოხში მაჩაგნის ჯორსა ბექა-ურები ლოცულობენ. კვირიას დასტური სხვა არის და მაჩაგნის ჯორისა — სხვა. მაჩაგნის ჯორს მამული აქს სოფლის უკანა. დასტურები მოხნავდნენ, სოფელი მომკიდა. მაგ მამულიდან არაყს დაამზადებდნენ და რაც პური დარჩებოდა, ვინც საწყალი იყო, იმას მისცემდნენ. მემრე კი იმას უნდა მიეტანა უპანვე. კიდობანში დასტური ჩაკეტდა და ვისაც დასჭირდებოდა, იმას მისცემდა სესხად პურსა, ობოლ-ქერივსა. მერე ამას პური ან არაყი უნდა მიეტანა, როცა ეტყოდნენ დასტურები, გინდა დღეობაში, გინდა უდღეობო დღეს. მამული ოთხი-ხუთი დღიური იქნებოდა.

ფშარაოს კიდევა ხატი. ხატსა შარაო ჰქვია, გადმაა. ნიშია. ამაღლების სწორზე მოდის მისი დღეობა.

მაჩაგნის ჯორში ორი დეგანოზი იყო. ხატისაგან იყვნენ აყვანილები. კვირეზეც ეგენი იყვნენ დეკანოზები და დგომიშო-ბელშიც.

სოფელ თორელანში ჩოხელები მოსახლეობენ. აქ არის კა-ნჩხის წმიდა გიორგი.

წიკლაურები დიხხოში ლუთხუბიდან არიან გადასულები. საცა კაცი დასახლდებოდა, ადგილის დედაც იქ უნდა დაარსებულიყო. როცა აქ დასახლებულა ხალხი, ეგ ადგილის დედა ყოფილა უკვე აქ. ადგილის დედის შეწირული მამული სამი დღიური იქნება.

დიხხოს კვირაცხოველი არის ფიქალი ქვისაგან ნაგები ნიში. უფორმო ნაგებობა. სოფელ წინამხარში კვირა ფიქალი ქვებისაგან ნაგები ოთხუთხა ფორმის საშუალო სიმაღლის კოხტა კოშკია. კოშკს თავზე ადგას ქვის ფართო ჯვარი.

სანდო

**ნატო პავლეს ძე დაგითური-ლაზევიაშვილი, 60 წლის,  
სოფელი წითლიანი, 22. 07. 1981**

ხანდო განა ერთი სოფელია: წინამსარი, ვეშაგურები, უკანამსარი, დავითაურები, მეჯილაურები, სოდევე.

სალოცავით დაგითურების არის ციხისა თორმეწამე. ლაზევიაშვილების სალოცავია ათენგენობა (უკანამსარშია). რომ ეთქვათ, სადაური ხარო, ვეტყოდით, ხანდოელი ვარო. ხანდო მთიულეთში არ შედის.

ამ ორ გვარს გარდა, ხანდოში ცხოვრობდნენ კიდევ გვრიტიშვილები, მოთიაშვილები, (ესენი მეჯილაურები არიან, ეგენი). სოდევეში იყვნენ ჯანიაშვილები, უკანამსარში იყვნენ ნათობიშვილები და ლაზევიაშვილები. ეს ორი გვარი ერთმანეთში ქალს არ თხოულობდა.

ხანდოს ხეობაში მეჯილაურებში არის წვერობა. მოთიაშვილების სალოცავს ეძახიან მთავრობას, გვრიტიშვილებისას – წვერობას.

„ხანდოს თემს“ იტყოდნენ დალოცვაში – ჩვენს ხანდოს თემს გაუმარჯოსო. ყველა სალოცავს ახსენებდნენ, პირველ რიგში, წინამსარის სალოცავს – მთავარანგელოზს ახსენებდნენ. ჯერ ჩვენთან, ჩვენს სალოცავში ვრევთ ბავშვებს და მერე ლომისაში.

კურატის (ხარის) შეწირვა ვიცოდით, როცა ოჯახში რამე გაჭირვებაა, ვმკურნალობთ, რომ არ მორჩება. ხბო გაჩნდება და შეუთქვამთ, იმის სახელზე იქნება და 3 ან 5 წლის უნდა დაგვლათ. ორივე ხატს უკლავენ. დილით ვიცოდით შეწირვა, დამე ხომ ვიქნებით, გათენდება და როგორი ამინდიც უნდა იყოს, მაინც დაგვკლავთ, გინდ ყოჩი იყოს, გინდ კურატი.

დავითურები არიან შირაქში, კიდევ არაგვის პირზე. ჩვენ ხატში – თორმეწამეშიც მოდიან სალოცავში. ჩემი მამის მისშვილები ფშავიდან, გომეწრიდან მოდიან სალოცავად. მიზეზი იმისი იყო, რომ აღგილი ვიწრო იყო. თავისით არიან წასულები. ეს ომის შემდეგ მოხდა მაგათი გომეწარში გადასახლება. აქედან გომეწარში მოკლეზეა გადასასვლელი, ბანცურში გადადიან და ჩადიან ფშავში. სოფელს ვეძანთ ბანცურს. ხანდოდან არიან ვეშაგურები გასული

ბანცურში. ვეშაგურებიც ჩვენ ხატში, მთავარანგელოზში პეტრე-პავლობას ლოცულობენ.

ჯანიაშვილები ხანდოში სოდეველები არიან.

**პავლე იოსების ძე ლაზიაშვილი, 65 წლის, სოფელი  
წითლიანი, 22. 07. 1981.**

ლაზიაშვილები ხანდოს ხეობის სოფელ უკანამხარში ცხოვრობენ. კიდევ იყვნენ ქურციკიშვილები, მნათობიშვილები. აქ იყვნენ კიდევ ჯუხარაშვილები (ცოტანი). მე იქ ვარ უკანამხარში დაბადებული. მამაჩემმა აქ, წითლიანში გადმოგვიყანა. ჩემი ძმებისაგან ვიცი, ჩვენაო, ნარიმანიძეები ვერფილვართო. ლაზიაშვილები, მნათობიშვილები და ქურციკიშვილები საერთოდ ლოცულობენ წმიდა გიორგის – დიდი ეკლესიაა უკანამხარში. სხვადასხვა თემიდან (გუდამაყარი, ჭართალი) მოდიოდნენ და იქ იწერდნენ ჯვარს. ისე წმიდა გიორგის ათენგენობას ვეძახით. ლაზიაშვილები, ქურციკიშვილებს და ნათობიშვილებს არ შევირთავთ, არა გვაქვს წესად; ერთ სოფელში ვცხოვრობდით.

ჩვენზე მთიულს არ იტყვიან, იტყოდნენ ხანდოველი. მთიულს ფასანაურს ზემოთ იტყვიან. ბავშვს წმიდა გიორგიში გავრევთ. შენი ნებაა ლომისაში გარევ თუ არა.

ხანდოს სოფლები: 1. წინამხარი – მელიქიშვილები და ზურაბაშვილები. მაგათი ხატია მთავარანგელოზი; 2. ვეშაგურნი – ვეშაგურები. ესენიც ამ მთავარანგელოზს ლოცულობენ; 3. დავითურნი – დავითურები. სალოცავია ციხისათორმეწამე; 4. უკანამხარი; 5. სოდევე – ჯანიაშვილები და გვრიტიშვილები; 6. მეჯილაურნი – მოთიაშვილები და გვრიტიშვილები.

სოდევეში ქავთათრაძეები იყვნენ ზესიზედ გადმოსულები.

ხადა მთიულეთში შედის. ჭართალიც არ შედის მთიულეთში. ლაპარაკი ხანდოველებისა და მთიულების განსხვავდება. ეგენი იღმინებიან, რაღაც აგრძელებენ. ჩვენ კიდევ ქვევით ხალხს ვემგვანებით. ვაშლობის (ანანურის საბჭო) მთიულურად ლაპარაკობენ; მაგათ ლაპარაკს ვერ გაარჩევ.

ტრიპოლსკი ფასანაურში 5 ოჯახია. რუსები პირველად რომ შემოვიდნენ საქართველოში, მაშინდელი შემოსულები

არიან. წარმოშობით პოლონეელია. ლოცულობები მთიულების სალოცავებში – ლომისა, პირიმზე და დედის სალოცავში – წიფორის წმიდა გიორგი. დედა მთხოვბელის თანმხლები ტრიპოლსკისა ჟიჟიაშვილი იყო.

**მიხა მათეს ძე ჯანიაშვილი, 73 წლის, ფასანაური,  
23. 07. 1981.**

სანდოს ხეობის სოდევში ვართ ჯანიაშვილები. ჩვენ გვემახიან საერთოდ ჩიკრიკანგებს (ჯანიაშვილების ნაწილს, 4 კომლს). ეხლა კი ბევრი არიან. სახელადა პქვივნებია ეგ. სოდევში არიან კიდევ გვრიტიშვილები. სულ ნათელმირონობა და რადაც იყო ამ ორ გვარს შორის. ერთმანეთში ქალს არ ვითხოვდით. ჩვენი ბიძაშვილობა არის კიდევ მანგლისში, მუხაოთგვერდში. ჯანიაშვილების სალოცავი არის წმიდა სანება – სოდევებს მაღლაა. ეხლა იყო იმის დღეობა. გვრიტიშვილების სალოცავი არის წვერის ანგელოზი (უკანამხარში) დადიან ეგენი სალოცავად. სანება კიდევ მოთიაშვილების სალოცავია. ეს ორი გვარი ვრევთ ბავშვებს სანებაში. მოთიაშვილები და ჯანიაშვილები აქეთებენ ჩვენ ხატში მნათეობას. ფულს შეკრიბავენ და იმით იყიდან საკლავს და სასმელს. ადრე ჯანიაშვილები და მოთიაშვილები იყვნენ დეკანოზები. ახლა წავიდ-წამოვიდა ხალხი და ეხლა როგორც პატიოსანი კაცი აირჩია ხალხმა გვრიტიშვილები. სამი წელიწადი ავადობდა, თავს არ უდებდა, ვერ შეძლებდა. ეხლა კი კარგად არის.

სანდოველს ვიტყვით ხოლმე ჩვენს თავზე. ლაპარაკი სანდოველებისა და მთიულების ერთმანეთისაგან განსხვავდება. მთიულები აგრძელებენ. ჩვენი სანდოველების ლაპარაკი კი როგორც მისაქციელი და ნატახტარის ხალხი, იმათ ლაპარაკს უახლოვდება. იტყოდნენ „სანდოს თემიო“.

სანდოს სოფლები: 1. უნაგირის ხევი; 2. წინამხარი. 600-700 მეტრით არის ეს ორი სოფელი ერთმანეთს დაშორებული. უნაგირის ხევში მელიქიშვილებია. სალოცავია მთავარანგელოზი. ასე ამბობენ ამ ხატზე „სანდოს კარის გასაღები“. წინამხარშიც მელიქიშვილები არიან; 3. ვეშაგურები – ვეშაგურებიც ამ ხატის ყმანი არიან. ეს სოფელიც ამ ხატის დღეობაში მოსდის; 4 უკანამხარი – ნათობიშვილები,

ლაზებიაშვილები, ქურციკიშვილები. სალოცავია წვერის ანგელოზი; 5. დავითურები – დავითურები. ესენი თითქმის სულ ჩამოვიდნენ ვეშაგურთ სოფელში. ამათ სალოცავი (ეპლესია) წვერის ანგელოზია [დიღომში რომ ჯანიაშვილები არიან, გვეთვისებიან, თქვენები ვართო. იქ მივდევთ-მოვდევთ ერთმანეთს ჭირში და ლხინში]; 6. სოდევი – ჯანიაშვილები, მოთიაშვილები; 7. მეჯილაურთსოფელი – მოთიაშვილები და გვრიტიშვილები. აქედან არის ხალხი სულ წასული. რომ არ კმაროდა ადგილი გადადიოდნენ ბარში საცხოვრებლად. მეტი წილი ქალები ხანდოში უფრო ჭართლიდანაა გამოთხვილი. ლომისაში ყმად არ ვიყავით, მაგრამ ყოველთვის დავდიოდით.

ზესიძედ რომ იქნება, იმაზე იტყოდნენ, ეგ ამანათიაო, ამანათივით არისო.

### **მათე მოთიაშვილი, 71 წლის, სოფელი წითლიანი (ხანდოს ხევის პირდაპირ), 21. 05. 82**

მამაჩემი იტყოდა, მოთიაშვილები კახეთიდან ვართო. მანდ ადრე, სანამ ჩვენები მოვიდოდნენ ელის ქედზე ხევსურები მდგარან, მეჯილაურებიდან ერთ კილომეტრზე ნასახლარებია იქა. კახეთს ლეგები რომ ეცემოდნენ, მაშინ მოსულან მოთიაშვილების წინაპრები. იმას პქვიფნებია მათია.

კორათხევიდან ხატში სალოცავად მოდიოდა მოთიაშვილი ხაბილა. კორათხევი ქართლშია, დიღმის ხეობაში.

ანდრია იყო მოთიაშვილი, ბიძაშვილის ცოლს მიუხდა, მე მოვესწარი მაგ ამბავს. ამ ქალმა გასცა და სოფელმა ეს კაცი შვიდი წლით მოიკვეთა. ხარი დაუკლეს ამ ანდრიას. ხარი იყო, მუშა ხარი. სოფლის შუაში დაკლეს, სადაც ხალხი იკრიბებოდა, კალიანეოს ხევი ერქვა, პატარა მინდორი იყო. შეიყრებოდნენ და იქა წყდებოდა სოფლის საკითხი. სოფელმა დაიჭირა და დაკლეს ის ხარი და გაინაწილეს. ამ შემთხვევაში დეკანოზი დაკლავდა ხარს, და დაარისხებდა. ნაშუადდევს დაკლავდნენ ხარს. ის ქალი მოვიდოდა, ვისაც მიუხდებოდა ის კაცი. გაატყავებდნენ ხარს და სიპეტზე დააწყობდნენ ხორცს, და გაანაწილებდნენ ხორცს. ეკანოზი ხანჯლით დაკლავდა და ხალხი გაანაწილებდა. ეს

მნათე ანაწილებდა მერე ამ ხორცს. ორი მნათე იყო სოფელში, რიგით. ერთი მოთიაშვილი უნდა ყოფილიყო, მეორე – გვრიტიშვილი. ჩვენს ხატში დეკანოზი უფრო მოთიაშვილი უნდა ყოფილიყო. მეჯილაურებში დეკანოზი გვრიტიშვილის გვარისა არ მინახავს, არც გამიგია.

მეჯილაურებში არის ხატი წმინდა სანება. ამას მოთიაშვილები და ჯანიაშვილები ვლოცულობთ. გვაქვს კიდევ წმინდა გიორგი და კვირია, ადგილის დედა. კვირია კაციაო, წმინდა გიორგი კაციაო. შიგ სოფელშია კვირია. ყოვლაწმინდაც ჩვენთანაა. ყოვლაწმინდას მთელი ხანდო, 7-8 სოფელი ლოცულობდა. სადაც ადგილის დედაა, იქ 2-3 ნასახლარია. აქ ვითომ ხალხს უცხოვრიაო.

დეკანოზს ხალხი ირჩევდა, ჰპვიან კაცს. ხატი თვითონ მოითხოვდა და აუცილებლად უნდა დამდგარიყო დეკანოზდ. სიზმარს ხახავდა და ხატი ეტყოდა, რომ ის უნდა ყოფილიყო დეკანოზად. გვრიტიშვილს უთხრა სანებამ, მაგით სალოცავი არ არის, მაგრამ, შენ უნდა იყოო დეკანოზადო. ეხლა კარგად არის ეს კაცი, გვრიტიშვილი პავლე, და ის არის ისევ დეკანოზად. ახლოსა ცხოვრობს ის კაცი წმ. სანებასთან, ალბათ აწყენინა და იმიტომ... ეს კაცი ვირსა და ხარს ერთად აბამდა ხვის დროს. გაუჭირდა ხარი აღარა ყავდა და ალბათ იმიტომ. ორი წელი ავადობდა და, რაც დეკანოზად დადგა, ქორფა ბატკანივით არის.

გვრიტიშვილების სალოცავია წვერის ანგელოზი.

ხანდოს ყველაწმინდა ნაციხევრებია. ძროხების სალოცავია, ძროხებს შაახვეწებენ.

ჯანიაშვილები და მოთიაშვილები ბიძაშვილები არიან. ორი ქმანი ყოფილან მათია და ჯანია.

ის მოთიაშვილი რომ მოიკვეთეს, ხორცი უმად მიქონდათ ხალხს სახლში, იქვე არ შეექცეოდნენ. მარჯვენა ბეჭი დეკანოზს მიქონდა. სცემეს ეს კაცი, გაატიტვლეს, ზამთარი იყო, ყინულზე ატრიალეს. ჯერ დეკანოზი მიარტყამდა და მერე სხვა ხალხი, სულ 30 კომლი იყო. 7 წელი იყო ხანდოში და მერე ეს კაცი ბარში წავიდა.

პირიმზეში იანვარში გამოდიან დასტურები და წყალში ბანაობენ. ქალებს მაკვეთაზე არ ასწრებდნენ. სოფლიდან

არ გააგდებდნენ. უძრახად რჩებოდა 7 წელიწადში სოფელში. არც ხატში დაუძახებდნენ და არც არსად. ხარის ტყავს სოფელი გაინაწილებდა საქალამნედ. ხარი, როცა ხატში დაიკვლებოდა, ტყავი დეკანოზს მიჰქონდა.

ერთი კაცი მოკვეთეს ხანდოში, გვარად გვრიტიშვილი. ყანა მომკა თავისი და მმისშვილს დააბრალა. ეს ბერი გვრიტიშვილი ავი კაცი იყო, ნაჩეუბარი იყო. ყანა გათიბა დამით თავად და დააბრალა მმისშვილს. მერე ერთი დედა-კაცი მოვიდა და სოფელს უთხრა, ხალხო, მე დავინახე მაგ ბალდმა კი არ მოთიბა, არამედ მაგ კაცმა, ბალდს რატომ იყავებთ, თვითონ მაგ კაცმა მოთიბაო. მერე დაუჯერეს იმ დედაკაცს. ადგნენ, გამოუყვანა სოფელმა ხარი და 7 წელი მოიკვეთეს. ის კაცი ბერი იყო.

ხატი უფრო ჭარელს იხდენდა თუ მერე კიდევ დააშავებდნენ, გაასახლებდნენ. მერე ეს კაცი წავიდა ბარში. კაცის მოკვლაზედაც იცოდნენ, თურმე ხარით მოკვეთა. მე კი ამას არ მოგსწერებივარ. ქურდობაზეც იყო, თურმე ხარით მოკვეთა.

7 წლის შემდეგ შაირიგებდნენ, ხატში დაუძახებდნენ, ცხვარს ან ბატკანს მიიყვანდა ეს კაცი.

გვრიტიშვილები იკოთიდან ეხლაც მოდიან წვერის ანგლოზში.

მისაქციელში არიან აქედან წასულები მნათობიშვილები. არიან კასაშიც, მნათობავად იწერებიან იქა. თავად ჩემი ბებია მნათობიშვილი იყო და იმის მმები ბერიძე წერიან, მისაქციელში არიან წასული. ეხლაც მოდიან ჩვენ ხატში.

ხანდოში იყო ჯუხარანთ კარის სოფელი, 7 კომი და ერთი კომიდაც. წავიდ-წამოვიდნენ. აბრამა ასპინძაშია, ერთი ჭართალშია. დავითური ჯუხარანთკარიდან ერთიც ჭართალში წავიდა. ჯუხარაშვილები ლაფანაანთკარშიც არიან აქედან ნელად წასულები.

ხანდოს წინ-ციხეში ეხლაც არიან ორი-სამი კომლი ზურაბაშვილი (1774 წელს იყვნენ ზურაბიძეები ორი კომლი). ეგენი ფშავიდან ყოფილან მოსული. ეხლა წინამხარს ვეძანო, მაშინ, რომ ალბათ წინ-ციხეს ეძახდნენ.

აქვე ცხოვრობენ მელიქიშვილები. მელიანთას ეძახოდნენ, ეხლა ჯანიაშვილებად ეწერებიან. ახალაურებსაც მოვესწარი, გვრიტიშვილები იყვნენ ეგენი. ალექსის ეძახოდნენ გვრიტიშვილს ახალაურს.

მეჯილაურთკარი რომაა 1774 წ. ჯირაურთკარი იყო. გივიანები იყვნენ, ეხლა მოთიაშვილებად იწერებიან. ესენი ნელად მოსულან. ფსიტიანები არიან მოთიაშვილები. ოჯახის კომობაა.

აბეშიკად ყოფილა ვეშაგური მიხა. ხადელებს ჩაუგდიათ მისთვის სამანი და ვერც წავიდა მაგათ საქმე კარგად – გაწყდნენ. სამანს ჩაუგდებდნენ და დაარისხებდნენ. თუ თანახმანი ვიქნებოდით, მაშინ შეიძლებოდა სამანის ამოღება. დეკანოზების დაუკითხავად ვერ ამოიღებდნენ სამანს. დაარისხებდა დეკანოზი. ყველაწმინდა რომ არის საერთო ხატი ხანდოსი, ბარში სადღაც ვენახი ჰქონია. მეჯილაურთას ყველაწმინდაში სამი დიდი ქვევრი იყო და კულუხს (დვინოს) მოიგანდნენ ბარიდან და 7 სოფლის ყველა ოჯხიდან მოდიოდა ხალხი და სვამდნენ. ყველაწმინდაში დეკანოზები მოთიაშვილები იყვნენ. ჩვენები იქვე ცხოვრობდნენ. ხანდო თემია. სათემო ხატი იყო ყველაწმინდა. ვეშაგურებში ყოფილი სამდვდელოება. ყოვლაწმინდაში მდვდელიც კი მოდიოდა. დეკანოზი კლავდა საკლავს. ღვდელი ხატშიც შედიოდა. ყველა თავის ხატში გაიყვანდა ბალლს, ჯერ შენს ხატში, მერე ახორბას, შემდეგ ლომისობას.

მთიულურად ფასანაურის ზემოთ ლაპარაკობენ. ჩვენ, ჭართალი, ჯუღისი და ხანდო ერთნაირად ვლაპარაკობთ. წიფორის წმ. გიორგის ნიშია კასპში. აქედან ჯვარი მოუპარავთ აქედან წასულ ხალხს.

ଶ୍ରୀରାମକୃତ

ქოლა ოქრუას მე ჯიქური, 52 წლის, სოფ. წითლიანთკარი  
(მთხოვბელი ჭართლიდანაა გადმოსახლებული), 22. 05. 82  
ჯიქურები ჭართალში ვართ, სოფ. ზენუბანში.

ზენუბანში არის სალოცავები. წმ. სანება, დელფინის  
წმინდა გიორგი, ლომიშობელი, ადგილის დედა, ლაშარის  
ჯვარი, კვირაცხოველი. ყველაზე ძლიერი, ძირითადი სალო-  
ცავი ჩვენი გვარისათვის დედადთიშობელია. ეს ეკლესია ხა-  
ტია. წმ. სანება ეკლესია ხატია. დელფინის წმინდა გიორგი  
ეპლესია – თითქმის დანგრეულია. დელფინი მთის სახე-  
ლია. ადგილის დედა ნიშია. ნასახლარებია ძველი. ციხე  
არის აქ სოფელში, სადაც ადგილის დედაა. ლაშარის ჯვა-  
რი ნიშია – ქვები აწყვია და ჯვარი აქვს ზევიდან.

დეკოსმობლის ყმანი ვიყავით შემდეგი სოფლის  
მცხოვრები: მუგუდა, ბუჩანთკარი, ჭალისსოფელი, ჩიტაუ-  
რები, ზენუბანი, სონდა. ეს სოფლები ერთმანეთში ქალს  
ვერ გავათხოვებდით. ეს სოფლები ზენუბანში სალოცავად  
მოდიან კიდევ წმ. სანებასა და კვირაცხოვლობას.

მუგუდაში მოსახლეობები ციხელაშვილები და ქოტო-  
რაშვილები; ბუჩანთკარში – ციხელაშვილები, კოტორაშვი-  
ლები და ხარებაშვილები; ჭალისსოფელში ძირითადი გვა-  
რია გიგაური, ლალიაშვილი, გუდაშვილი; ჩიტაურებში –  
ჩიტაურები, ბულალაური, ჭიკაიძე; ზენუბანში – ჯიქური და  
გოგიშვილი; სონდაში – ხუციანიძე და გოგიშვილი.

დეკანოზი ჭართლის მთავარ სალოცავში–დედა–დეკო-  
შობელში გოგიშვილები იყენებ.

ჯიქურები მისაქციელშიც არიან, კასპშიც. ჩვენ ხატში  
მოდიოდნენ ჯიქურაულები არაგვისპირიდან და არღუნიდან.

უფრო იძანიან წინათ, რომ ჩვენ და 5 სოფლის ხალხი  
გიგაურები ვყოფილვართ.

ჩვენი ხატის ყმანი არიან ბიჩინგაურთკარში, ქადაგიძე-  
ები. იქ ხატს მამული და ვენახი ჰქონია. თურმე იქ დაწურა-  
ვდნენ და მოიტანდნენ ჭართალში დგინდს. არაგვისპირში  
ქადაგიძეები ამჟმავებდნენ ჩვენი ხატის ვენახს. ეხლაც არი-  
ან ლენინგორის მხარეზე ჯიქურები და სახატედ დვინო იქი-  
დანაც მოპქონდათ.

ჭართალში ძველად სალოცავად ქვევიდან ბევრი ხალ-  
ხი მოდიოდა. ადრე აქედან ყოფილიყვნენ წასული. მისაქცი-  
ელიდან მოდიოდნენ, კასპიდან, შირაქიდან. გვარები არ მი-  
კითხავს.

ქადაგიძები გადასახლებულნი რომ იყვნენ არაგვისპი-  
რში, მერე შეწირეს ვენახები ჭართლის წმინდა გიორგის,  
რომ კულუხი მიეტანათ ხატში.

ჩვენში, ჩვენს სოფელ ზენუბანში, ხატს ჰქონდა მამუ-  
ლი. ვინც შევიდოდა და მოხნავდა, დღეობაში ერთ საკლავს  
მიიტანდა და არაყი უნდა გამოეხადა 1-2-3 ოუნგი. ამდენი  
ოუნგი არაყი ჰქონდა წელიწადში ხატის მამულის მამხვ-  
ნელს შეწირული. ეგრევე იყო სათიბი და ხატის მთა ცალკე  
იყო გამოყოფილი. ვინც იმ სათიბში შევიდოდა, ხატობის  
დროს იმას უნდა მიეტანა პურ-მარილი, სასმელ-საკვები.  
ჯერ იმის პურ-მარილი უნდა ყოფილიყო და მერე სოფელი  
მიიტანდა.

ჩვენს ხატს, ზენუბის ღვთიშობელს, ალევში (ქსნის  
ხეობა) ჰქონდა მამულები. ჩვენი გვარები არიან იქა, ჯიქუ-  
რები ცხოვრობენ. იქიდან იმათაც ჰქონდათ ხატისათვის მა-  
მულები გამოწერილი. ვენახები იყო და იქიდან ჯიქურებს  
მოჰქონდათ კულუხი. შაწერილი ჰქონდათ სოფლისაგან, რა-  
მდენი უნდა მიეტანათ. სუ კი იქ არ წამოიღებდნენ.

საახალწლოდ ვიცით შობა, დეკემბრის 25-ში შობიდან  
დაწყებული ახლწლამდე დედალვთიშობელში სულ ქეიფობა  
მიდიოდა. ახალი წელი რომ უნდა დამდგარიყო 5 სოფლი-  
დან განძი გადიოდა (განძი=ერთი ჯინი ლავაში, 5 საკლავი  
(ყოჩი) და 200 ლიტრა არაყი. თან ქადა. ჯინის სიგრძე 2  
მეტრი, სიგანე 1 მეტრი, სიმაღლე – 60 სმ.). ორი ჯინი  
ლავაში იყო განძი. იმაში სოფლური ლავაში რაც ჩაეტეოდა,  
სავსე უნდა ყოფილიყო. ჯინი თხილის წელისაგან იყო და-  
წნული. ერთი განძი გადიოდა ორი მეტრურისაგან, თუ კა-  
რგი მაცხოვრებლები იყვნენ. მაგათ შაახვედრებდა დეკანო-  
ზი, რომ თქვენ უნდა გადაიხადოთ ახალ წელს ეს განძიო: 5 საკლავი (ყოჩი) და 200 ლიტრა არაყი. თან ქადა. კეცები  
ვიცოდით დიდი. იმ კეცებში უნდა გამოეცხოთ დიდი ქადა  
და ხმიადი. ხატში რომ მივიდოდნენ, ის ქადა უნდა გადასე-  
რილიყო. საკლავები რომ დაიხოცებოდა, ერთი ყოჩი

დაიკვლებოდა იმ ოჯახში, საიდანაც განდი გამოდიოდა. ოთხი ყოჩი დედაღვთოშობელში უნდა მიეყვანათ. იქ უნდა დაეკლა ის ოთხი ყოჩი. ხატში ერთი დიდი ქვა იყო და ერთი უდელი იყო ხეზე ჩამოკიდებული. ცალ მხარეზე ხორცი ეკიდა, ცალ მხარეზე ქვა. ოთხი ყოჩის ხორცს უნდა აეწონა, დაეჯაბნა ეს ქვა. მაშინ კარგი იყო. ამ განძს თუ ორი მეტომური ვერ გადაიხდიდა, მაშინ დეკანოზი მესამე კაცს მიუყენებდა და სამ კომლს უნდა გაეკეთებინა ეს განძი. თუ სამი კაცი ვერ შეძლებდა განძის გადახდას, მაშინ დეკანოზი მეოთხე კაცსაც დაუმატებდა. ოთხ თჯახზე (კაცზე) მეტი კი არ შეიძლებოდა.

ახალი წლის წინ, ეს განძი ოომ გამოვიდოდა. შემდეგ: ზენუბნის ბოლოში არის სასაფლაოები. სასაფლაოებიდან ხატამდე არის 500 მეტრი. ხატიდან ხალხს ახალი წელს გარეპავდნენ, სანამ ახალი წელი დაიწყებოდა, ჯიელებს, შინაურებსა და სტუმრებს, სასაფლაოსთან დააყენებდნენ ხალხს. ხე იყო ჩაცემული მიწაზე და დაადებინებდნენ ფეხს. დეკანოზი დაადებდა ხელს უცოლო ბიჭებს, აქედან უნდა გაიქცეოთ და ვინც წინ მივიღოდა გამარჯვებული ის იყო. გააქცევდნენ ერთ 20-30 კაცს, 2-2-ს. მემრე დაიშლებოდა ხალხი, ხატში გავიდოდნენ და დაიწყებოდა ქეიფი, მიდი და მიდი. მეორე დღეს კიდევ დეკანოზი ახლა სხვას გადახცემდა განძს, მოყოლებით ძევლებმა ხომ მოიხადეს ვალი. განძი ჯერ ერთ სოფელში მოთავდებოდა, მერე გადადიოდა მეორეში, შემდეგ – მესამეში და ა.შ. ხუთი სოფელი უნდა მოევლო. ერთ ოჯახს შეიძლებოდა 20 წელში ერთხელ მორგებოდა განძი.

ზემოთ დასახელებული სოფელების გარდა, ჭართალში შედის: დილსქედი, ვაშლობი, ჯუდისი, საქურე...

### **სოფიო დავითის ასული ჩოხელი-ბუჩუკური, 80 წლის სოფ. ქიმბარიანი (მიერთებულია სოფ. ქვეშეთთან), 26. 05. 82**

გამოთხოვილი ვარ დოლასქედიდან. დოლასქედი ჭართალში შედის. ჩემ ბალლობას დოლასქედში ჩოხელები ექვსი (6) კომლი ვიყავით. ჩვენი გვარი დოლისქედში გუდამაყრის სოფელ ჩოხიდან გადმოსახლდა. ეე, რა ვიცი, იმას ვერ მოვესწარი, ვინც გადმოსახლებულა. ის მასხოვს, მე,

რომ მივდიოდით ხატშია, ჩემ მამა-ბიძას პატივს ცემდნენ  
ისინი.

დოლასქედში ბევრი გვარი იყო ბურუკურები, აფციაუ-  
რები, გიგაურები. უფრო აფციაურები ჭარბობდნენ, იმიტომ  
რომ ბევრი კომები იყვნენ. დოლასქედში ერთი კომობა ვი-  
ყავით ხოხელები.

ჩოხის წმინდა გიორგში დავდიოდით მარიანობას, გიო-  
რგობას, ამაღლებას. ზოგს მიყავდა კურატი, ზოგს ჭედი-  
ლაი. იმასთან ერთად, ქადა, პური, სასმელი, საჭმელი. ისე  
იყო წინათ, რომ ზოგი შვიდი (7) წლის კურატს კლავდა.  
რასაც ხალხი, მლოცავი შესჭამდა, შესჭამდა და რაც არა  
სოფელის იყო, იქა და იმ ხალხს დაურიგებდა. სახლში არ  
წაიღებდნენ დარჩენილ ხორცს უკან, ხატი დაამიზეზებდა  
ისევა.

დოლასქედში გვქონდა სალოცავები ამაღლება, წმინდა  
გიორგი, პეტრე-პავლობაც ვიცოდით; რა ხატი იყო იმის სა-  
ხელი აღარ მახსოვს.

ამაღლება ნიშივით იყო. ორი დიდი წიფელი იდგა იქ.  
იმასთან იყო ნიში გაეკეთებული. დიდი მეიდანია, მინდორი.  
ქვისა იყო აგებული. იმას ერდოები ჰქონდა და სანთლებს  
იმაში ვანთებდით. ამაღლებას დეკანოზი არ ჰყავდა. საკ-  
ლავს კლავდა ორი კაცი – მნათე. ისინი მოხარშავდნენ იმ  
ხორცსა. ცალკე კაცები დასხედებოდნენ, ცალკე ქალები და  
მიიტანდნენ ქადებს. ქადებს დასტურებს მიუტანდნენ, ისინი  
დასჭრიდნენ და დაურიგებდნენ ქადებსაც და ხორცსაც.  
არაყსაც ის ორი კაცი [დასტური] გამოხდიდა. თუ ხატის  
მამულს ვინმე ხნავდა, ისიც მოიტანდა და არაყს, კულუხს  
ვეძახდით. მნათეს თავისი ხორბლისაგან უნდა გამოეხადა  
არაყი. სოფელის კაცები დასტურებად რიგრიგობდნენ. ახ-  
ლაც ვიცით, ახლა კვირაცხოველში ვრიგობთ. საკლავზე კი  
აქ ფულის მოკრეფა იციან.

ორი სოფელია ჩეკენში, ორივეს დოლასქედი ჰქვია. ერ-  
თი დაბლა, მეორე – მაღლა. წმინდა გიორგი ზევით, დოლა-  
სქედში იყო. აქ მინდორზე იდგა ერთი რკინა, როგორც  
მარგილი და იმაზე ჯაჭვით იყო მიბმული ირმის რქები, და  
ირმის რქებზე ანთებდნენ სანთლებს. ახლოვე იყო ეკლესია.  
ეკლესიაც წმ. გიორგისაა. სასაფლაოები ჰქონდათ სოფელს

წმინდა გიორგიში. ყველა გვარს სასაკლაოზე თავისი მონაკვეთი ჰქონდა. არც წმინდა გიორგის ჰყავდა დეკანოზი. აქაც მნათები იყვნენ. დეკანოზები არ გვყავდა იმიტომ, რომ ისეთი ძლიერი ხატები არ იყო.

ჩოხში კიდევ დეკანოზები 2-3 თვის განმავლობაში ცოლთან არ დაწვებოდნენ.

ესე თქვის ჩემმა მამამა, რომ ლეკი გამოგვესიათ ჩვენაო და ავიყარენითო და ისე დავიმალენით, სადაც უძრანი აღილი, ტყე იყოო. მერე ერთი ნაცნობი, ვიღაც ყოფილიყო, მეზობელს და იმას ეთქვა, რომ ლეკების ჯარს ცეცხლი უნდა წაეკიდებინა და იმას უთქვია: თქვენ წადით და მე მოუკიდებო და მატყლისათვის ისე მოუკიდებია, რომ სხვას არაფერს მოკიდებიყო. ერთი სახლი გადარჩენილიყო და ყველა იქ ჩამოსულიყო.

დოლასქედში განძობა არ იცოდნენ. ჭართალში იცოდნენ განძობა. ერთი ოთხი ჭედილა უნდა დაეკლათ.

ჩოხელებს ბავშვი უნდა გაგვერია ჩოხსა. ჩვენ სოფლის ხატებში არ ვიცოდით ბავშვის გარევა. ბატარძალსაც ჩოხში გავრევდით პირველად.

დოლასქედის ახლოს იყო ჯუდისი, ვაშლობი, მომიჯნები ვიყავით ხორხის. ერთი საათიც არ მოუნდებოდა კაცის დოლასქედიდან ხორხში გადასვლას. მენერო ჭართლის ქვევითაც არის და ხორხშიც.

ხორხლები გადმოდიოდნენ ჩვენს გზაზე, ხატში წავიდონენ, ფასანაურისკენ. ხატში რომ საქონელს ავლალავდით, ისინიც ამოლალავდნენ საქონელს მთაზე. დოლასქედის ახლოს პავლეურია კიდევ.

ვაშლობს, დოლასქედსა და ჯუდისს საერთო სალოცავი არ ჰქონდათ. მიზეზის მიცემით კი მოვიდოდა ვინმე აქედან ჩვენს სალოცავში.

ქვეშეთში კვირაცხოველი სოფლის თავზეა, ციხე რომაა იმის უკან ნიშია ქვის ჯვარი აქვს ოსტატისაგან მშვენივარად გაკეთებული, მასხოვეს მაგის გაკეთება. კიბე-კიბე ქვა არის და ზედ აღგას ჯვარი. ვინც გათალა, იმას შაუწირავს ეგ ჯვარი, მლეთედან იყო, გვარად ბურდული. იქამდე ქვის ჯვარი არ ედგა ზეიდან. ა, უგრე იყო უბრალო კედელი, ნიში. ის კაცი მლეთელი იყო, გადმოსახლდა ჩვენთან და

შესწირა ხატს, რომ სოფელში კარგად ყოფილიყო და ჭირ-შიც და ლინბშიც მისულიყო.

ბუჩქურებმა ბალდის და ბატარძლის გარევა ადრე ვიცოდით ქაშვეთობას, გვიდაქეში. აქიური ხალხი თურმე გადიოდა სალოცავად ყველაწმინდაში, სონჩო-ჟოჟონის ხე-ობაზე.

აქიური ხალხი გვიდაქედან არის გადმოსახლებული. ქიმბარიანში ადრე არავინ მდგარა. ერთი კაცი გადმოსულა გვიდაქედან და იმის შთამომაცლები ვართ. გვიდაქეში ხატში მივდივართ სალოცავად. ჯერ აღდგომა, მერე კვირიძლობა და მეორე შაბათ-კვირას ქაშვეთობა. შაბათს დამის- ოევა იქვის.

„ქურციკიანთ“ გვეძახიან ჩვენ. არიან კიდევ „ადამიანი“, „საჩიანი“, „ნინიანი“, „ოთარიანი“, „მიხელიანი“, „ანდრიანი“, „მოსიანი“, „ხიზანიანი“. ვინმე ყოლიათ და იმის სახელზე ქვიან კომი სახელი. ეხლა ჩვენ ქურციკიანთ აღარ გვეძახიან. ჩემს შვილს შალიკო ჰქვინ და „შალიკიანთას“ გვეძახიან. არიან კიდევ „გამიხარდიანი“.

ხილი ეხლა ჩავრგეთ, წინათ ხო არ იყო.

სონჩოში ნარიმანიძეები არიან და იტყვიანკე, რომ გადაკეთებული გვარი აქვთ. ნარიმანიძეები ბევრებია და გა-ნა გადაკეთებული გვარები აქვთ სუყველას.

შირაქში ადრე ხომ ხალხი არ იყო დასახლებული. ჩემ ბიძას ყავდა იქ ცხვარი (100-150 სული). ზაფხულში მოლა-ლავდა ცხვარს დოლასქედში. დოლასქედში ცხვრის საძო-ვარი ბევრი იყო. სოფელი არ უშვებდა. ჩემ ბიძას ერთხელ შირაქში მოეხნა, იქ კაი მოსავალი მოდისო და წავიდეთო გადავსახლდეთო. მერე თქვა: იქ, ქვემდრომი იცისო და ქალებს შეეშინდათ, ადარ გაყვნენ, დაგვიხვრიტავს ბავშ-ვებსო და მერე წაგიდა ჩემი ბიძა და გაყიდა ის ადგილი (ნახნავი).

მე აქ ვიყავ გამოთხოვილი, როცა შირაქში ხალხი გა-დასახლდა (როცა ხალხის გადასახლება დაიწყო), ვიქნე-ბოდი მაშინ 25 წლისა.

ისე გაიკრიფა ეხლა აქედან ხალხი, ახალგაზრდობა, რომ ერთმანეთს შევჩივით, რა ვქნათ, ვინდა დაგვმარხავსო.

**ნინო ქავთარაძე-ჩიტაური, 57 წლის, სოფ. ჭალისოფელი  
(ჭართალი), 8. 06. 82**

ჭართალში შედის: **ჯუდისი** (არაგვის გაღმაა), **დოლა-სქედი** (არაგვის გაღმა), **ვაშლობი** (ესეც გაღმაა, ვაშლობის ხევზე), **საქერე** (ესეც გაღმაა).

გამოღმა ჭართალში შედის შემდეგი სოფლები: სონდა, ზენუბანი, ჩიტაურები, მუგუდა, ჭალისოფელი.

გამოთხოვილი ვარ დოლასაქედიდან. ჩემს ბალდობაში დოლასქედში ცხოვრობდნენ: ქავთარაძე (5-6 კომლი), წიგ-ლაური (7-8 კომლი).

მე რომ გავთხოვდი ზევით, ჩიტაურებში ვიყავით და იმის შემდეგ ჩამოვსახლდით აქა. ჩიტაურებში სულ ჩიტაურის გვარის ხალხი იყო. მარტო იყო 2 კომი ჭიკაიძე და ერთი კომი ბულალაური. ჩიტაური 15 კომამდე იქნებოდა. ზოგები ისევ იქ ცხოვრობენ, ზოგები აქ დაბლა ჩამოვსახლდით. ერთი სახლი გვქონდა, ერთ სახლში ხომ არ ვიქნებოდით 3 ქმარ-მაზლები.

ჩიტაურების ადგილებში ადრე ქსნელები ყოფილან. მე-რე აქ სამი მმანი ყოფილან. ერთ მმას გოგიაი ჰქვივნებია, მეორეს – გიგა და მესამეს ჩიტაი. პოდა, ამათი სახელების გვარებზე არიან დარჩენილი სოფლები. ჩვენი სოფელი ხომ ჩიტაურებია, იმის სახელი გვარად დარჩენილა. გოგიშვილები არიან გოგის შვილები. ესენი ზენუბანში დასახლდნენ. ეხლაც იქ ცხოვრობენ, ზოგები კი აქ ჩამოსახლდნენ. გიგაი საერთოდ დარჩენილა ძირითადად იმის გვარი. თითქოს ამ სამს ებარა ძირითადი გვარი გიგაური ჰქონდათ. ძირად გიგაურები ვართ. ეხლა ისე კომლად არიან გოგიშვილები, გიგაურები და ჩიტაურები. გიგაურებიც ზენუბანში დასახლებულან.

არ შეიძლება ამ გვარებმა ერთმანეთში ქალი გაათხოვოს. ერთი გვარისანი ვართ. ბოლო დროს კი მოხდა ერთი შემთხვევა. იმასაც გმობდნენ მეზობელი სოფლებიც და ჩვენცა. ჩიტაური გათხოვდა გიგაურზე.

ჩიტაურებში გვაქვს დედაღვთიშობელი, ბერის წმინდა სანება, წვერის მთავარი ანგელოზი, კვირაცხოველი, ლომისა. მთავარი სალოცავი დედაღვთიშობელი და კვირაცხო-

ველია. კვირაცხოველში რევენ ბავშვებს და რძალს. საკლავს მიაყოლებენ, ხბოს ან ბატქანს. ქალებსაც რევდნენ ხატში, მაგრამ საკლავს არ მიაყოლებდნენ. ეს იცოდნენ მხოლოდ ბიჭზე. თუ საკლავს დაკლავდნენ, იმ საკლავის სისხლით შუბლზე დეკანოზი ჯვარს გაუკეთებდა. ამ სალოცავებს მეზობელი სოფლებიც გოგიშვილები და გიგაურებიც ლოცულობდნენ. ამ სამივე გვარიდან შეიძლებოდა დეკანოზი დამდგარიყო.

ჩიტაური სვიმონა ხევსურეთის ფუძის ანგელოზის დგვანოზი იყო. წავიდოდა და სამი დღე რჩებოდა იმ ხატში. სვიმონა ჩვენს ხატშიც დეკანოზობდა. სვიმონა, როცა იყო დეკანოზი, ხატს სხვა დეკანოზი არ ყავდა. ხუთივე სალოცავს ერთი დეკანოზი ყავდა. თუ უფროსი დეკანოზი არ იქნებოდა, მერე მეორე დეკანოზი იყო გოგიშვილი მათეა.

მნათელებს ეძახოდნენ. ერთ წელში ორი კომი უნდა იყოს. ამათ უნდა მოამზადონ სასმელი (არაყი), ერთი სული ყოჩი (ან ხბო), ლავაში და ქადები. ღვთიშობელს მამულები პქონიყო და ვენახიც პქონიყო ქსანზე. იქიდან ღვინოც მოქონდათ. ქართალში ღვთიშობლის მამულს ვინც მოხნავდა, საკლავი უნდა დაეკლა და თუ არა – მწუხარება დაემართებოდა. ვისაც ეცოტავებოდა მამული, ისინი ამუშავებდნენ ხატის (ღვთიშობლის) მამულს. მოხნავდა და პურ-მარილს გადაუხდიდა ხატს და ხალხს.

დედადვთიშობელი ყოფილიყო გადახურული და ეხლა ის დაინგრა, მოედანია, ზარქბია, დროშებია... ლაშარის სალოცავი არის ჩიტაურებში, სოფლის თავშია. ნიშია უბრალოდ; ფშავები რომ არის ძალიან შორსაა. იქ ერთხელ ვიყავი და მამა-პაპათ ქვაი ჩამოუტანიათ იქაური და აქ ნიში (პატარა) გაუკეთებიათ, რადგან მაშინ ძალიან ძნელი იყო ფშავები, ლაშარში სიარული. ის ხატი ეპუთვნოდათ ამათ. ლაშარში ესე სამი გვარი ლოცულობდა აქა. ჩვენ ბავშვი არა გვყავდა და იმის გულისათვის წავედით. ჩემი სურვილით წავედი, რახან დადიოდნენ ჩემი ქმრის გვარები. აქედან ღუდაში წასული არავინ გაუგონია, ოლონდ ღუდის შესახებ ჭორად ვიციო, რომ იქ ქალიშვილი ქალი მისულა და უნატრია, რომ ნეტა მეც ბავშვი მომეცაო, უხუმრია და ქვები ჩაუწყვია კალთაში და მერე ქვა ბავშვად ქცეულა. მერე

ვისაც რომ შვილი არ ყავთ, იქაც მიდიან და ლოცულობენ. ეგ მთიულეთშია, ეგ ხატები დიდი ლომისას ზევით. ბერის წმინდა სანება მთის ძირშია, დანგრეული რამეა, დიდი ქვებია, ქვევრებიცაა.

წვერის მთავარანგელოზი სულ მთის წვერზე ნიშია. კვირაცხოველი დაბლა, სოფელთან ახლოს. ეგრეა ნაგებობა, დანგრეულია. ლომისა სოფლის თავაა, ისიც უბრალო ნაგებობაა. ეტყობა, გადახურული იქნებოდა და დანგრეულა.

**ჯუდისში** მოსახლეობენ: ბურდულები, ქავთარაძეები, კედელაშვილები, აფციაურები. პირველი სამი გვარი მთიულეთიდანაა გამოსული, მესამე – გუდამაყრიდან.

**ვაშლობში** ცხოვრობენ ქავთარაძეები და კედელაშვილები (მთიულეთიდან).

**საქერეში** მოსახლეობენ ქავთარაძეები. დანარჩენი გგარები ვერ ვიცი.

**სონდაში:** ხუციანიძეები და გოგიშვილები.

**ზენუბანში:** გოგიშვილები, გიგაურები, ჯიქურები, ხერკელაძეები – ქალი დაბრუნდა ოსებიდან და იმის შთამომავლები არიან. არც ძალიან დიდი ხნის ამბავია.

**მუგუდაში:** ციხელაშვილები, ხარებაშვილები, გიგაურები.

**ჭალისოფლის** მკვიდრები არიან პაპიაშვილები, ლალიაშვილები და გუდაშვილები.

ფასანაურის ზემოთ სხვანაირი ლაპარაკია, ქვევით სხვანაირი ლაპარაკი გვაქვს. ხანდოც ჩვენნაირად ლაპარაკობს.

[ჭართალში, ჭალისოფლებში, სადაც ჩვენ მასალს ვწერთ ეზოში ვენახი აქვთ, ხილიც].

ჭართალში კვირაცხოველში მარტო მუგუდა არ გამოდიოდა. სამი სოფელი კი ჭალისოფლები, ზენუბანი და სონდა.

გუდაშვილები არიან აქ და ზოგებმა გვარი გამოიცვალეს და გიგაურობაზე გადავიდნენ.

დოლასქედში მთიულეთიდან ჩემი პაპა ნინია გადმოსახლებულა. ის ადგილი ძალიან მკაცრი ადგილია. დოლსქედში, სადაც დასახლებულა, ჩვენი ადგილი კი ძალიან

კარგი ადგილია. ნინიასთან ერთად გადმოსახლებულა მისი ძმა პავლე. დოლასქედელი ქავთარაძეები ბავშვს გავრცელით მთიულეთში, წოფორის წმინდა გიორგში. ოლისქედში მთაზეა, ხმალას ეძახიან. ეს ხმალა სამზღვარზეა ხორხისა, დიდ ქედზე. ემჩნევა, რომ კარგი გზა ყოფილა და ახლა გადაბორტებულია (=ე.ი. გზაზე ბალახი რომ ამოვა).

დოლისქედში გვაქვს ორი ნიში: მზის წვერის წმინდა გიორგი და ადგილის დედა. დოლასქედის მთავარ სალოცავს პეტრე-პავლობას ეძახიან. მზის წვერის წმინდა გიორგი ზაფხულში მოდის. ამადლებას რომ ეძახიან მაშინ დავდივართ ხმალაზე. აქედან ხმალაზე მარტო ჩვენი სოფელი, დოლისქედი, მიდიოდა და იქიდან ხორხი.

ფუძის ანგელოზში ხევსურეთში ჩვენც დავდიოდით სალოცავად ჩიტაურები. ჭართლიდან ყველა გვარის ხალხი მიდის იქა. ისეთი ხარები მიყავთ, კურატებს ეძახიან. უნდა შეუთქვას ჭედილა ან კურატი (წლისა ან სამი წლისა).

## ნიკო თედოს ძე პაპიაშვილი, 55 წლის, სოფ. ჭალისოფელი, 9. 06. 82

ჩვენი გვარის – პაპიაშვილების ძირითადი სოფელია ჭალისოფელი. ჩვენი ბავშვობის დროს 5-6 კომი ვიქწებოდით. მამა-პაპანი იტყოდნენ, ხევსურეთიდან მოვედით ჩვენა, ძორითადად ხევსურები ვართო. გუდანს ეძახიან, იქიდან ერთი კაცი წამოსულა, იმის შთამომავლობაზე მოდის ეს ხალხი. გერად წამოყოლია აქაურ ხარებაშვილებს. 5 თაობა იქნება, რაც გადმოსახლებულან. პირველად იქიდან რომ წამოსულან, მუგუდაში ყოფილა და ხარებაშვილად იწერებოდა და ჭალისოფელში რომ ჩამოვიდა, პაპიაშვილად დაეწერა.

ჩვენს წინაპარს გუდანიდან წამოუღია ხატი, მოუპარია და და ჭალისოფელშია ეგ ხატი – დედაღვთიშობელი. ეგ არის ჩვენი სალოცავი. სხვა სოფლებიც ლოცულობს მაგ ხატს ჭართლისა და ჩვენც. ძირითადი ეგ არის, მერე ეგ მაგის ნიშებიაო. ჭალისოფელში ჰქვიათ წმინდა გიორგი. მარტო სასანთლეა. აქ არიან ჯიქურები, გიგაურები, გუდაშვილები, მამულაშვილები, ლალიაშვილები, ჩიტურები, გოგიშვილები. ამ გვარებიდან არც ერთი არ შეეძლო შეერთო ჩვენს გვარს, რადგან ერთი ხატის ყმანი იყვნენ, ეხლა ვინ

უყურებს. პაპიაშვილს შეეძლო ხუციანიძის შერთვა. შონდაში არიან ეგენი. მაგათ (ხუციანიძეების) ხატს წმინდა გიორგის ეძახიან. მეგუდის წინ, ქედზეა ეგ ხატი. სონდიდან გამოდიან.

განძობა ვიცოდით. განძობა ნიშნავდა: დედალვოშობლიდან წამაიყვანიან ჯვარი იყო, ხატი არაა. საცა პაპიანები იყვნენ, ისე ჩამოიარიან. იქ იყო ეკლესია. იმ ეკლესიასთან მივიდოდნენ, საკლავს დაკლავდნენ, მერე ავიდოდნენ მუგუდაში. იქაც პურ-მარილი იყო. მერე იქმდანა თითო კომლსა შეწერილი ჰქონდა, ორ-ოროლ ოჯახს, რომ განხი გეედო. იქ შააწერდნენ, რომელ სოფელშიც იქნებოდა. ლავაში უნდა გამოეცხოთ ბევრი, ჯინს ეძახიან, იმაში აწყობდნენ. მარხილზე დადებდნენ ჯინს. ზამთარში ვიცოდით და მიიტანდნენ ეკლესიასთან. მერე პაპიანებს დაგვიძახებდნენ: ხარები ჩამორეკეთო და დედალვოშობელში აიტანდნენ. იქ რომ მიიტანდნენ, საკლავი უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ ერთი ფუთი დუმა უნდა ქონიყო. ყოჩი უნდა ყოფილიყო. და ქვაზე წონიდნენ, ნაკლები არ უნდა მოსულიყო ის ხორცი.

ჭალისოფელში მოსახლეობები: გუდაშვილები (ეგეებიც ხევსურები არიან ძირად); ქოტორაშვილები (ეგეებიც გიგაურებად ითვლებიან, სულ ერთია); გიგაურები; მამულაშვილები (მოსულან ქსნიდან); ლალიაშვილები (ჩვენს სოფელში არიან, ნათელ-მირონობა გვაქს, თორემ მაგათი ქალი შეიძლება ერგებოდეს); პაპიაშვილები (ადრე ძირითადად გიგაურები ვართ და ეხლა გვარია გადაკეთებული).

**ზენუბანში:** ჯიქურები (ეგეებიც ღვთიშობლის ყმანი არიან); გოგიშვილები (ეგეებიც დედალვოშობლის ყმანი არიან, გიგაურები იყვნენ); ჩიტაურები (ეგეებიც გიგაურები იყვნენ).

**ბუჩქანთკარში** არიან კოტორაშვილები. აქვე არიან ხარებაშვილები (მუგუდიდან გადმოსული). კოტორიანიცა და ხარებაშვილებიც, ეგეებიც ხევსურეთიდან არიან წამოსული.

**მუგუდაში** წინათ იყვნენ ხარებაშვილები, კოტორაშვილები და ციხელაშვილები. ციხელაშვილებიც გიგაურების გვარში შედის.

დედალგოთიშობელსა ვენახი პქონია მუხრანში. იქიდან  
მოჰქონებიათ დვინო – რამდენი არ ვიცი. ის ხატის ვენახი  
იყო.

კულუხი ხალხსაც გაქონდა: შედიოდა ოთხი ბოჭელა  
(ერთი თუნგი) არაყი. ყველა კომლს უნდა მიეტანა ერთი  
თუნგი არაყი.

ჭართლის მთავარი სალოცავი არის დედალგოთიშობელი.  
აქ უნდა გაერიათ ბავშვი და პატარძალი.

აქედან ლომისაში კურატებითაც მიდიოდნენ. ძლიერი  
ხატი იყო და ფთილებს რომ დაუხვევდნენ, მიზეზი გამოვი-  
დაო და იმ ხატმა დაამიზეზაო. დააყენებდნენ სამი წლის  
კურატს და იქ წაიყვანდნენ და შეეხვეწებოდნენ.

აღრე ხევსურეთში დადიოდნენ ჩვენი წინაპრები სალო-  
ცავად გუდანის ჯვარში. ჩემს ხსოვნაში აღარავინ აღარ  
დადიოდა.

ლაშარი გვაქვს ჭალისოფელში. ეხლა არაფერია. ეგ  
ყოფილა სახლის გვერდზე და არ შეიძლებოდა იქ ქალი,  
დედაკაცი გარეულიყო, გახულიყო. ეხლა პატარა შემოღო-  
ბილია და ვითომ იქ არის ქვევრებიო და არავინ არ იცის,  
მართლა არის თუ არა. ეგ ხატი სხვაგნიდან იყო მოტანილი,  
იმიტომ დაუძახეს ლაშარის ნიში. ის ხალხი რომ წამოვიდა,  
იქიდან რომ გადმოსახლდნენ, თავისი სალოცავი წამოიდეს,  
მოიპარეს, სანთელს უნთებდნენ. დღეობა მოდი-ოდა და  
ფშავისკენ მიდიოდნენ. აქ მიდიოდნენ. საკლავს დაკლავდნენ  
ნიშთან, სანთელიც აანთიან. რაც ჩამოვთვალეთ, ყველა გვა-  
რები მიდიოდნენ, ვინც ძირად გიგაური იყო. ყველასა  
სწამდა ეგ ლაშარი. ჭართლის თითქის ყველა სოფელში  
არის ლაშარის ნიში. ჩიტაურებსაც აქვთ თავისთვის, ჩენ  
ჩვენთვის გვაქვს. ზენუბანშიც არის ლა-შარის ნიში.

გამიგია, რომ ჩვენი წინაპრები ხევსურეთიდან ყოფი-  
ლან (გიგაურების წინაპრები) გადმოსახლებული.

პაპიაშვილები აქედან ნელად წასულები არიან ასპინ-  
დაში და შირაქში.

იკოთში რომ გიგაურები არიან, ეგენი არიან ჩვენი დე-  
დალგოთშობლის ქმანი. დედალგოთშობელს იკოთშიც პქონი-  
ყო ვენახი. იკოთიდან გიგაურები კურეტებითაც კი მოდიო-  
დნენ ჩვენთან დედალგოთშობელში სალოცავად. სამი წლის

კურატი მოიყვანიან, დაკვლიან. ეხლაც მოდიან ნაწილი ხალხი. დიდი კენახი ჰქონდა, გარე გამიგია, და რამდენი, ზუსტად ვერ გეტყვი, შენი ჭირიმე, არ ვიცი.

ლალიანთ ხატს ვეძახით, წმინდა სახება – მაგასა ჰქონდა ხატის მამული. ვინც მოხავდა კულუხი უნდა გაუღლო იმისი (არაყი). მნათები არ ხნავდნენ მაგას. მაგალითად, ერთ წელს მე მოვხავდი, მეორე წელს, ვინც მოასწრებდა და ა.შ.

დედალგოთიშობლის ევნახი რომ იყო იკოთში, იქ ვიდაც გიგაურმა შესწირა იკოთში მაცხოვრებელმა.

ვინც ძირად გიგაური იყო, დედალგოთიშობელში ყველა გვარი შეიძლებოდა დეკანოზად, გარდა ლალიაშვილებისა და ხუციანიძებისა. ვერც სანთელს აანთებდნენ ისინი და ვერც საკლავს დაკლავდნენ. ადრე დედალგოთიშობელს ერთი დეპანოზი ყავდა. დასტური უნდა ყოფილიყო 2. მორიგეობით დგებოდნენ დასტურები. იცვლებოდნენ, როცა დედალგოთიშობელში დღეობა დამთავრდებოდა, მერე სხვას გადააბარებდნენ. ზევიდან, მუგუდიდან მოყვებოდა დასტურობა და როცა მეტრგებოდა, მაშინ იცოდნენ.

დედალგოთიშობელში დოდი იცოდნენ, ცხენებით არა. უცოლო ბიჭები ვინც იყვნენ, გარეკავდნენ ძალით. დასტურებს ძალით უნდა გაერეკა, ჯოხებით. თავისი ნებით არ მივიდოდნენ. ერთი კილომეტრის მანძილზე უნდა გამოერბინათ და ვინც გაიმარჯვებდა, იმას ეძახდნენ „უცოლო ქოთანას“, არაყს დაალევინებდნენ. შეიძლებოდა 60-80 უცოლო ახალგაზრდა ამოერჩივნათ. დეკანოზი დაავალებდა დასტურებს და დასტურები გარეკავდნენ. აუცილებელი იყო; თავიდანგვე ეგრე ყოფილა ძალით გარეკა. ზოგიერთი ახალგაზრდა იმალებოდა. მთელ ჯგუფს მთლიანად ერთად გამოაქცევდნენ. დასტურები ისევ უკან ჯოხებით, სირბილით მოსდევდნენ. იმათ უფლება ჰქონდათ კიდევაც დაერტყათ ახალგაზრდებისათვის. თუ არ დაემორჩილებოდნენ, დაარისხებდნენ, ვითომ ხატოან შაინუევლებოდნენ რა.

ჭართალში ცოლად უფრო ზევით ხალხს თხოულობდნენ, ჭვევიდან – არა. ანანურის მხარედანაც კი იშვიათი იყო. ჭართალი აღარც მთა ვართ, აღარც ბარი. იმას ვერ ვიტყვით, მთიული ვარო.

მამულაშვილებზე გიგაურობას ვერ ვიტყვით, მაგრამ მაგით ქალს ვერ შავეხებით, იმიტომ რომ ეგენიც ჭართლულები არიან და ნათელმირონობა გვაქვს, ისევე როგორც ლალიანებთან.

ჭართლის ხევს ისე ეძახიან და ჩვენი სოფელი ნალოთხევას ვეძახით.

**იორამ ალექსის ძე მამულაშვილი, 67 წლის, სოფ.**

**ჭალისოფელი, 10. 06. 82**

ჩვენებს ადრე, ძველისძველად აქ უცხოვრიათ. მერე რაღაც შარი მოხდენიათ. კაცი მოუკლავს. წინეთ ისეთი წესი ყოფილა, თუ მთას გადასცდებოდი, მერე მტერი უპავა აღარ გადმოგყებოდა იქით. მტერი რომ აღარ გამოგყებოდა, მთას იქით უნდა დასახლებულიყავი. ჩვენი, ვისაც კაცი შემოაკვდა (ძველი ამბავია), გადასულა და უცხოვრია ლენინგორის რაიონში ციხისსოფელია და ჭიჭიანთ უბანში უცხოვრიათ. საბატონო მიწაზე დამდგარა. ეს ჩვენი მხარე კი საბატონო არ ყოფილა და უცხოვრია რამდენიმე წლის მანძილზე იქ. ხეობის ბატონს შემოუთვლია, რომ, თუ უნდა რომ ჩემ ტერიტორიაზე იცხოვოს, მაშინ ჩემი ყმა უნდა იყოსო. მერე ჩემს წინაპარს უთქამს, რომ, არა, მაგის ყმა არ ვიქნებით. ჰოდა, არავის დაემორჩილა ეს კაცი და ადგა მერე და ოვითონ წამოვიდა ეს ბატონი თავისი ხალხით. ისე რომ ის კაცი ან უნდა გამააგდოს, ან ყმობაზე დაითანხმოს. ისეთ ადგილზე არის ნაციხევრები, რომ დაბლა ჭალა ჩანს იქიდან. რომ დაინახა იმ ჩვენმა კაცმა, რომ ბატონი მოდის, ჩემ გასასახლებლადო, ბანიანი სახლი ჰქონია, გავიდა ბანზე და ჩახმახიანი თოვით წამოუწვა და როცა მოახლოვნებ, ესროდა თოვი და მოარტყა ბატონს. გადმოვარდა და მოკლა კაცი. მისი მხლებლები კიდევ ადგნენ და უკან დაბრუნდნენ.

ჩვენმა წინაპარმა იფიქრა: მამიბრუნდებიან და დამიხოცავენ ცოლ-შვილს. წამოსულა ხარ-მარხილით, ქონებით, ისევ ცოლ-შვილით და ისევ აქათ გადმოსახლდა, მთის აქეთ. იქ ოსებში იცხოვრა ამ კაცმა რამდენიმე წლის მანძილზე და როცა აქათ გადმოვიდნენ, დაგვერქვა ოსობა. დღესაც კი ასე გვეძახიან, ვითონ მსები ვართ გაქართველებულები.

დასახლებულია აქ ტყეში. იმ ადგილს ეხლა ნაკაფს ვეძახით. ადგა და მერე იყიდა აქათი მზის მხარე ლალიაშვილებისაგან.

ეხლა ვართ შვიდი (7) კომლი. მაშინ ერთი კომლი ვეოფილვართ. ჩემ ბავშვობას ორი კომლი ვიყავით.

გვარის სალოცავი ჩვენ ცალკე არა გვაქვს. აქ ბევრი გვარებია. ამ ჩვენს უბანში ოთხი (4) გვარი ვართ (მამულა-შვილები, ლალიაშვილები, გუდაშვილები და შალვაშვილები). ხოლოთ აქ თავდაპირველად უცხოვრიათ ლალიაშვილებს. გუდაშვილები მოსულები არიან ხევსურეთიდან, გუდანიდან წამოსულები.

შალვაშვილები საიდან არიან მოსულები, არავინ არ იცის. ორი კომი იყო ჩემ ბავშობაში და ისევ ისე არიან.

ჩვენი მთავარი სალოცავი არის (ძირითადი და მთავარი გვარი აქ არის და ყოფილა გიგაური. ეს გვარები სუსტელა ლოცულობს დედალვოთიშობელს და ეს ჩვენებიც ეყმობიან ამით ხატს). ლალიაშვილებს კიდევ თავიანთი სალოცავი ყავთ წმინდა სანება.

ჩვენი გვარიდან დედალვოთიშობელში დეკანოზი არ იქნებოდა. დეკანოზი უნდა ყოფილიყო უფრო გოგიშვილი ან ჩიტაური.

ძველებისაგან ასეა დარჩენილი, ვითომ ჩვენი მამულა-შვილების წინაპარი ბარიდან წამოსულა. სამი მმა წამოსულა. ერთი ამ მხარეში მომხდარა და ორი მცხეთის რაიონში დარჩენილა სადმე. კახეთიდან წამოსულა ეს სამი მმა.

ნიში არის აქა ლაშარის, ხოლო ძირითადად ჩვენი წინაპრები სულ დადგენილან ფშავში. შუაფხო როა იქითკენ. მამაჩემი დადიოდა. ბავშვის გარევა ლაშარში არ ვიციო. ბავშვის გარევა აქ ვიციო, კვირაცხოველს ვეძახით – ჩიტაურებშია ეგ ხატი. დედალვოთიშობელში არ ვიციო ბავშვის გარევა.

ერთი კომლია მამულა-შვილი აქედან მუხრანში წასული.

ლაშარში დედანილან ჩვენი მამულა-შვილები, გოგი-შვილები, გუდაშვილები. ჩიტაურები კი. ჯიქურები კი არ გამიგია.

ჭართლაში ქალები ძირითადად მთიულეულის და გუდამაყრის ხეობიდან მოყავდათ. აქ არ შეიძლებოდა ჭართალში ქალის ერთმანეთში გათხოვება და ქვრივის გათხოვებაც ასევე იყო. ბარიდან ქალი აქ არ ამოვიდოდა. აქედან კი თხოვდებოდა ბარში ქალი.

ჩვენს წინაპარს კაცი რომ შემოაკვდა, და ქსნისაკენ გადავიდა, მაშინ ეს გვარები ახლა აქ რომ არიან, გიგაურები და ძირად გიგაურები ჭართალში არ ყოფილან. მარტო ლალიაშვილები ყოფილან აქა.

საცა ეხლა მე ცცხოვრობ, ამ ადგილს ხუციანთ კარს ეძახიან. ვითომ აქედან ყოფილან ხუციანიძეები სონდაში გადასულები.

მამაჩემის პაპის ძმები ისევ იქ, ქსანზე წაუდიათ დასამარხად. დიდი ოოვლი ყოფილა იმ ღროს, ზამთარი ყოფილა და მიცვალებულები ვეღარ გადაუტანიათ და ზენუბანს ეძახიან, იქ დაუმარხიათ. ჩემს პაპას ერქვა ნინიკა. იმის მამას (ე.ი. ჩემ პაპის მამას) – გაგა. გაგა აქ მარხია. გაგას ძმებს ერთს ალექსი პქვივნებია, მეორეს – ბაგრატი. ესენი მარხიან ზენუბანში.

### **ბესარიონ გიორგის ძე გიგაური, 68 წლის, სოფელი ბუჩანოგარი, 10. V. 1983**

აქ, ვინც ცხოვრობს ბუჩანოგარში, მუგუდიდან არიან გადმოსახლებული. პაპა გადმოვიდა საცხოვრებლად. ბუჩანოგარში ცხოვრობენ: ხარება შვილი – 2 კომლი, გიგაური – 3 კომლი, ციხელაშვილი – 2 კომლი, კოტორაშვილი – 1 კომლი. ადრე ეს გვარები ერთმანეთში ქალს არ ათხოვებდნენ. ახლა დაირდვა. აქ ადრე სხვა ხალხს უცხოვრია. ბუჩაშვილები სოფელში არავინაა. ეს გვარი დუშეთობან, კობიანოგარში მოსახლეობები. გოგიშვილი, გუგაური, გუდაშვილი, ჩიტაური, ჯიქური წარმოშობით ძმები არიან, გიგაურები არიან. სოფელში ვიცით გიორგობა, კვირიჯვრობა, ლაშარობა მაღლა ვიცით, ქედზე ეკლესიასავითაა. კვირაცხოველი აქვეა, შიგ სოფელში. იციან კიდევ ადგილის დედა – უბრალო სახელწოდებაა. პატარა რადაცა მიგვაქვს, საკლავი. ეს ლაშარობა გიგაურო ხატია, ბუჩანოგარის სალოცავია. ჭართალში ჭალისოფელს იციან კიდევ ლაშარი. მუგუდაში გიორგობას ეძახიან, ქედზეა.

ჩვენთან როცა ლაშარობაა, იქაცაა. ჩვენი მოგვარეები ჯუდის-ში არიან და ლაშარობას ისინიც ამოდიან აქ სალოცავად.

ბუჩანთკარის სასაფლაოს კოლოტებს ვეძახით. ძველები-საგან ასე მაქვს გაგებული. კოლოტას ირგვლივ ნასახლარები იყო. იკოთელი (ქსნის ხეობა) გიგაურები სალოცავად მოდიოდნენ მუგუდაში. ჭართლის სალოცავი არის დედალვოიშობელი.

**თედო იანგარას ბე ხარებაშვილი, 80 წლის, ჭართალი,  
10. V. 1983**

ხარებაშვილები, გარდა ბუჩანთკარისა, მუგუდაშია 1 კომლი. ერთიც ციხისძირშია. წინ-წინ მუგუდაში ვყოფილვართ. აქ ჩვენი პაპები გამოსულან. ჩემ ბალდობაში 4 კომლი ვიყავით. გაღმა ჩანს იმათი კრამიტიანი სახლი. ჩვენ ძირითადად ხევსურეთიდან ვართ. მამაჩემის გადმოცემით ვიცით. მთელი ჭართალი საგიგაუროს ხალხი ვართ სულ. ხარება ჰქვივნებია, კაცის სახელია და იმის სახელზე ვიწერებით. ძირათ გიგაურები ვართ. კოტორაშვილებიც გიგაურები იყვნენ ადრე. ჩოცხალაშვილებიც გიგაურებია ძირად. ჩვენა ერთმანეთში ქალს ვერ ვათხოვებთ და ვერც გავათხოვებთ. იკოთელი გიგაურები რომ არიან, ჩვენი ბიძაშვილებია. მთავარწმინდაგიორგიში – აი, კუნწუხი რომ ჩანს, იქ არის დიდი გალავანი დარტყმული, ერთი დღე ვერ შემოუვლი. ძირს ოთახებია, გალავნის ძირსა. ეს ბუჩანთკარის სალოცავია. თუ მუგუდელს დაამიზებდა, იმ შემთხვევაში გამოვიდოდნენ. მუგუდა და ბუჩანთკარი ერთები ვართ, ერთი განაყრები. ლაშარის ჯვარი ეკლესია. ესეც ბუჩანთკარის სალოცავია. ჩვენ დავდიოდით ლაშარის ჯვარში. მერე ქვა წამოიდეს, აქ გაუკეთებიათ და აქ იხდიან. მე ერთხან ვყავდი პატარა ლაშარში. როცა ვყავდი, მაშინ აქ არ იყო სალოცავი. მერე ქვა გადმოიტანეს მუგუდაში და მერე ბუჩანთკარში გამოვიტანეთ და აქა ვლოცულობთ. ჭართლის საერთო, ძირითადი სალოცავი დედალვოიშობელი ჩიტაურთას, ზენუბანს. აი, სასაფლაო რომაა, მაგას ვეზახით კოლოტას. ჭალისოფლიდან რომ მოვდივართ მუგუდისაკნ, კოლოტას ხევს ვეძახით ამ ადგილს. ბუჩაშვილებს უცხოვრიათ აქ ადრე. გადასახლებული არიან სადმე დუშეთში, ხელობამდე მოდიოდნენ ხატში სალოცავად ბუჩაშვილები მთავარწმინდაგიორგიში. ჭართალი საერთოდ გიგაურებია და ეწერებიან მამიშვილობებზე ზოგიერთები.

## ილიკო ალექსის მე გიგაური, 82 წლის, 11. V. 1983, სოფელი დოლასქედი

დოლასქედის გვარებია: კობაიძე, ქავთარაძე, აფციაური, ჩოხელი, წიკლაური, გიგაური. პირველი ორი გვარი მთიულეთიდან არის მოსული. დანარჩენები — გუდამაურიდან. გიგაურები ჭართლელები ვართ. დოლასქედში სამი უბანია: მთაშიური, შუაუბანი და ჭალა. აქ გვაქს მწისწვრის/მზისწვრის სალოცავი, კვირია, ლომისის ნიში გვყავს. ადგილის დედა გვაქს კიდევ. მწისწვრის ანგელოზს შვილების კარგად ყოფნას შევთხოვთ. ხმალაა მაღლა წევრზე — ლოცულობს ჯუდისი, ვაშლობი, დოლასქედი და ხორხის ხეობის ხალხი. აქ, მთაზე არის ლაშარიც; ეს საერთოა ჩვენ და ბუჩანოკრელების. წიწიანთ ვეძახით, დოლასქედთანაა ახლოს. წიკლაურები ცხოვრობენ, სიჯანანიდან არიან, გუდამაყრიდან გადმოსული. ამ წიწიანთ სიჯანანთსაც ეძახიან.

ადრე მუგუდაში გვიცხოვრია გიგაურებს. მერე ბუჩანოკარს გამოვსულვართ ნაწილობრივ. ნაწილობრივ იქ დარჩნენ ისევა. ჩემს ბალვობას სოფელში გიგაურები იყვნენ 6 ოჯახი. ჯერ ხევსურეთიდან ვართ გადმოსულები, ბლოდან. ქაისხევშიც არიან გიგაურები. ვითომ აქ კარგი ქვეყანა იყო, ხევსურეთში მთაგორიანი, ცივი და იმიტომ გადმოსახლებულებან. ბუჩანოკარში კიდევ არიან კოტორაშვილები, ციხელაშვილები, ხარება-შვილები. კოტორაშვილები ფშავიდან არიან მოსულები. ეგენი უნდა იყვნენ მაღაროსკარიდან. ციხელაშვილები და ხარება-შვილები გიგაურების გორისები არიან. ჭართალში მეტი წილი სულ გიგაურები არიან. ერთი ხატის ყმბი ვართ. ეგ კოტორანი ცოტა შორს არიან. ჩვენა ვართ დედადთიშობლისა და ლაშარის ჯვრის ყმანი. ლაშარის ჯვარი უკანაფშავის სალოცავია. აქ ვიცით ლაშარობა. ეი, ემდონა ბავშვებს ლაშარში ვრევდით, ბატარძლებსაც. მთელი ჭართალი ლოცულობს ძველ ახალწელს დედაღვთიშობელს. სადაურ კაცს არ ნახავდით იქ. ზენუბნის გამოღმით არის. ყოფილი გიგაურები სალოცავად დადიოდნენ დედაღვთიშობელსა და ლაშარშიც. ხარებაშვილებს გორი აქვთ შეცვლილი, ეგენიც გიგაურებია.

ბუჩაშვილებს აქ უცხოვრიოათ მუგუდასა და ბუჩანოკარს და აქედან არიან წასულები ქვეყით ბიძაშვილები ჩვენი. ვინც გიგაურები ვართ ერთი მამიშვილობა, მონაგრობა გვაქს.

ბუჩაშვილები მოდიან ბუჩანთკარში სალოცავად წმიდა გიორგიში, ლაშარში, დედალთვიშობელში.

აცი თუ აქედან გადასახლდებოდა, ვერ გაყიდდა მამულს, ბიძაშვილებს უნდა დარჩენიყოთ, გაიყოფდნენ მამულს. ბუჩანთკარში წმიდა გიორგის სახელზე იყო მიწა. სუსკელა ხატს პქონდა მიწა. სამი დღე გხნავდით უეგარი ხარით. სოფელი შავქუჩდებოდით და ერთად ვხნავდით. ამის მოსავლით არავს ვხდიდით. ხატისათვის უნდა მოგვეხმარებინა ეგ პური. გიორგობისთვეში გიორგობას ვხდიულობდით. ამ მოსავლით არავს 40 ლიტრას მაინც გამოვხდიდით. საკლავი უნდა გვეყიდა – ჭედილები, ნაყოჩრები. მნათეს უნდა გაელეწა, აედო მოსავალი. მნათე გამოგვიცხადებდა, რომ ხვალ უნდა მოგხნაოთ. ერთი 3-4 გუთანი მაინც გაგვავდა. ერთ დღეში ვამთავრებდით ხვნასაც. მნათე იყო შამხახველი, ყოველ წელს იცვლებოდა. ერთი საკლავი, ჭედილა სამი ფუთი დირდა. მოდიოდა ქერი, ქერსვილა, ხორბალი – იშვიათად. ხატს რომ მიწა პქონდა, ხალხს შეუწირია. ალბათ, მიზეზი პქონდათ რამე.

ბუჩანთკარში სასაფლაო რომაა, მაგ ადგილს პქვია კოლოტა. ნასახლარებია. იქიდან დაკარგულებია, იმათი არაფერი გაიგება. უპატრონო ადგილი ყოფილა და მერე ჩამდგარა ეს ხალხი. იქვე მშრალი ხევია და ვეძახით კოლოტას ხევს.

ბუჩაშვილები კობიანთკარს არიან გადასახლებული. მისაქციელშიც არიან. დოლასქედში სიჯანაშვილები არიან და წიკლაურობაზე იწერებიან. წიწინათაც ეძახიან მაგათ. დოლასქედში ხევი რომ ჩამოდის, კვირეთული პქვია. ეკლესიას ვეძახით მზეწვერის წმიდა გიორგის და მანდ ვიცით ლაშარობა. აქ რომ ლაშარია, მარტო ბუჩანთკარისაა. მუგუდაშიც არის ლაშარის ნიში. მწვერის წმიდა გიორგიში მუგუდის ლაშარიდან ნიში გვაქვს გამოტანილი. ლაშარში, ფშავში ვერ დავდიოდით და თითქმის ყველა სოფელში გაჩნდა ლაშარის ნიში. ჭართლის მთავარი სალოცავი დედალთიშობელია; ლოცულობენ: ჭალისოფელი, ჩიტაური, ზენუბანი, მუგუდა, ბუჩანთკარი. სონდიდან მოდიოდნენ გოგიშვილები და ხუციანიძები უფრო. ლალიაშვილები არ მოდიოდნენ დედალთიშობელში. დედალთიშობელს იკოთში ვენახი პქონდა, დვინო მოპქონდათ. იკოთელი გიგაურები უვლიდნენ ამ ვენახს. ხატისათვის იკოთელ გიგაურების შეუწირავთ ვენახი.

შიდა ქართლის მთისწინეთი

**თედო ქიტოს ძე ფოცხვერაშვილი, 83 წლის სოფელი  
აკვლეური, 12. 05. 1983**

სოფელ პავლეურში ცხოვრობენ: ფოცხვერაშვილები (14 კომლი), პეტრიაშვილები (12 კომლი), ჯაბანაშვილი (10 კომლი), ხოსიაშვილი (7 კომლი), გულბათაშვილი (6 კომლი), როსტიაშვილი, აფციაური, ბალიაშვილი, ჩოლიაშვილი (3-3 კომლი) და სიდამონიძე (1 კომლი). ყველანი ძირად ხევსური ერთი მამისაგან მომდინარენი არიან.

ხევსურეთიდან ყოფილან მოსული ფოცხვერაშვილები, ზურაბ ერისთავს წამოუყვანია ობლები იქიდან – სამი მმა; დედა ყოლიათ. და გაუყვანია ბაზალეთის მინდორზე. არ უქნიათ დასახლება. გამოუხედია და ეს მთა ურჩევიათ. ბევრი ჩვენი გვარისა გადასახლებულა ერედას. მათი გადასახლება არ მახსომს. იტყოდნენ ხოლმე, რომ ზოგი ამბობს ჭინჭარაული იყო, ზოგი ამბობს ლაშქარაული იყვნენ. ერთს ერქვა მინდია, მეორეს – ლაშქარა, მესამეს – ? ეს ხალხი ორი მმისაა. მინდიას შთამომავლები ერთ კაცზე მოდიოდნენ. სულ ერთი და ერთი იყო. ერთი ბიჭი დარჩა და მათი გვარი ამოწყდა ამ ომის დროს. ამით გვარი პაპიაშვილი იყო. ერთი კაცი იყო. პეტრიაშვილები და ფოცხვერაშვილები ერთი გვარისანი არიან, ერთი კაცისაგან მოდიან.

ხევსურეთში დადიოდნენ სალოცავად ჩვენი წინაპრები, ხახმატში დადიოდნენ. ლაშქარშიც ლოცულობდნენ, უკანაფშავში. კურატები მიჰყავდათ. პეტრიაშვილებსა და ფოცხვერაშვილებს შორის ქალის გათხოვება არ შეიძლება. ეხლა დაირღვა.

სოფლის სალოცავებია წმიდა გიორგი, ღვთიშობელი, ხმალა, კვირაცხოველი, ადგილის დედა. იგივეა ადგილის დედა წმიდა გიორგი. ზევით მთაზეა წვერის წმიდა გიორგი. სამი სოფლის სალოცავია: ხორხის, პავლეურის და ლოლასქედის. ხორხლელები წვერის ანგელოზს ეძახიან. წვერის ანგელოზე დევი ყოფილა შაჩქეული. დღეობის დროს მოდენილა და თითო ბიჭი მიყოლებია საჭმელად. არჩევდა ამ ბიჭებს. მერე ერთი ბიჭი მისულა, მე ბოლოში დავჯდებიო. სმლითა ყოფილა თურმე გამზადებული. რო რამე მოხდეს აქაო, ხმა არავინ ამოიღოსო. მისულა ის დევი. დევს უთქია, სულ იმას მაყვედრით, თავიდან არჩევო და ეხლა ბოლოდან

წავიყვანო. იმ ბიჭს უთხრა, ვინც ბოლოში იჯდა, წინ გამიძეხიო. ეს ბიჭი გაუძღვა წინ, მოტრიალდა და გააგდებინა თავი; თავი იძახდა: გავსკდი, გავსკდიო. ბებერმა დაუძახა: გასკდი და გაგიწყრა წმიდა გიორგიო.

ჯაბანაშვილებიც ჩვენები არიან, ხოსიაშვილები და ბალიაშვილებიც. ორ ქმაზე მოდის ეს სოფელი: ჩვენები, პეტრიაშვილები, ჯაბანაშვილები, ხოსიაშვილები, ბალიაშვილები. გულბათაშვილები და როსტიაშვილები გერად მოყოლილებია. ჩოლიაშვილებიც პეტრიაშვილებსა და ფოცხვერაშვილებს ეკუთვნის. ერთი წინაპრიდან მოვდივართ.

წინ სხვა გვარებსაც უცხოვრიათ: სვიანაიძეებს, კვიცაანებს. კვიცაანთკარი აქ ახლოს არის, ზევით ნასოფლარია. თორელანებს უცხოვრიათ. კვიცაანთ ზევით ყოფილა თორელანების სოფელი. ჭივილანთში სულ ჯაბანაშვილები არიან, აქედან გადასახლებულები.

[მთხოვობლის მეუღლის მონათხობი: ბეწუაშვილები ლაუშას ეტყვიან, ხორხის ხეობაში, იქ ცხოვრობენ. ბეწუაშვილების სალოცავი არის წვერის წმიდა გიორგი, ხმალა, ლოთიშობელი. ლაუშაში პაპკიაურებიც არიან. 5-6 კომი ვიყავით ბეწუაშვილები. პაპკიაურები იყვნენ ბევრნი; 9-10 კომი იყვნენ].

აჩაჩას ვხმარობდით, ყველას ვაბამდით. დოლისაურს შემოდგომით ვთესდით, გაზაფხულზე – დიკას, ქერჭრელსაც. ვიცოდით ქერსვილაც. კევრებით ვლეწავდით.

სულ ტყეებშია ძევლი ნასახლარები, არავინ იცის, სად წასულან. ხმალაზე მოდიან სალოცავად ერედიდან, საგურამოდან, მისაქციელიდან.

წმიდა გიორგის ჰქონდა მამული, ერთი ჰექტარი იქნებოდა, ორი დღიური. აჩაჩით ოთხი დღე უნდა ერთი ჰექტარის მოხვნას. ხატის მამულს ჰქონდა დადებული. ერთი ხევსური ყოფილა, აქა მდგარა. მერე მომკვდარა. სხვა ხევსურები მოსულან ამის ადგილში, რომ დამდგარიყვნენ. მერე ხალხს ჩვენი სოფლისას მოუტყუილებიათ, რომ მაგან, ოქვენმა ხევსურმა ეგ მამული თავის სიცოცხლეში ხატს შესწირათ. და დაუნებებიათ იმ ახალ მოსულ ხევსურებს თავი იმ მამულისათვის და ისე გახდა ეს მამული ხატისა. ვინც

მოხნავდა, ხატს ფასს გადაუხდიდა, ხატში მიიტანდა 20 ლიტრა არაყს.

მნათე ვიცოდით ოთხი. მეორე წელიწადს სხვა ოთხი იქნებოდა. 10-12 წელში ერთხელ გვიწევდა მნათეობა.

დიდ ოჯახად იცოდნენ აქ ცხოვრება: როსტიანები, გულბათაანები, ჩვენებიც იყვნენ ფოცხვერიანები. [მთხოვობელი უარყოფს აქ გვარებში მამიშვილობების არსებობას]. ეთვალისში დანიანები იყვნენ, რომ გაიყარნენ, ცხრა კომლად გაიყარნენ. ეთვალისელ დანიაშვილებს დიდი ოჯახი რომ პქონდათ, ერთი ძმა მეძროხე იყო, მეორე – მეღორე, მესამე – გუთანზე იყო და ა.შ. ყველა კაცი ცალ-ცალკე საქმეზე იდგა.

მოწეული ჭირნახული მთელი წლის განმავლობაში გვყოფნიდა. ზოგს მეტიც მოხდიოდა. მამულები აქა დაფანტულად გგქონდა, ერთ ადგილზე – არა. სოფელში სამი-ოთხი წისქვილი (ბუქულა) იყო.

ბეწუაშვილები იტყვიან ხოლმე, ქისტები ვართო. საქონელი ზოგს 10-15 სული ყავდა. ცოტ-ცოტა ცხვარი გვეავდა, ას სულამდე 400 სულამდე ყავდათ როსტიაშვილებს. ზოგს სულაც არ ყავდა.

### გიორგი მათეს ძე ჭიკაიძე, 81 წლის, სოფელი მენესო, 13. 05. 1983

ჭიკაიძეები მენესოში და დგნალში მოსახლეობები. აქ გადმოსახლდა მამის პაპა მწარია. ჭიკათიდან (მთიულეთი) გადმოსულა. ჯერ დგნალში მოსულა მწარია და იქიდან იქვე პატარა სოფელია პანტიანი, იქ ყოფილან. მენესოში 20 წელი იქნება, რაც გადმოვდით. დგნალში 10 კომლია ჭიკაიძე. სულ მწარიას შთამომავლები ვართ. სანამ მენესოში გადმოვსულვართ, პაიჭურშიც ვყოფილვართ. ესეც აქვეა. მწარიას შვილი იყო დიმიტრა. დიმიტრა მათეს მამა იყო. პაიჭურები მენესოს თავზეა. სათიბებია იქ. საქონელი ეხლაც იქ გვევს.

დგნალში არიან ბუქურები და ქავთარაძეები.

მენესოელები ახალშექმნილი ვართ. ადრე იყო ადგილი მენესო და დგნალიდან რომ გადმოვედითხალხი, მაშინ და-სახლდა ეს სოფელი და ადგილს რო ერქვა მენესო, მერე

სოფელსაც დაერქვა. ლენინის დროს დასახლდა მენესო დგნალიდან.

**იაგორ გულას ძე გულაშვილი, 86 წლის, სოფელი  
ციხისძირი (თეთრი არაგვის ხეობის მთისწინეთი),  
14. 05. 1983.**

ციხისძირში ცხოვრობენ: გულაშვილები (20 კომლი), ყარმაზანაშვილები (15 კომლი), ებრელიძეები (4 კომლი), გოზიტაშვილები (2 კომლი), ჯღუნიაშვილები (8 კომლი), ცოცხალაშვილები (5 კომლი), მირზიაშვილები (2 კომლი). კიდევ ცხოვრობს გამიხარდაშვილი, რომლებიც ძირად გულაშვილები არიან. ძირად ებრელიძეები არიან ჯღუნიაშვილები, ცოცხალაშვილები და მირზიაშვილები. სულ თავიდანვე აქ მოსახლეობდნენ გულაშვილები, მამაჩემისაგან სხვა არაფერი გამიგონია. ჩვენი სალოცავია წმიდა გიორგის ვეძახით, ნიშია პატარა. მარტო ჩვენი გვარი ლოცულობს. აქ კვირა-ცხოველს ვეძახით, საერთოდ სოფლისაა.

სოფელში კიდევ არიან გოდერძიშვილები (1 კომლი), ბიჭიაშვილები (3 კომლი). წითელაშვილები იყვნენ – აღარ არიან, ამოწყდნენ. რუხიაშვილებიც იყვნენ; ეხლა ორი კომლია.

გუდამაყარში რომ ფუძის ანგელოზია, იქ დავდიოდით. მამა-პაპიდან დავდიოდით, ერთხელ მეც ვიყავი. ბავშვის და პატარძლის გაყვანა ვიცოდით წმიდა გიორგიში. მარტო გულაშვილები დავდიოდით ციხისძირიდან აფხავ წმიდა გიორგიში. ჩვენი ციხისძირის წმიდა გიორგი ნიში იყო აფხავ წმიდა გიორგისა. დიდი ხნის ამბავია ამ ნიშის გადმოტანა. ერედაში არიან გულაშვილები კიდევ. გულაშვილები სადაც ვართ, ქვეით სოფელს ვეძახით; გულანთუბანია ეგ. ჩიხისძირის წმიდა გიორგის სალოცავზე ასეთი წარწერაა: „ნიში აფხავ წმიდა გიორგისა. გულაშვილი, 1912 წელი. (სალოცავთან აწყვია ერბოს ქილები).

გოდერძიშვილები ციხისძირში მოხევეებიდან ყოფილან ჩამოსული. ცდოს რომ ეძახიან, იქიდან ყოფილან. [მთხოვთ მეუღლე ნატო მიხას ასული ფრიდონაშვილი-გულაშვილი, 80 წლის]: ეთვალისში ცხოვრობდნენ: ფრიდონაშვილები, მელიწაურები, ლანიაშვილები, ბადაგაძეები.

აქ არის სალოცავები: წმიდა გიორგი, ჯაჭველი. ორივე იყო წმიდა გიორგის სალოცავი. ეთვალისში ერთ-ერთ მამულზე იტყოდნენ „ჩხუტიანთ“.

**ლადო ონისიმეს ძე გულაშვილი, 82 წლის, სოფელი  
ციხისძირი (თეთრი არაგვის ხეობის მთისწინეთი),  
14. 05. 1983.**

ებრიალიძები მირზიაშვილად იწერებოდნენ. ჯლუნიაშვილები და ბიჭაშვილები ადრე ყოფილიყო ერთი გვარი და ეხლა ცალ-ცალკე გვარად იწერებიან. ცოცხალაშვილები და ყარმაზანაშვილები მითომ ერთი გვარის ხალხი ყოფილან. მთელი სოფელი ლოცულობს ესოჯეს წმიდა გიორგის, მაგრამ ძირითადად ყარმაზანაშვილებისა და ცოცხალაშვილების სალოცავია. სამი კილომეტრია სოფლის თავზე და იქ არის ესოჯეს წმიდა გიორგი. იქ ნასახლარებია და ეს ხალხი იქიდან ვართ ჩამოსული. აქვე არის ლომისას ნიში. ბაგშვი და პატარძალი ესოჯეში მიგვეაგს გასარევად. მარტო ბიჭის გარევა ვიცოდით. ლომისას დაუსვენია და იმოტომაა ეს ნიში.

გოზირაშვილები ხევსურის გვარზეა. მაგის ბიძაშვილობა ბარისახოს არის. მაგის წინაპარი გადმოსახლებულა აქ.

ესოჯეში დეკანოზი ბიჭაშვილი იყო და ერწოდან ცოცხალაშვილები მოვიდნენ სალოცავად, ერთი 12 კომლი იყო. დიდი უნჯი ჰქონდა ამ ხატს. გაძარცვეს. დეკანოზები და მნათეები თურმე ორმოში ინახავდნენ.

მირზაშვილი, რუხიაშვილი, ბიჭაშვილი, ებრელიძე ერთებს უდრის. ყარმაზანაშვილებსა და ცოცხალაშვილებს ნაყიდობა გვქონდა დავათში და ერწოში, კიდევ საშაბუროში. იქა ვხნავდით. ექვსი მმანი ყარმაზანი ყოფილან და სამი – ცოცხალანთი. ერთი თავის ნაყიდობაზე წასულა ერწოში. ყარმაზანათა რგებიათ დავათში. და გაუყიდიათ დავათში და სულ აქ მოხვეულან ყარმაზანი. მამული ხო ცოტა ექნებოდათ. ჩემი, ცოცხალაშვილის მამა-ბიძანი კიდევ წასულან ერთი ერწოში და მეორე – საშაბუროში. საშაბუროში აღარავინაა თითქმის ცოცხალაშვილი. ერთი იყო და მოკლეს.

**დადო მოსეს ბე გოზიტაშვილი, 97 წლის, სოფელი  
ციხისძირი (არაგვის ხეობის მთისწინეთი), 14. 05. 1983.**

ჩვენი გვარი მოსულა ხევსურეთიდან, ბაკურხევიდან. ხე-  
სურეთში არაბულები ვიყავით. ვინც გადმოსახლდა ერქვა  
ჯუგარა, რომლის შთამომავლები ვართ გოზიტაშვილები.  
ლეიბური – ამის შვილები დაეწერნენ ხოსიაშვილებად პო-  
ვლეურში, მესამე გულანთაში დასახლებულა და გულაშვი-  
ლებად იწერებიან. რამდენი თაობა გავიდა, რაც გადმოსახ-  
ლდნენ, არ ვიცი. ბავშვის და რძალის გაყვანა ესოჯეში  
ვიცოდით. წინათ დავდიოდით პირიმზე ფუძის ანგელოზში.  
ბაკურხევს გადავიდოდით და ხევსურეთში გადავდიოდით.  
ზორით და კურატით ვიყავით.

**პავლე თედოს ბე გულბათაშვილი, 81 წლის, 14. 05. 1983,  
სოფელი პავლეური (ჭართლის სამხრეთი)**

ჩვენა ვართ ხევსურეთიდან გადმოსულები. ადრევე, წი-  
ნათ, ერთი 120 წლის იყო პეტრიაშვილი და მისაგან ვიცი  
გადმოცემით. დაქვრივებულა ერთი ღედაკაცი. ყოლია 3 ბი-  
ჭი. გამოსახლებულა ისა ობლებით ბაზალეთის მინდორზე  
და უთქვა: მე, აქ ვერ შევინახავ შვილებსაო, იმ მთისძირს  
მიმასახლეთო და წამოიყვანეს და მოასახლეს პავლეურში.  
ერთსა პქვინებია მინდია. . . ეს სამი მმა ხო გავიდა თავ-  
თავითა და ორ მმაზე მოდიდ პოვლეური. მესამე მმისა ეხლა  
ადარავინ არის. ჩვენ ყველა გვარი ამ სოფელში იმ ორი  
მმისა შთამომავლები ვართ. მესამე მმისა პაპიშვილები იყვ-  
ნენ; ერთ კომლზე მოდიოდნენ. ომში დაიკარგა, ერთი იყო  
და იმათი ადარავინ არ იბადება.

სოფელს ერთი სალოცავი გვაქმ. ერთად მივდივართ სა-  
ლოცავში ყველა გვარი. იმას რომ უთქვია, ეგენი სხვები არ  
არიან. ერთები არა ვართო. მართალი არ არის. მაშინ ცალ-  
ცალკე სალოცავი გვექნებოდა. სალოცავები გვაქმს: 1. ხმა-  
ლა (სოფლის თავზე), 2. ადგილის დედა წმიდა გიორგი  
(ერთი სალოცავია. ესეც ნიშა. ძველებური გალავანი პქო-  
ნდა შემოვლებული), 3. სოფლის თავშია ლაშარი. ესეც ნი-  
შა, სასანოლე აქვს, 4. კვირაცხოველი (ესეც ნიშივთაა).

სოფლის მთავარი სალოცავი ხმალა დენოშობელია, პატარძლისა და ბაგშვის გარეკავა ხმალა დენოშობელში ვიცოდით. სიძლიერის მიხედვით მეორეა ადგილის დედა წმიდა გიორგი. აქ მიგვქონდა სანთელი, სამწყალობნო. დეკანოზი დაგვლოცავდა. მოურთმევია სანთელი, სამწყალობნო, საკლავი, უშველე, მოუმართე ხელი, აშორე სისხეულე, საქონელი გაუმრავლე, ნადირს პირი აშორეო. ოთხივე სალოცავში ერთნაირად დაილოცებოდა. მნათეობა მოსდევდა რიგით. ერთი სანთელს აანთებდა, დანარჩენი მუშბი იყვნენ, საკლავისა, რამისა, მიტან-მოტანა. მნათეები მორიგეობით იყვნენ. იყო ისე, რომ დეკანოზი ყავდა ხატს დაჭერილი ბავშვობის დროს. ოთხივე სალოცავში დეკანოზობდა. რო მოკვდებოდა, მერე სხვას დაიჭერდა, ხატის მიზეზი გამოუვიდოდა.

ჩვენი წინაპრები ხევსურეთში გადადიოდნენ სალოცავად. გუდანშიაც მიდიოდნენ. გამოღმა არის კიდევ სხვა სალოცავი, ბარისახოს ახლოსაა ეს სხვა სალოცავი. გუდამაყარში მივდიოდით პირიმზე უუმის ანგელოზში და შემდეგ უქან გავდიოდით ახოს.

პავლეურის უბნებია: გულბათაანი, ჯაბანაშვილები, ხოსიანი, პეტრიაშვილები, ფოცხვერაშვილები, როსტიაშვილები. ადრე უბნები გვარების მიხედვით გვქონდა, ეხლა აირივნენ. გარსევანიშვილები იყვნენ; აღარავინ არის. გამიგონია, რომ ადგილი გარსევანაანთი იყოო. ბალიაშვილები იყვნენ. აქ ცხოვრობდნენ. ეხლა აქ ადარავინაა. ანანურში არის ეხლა ერთი ოჯახი. მამუკელაშვილები არიან ერთი კომლი; ჩვენებია ეგენიც. რაც გვარებია პავლეურში, ყველა ერთი ძირობა ვართ, ერთი ბუდიდან ვართ ნაყარი.

ბარში – საგურამოში და დუშეთში – გულბათაშვილები რომ არიან, აქედან არიან გადასულები; აქ მოდიან ეხლაც სალოცავად.

თონეებია სოფელში. კევრით ლეჭავდნენ. ძველთესლი, დიკა, ქერჭელი. ვაზი გვარობს, ეხლა გავიჩინეთ. მარხილი ვიცოდით. ურემი იყვის ხარის.

**სონა მათეს ასული როსტიაშვილი (მამის გვარი ამირიძე),  
65 წლის, 14. 05. 1983 სოფელი პავლეური (ჭართლის  
სამხრეთით)**

გადმოცემაა, რომ ერთ ქმას გულბათა რქმევია, მეორეს – როსტია. მის მიხედვით წამოვიდა ეს გვარი. ანანურის როსტიაშვილები და დუშეთის როსტიაშვილები ჩვენებია, კახეთისა ჩვენები არ არიან. ანანურში ცხოვრობდა სოლომონ როსტიაშვილი, იმისაგან ვიცი, რომ ჩვენ, როსტიაშვილები, გულბათაშვილები და ნარიმანიძეები ერთები ვართო. ხადადან მოვსულვართო; ერთს ნარიმანიძე ჰქვივნებია, მეორეს – როსტია და მესამეს – გულბათა და აქედან წამოვიდა ეს გვარები. ნარიმანიძეები, გულბათაშვილები და როსტიაშვილები ერთმანეთს შორის ქალს არ გაათხოვებენ. ცალკე გვარის სალოცავი როსტიაშვილებს არა გვაქვს. სასოფლო სალოცავები გვაქვს. პირველი, ყველაზე ძლიერი სალოცავია ხმალა – ღვთიშობელი. ბავშვი აქ უნდა გაგვერია. მაღლა, სოფლის თავზე გმყავს წვერის წმიდა გიორგი. მაგას, წმიდა გიორგის, დევები ჰყოლია. პირველი ბავშვი იმ დევებს უნდა ეჭამა. იქ უნდა აეყვანათ დედ-მამას. დევი მოვიდოდა და პირველ შვილს პირს დაავლებდა. ერთხელ, როცა წვერობა იყო, გასათხოვარი ქალი იყო და წავიდა იმ ხატში ხატობას. ეს ქალი არ მიყავდათ ხატში, რადგან გასათხოვარი იყო. იქ რომ წასულა, ეს ხალხი, ხმალა ღვთიშობელთან პირდაპირ არის სამხოოს ანგელოზები (ხატი), სადღაც სიბერისაგან ხატი დაღუპულა. ყველა ანგელოზი წასულა, მაგრამ ხმალა ღვთიშობელი მანდ იყო ჩვენთან ახლოს დაბინავებული და ვერ წავიდა. დაიძახა იმ ხატმა, არ ამამდის სული, სანამ ხმალა ღვთიშობელი არ მოვაო. ადგა ეს ხმალა და წავიდა. ნაბარევი მოუვიდა. ჭაროვიდა. ვერ ვკვდები სანამ არ მოვაო. მდიდარი ყოფილა და დაურიგა ხატებს ყველაფერი. წასულა. მისულა და ისეთი ხმალი უწუქებია იმ ხატს, რომ მოდის ხმალა/ღვთიშობელი თავის ადგილზე, რომ უნდა მოვიდეს, მიწაზე დასთორევს ხმალი და დიდია და ვერ ერევა. მოსულა ეგ ხმალა ღვთიშობელი და აქაურ ხალხს იმის კარზე გუთანი ბმია და რო გადაუხედია, უთქვია, მაგას რას აკეთებთ, რატომ ხნავთ? ადრე იქ არასოდეს არ მოხნულა, დიდი მეიდანია. ეს რომ

დაიძახა, ვერ გააშეშა. და იმ ხატმა ხმალი რომ გამოიჩანა, ამოუწევია ხმალი, სამი თითის დადება და გაშეშებულან ისინი. რომ არ ამოეწივნა, არ გაშეშებოდნენ ისინი. მერე რო გაშეშებულა ხარ-გუთანი, ხალხს ფეხი აღარ მიუდგია. ისე დვთიშობელი ჰქვივნებია და იმან რომ ხმალი აჩუქა, ხმალა დვთიშობელს ეძახიან. იმის შემდეგ ვსწირავთ საკლავს.

ხმალა დვთიშობელის პირდაპირ, ხევის გაღმა არის სალოცავი ხატი „საღვთო ანგელოზები“. საღვთო ანგელოზებთან იყო ობოლი ბიჭი. იმ დვთიშობელს ამანათივით ებარა ის ბიჭი. რახან ობოლი იყო, თითონ ხატი პატრონობდა. ის გოგო, პირველი მსხვერპლი დევისა, პირველი შვილი რომ წავიდა აქედან წვერის წმიდა გიორგიში და იქ ხომ დევს უნდა შეეჭამა, ისივა ყავს ამ სალოცავს დევები, მიბრძანდი შეუაღამისას, თუ გაივლი. იმ ობოლი ბიჭისათვის ხმალი შეება ხმალა დვთიშობელს და ეთქვა, რომ არავის დაენახო და როცა მაგ გოგოს დევს შეჭმას დაუწევებს, ხმალი სამ თითზე ამოწიე და ეს გოგო გაჩუმდებაო და შენ დევს უთხარი: წამომყეო. გოგოსთან საქმე არა გაქვს და მე გამომყეო. გაიმდგარა დევი წინ ამ ბიჭმა, უთხრა: წინ გამიძევ. მე შენი სახლის გზა არ ვიცი, მაგრამ უკან არ მოიხდოო. არ მაიხედა დევმა უკანა. ამ ბიჭმა დაკრა თავში დევს ხმალი, იქნე გააქრო, მოკლა. წამოიდა ისეთი ნიაღორი, რომ ეს ხალხი, მლოცავი, ნახევარი სულ დახოცა. ეს ხალხი რომ დაიხოცა ამ გივსა (ვინც მოკლა დევი), დევის სული ჩაუგარდა. დაბრუნდა და როცა გადმოიხედა და ხმალა დვთიშობელი დაინახა, ქედზე რომ გადმოდგა, გივი მოკვდა. წავიდა თითონ ხმალა დვთიშობელი და თვითონ წამოიღო ხმალი და გივიც წამოიღო და თვითონ დაასაფლავა. ძველი ხალხისაგან და წინაპრებისაგან, შვილო, ეგრეა გაღმოცემა.

ეხლა ძროხას რომ პირველი ხბო ეყოლება, უნდა აუგვანო და იქ დაკლა, ხმალა დვთიშობელში. ხმალა დვთიშობელმა შეცვალა ის წესი, რომ პირველ შვილს იქ წვერის ანგელოზ წმიდა გიორგიში დევი ჭამდა, და ის წესი შეცვალა ხმალა დვთიშობელმა და დააწესა პირველი შვილის მაგიერ პირველი ხბოს შეწირვა. გივის ნასახლარია ეხლა მაგ ხატში – სახლვთო ანგელოზში.

გადმა პავლეურში აქვთ ადგილის დედა წმიდა გიორგი და ჩვენ არ გავდივართ იქ სალოცავად და ისინი აქეთ გამოდიან ხმალა ღვთიშობელში და ბავშვი აქ უნდა შესწირონ გადმა სოფელმაც. გადმა სოფლის პავლეურის ხალხი ამაღლებას და გიორგობას ყოველთვის ორ საკლავს ყიდულობს – ერთი, თავიანთი ადგილის დედა წმიდა გიორგისათვის და მეორე, ხმალა ღვთიშობლისათვის.

ადგილის სახელებია: საყდარათ ქედი, სიანას ველი, ხოჯარულები – ნასახლარებია.



[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71

ISBN 978-9941-493-17-0



9 789941 493170